

გათუმას შოთა რუსთაველის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ISSN 1987-7684

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და
სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი

სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

IV შრომების კრებული



გამოცემლობა „უნივერსალი“
თბილისი 2012

YDC (უაგ) 316 (051)
ს 743

„სოფიალური ჟურნალისტითა ხილობები“
გამოცემა 2009 წლიდან

რედაქტორი:
ირაკლი მანველიძე

სარჩდაძლიო საბჭო:

რევაზ დიასამიძე, გუსეინ ნიზამი ოლლი ნაჯაფოვი
(პაქო), რეზო მანველიძე, ნანული მახარაძე, გურამ
ჩაგანავა, ია მესხიძე, რუსუდან კეჭაყმაძე, ინეზა
ზოიძე, ნატალია ლაზბა (პასუხისმგებელი მდივანი),
ზაზა ბურკაძე, ირაკლი გორგილაძე.

რეცენზიები:

მარინა იტრიაშვილი
იოსებ სანიკიძე
რუსუდან ბერიძე

ISSN 1987-7684

© სოციალურ მაცნეორებათა დაპარტამენტი

მისამართი:

საქართველო, ბათუმი, ნინოშვილის 35, უნივერსიტეტის II კორპუსი,
სოციალურ მეცნიერებათა დეპარტამენტი №417.

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com

Tel: 0422 29 33 46

გამომცემლობა „უნივერსალი“, 2012
თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 19, მ: 222 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

Batumi Shota Rustaveli State University

Faculty of social sciences, business and law

Department of Social Sciences

Problems of Social Sciences

IV

PROCEEDINGS



**Publishing House „Universali“
TBILISI-2012**

Problems of Social Sciences

Issued since 2009

Editor:

Irakli Manvelidze

Editorial Board:

Revaz Diasamidze, Huseyn N. Najafov, Rezo Manvelidze, Guram Chaganava, Ia Meskhidze, Nanuli Makharadze, Natalia Lazba, Ineza Zoidze, Rusudan Kechakmadze, Zaza Burkadze, Irakli Gorgiladze.

reviewers:

*Rusudan Beridze
Marina Itriashvili
Ioseb Sanikidze*

ISSN 1987-7684

© The Department of Social Sciences

Address: 417, The Department of social sciences, Shota Rustaveli State University, 35 Ninoshvili Street, Batumi, Georgia,

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com Tel: 042 229 33 46

**Publishing House „Universali“
Publishing House „universali~, 2012**

Tbilisi, 0179, I. Chavchavadzis ave.. 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge

**Батумский Государственный
университет имени Шота Руставели**

Факультет социальных наук, бизнеса и правоведения

Департамент социальных наук

**Вопросы социальных
наук**

IV

Сборник трудов



**Издательство «Универсал»
Тбилиси 2012**

Сборник
«Вопросы социальных наук» выходит с 2009 года

Редактор:

Иракли Манвелидзе

Редакционный совет:

*Реваз Диасамидзе, Наджафов Гусейн Низами оглы (Баку),
Резо Манвелидзе, Нанули Махарадзе, Заза Буркадзе,
Иракли Горгиладзе, Гурам Чаганава, Инеза Зоидзе,
Наталья Лазба, Иа Месхиадзе, Русудан Кечакмадзе.*

Рецензенты:

*Русудан Беридзе
Марина Итриашвили
Иосеб Саникидзе*

ISSN 1987-7684

© Департамент социальных наук

**Адрес: Грузия, Батуми, Ниношвили 35, II корпус университета,
департамент социальных наук #417.**

E-mail irakli.manvelidze@yahoo.com Tel: 0422 29 33 46

Издательство «Универсал», 2012

Тбилиси, 0179, проспект И. Чавчавадзе 19, : 22 36 09, 8(99) 17 22 30

შ ი ნ ა ა რ ს ი

C o n t e n t s

Оглавление

პოლიტიკის მეცნიერება

Political science

Политическая наука

რევაზ დიასამიძე

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე	19
--	----

Revaz Diasamidze

Some Aspects of Foreign Policy of Russia at the turn of the 20/21 st Centuries	29
--	----

Реваз Диасамидзе

Некоторые аспекты внешней политики России на рубеже XX-XXI вв.	29
--	----

გუსეინ ნიზამი თლლი ნაჯაფოვი

„სამხრეთ კავკასიის“ საკითხის დეფინიციის შესახებ	30
---	----

Наджафов Гусейн Низами оглы

К вопросу о definiciji “Южный Кавказ	38
--	----

Huseyn N. Najafov

On the question of the definition of „South Caucasus”	40
---	----

კახაბერ სურგულაძე	
ძველ რომში პოლიტიკური ბრძოლის ისტორიიდან	41
Кахабер Сургуладзе	
Из истории политической борьбы в Древнем Риме	48
Kakhaber Surguladze	
From History of Political Fights in Ancient Rome.....	49
ირაკლი მანველიძე	
ზაზა ბურკაძე	
საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ევროპული თავისებურებები	50
Иракли Манвелидзе	
Заза Буркадзе	
Европейские особенности системы международной безопасности	61
Irakli Manvelidze	
Zaza Burkadze	
European peculiarities of international security system	62
Giorgi Jikvaria	
The Struggle of the Bulgarian People against the Ottoman Empire	64
გიორგი ჭიქვარია	
ბულგარელი ხალხის ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ.....	70
Гиорги Джиквария	
Борьба болгарского народа против Османской империи.....	71

ირაკლი გორგილაძე	
ზოგიერთი მოსაზრება კასპიის ზღვის (ტბის)	
სტატუსი ირგვლივ	73
Irakli Gorgiladze	
Political and legal aspects of the Caspian Sea	79
Иракли Горгиладзе	
Политико-правовые аспекты Каспийского моря.....	80
 ნატალია ლაზბა	
პოლიტიკური კრიზისი და კონფესიონალიზმის	
საკითხები მახლობელ აღმოსავლეთში	81
Лазба Наталья	
Вопросы конфессионализма и политических кризисов	
на Ближнем востоке	87
Natalia Lazba	
The Questions of Confessionalism and Political Crises in the	
Middle East.....	87
 გელა ირემაძე	
რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის	
ძირითადი პრინციპები და მიმართულებები.....	88
Gela Iremadze	
The main principles and directions of the concept of the	
Russian foreign policy	94
Гела Иремадзе	
Основные принципы и направления политической	
концепции внешней политики России	94

ირაკლი მანველიძე	
ნატალია ლაზბა	
ევროკავშირის უსაფრთხოებისა და	
თავდაცვის პოლიტიკის სამოქალაქო ასპექტები	95
Irakli Manvelidze	
Natalia Lazba	
Civil aspects of the European security and defense policy	101
Иракли Манвельидзе	
Наталья Лазба	
Гражданские аспекты политики безопасности и	
обороны Евросоюза.....	102
ინგა ცინცკილაძე	
ევროკავშირის როლი საერთაშორისო	
კრიზისების მოგვარებაში	103
Inga Tsintskiladze	
European Union's role in solving crisis situations	
worldwide	109
Инга Цинцкиладзе	
Роль Европейского союза в решении кризисных	
ситуаций по всему миру	109

სოციოლოგია

Sociology

Социология

/	
ინგზა ზოიძე	
გენდერული ასპექტები მმართველობით	
საქმიანობაში	111

Инеза Зойдзе

Гендерные аспекты в руководящей деятельности 116

Ineza Zoidze

Gender aspects in leadership 116

ვსიქოლოგია

Psychology

П с и х о л о г и я

რუსუდან კეჭაყმაძე

სიკვდილი და მასთან შეგუების სტადიები 117

Rusudan Kechakmadze

Death and the Dying Process of Adjusting to a Death 123

Русудан Кечакмадзе

Смерть и стадии приспособления к умиранию 124

ქეთევან ბერიძე

ფსიქოლოგიურ ძალადობად

კლასიფიცირებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია 125

Ketevan Beridze

Интерпретация данных, классифицированных
как психологическое насилие 132

Ketevan Beridze

Interpretation of Data which Classified as an Emotional
Abuse 133

ფირუზ ბოლკვაძე	
ღირებულებითი დამოკიდებულების	134
ფენომენი	
Firuz Bolkvadze	
The Phenomenon of the Value Attitude	143
Фируз Болквадзе	
Феномен ценностного отношения	143
ციალა ტუღუში	
ქცევის მართვის სტრატეგიები: განმამტკიცებლები	144
Циала Тугуши	
Стратегии управления поведения: подкрепление	150
TsialaTugushi	
Building Behavior Management Strategies: Reinforcements	151
ბესიკ ციცაგი	
სკოლის მასწავლებლებისა და სასპორტო სკოლების მწვრთნელთა საკვალიფიკაციო-საგანმანათლებლო მონა- ცემების შესწავლა აჭარაში	152
Besik Tcictcagi	
examination of qualification and training of school teachers and coaches the sports schools of Adjara	157
Бесик Цицаги	
Изучение квалификационно-образовательных данных преподавателей школ и тренеров спортивных школ Аджарии	157

გურამ ჩაგანავა	
განწყობის ფაქტორების პრობლემა	158
Guram Chaganava	
The Problems of the Set Factors.....	168
Гурам Чаганава	
Проблема факторов установки.....	168
გურამ ჩაგანავა	
მარი მალაკმაძე	
მარიტა იობიძე	
ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ემპირიული კვლევა კროსკულტურულ ჭრილში	169
Guram Chaganava	
Mari Malakmadze	
Marita Iobidze	
Empirical Study of Individualism and Collectivism in the Crosscultural Sense	181
Гурам Чаганава	
Мари Малакмадзе	
Марита Иобидзе	
Эмпирическое исследование индивидуализма и коллективизма в кросскультурном разрезе.....	181
ეთერი ვარშანიძე	
ყოფითი ნევროზების შემთხვევების ინტერპრეტაცია.....	182
Eteri Varshavidze	
Interpretation of usual neurotically cases	186
Етери Варшанидзе	
Интерпретация обычных случаев невроза	186

ინგა ბოლკვაძე

პრიმიტიული იზოლაციის დაცვის მექანიზმი 187

Inga Bolkvadze

Defense Mechanism of Primitive Isolation 190

Инга Болквадзе

Защитный механизм примитивной изоляции 190

მანანა დუმბაძე

საბავშვო სახლის აღსაზრდელების

ურთიერთობის პრობლემები 191

Manana Dumbadze

Relationship Problems Inmates of Children's Home 201

Манана Думбадзе

Проблемы взаимоотношений воспитанников детского

дома 201

მირანდა თურმანიძე

მშობლების გაზვიადებული მზრუნველობის

პრობლემა 202

Miranda Turmanidze

Проблема преувеличено го опекунства родителей 205

Miranda Turmanidze

The Problem of exaggerated Supervision of the Parents 206

ნათელა ემინაძე

ალექსითომიის ფენომენის კვლევა სხვადასხვა

ასაკობრივ ჯგუფებში 207

Natela Eminadze

The Alexithymia phenomenon research in different age groups 212

Натела Еминадзе

Иследование Адекситимических феноменов в разных возрастных группах	213
--	-----

საზოგადოებასთან ურთიერთობები და გარკვეულებები

Public Relations and Marketing Связи с общественностью и маркетинг

გურანდა შამილიშვილი	
ბრენდის ფსიქოლოგიური არქეტიპის პრობლემა.....	214
<i>Guranda Shamilishvili</i>	
Психологическая проблема архетипа бренда	223
<i>Guranda Shamilishvili</i>	
Psychological Problem of a Brand Archetype.....	225

გურანდა შამილიშვილი	
საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ტურისტული კომპანიების მარკეტინგულ სტრატეგიებში.....	225
<i>Guranda shamilishvili</i>	
The role of public relations in the marketing Strategy of tourism	237
<i>Guranda Shamilishvili</i>	
Роль связи с общественностью в маркетинговых с тратегии туристических компаний	238

პიროვნების ადმინისტრირება

Business Administration

Бизнес Администрирование

ია მეშჩიძე

ბიზნესის ღირებულებაზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორი.....240

Ia Meskhidze

Some factors affecting business costs.....253

Ия Месхидзе

Некоторые факторы, влияющие на стоимость бизнеса.....254

ჟურნალისტიკა

Journalism

Журналистика

ნესტან მამუჭაძე

რეგიონალური მედია.....255

Nestan Mamuchadze

Regional media.....260

Нестан Мамучадзе

Региональная медиа,260

პოლიტიკის მეცნიერება
Political science
Политическая наука

რევაზ დიასამიძე

**რუსეთის საბარეო პოლიტიკის ზოგიერთი
ასახვათი XX-XXI საუკუნეთა მიჯნაზე**

გასული საუკუნის 80-იანი წლების დასასრულის და 90-ან წლების დასაწყისის ისეთმა მოვლენებმა, როგორებიცაა მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლა და სსრკ-ს დანგრევა, არამარტო ძირფესვიანად მოშალეს საერთაშორისო ურთიერთობათა ორპოლუსიანი („ბიპოლარული“) სისტემა მსოფლიოში, არამედ ძირეულად შეცვალეს რიგი ცალკე აღებული ქვეყნების მდგომარეობაც. მათ შორის იყო რუსეთიც.

სახელმწიფოს, რომელმაც დამოუკიდებლობა პრაქტიკულად მიიღო საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, პირველ რიგში მოუწია ურთიერთობათა დამყარება მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებთან. აქ ყველა პრობლემას ვერ გადაწყვეტდა ის გარემოება, რომ რუსეთი ცნეს სსრკ-ს სამართალმემკვიდრედ. მას ასევე მოუწია თავისი ურთიერთობების მოგვარება ყოფილ მოკავშირეებთან მსოფლიო სოციალისტური სისტემის ბანაკიდან, რაც არც ისე იოლი აღმოჩნდა, აგრეთვე პრაქტიკულად მოუხდა ურთიერთობების მოგვარება თავის „ახალ“ მეზობლებთან, სსრკ-ს ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან.

ახლადშექმნილი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა სრულიადაც არ ჰგავდა საბჭოთა კავშირისას.

შეუძლებელი იყო ეკონომიკურად გაცილებით სუსტის, მო-სახლეობის რაოდენობის მიხედვით ძალზე შემცირებულ, ტერიტო-რიულად მკვეთრად შეკვეცილ, პრაქტიკულად მოკავშირეთა გა-რეშე დარჩენილ ქვეყანას ჰქონდა სსრკ-ს დროინდელი პრეტენ-ზიები. ამას დაემატა ელცინის პერიოდის ხელმძღვანელობის აშკა-რად მცდარი, ნაკლებად გააზრებული ნაბიჯები ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ და გასაგებია, რომ სახელმწიფოს მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ასეთ ვითარებაში რუსეთის მესვეურებ-მა გამოსავალი იმაში ნახეს, რომ საგარეო პოლიტიკაში გეზი აი-ლეს პირველ რიგში აშშ-სთან და მსოფლიოს კიდევ რამდენიმე ქვე-ყანასთან (გერმანია, საფრანგეთი, იტალია,...) დაახლოებაზე იმ იმედით, რომ ამგვარი პოლიტიკა შეუნარჩუნებდა მას გავლენას მსოფლიოში, შესაძლებლობას მისცემდა ყოფილიყო იმ სახელმწი-ფოთა შორის, რომლებიც განკარგავდნენ მსოფლიო მნიშვნელო-ბის პროცესებს. ამავე დროს რუსეთმა მკვეთრად შეასუსტა ყუ-რადლება არამარტო სსრკ-ს ყოფილი მოკავშირეებისადმი (ვიეტნა-მი, კუბა, არაბული ქვეყნები,...არაფერი რომ არ ვთქვათ ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებზე), არამედ ყოფილ მოკავშირე რესპუბლი-კებისადმიც (თუმცა, შეიძლება, ეს გაცილებით ნაკლებად შეეხე-ბოდეს ბელორუსიასა და სომხეთს). ამგვარი ვითარება იყო 90-ია-ნი წლების მთელ პირველ ნახევარში. ამასთან, მხედველობაში არ თუ ვერ იქნა მიღებული ის გარემოება, რომ „ცივ ომის“ გავლილ და მასში დიდი სიძნელეებით გამარჯვებულ დასავლეთის ქვეყნებს სრულიადაც არ სჭირდებოდათ ახალი კონკურენტი ძლიერი, მდი-დარი და განვითარებული რუსეთის სახით.¹

ანუ, შეიძლება ითქვას, რომ ელცინის პერიოდის რუსეთის საგარეო პოლიტიკა თითქმის მთლიანად იყო აგებული აშშ-ს ინტე-

¹ Иванов И.С. Новая российская дипломатия. Десять лет внешней политики страны. М.,2001. С.15

რესების გათვალისწინებაზე, ხშირად რუსეთის საზიანოდაც (იუ-გოსლავის დაშლა, ...), მაგრამ ამას მოსალოდნელი შედეგი არ მოჰყოლია. პირიქით, აშშ-ს და ნატოს მესვეურებმა დაივიწყეს ის თავისი დაპირებები, რაც თავის დროზე მიცემული ჰქონდათ გორ-ბაჩივისთვის და, ნაწილობრივ, ელცინისთვის და დაიწყეს თავის-თვის სასურველი პოლიტიკის დაჩქარებული რეალიზაცია,² რამაც რუსეთს საკმაო სიძნელეები შეუქმნა. დაინყო რუსეთის ინტერესების შევიწროვება არამარტო ევროპასა და მსოფლიოს სხვა, უფრო შორეულ რეგიონებში, არამედ აქვე, პოსტსაბჭოურ სივრცეშიც. თვით რუსეთში კი ისეთი პროცესები გააქტიურდა, რომლებიც აშ-კარად მიმართული იყო ქვეყნის დაშლისკენ. 1996 წლიდან, როდე-საც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრად დაინიშნა ე.პრიმაკოვი, მდგომარეობა შეცვლას იწყებს,³ ძირეულად კი ის შეიცვალა მხო-ლოდ იმის შემდეგ, რაც სახელმწიფოს სათავეში მოვიდა ვ. პუტინი. ახალმა პრეზი- დენტმა საკმაოდ სერიოზული ცვლილებები შეიტა-ნა არამარტო ქვეყნის საშინაო ცხოვრებაში (შეაჩერა სახელმწი-ფოს დეზინტეგრაციის პროცესი, განამტკიცა ქვეყნის მართვის (სახელისუფლო) ვერტიკალი, შედარებით მეტი ყურადღება მიაქ-ცია მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას, მისი ცხოვრების პირობების თუნდაც მცირდით გაუმჯობესებას), არამედ მის სა-გარეო პოლიტიკაშიც.⁴

მსოფლიოში რუსეთის ადგილისა და როლის ხელახალმა გააზრებამ ქვეყნის ხელმძღვანელობას საშუალება მისცა შეემუშა-ვებინა სახელმწიფოს შემდგომი საქმიანობის პრინციპები საერ-თაშორისო ასპარეზზე. 2000 წელს იქნა მიღებული სამი უმნიშვნე-ლოვანესი დოკუმენტი: „ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია“,

² История России XX- начала XXI века/А.С. Барсенков, А. И. Вдовин, С.В. Воронкова, под. ред. Л.В. Милова. М.,2009. С.913

³ Казанцев Ю.И. Международные отношения и внешняя политика России (XXвек). Ростов-на-Дону; Новосибирск. 2002. С.331

⁴ История России XX- начала XXI века/А.С. Барсенков, А. И. Вдовин, С.В. Воронкова, под. ред. Л.В. Милова. М.,2009. С.927-929, 932

რომელიც განსაზღვრავდა ყველაზე სერიოზულ მუქარებს რუსეთის ინტერესებისთვის, „სამხედრო დოქტრინა“, მიძღვნილი თავდაცვითი მშენებლობის საკითხებისადმი, „საგარეო პოლიტიკის კონცეფცია“,⁵ რომელიც წარმოადგენდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის საბაზო დოკუმენტს. რუსეთის საგარეო პოლიტიკური საქმიანობის მთავარი იდეა გახდა სხვადასხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობათა დამყარების მრავალვექტორული პოლიტიკა. ვ. პუტინმა გააგრძელა ქვეყნის გეზი დასავლეთთან დაახლოებაზე და დაუჭირა მხარი აშშ-ს 2001 წლის ტერორისტული აქტების შემდეგ. მან შეძლო ამ ქვეყანასთან ურთიერთობების არგაფუჭება იმის შემდეგაც, რაც აშშ შეიჭრა ერაყში, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ამ ნაბიჯის წინააღმდეგი იყო. ვ. პუტინი შემდგომშიც უჭერდა მხარს აშშ-ს ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ, თუმცა იმ ფაქტს, რომ ამერიკამ 2001წ. ტერაქტების შემდეგ მკვეთრად გააქტიურა თავისი პოლიტიკა მსოფლიოს უმნიშვნელოვანეს რეგიონებში, შეცვალა თავისი მიდგომა რიგ მოვლენებისადმი, არ შეეძლო გარკვეულწილად არ შეეზლუდა რუსეთის აქტიურობა საგარეო პოლიტიკის ზოგიერთი მიმართულებით, არ გამოეწვია მისი გარკვეული უკმაყოფილება. თუ ამას დავუმატებთ, რომ რუსეთის და აშშ-ს შეხედულებები ზოგიერთ სხვა მოვლენაზეც არ ემთხვეოდა ერთმანეთს (ირანთან ურთიერთობა, რუსეთის საშინაო პოლიტიკის გარკვეული გამკაცრება, კონკურენცია აშშ-სა და რუსეთს შორის პოლიტიკური და სხვა ტიპის გავლენისათვის უკრაინაში, ენერგომატარებლებზე კონტროლისთვის ცენტრალურ აზიასა და ამიერკავკასიაში და სხვ.), გასაგებია, რომ ამ ორი ქვეყნის ამგვარ პარტნიორობას დიდი დღე არ ეწერა. ასეც მოხდა.

უკვე 2006 წ. მაისში თავის გამოსვლაში ვილნიუსში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტ რიჩარდ ჩეინიმ კონფერენციაზე, რომელიც ეძღვნებოდა საკითხს „საერთო ხედვა საერთო მეზობლობისთვის“,

⁵ www.mid.ru/Bl.nsf/arh/19DCF61BEFED61134325699COO3B5FA3

საკმაოდ მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის საშინაო პოლიტიკა, აგრეთვე ბრალი დასდო მას მეზობელი ქვეყნების მიმართ ხისტი პოლიტიკის გატარებაში, მათ საქმეებში ჩარევაში.⁶ თითქოს საპასუხოდ, თავის გამოსვლაში მიუნხენში 2007წ. თებერვალში უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე ვ.პუტინმა მკაცრად გააკრიტიკა აშშ, ნატო. მან განაცხადა, რომ ნატოს გაფართოებას არანაირი გამართლება არ აქვს, რომ აშშ ცდილობს მსოფლიოს თავს მოახვიოს თავისი ნება, თავისი კანონები და ა.შ., გააკრიტიკა ეუთოც. მან მიუღებლად გამოაცხადა ერთპოლუსიანი სამყარო, ეს მოდელი არ მუშაობს-ო, რადგან მის საფუძველში არ დევს „თანამედროვე ცივილიზაციის მორალურ-ზნეობრივი ბაზა“. ნატოს გაფართოება ყოფილი სოციალისტური ქვეყნების ხარჯზე პუტინმა შეაფასა, როგორც ფაქტორი, რომელიც მდგომარეობის დესტაბილიზაციას ახდენს ევროპაში, ემუქრება რუსეთს.⁷ ვ. პუტინის ამგვარი გამოსვლა არ იყო შემთხვევითი, ემოციებით გამოწვეული. როგორც ჩანს, აქ ადგილი ჰქონდა იმის გაცხადებას, რომ რუსეთი არ არის კრაიტიკული იმ როლით, რომელიც მას ერგო მიმდინარე მსოფლიო პროცესებში.

მოგვიანებით, როგორც ვიცით, ყველაფერ ამას დაემატა კიდევ ერთი პრობლემა, - საქართველოსი, რომელიც ამ დროის-თვის ცალსახად პროამერიკულ პოზიციებზე იდგა და რუსეთის მიერ განიხილებოდა, როგორც ანტირუსული პოლიტიკის დასაყრდენი ამიერკავკასიაში. 2008 წლის აგვისტოს ომია და შემდგომ რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებამ აჩვენა, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკა იმ პერიოდში გაცილებით უფრო მკაცრი გახდა და მისი ხელმძღვანელობა უკვე ნაკლებ ყურადღებას აქცევს იმას, თუ რა რეაქციას იწვევს მისი საგარეოპოლიტიკური ნაბიჯები მსოფლიოს ამა თუ იმ ქვეყნის მხრიდან. ამისთვის ხელი არ შეუშლია იმავე წლის ივლისში

⁶ www.news.bbc.co.uk/hi/russian/press/neswid_4975000/4975526.stm

⁷ www.youtube.com/watch?v=XEMhLoOyp7s

მიღებულ რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ახალ კონცეფციას,⁸ რომელშიც სხვასთან ერთად იყო მოთხოვნაც შემცირებულიყო ძალის ფაქტორის მნიშვნელობა საერთაშორისო ურთიერთობები. ელცინის პერიოდთან შედარებით რუსეთს საერთაშორისო არენაზე მიეცა მოქმედებების გაცილებით მეტი თავისუფლება. ქვეყნის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გახდა ფორმირება ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარებისა, რომელსაც შეეძლო ხელი შეეწყო არამარტო ამ სფეროში წარმატებების მიღწევისთვის, არამედ რუსეთის შიდა კარდინალური ცვლილებებისთვის, მოდერნიზაციის გზით მისი შემდგომი განვითარებისთვის.

XX საუკუნის პირველ ათწლეულში რუსეთის საგარეო პოლიტიკის გარკვეულ წარმატებას ხელი რამდენიმე გარემოებამ შეუწყო. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო აშშ-ს პოლიტიკური პოზიციების შედარებითი შესუსტება (ჩაგარდნა ერაყში, პრობლემები ავღანეთში, ...) და სიძნელეები, რომლებსაც ევროკავშირი განიცდიდა ევროინტეგრაციის პროცესში შექმნილი სირთულეების გამო. შეიძლება ალინიშნოს ისიც, რომ ამ დროისთვის რუსეთში ადგილი ჰქონდა შინაგან კონსოლიდაციას.⁹

რაც შეეხება დღევანდელი რუსეთის საგარეო პოლიტიკას, მის მიმართ შეიძლება ითქვას შემდეგი: ეს სახელმწიფო ამჟამად ცდილობს განამტკიცოს თავისი პოზიციები საერთაშორისო არენაზე. ის გადაჭრით ენინაალმდეგება გაეროს დასუსტებას, მის ჩანაცვლებას ნატოს სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაციით; იბრძვის მსოფლიოში საერთაშორისო ურთიერთობათა ერთპოლუსიანი სისტემის დამყარების წინაალმდეგ. წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იმჟამად კოზირევი, თავს იმით იწონებდა, რომ ის იყო ყველაზე პროამერიკელი საგარეო საქმეთა მინისტრი რუსეთის ისტორიაში და რუ-

⁸ www.kremlin.ru/acts/785

⁹ Кортунов С.В. Современная внешняя политика России. Стратегия избирательной вовлеченности. Учебное пособие. М., 2008 (эл.версия). С.88

სეთში ვიზიტად ჩამოსულ აშშ-ს ექს-პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონს ეუბნებოდა, რომ რუსეთს არ აქვს რაიმე განსაკუთრებული ინტერესი საგარეო პოლიტიკაში და „კარგი იქნებოდა, თუ ნიქსონი მათ რაიმეს ურჩევდა“.

დღეს პუტინის რუსეთი თითქმის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ შეინარჩუნოს და, სადაც შეიძლება, განამტკიცოს თავისი გავლენა, მათ შორის, პოსტსაბჭოურ სივრცეზეც, ცდილობს შეინარჩუნოს თავისი მოქმედებების თავისუფლება. ეს მისწრაფება კარგად გამოჩნდა არამარტო 2008 წლის აგვისტოში საქართველოს მიმართ, არამედ დღესაც ჩანს მის დამოკიდებულებაში სირიის მოვლენებისადმი. ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ, ელცინის დროინდელისგან განსხვავებით, ძალიან კარგად გაითავისა, რომ ქვეყანას გააჩნია ნაციონალური ინტერესები და რომ მათი დაცვა მისი უპირველესი საქმეა. გამომდინარე აქედან, ვ.პუტინმა ფაქტობრივად გააცხადა, რომ დღევანდელი რუსეთი თავის ეროვნულ ინტერესებს დაიცვას ყველგან და ყოველთვის, ყველა ძალით და შესაძლებლობით. სტრატეგიის დონეზე კი ეს ნიშნავს, რომ ამჟამინდელი რუსეთი ორგანულად ვერ და არ იქნება ვინმეს უმცროსი პარტნიორი, თუნდაც აშშ-სა თუ ჩინეთისა. ამიტომაც არ ჩამოყალიბდა ამგვარი ურთიერთობები რუსეთსა და აშშ-ს შორის 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ, თუმცა ამას ზოგიერთი, მათ შორის პოლიტოლოგი და პოლიტიკოსი, მოელოდა კიდეც. ანუ ეს იმას ნიშნავს, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა გააგრძელებს ბრძოლას იმისთვის, რომ სახელმწიფო დარჩეს მსოფლიო მნიშვნელობის მქონე დიდ „დერჯავებს“ შორის და მას ჰქონდეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ხმა მსოფლიოში გლობალური თუ სხვა საკითხების გადაჭრაში. ეს კარგად ჩანს რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ახალ კონცეფციაში, რომელსაც პუტინმა, კვლავ არჩეულმა პრეზიდენტად, ხელი მოაწერა 2013

ნლის 12 თებერვალს.¹⁰ აქვე დავუმატებდით, რომ რუსეთი იმდენად დიდი და მდიდარია, რომ ის შეიძლება იყოს ან დიდი, ან არანარი. სხვა ალტერნატივა მას არ გააჩნია.

ყველაფერი ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ რუსეთი შეძლებს ან მიისწრაფის აღადგინოს სსრკ-ს დროინდელი „ზესახელმწიფოს“ გავლენა მთლიანად მსოფლიოში, ან მის ძირითად რაიონებში, ამისთვის მას არც ძალა, არც უნარი არ გააჩნია. და მაინც, უკვე რუსეთის მისწრაფება აღადგინოს თავისი გავლენა თუნდაც პოსტსაბჭოურ სივრცეზე, სხვა რეგიონებზე რომ არაფერი ითქვას, ინკვევს აშშ-ს და ზოგიერთი სხვა სახელმწიფოს უარყოფით რეაქციას. ეს ასე იქნება მომავალშიც. თუმცა ალსანიშნავია, რომ ის, ვინც ცდილობს ევრაზიული გეოსტრატეგიული მონოლითი, რუსეთი დაიყვანოს მესამეხარისხოვანი სახელმწიფოს დონემდე, ძალზე საშიშ თამაშს ეწევა, მათ შორის თავისთვისაც. და კიდევ, ის, რაც შესაძლებელი იყო რუსეთის მიმართ ელცინის დროს, ახლა თითქმის შეუძლებელია.

საბოლოოდ, როგორც დასკვნა შეიძლება ითქვას შემდეგი:

სსრკ-სგან განსხვავებით რუსეთი არ წარმოადგენს ზესახელმწიფოს, თუმცა ის ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ ადგილი შეინარჩუნოს მსოფლიოს იმ დიდ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ თანამედროვე მსოფლიოს ცხოვრებაში;

ამჟამინდელ რუსეთს კარგად ესმის საერთაშორისო არენაზე თავისი ინტერესების არსებობა და ის მზად არის ყველაფერი გააკეთოს მათი დაცვისთვის;

რუსეთის თანამედროვე საგარეო პოლიტიკას ახასიათებს არათანმიმდევრულობა. ასე, ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე გააზრებული მისი მიზნები და პრიორიტეტები ამ სფეროში, მისი ჭეშმარიტი და ხანგრძლივი ინტერესები, მისი ადგილი თანამედროვე მსოფლიოში. ამიტომაც რუსეთის გადაწყვეტილებები ამ მიმართუ-

¹⁰ www.mid.ru/brp_4.nsf/0/6D84DDEDEDBF7DA644257B160051BF7F

ლებით ხშირად შემთხვევით ხასიათს ატარებენ,¹¹ რაც არამარტო თვით რუსეთს უშლის ხელს თავისი საგარეო პოლიტიკის წარმატებით გატარებაში, არამედ არ აძლევს საშუალებას მის შესაძლო პარტნიორებს გაითვალისწინონ მისივე ინტერესები მასთან ურთიერთობაში;

იგივე შეიძლება ითქვას მის პოლიტიკაზე ამიერკავკასიაში ან თუნდაც საქართველოს მიმართ;

რუსეთის ინტერესების გაუთვალისწინებლობას საერთაშორისო ურთიერთობებში, მისი იგნორირების ცდებს შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს არამარტო თავად რუსეთს, არამედ იმ სახელმწიფოსაც, რომელიც ამის გაკეთებას ცდილობს; შეიძლება გართულდეს მთლიანად საერთაშორისო ურთიერთობებიც.

¹¹ აფიდოთ თუნდაც ე. პრიმაკოვის თვითმფრინავის ცნობილი „შემობრუნება“ ატლანტიკის ცაში, ან ცნობილი რუსი მეცნიერის ა.დ. ბოგატუროვის მიერ 2010 წელს გამოთქმული აზრი, რომ „მედვედევი ფაქტოურად ეჭვის ქვეშ აყენებს მის დრომდე აქსიომატურ იდეას აღმოსავლეთთან და დასავლეთთან რუსეთის თანაბრად დაახლოების შესახებ, აშკარად აკეთებს რა აქცენტს რუსეთის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების დასავლური შემადგენლის უპირატესობაზე“. იხ. Независимая газета. №189. 2010. გვ.9

გამოყენებული ლიტერატურა:

Иванов И.С. Новая российская дипломатия. Десять лет внешней политики страны. М., 2001.

История России XX - начала XXI века/А.С. Барсенков, А. И. Вдовин, С.В. Воронкова, под ред. Л.В. Милова. М., 2009.

Казанцев Ю.И. Международные отношения и внешняя политика России (XX век). Ростов-на-Дону; Новосибирск, 2002.

Кортунов С.В. Современная внешняя политика России. Стратегия избирательной вовлеченности. Учебное пособие. М.,2008 (эл.версия).

Независимая газета. №189. 2010.

www.kremlin.ru/acts/785

www.mid.ru/Bl.nsf/arf/19DCF61BEFED61134325699COO3B5FA3

www.mid.ru/brp_4.nsf/0/6D84DDEDEDDB7DA644257B160051BF7F

www.news.bbc.co.uk/hi/russian/press/neswid_4975000/4975526.stm

www.youtube.com/watch?v=XEMhLoOyp7s

Revaz Diasamidze

**Some Aspects of Foreign Policy of Russia
at the turn of the 20/21st Centuries**

Summary

The article discusses some problems that have arisen in the foreign policy of an independent Russia at the turn of the XX-XXI centuries. It is stated that the leadership of the new state, which unlike the USSR is not a superpower seeks to maintain its position as one of the leading countries of the world, influencing the course of development of the basic processes of international life.

Реваз Диасамидзе

**Некоторые аспекты внешней политики
России на рубеже XX-XXI вв.**

Резюме

В статье рассматриваются отдельные проблемы, возникшие во внешней политике независимой России в конце XX и начале XXI века. Указывается, что руководство нового государства, которое в отличие от СССР не является сверхдержавой, стремится сохранить позиции одной из ведущих стран мира, влияющей на ход развития основных процессов международной жизни.

გუსეინ ნიზამი ოლღი ნაჯაფოვი

ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის

სახელმწიფო უნივერსიტეტის

Ph.D. საპატიო დოქტორი

„სამხრეთ კავკასიის“ საკითხების დეფინიციის შესახებ

კავკასია უნიკალური რეგიონია შავსა და კასპიის ზღვებს შორის, რომელიც მდებარეობს ევროპისა და აზიის გა-საყარზე, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ისლამისა და ქრის-ტიანობის უხილავი საზღვრის ტერიტორიაზე. კავკასიონის მთა-ვარი ქედის ორივე მხარეს განთავსებული კავკასია, თავისი სი-ლამაზით, თვითმყოფადობითა და ულევი სიმდიდრით მრავალი საუკუნის მანძილზე იპყრობდა ზღვაოსნებისა და მოგზაურების ყურადღებას. მისკენ მიიღლული ბერძენი არგონავტები ოქ-როს საწმისის საძებნელად, მოგვიანებით კი-ბიზანტიელი, ბერ-ძენი და ვენეციელი ვაჭრები და ზღვაოსნები.

სახელნოდება „კავკასია“ პირველად მოხსენიება ძველ ბერძენ ავტორებთან – ესხილთან (ძვ.წ. VI-V სს.) “მიჯაჭული პრომეთე”¹² და პერიოდოტესთან (ძვ.წ. V ს.). ისტორიკოსისა და გეოგრაფის სტრაბონის მტკიცებით, ადგილობრივი მაცხოვრებ-ლები კავკასიას კასპიას უწოდებდნენ¹³.

რომის იმპერიის პერიოდში (ძვ.წ. I ს.), კავკასიის ტერი-ტორიაზე გადიოდა სავაჭრო გზა ჩინეთიდან ახლო და შუა აღ-მოსავლეთზე და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის გავლით – სამხრეთი და ცენტრალური ევროპისაკენ, რომელსაც დიდი აბ-რეშუმის გზა ეწოდა. კასპიისპირეთში ნავთობის საბაზოების აღმოჩენამ ინტერესი კავკასიის მიმართ კიდევ უფრო გაზარდა.

¹² Эсхил. “Прометей прикованный”. I, Ант. 2, II, Пром. 13 / Пер. с др.-греч. С. К. Апта / Эсхил. Трагедии. М.: Худож. лит., 1971.

¹³ Страбон. География /пер. с др.-греч. Г. А. Стратановского, под ред. О. О. Крюгера, общ. ред. С. Л. Утченко. М.: Ладомир, 1994.

კავკასია არის ბუნებრივი საზღვარი, რომელიც ევროპას აზისაგან აცალკევებს. თუმცა, შეიძლება გამოთქმული იყოს პრეტენზიები: ტერმინები “ევროპა” და “აზია” – არის ადამიანების მიერ გამოგონებული ცნებები, და ვინ იცის, თუ ვინმეს წარსულში მოესურვებოდა, საზღვარი, გეოგრაფიების მიერ, შეიძლებოდა ყოფილყო გადებული სხვა ადგილას. და მაინც, შემთხვევითი არ არის ის, რომ სწორედ კავკასია გახდა გასაყარი, რომელიც ევროპას გამოყოფს აზისაგან. ძველ გეოგრაფებს შეეძლოთ მიეტანათ საკუთარი ცნებები საზოგადოებამდე, მაგრამ ამ ცნებებმა შეძლეს დამკვიდრება მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, როგორც ჩანს, ბევრ სხვა კრიტერიუმს პასუხობდნენ, მათ შორის ისტორიულს, პოლიტიკურს, კულტურულოგიურს და ა.შ.

თუმცა კავკასია – ეს არ არის ის გასაყარი, რომელიც, ხშირად აღიქმება მასობრივ ცნობიერებაში. ეს არ არის ჩინეთის დიდი კედელი, აგებული რათა ზეციური იმპერია დაცული ყიფილიყო ჩრდილოეთ სტეპის მომთაბარებისაგან.

კავკასიასთან მიმართებაში ყველაფერი გაცილებით რთულადაა. კავკასია – ეს არა მხოლოდ ვისამე თავდაცვის ხაზია, ან კიდევ ცივილიზაციათა მსხვრევის გამყოფი, ეს ერთდროულად არის უნიკალური სატრანსპორტო სივრცე, სადაც საუკუნეების განმავლობაში მსოფლიოს ბევრ ხალხთა სხვადასხვა ფასეულობების დიფუზიის ძალიან სერიუზული და მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობდა. კავკასია გამოიჩინა გეოგრაფიული, ეთნიკური, ენობრივი, კონფესიული და კულტურული მრავალფეროვნებით, რამაც გარკვეულწილად განაპირობა მისი მაცხოვრებლების ცხოვრების წესი, ისტორია და ურთიერთდამოკიდებულება. კავკასიას ხშირად უწოდებენ ხალხთა მუზეუმს, ამჟამად აქ ცხოვრობენ 50-ზე მეტი ეროვნების წარმომადგენლები (30 მლნ-ზე მეტი ადამიანი). ზოგიერთი მათგანის ენაზე საუბრობს მხოლოდ რამოდენიმე ათასი ადამიანი,

ხოლო დიდი ეთნიკური ჯგუფები რამოდენიმე მილიონ ადამიანს აერთიანებს¹⁴.

კავკასია ყოველთვის ასრულებდა მნიშვნელოვან როლს ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელ რგოლში. მთელი ისტორიის მანძილზე ის და მისი ცალკეული ნაწილები ნარმო-ადგენდნენ ბუფერულ ზონას დაპირისპირებულ იმპერიებს შორის ან მათ შემადგენელ ნაწილს.

კავკასიაში ნარმოდგენილია მსოფლიოს ყველა რელიგია: ისლამი (მისი ორივე განშტოება შიიზმი და სუნიზმი); ქრისტიანობა (ძირითადად, მართლმადიდებლური და მონოფიზიტური აღმსარებლობის სახით¹⁵, ასევე არიან კათოლიკები და პროტესტანტები); იუდაიზმი, რომელსაც აღიარებენ ბაქოში და აზერბაიჯანის მთიან რაიონებში მცხოვრები ქართველი და მთიელი ებრაელები.

სამხრეთ კავკასიის მოსახლეობა შედგება აზერბაიჯან-ლებისაგან (9 მლნ), ქართველებისაგან (4 მლნ) და სომხებისაგან (2,9 მლნ), აგრეთვე რიცხოვნობით მცირე ერისაგან, რომელთა შორის არიან ძირეული მაცხოვრებლები. საქართველო და ზერბაიჯანი მრავალეროვანია, საქართველოში ტიტულიან მოსახლეობას განეკუთვნება მოსახლეობის 70%, აზერბაიჯანში – 83%-ზე მეტი.

რუსეთის იმპერატორმა ნიკოლოზ I 1828 წლის 21 მარტს გამოცემული თავისი ბრძანებულებით, ირევანისა და ნახიჭევანის ტერიტორიაზე შექმნა “ სომხეთის ოლქი”, რომლის შემადგნლობაშიც შევიდა ქალაქი ირევანი (ახლანდელი ერევანი),

¹⁴ См. Эльдар Исмаилов, Владимир Папава. Центральный Кавказ: история, политика, экономика. М.: Мысль, 2007, 208 с.; Нино Чиковани. Единый Кавказ: исторически обусловленная реальность или иллюзии? “Центральная Азия и Кавказ”, №. 5, 2005.

¹⁵ სომხური სამოციქულო ეკლესია (სსე) განეკუთვნება ე. ნ. არაქალკედონურ ეკლესიების რიცხვს, რომელასაც ასევე შეიძლება მიეკუთვნოს კოპტური (ეგვიპტე), სირიული, ეთიოპიის და მალანკარის (ინდოეთი) ეკლესიები. იმდენად, რამდენადაც სსე არ არის აღიარებული ქალკედონიის ტაძარის მიერ, ამიტომ მთელი ეკლესია არის მონოფიზიტური. იხ, Фонд диакона Андрея Кураева. <http://kuraev.ru/smf/index.php?topic=12699.0>

სადაც იმ პერიოდისათვის 7331 აზერბაიჯანელი და 2369 სომები ცხოვრობდა¹⁶. თავისი ისტორიული მიწიდან აზერბაიჯანელების გეგმიური გასახლების შემდეგ, დღეისათვის სასომხეთი გამოირჩევა მონოეთნიკურობით: მის ტერიტორიაზე ცხოვრობენ: 97,7% სომხები, 1% ქურთი-იეზიდები, 0,9 %- რუსები და სხვები - 0,4 %.¹⁷

თუ საბჭოთა კავშირის დაშლამდე რეგიონის გეოგრაფიული, კულტურული, ეთნოკუნფესიული და სულიერი კომპოზიცია ნარმძღვენილი იყო ჩრდილოეთ კავკასიითა და ამიერკავკასიით (სამხრეთ კავკასია), 1990-იანი წლების დასაწყისიდან, სამი რესპუბლიკის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, მისი გეოპოლიტიკური სურათი რადიკალურად შეიცვალა, შესაბამისად, მოძველდა აღნიშნული ტერიტორიის დაყოფის რუსეთისეული მიღება.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო დამოუკიდებელი სახელმწიფოების არა მხოლოდ ჩამოყალიბების ისტორიული პროცესი, არამედ ახალი გეოპოლოტიკური არეალების ფორმირების პროცესიც, რომლებიც თავის თავში აერთიანებს ზოგიერთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას. ამ არეალებს თავისი გეოგრაფიული კონტურები ჯერ კიდევ ყოფილი სსრკ ფარგლებში ჰქონდათ, რაც გამყარებული იყო საბჭოთა სახელმწიფოების ეკონომიკურ რაიონებად დაყოფით. ამგვარად, ლატვიის, ლიტვის და ესტონეთის ერთობლიობას – ბალტიისპირეთი ენოდებოდა, აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის ერთობლიობას – ამიერკავკასია, ხოლო ყირგიზეთის, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის ერთობლიობას – შუა აზია. ამ სახელმწიფოების მიერ დამოუკიდებლობის მიღების შემდეგ, დღის წესრიგში დადგა ამ, უკვე დამოუკიდებელი გეოპოლიტიკური არეალების დასახელების, განახლების საკითხი, რომლებშიც შეტანილი იქნებოდა მათი დამოუკიდებლობის გამომხატველი ელემენტები. ჩათვალეს რა ტერმინი „ბალტიისპირეთი“

¹⁶ Гейдар Алиев. 31 марта - день геноцида азербайджанцев. http://www.president.az/s33_events/_events_r.html

¹⁷ Central Intelligence Agency. The World Factbook. <https://www.cia.gov/library/publications/the-world-factbook/geos/am.html>

„საბჭოთა ოკუპაციის გადმონაშთად”, ლატვიაში, ლიტვასა და ესტონეთში უპირატესობას მიანიჭეს ტერმინს „ბალტის ქვეყნები”. ტერმინების „ამიერკავკასია” და „შუა აზია”-ს ნაცვლად პრაქტიკულად დამკვიდრდა – „სამხრეთ კავკასია” და „ცენტრალური აზია”¹⁸.

ცნება „ამიერკავკასია” არის რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის „შვილობილი”, რომელშიც გამოხატულია დამოკიდებულება მოპოვებული ტერიტორიოფორიის პოლიტიკური აღმინისტრაციული ოლქის მიმართ. ცნებას „ამიერკავკასია” ჰქონდა არა მხოლოდ გეოგრაფიული, არამედ გეოპოლიტიკური მნიშვნელობა. გასაგები და ნათელია, რომ ცნება „ამიერკავკასია” ვრცელდებოდა იმპერიის მხოლოდ ადგილობრივ სახელმწიფო საზღვრებამდე და იცვლებოდა ამ საზღვრების შეცვლის შესაბამისად. ამგვარად, მას შემდეგ, რაც ოსმალეთის იმპერიის ყარსის საფაშო დაპყრობილი იქნა რუსეთის მიერ 1878 წ. და გარდაიქმნა რუსეთის იმპერიის კავკასიის სამეფისნაცვლოს ყარსის ოლქად, ამ ოლქის სოციალურ-პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრება 40 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთიან კავკასიურ პოლიტიკურ და სოციალურ-კულტურულ სივრცეში მიედინებოდა. თუმცა რუსეთის მიერ ყარსის, არტაანისა და ბაიაზეთის დაკარგვის შემდეგ, რუსეთის პოლიტიკურ და ისტორიულ დოკუმენტებში ისინი უკვე აღარ მოიხსენიებოდნენ როგორც კავკასიური¹⁹.

დღეისათვის არ არსებობს კავკასიის ცალსახა დეფინიცია. ზოგადეოგრაფიული თვალსაზრისით ის ნარმოადგენს მთიან ტერიტორიას შავსა და კასპიის ზღვებს შორის. საკითხისადმი ტრადიციული მიდგომის თანახმად, აღნიშნულ რეგიონში შედის მხოლოდ პოსტსაბჭოთა ტერიტორიები (ჩრდილოეთ კავ-

¹⁸ См. Владимир Папава. Центральная Кавказия: основы геополитической экономии. Грузинский Фонд Стратегических и Международных Исследований. Аналитические записки. No. 1, 2007. 54 с.

¹⁹ См. Беридзе Т.А., Исламов Э.М., Папава В.Г. Центральный Кавказ и экономика Грузии. Баку, “Нурлан”, 2004. 240 с.; Исламов Э., Кенгерли З. Кавказ в глобализирующемся мире: новая модель интеграции. “Центральная Азия и Кавказ”, No. 2 (26), 2003.

კასია - რუსეთის ფედერაციის ავტონომიური სახელმწიფო წარმონაქმნები და სამხრეთ კავკასია – აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი).

ზოგიერთი მკვლევარი ვარაუდობს ჩართოს მასში ირანის ჩრდილო-დასავლეთის ოლქებიც (პროვინციები აღმოსავლეთ და დასავლეთ აზერბაიჯანი) - სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია და თურქეთის ჩრდილო-აღმოსავლეთის ოლქები (ყარსი, არდაგანი, ართვინი, იგლირი და სხვა) - სამხრეთ-დასავლეთი კავკასია. ეს მოტივირებულია იმით, რომ მრავალი საუკუნის განმავლობაში, რუსეთის მიერ კავკასიის დაპყრობამდე, აღნიშნული მიწები ერთ სოციალურ-ეკონომიკურ და ეთნოკულტურულ სივრცეში იმყოფებოდნენ, სადაც დღემდე ცხოვრობს კავკასიელი ხალხი. სამხრეთ-დასავლეთი კავკასია (თურქეთი) და სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია (ირანი) ერთად შეადგენენ სამხრეთ კავკასიას²⁰. ჩვენი

შეხედულებით, ამ შემთხვევაში, ცნებაში სამხრეთ-აღმოსავლეთი კავკასია, ლოგიური იქნებოდა ჩაგვერთო ირანის პროვინცია გილანი, რომელიც უმეტესწილად აზერბაიჯანელებით არის დასახლებული. თუ შევეცდებით განვსაზღვროთ რეგიონი ბოლო ორი საუკუნის დემოგრაფიული ფაქტორისა და ისტორიის გათვალისწინებით, მაშინ მისი ჩრდილოეთი საზღვარი გაივლის კავკასიის ქედის ჩრდილოეთ ფერდობზე ან მასთან მიმდებარე დაბლობზე, ყოფს რა ჩრდილოეთ კავკასიის მცირერიცხოვანი ერის საცხოვრებელ არეალს მიწით, რომელიც მისგან ჩრდილოეთით მდებარეობს და დასახლებულია რუსებით. XX საუკუნის ბოლოს არსებული პოლიტიკური ტერმინოლოგიის თანახმად, კავკასიის საზღვარი ემთხვევა რუსეთის სამხრეთ საზღვრებს, ანუ მის ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკებს, აგრეთვე კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებს. დასავლეთის საზღვარი წარმოდგენილია ტერიტორიით, რომელიც

²⁰ См. Эльдар Исмаилов, Эльхан Полухов. Противостояние "старых" и "новых" игроков на политической карте Кавказа. "Центральная Азия и Кавказ", №. 4, 2004; Эльдар Исмаилов, Владимир Папава. Центральный Кавказ: история, политика, экономика. М.: Мысль, 2007, 208 с. ; Роланд Топчишили. Кавказоведческие исследования. Изд. "Универсал", Тбилиси. 2011. 271 с.

ერთ მხარეს დასახლებულია თურქებით, ხოლო მეორე მხარეს – ქართველებითა და სომხებით. სამხრეთი საზღვრის განსაზღვრა უფრო რთულია, რადგან დემოგრაფიული თვალსაზრისით მდინარე არაქსის ორივე ნაპირი, რომელზედაც გადის აზერბაიჯანლებით დასახლებული სახელმწიფო საზღვრები²¹.

ზოგიერთი რუსი მეცნიერის აზრით, გეოპოლიტიკური თვალსაზრისით კავკასია გაყოფილია ორ ნაწილად: ჩრდილოეთ კავკასია შედის რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში, სამხრეთ კავკასია შედგება სამი დამოუკიდებელი სახელმწიფოსაგან. კავკასიას (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ისინი მიაკუთვნებენ არა მხოლოდ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიას, არამედ სტეპურ მთისპირეთსაც (კავკასიისპირეთი), ანუ სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარებისა და ასევე როსტოვის ოლქის ტერიტორიებს. სხვა ექსპერტები, ეთნოდემოგრაფიული კრიტერიუმებიდან გამომდინარე, მას ზღუდავენ ტერიტორიებით, რომლებიც დასახლებულია ძირძველი მოსახლეობით. ისინი კასპიისპირეთს, ზოგჯერ კი ვოლგოგრადისა და ასტრახანის ოლქებს, აგრეთვე კალმიკიას სამხრეთ რუსეთის რეგიონებს ეძახიან, თვლიან რა მას გარდამავალ ზონად, რომალსაც აქვს როგორც რუსეთისათვის, ასევე ჩრდილოეთ კავკასიისათვის დამახასიათებელი თვისებები.

ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის მრავალსაუკუნოვანი მიგრაციული პროცესების გამო, კასპიისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიას შორის საზღვრის დადგენა დღეს რთულია, ის შეიძლება პირობითად ჩაითვალოს. მეორეს მხრივ, ჩრდილოეთ კავკასია – არის დამაკავშირებელი რგოლი კავკასიასა და კავკასიისპირეთს შორის²².

კავკასიელი მეცნიერები თვლიან, რომ სამხრეთ კავკასია – ეს არის დამოუკიდებელი სუბრეგიონი, რომელიც ორგანიზაციულად არ შედგა, ხოლო გეო-ეკონომიკურ და გეო-პოლიტიკურ ურთიერთობებში წარმოადგენს რეალობას, რომელსაც

²¹ См. Нино Чиковани. Единый Кавказ: исторически обусловленная реальность или иллюзии? “Центральная Азия и Кавказ”, №. 5, 2005.

²² Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М.: Международные отношения, 2001. с. 44-45.

მსოფლიო საზოგადოება აღიარებს²³.

ყველამ ცალსახად პოზიტიურად არ აღიქვა ტერმინი “სამხრეთ კავკასია”. მაგალითად, ზოგოერთი სომეხი მკვლევარი წინააღმდეგები არიან იმისა, რომ “ამიერკავკასიას” გადაერქვას “სამხრეთ კავკასიას”²⁴.

ჩვენ ვიზიარებთ კავკასიის ტრადიციულ დაყოფას - ჩრდილოეთ კავკასიად და სამხრეთ კავკასიად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Беридзе Т.А., Исмаилов Э.М., Папава В.Г. Центральный Кавказ и экономика Грузии. Баку, изд. “Нурлан”, 2004. 240 с.
2. Владимир Папава. Центральная Кавказия: основы geopolитической экономии. Грузинский Фонд Стратегических и Международных Исследований. Аналитические записки. №. 1, 2007. 54 с.
3. Гаджиев К.С. Геополитика Кавказа. М.: Международные отношения, 2003. 464 с.
4. Гейдар Алиев. 31 марта - день геноцида азербайджанцев. Сайт http://www.president.az/s33_events/_events_r.html
5. Исмаилов Э., Кенгерли З. Кавказ в глобализирующемся мире: новая модель интеграции. “Центральная Азия и Кавказ”, № 2 (26), 2003.
6. Нино Чиковани. Единый Кавказ: исторически обусловленная реальность или иллюзии? “Центральная Азия и Кавказ”, №. 5, 2005.

²³ Эльдар Наджафов. Южный Кавказ: тернистый путь к безопасности. М., “Научная книга”, 2005. с. 10.

²⁴ См. Даниелян Э. Топонимика на копье. “Голос Армении”. 30.03.2006; Габриелян Р. Закавказье или Южный Кавказ. “Шрджадардз журнал онлайн”. Май 2004. <http://www.hayastan.com/shrjadardz/ru/04may.php>

7. Роланд Топчишвили. Кавказоведческие исследования. Изд. "Универсал", Тбилиси. 2011. 271 с.
8. Страбон. География /пер. с др.-греч. Г. А. Стратановского, под ред. О. О. Крюгера, общ. ред. С. Л. Утченко. М.: Ладомир, 1994.
9. Эдуард Даниелян. Топонимика на копье. "Голос Армении" 30.03.2006.
10. Эльдар Исмаилов, Владимир Папава. Центральный Кавказ: история, политика, экономика. М.: Мысль, 2007, 208 с.
11. Эльдар Исмаилов, Эльхан Полухов. Противостояние "старых" и "новых" игроков на политической карте Кавказа. "Центральная Азия и Кавказ", №. 4, 2004.
12. Эльдар Наджафов. Южный Кавказ: тернистый путь к безопасности. М., "Научная книга", 2005. 226 с.
13. Эсхил. "Прометей прикованный". I, Ант. 2, II, Пром. 13 / Пер. с др.-греч. С. К. Апта / Эсхил. Трагедии. М.: Худож. лит., 1971.

Наджафов Гусейн Низами оглы

*Ph.D., почетный доктор
БГУ им. Ш.Руставели*

К вопросу о дефиниции “Южный Кавказ”

Резюме

В статье предпринята попытка дать определение понятию “Южный Кавказ”. Если до развала Советского Союза географическая, культурная, этноконфессиональная и духовная композиция региона была представлена Северным Кавказом и Закавказьем (Южный Кавказ), то в начале 1990-х годов, с обретением независимости трех республик, его geopolитическая картина кардинально изменилась, соответственно, изжил себя и российский подход к делению данной территории. Понятие "Закавказье" является детищем царской внешней политики, которая отразила подход к политическому административному округу завоеванной территории. Понятие "Закавказье" не только имело географическое, но также и geopolитическое значение. После развода Советского Союза начался исторический процесс не только становления независимых государств, но и формирования новых geopolитических ареалов. Ученые Кавказа считают, что Южный Кавказ – это самостоятельный субрегион, который организационно не оформленся, но в геоэкономическом и geopolитическом отношениях представляет реальность, которую признает международное сообщество.

Dr. Huseyn N. Najafov

On the question of the definition of „South Caucasus”

Summary

The article attempts to define the concept of "South Caucasus". If, before the collapse of the Soviet Union's geographical, cultural, ethno-confessional and spiritual composition of the region was presented the North Caucasus and Transcaucasia (South Caucasus), in the early 1990s, with the independence of the three republics, its geopolitical picture has changed dramatically, respectively, exhausted Russia's approach to the division of the territory. The concept of "Transcaucasia" is the brainchild of imperial foreign policy that reflected the approach to political administrative district of the conquered territory. The concept of "Transcaucasia" was not only geographical but also geopolitical importance. After the collapse of the Soviet Union began a historical process is not only becoming independent states, but also the formation of new geopolitical habitats. Caucasus scientists believe the South Caucasus - an independent sub-region, which is not yet formed organization, but the geo-economic and geo-political relations is the reality that the international community recognizes.

კახაბერ სურგულაძე

ქველ რომში პოლიტიკური პრატილის ისტორიიდან

(ციცერონ-კლოდიუსის დაპირისპირება)

ძვ.წ. I ს-ში რომში მიმდინარე პოლიტიკური ბატალიების თვალსაჩინო სურათი იყო ციცერონ-კლოდიუსის დაპირისპირება.

კლოდიუსი კეისრის (ძვ.წ. 100-44) ცოლთან დაკავშირებული ამბებით რომში სკანდალური პიროვნება გახდა. აღნიშნული ფაქტი ძვ.წ. 61 წლის იანვარში სენატში განხილვის საგნი იყო. ვესტალიების და პონტიფიკების გარდა მაშინ პოზიცია დააფიქსირა კონსულმა პისონმა და პომპეუსმა. მისი მდგომარეობიდან გამომდინარე პომპეუსმა სენატორთა ყველა დადგენილება მოიწონა (Cic., Att., I, 14, 2)¶ საქმეში ჩაერთო კატონი, რომელმაც კონსული უპრინციპობაში ამხილა. შექმნილ ვითარებაში კლოდიუსმა ქედის მოხრა ამჯობინა და სენატორებს პატიება სთხოვა (Cic., Att., I, 16, 2)¶

მაისში, სასამართლო პროცესზე, კლოდიუსმა უარყო დანაშაული, მაშინ რომში არ ვიყავი და მარკუს ციცერონი (ძვ.წ. 106-43) დაიმონმა. ციცერონი ვალდებული იყო ძველ მეგობარს გამოსარჩლებოდა, რადგან კატილინას გარშემო მიმდინარე ამბების დროს, იგი მისი პირადი მცველი იყო (პლუტ., ციცერონი, 29). მაგრამ საქმეში ჩარეულა ცოლი-ტერენცია, რომლის მოთხოვნით პროცესზე ციცერონმა დაადასტურა, რომ კლოდიუსი იმ დღეს ნამდვილად რომში იყო. ციცერონის მოქმედება ჩაითვალა ღალატად⁷ რაც შემდგომში მისთვის საბედისწერო აღმოჩნდა¶

პროცესზე კლოდიუსმა კრასუსის ოქროთი თავი გადაირჩინა (Cic., Att., I, 16, 6)¶ ამრიგად⁸ ჩვეულებრივ სკანდალურ საქმეს საზოგადოებრივი რეზონანსი მიეცა

ძვ.წ. 60 წლს კლოდიუსი შეეცადა პლებეიში გადასვლას (Cic., Att., I, 18, 4)¶ საქმეში ჩარეული იყო სახალხო ტრიბუნი პერენიუსი და კონსული მეტელუს ცელერი, მაგრამ გაურკვეველი

მიზეზით ყოველივე გაჭიანურდა. მაშინ კლოდიუსმა იჩქარა, დაარღვია პროცესუალური ნორმა და თვითნებურად გავიდა პატრიციუსობიდან. ამასობაში პოზიცია შეცვალა მეტელუსმაც. იგი გალიის პროკონსულობისათვის ემზადებოდა და უკვე აღარ აწყობდა „არაკონსტიტუციურ“ საქმეში გასვრა. კლოდიუსის გე-გმა ჩაიშალა.

ძვ.წ. 59 წელს ანტონიუსის სასამართლო პროცესზე ციცე-რონი მკვეთრად გამოვიდა სახელმწიფოებრივ საქმეებზე. მისი მოქმედება კეისარმა პირად წყენად მიიღო და იმავე დღესვე, არმენიაში, ტიგრანთან გაგზავნის მოტივით (Cic., Att., II, 7), გა-დაწყდა - კლოდიუსი იშვილა ვინმე პლებეი ფონტეუსმა [Ученко, 1969:20] ამ ნაბიჯით მას გზა გაეხსნა სახალხო ტრიბუნის თანამდებობის დასაკავებლად.

ტრიბუნის მოვალეობის შესრულება კლოდიუსმა დაიწყო სენატის კანონებით ბომბარდირებით. მისი Lex Clodia frumentaria, ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ძმები გრაკეუსების ცნობილი პურის კანონის ლოგიკურ გაგრძელებად [Ученко, 1976:111-112]. გრაკეუსების კანონი ყოველ რომაელისთვის ანესებდა ხორ-ბლის ულუფას მედიუმზე (8 754 ლ.) 6 1/3 ასის ლირებულებით. ამჯერად, კლოდიუსმა, დაანესა ღარიბთათვის პურის მუქთად დარიგება (Cic., Pro Sest., XXV, 55) ეს იყო ლუმპენპროლეტარი-ატის მოსყიდვაზე გათვლილი ავანტურისტული კანონი.

იგივე შეიძლება ითქვას მოქალაქეთა მიმართ ცენზორთა მეთვალყურეობის შეზღუდვის შესახებ კანონზე, რაც გათვლი-ლი იყო ქალაქის ქვედა ფენების აქტივობის ზრდაზე კვარტა-ლურ კოლეგიებსა და სახალხო ტრიბუნებში. ასევე მსგავსი იყო „ამხანაგობათა უფლებების“ შესახებ კანონი. იგი ითვალი-სწინებდა შეირაღებული რაზმების შექმნას [История, 1988:78]. ფაქტობრივად, ის რაც ვერ განახორციელა კატილინამ, კლოდი-უსმა რეალობად აქცია. მისი მოქმედება დროის მომენტით იყო განპირობებული. მაშასადამე, კვადრატულ და სხვა კოლეგიებში პლებსის და მონების გაერთიანება უნდა მომხდარიყო არა სტი-ქიურად, არამედ ორგანიზებულად [Штаерман, 1962:43].

სენატის დასუსტებას ემსახურებოდა რომიდან კატონის და ციცერონის გაძევება. რომიდან კატონის მოსაშორებლად

შეირჩა სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმე – კუნძულის პროსის რომთან მშვიდობიანი შერწყმა, პტოლემაიოს კვიპროსელის მორჩილებაში მოყვანა და ბიზანტიის დევნილების სამშობლოში დაბრუნება (Plut., Cato min., 34)¶ რაც შეეხება ციცერონს მის მიმართებაში პირადი წყენა საკმარისი იყო. მის გაძევებას ემსახურებოდა კანონი „რომის მოქალაქეთა უფლებების შესახებ“. იგი კრძალავდა „ცეცხლის და წყლის მიწოდებას“ ნებისმიერი პიროვნების თუ ხელმძღვანელისათვის, რომელიც სასამართლოს გარეშე დასჯიდა რომის მოქალაქეს. არსებითად, ეს ნიშნავდა ამ უკანასკნელისათვის რომის მოქალაქის უფლებების ჩამორთმევას.

აღნიშნულ კანონში მართალია ციცერონი უშუალოდ არ იყო დასახელებული, მაგრამ გასამართლების გარეშე კატილინარელთა დასჯის გამო დოკუმენტში სწორედ იგი იგულისხმებოდა. ციცერონმა მაშინვე მიიღო თავდაცვის ზომები და სცადა საქმეში პომპეუსის ჩართვა. იგი ეახლა მას, მაგრამ უკანასკნელმა არ მიიღო (პლუტ., ციცერონი, 31).

ორატორის მიმართ პომპეუსის გულგრილობა იყო ტრიუმვირთა კრიტიკული დამოკიდებულების შედეგი. ციცერონი ოპოზიციაში ედგა ტრიუმვირებს და მძაფრი კრიტიკით გამოდიოდა. ამიტომ, როგორც საშუალება მიეცათ, მათ თავიდან მოიშორეს არასასურველი ოპონენტი. ციცერონის განდევნით ყველა თავის პოზიციას იმყარებდა: კეისარი სენატს ასუსტებდა, კრასუსს მისდამი პირად სიძულვილი ამოძრავებდა, ხოლო პომპეუსი გალიზიანებული იყო მისი მიღწევებით და იმითაც, რომ ციცერონმა მას თავი გაუტოლა [Cowell, 1956 ¶ 246]¶.

ციცერონს რჩებოდა ერთი გზა - წასულიყო ლია კონფრონტაციაზე, მაგრამ კატილინა ურჩია, რომ სამშობლო არ ჩაეთრია სისხლისმდვრელ ომში და დამორჩილებოდა გარემოებებს (Plut., Cato min., 35)¶ დილემის ნინაშე მდგომა ციცერონმა მიიღო კატილინის რჩევა და ძვ. 58 წლის მარტში მან ქ.რომი დატოვა. მაგრამ მოვლენები ამით არ დასრულდა. კეისრის გალიაში გამგზავრების შემდეგ კლოდიუსმა ახალი კანონი წამოაყენა - Lex Clodia de exilio Ciceronis, რომლითაც სიკვდილით ისჯებოდა ყველა ვინც ციცერონს ქ.რომიდან 500 მილის მანძი-

ლზე შეიფარებდა (Cic., Att., III, 23, 2)¶

ციცერონის განდევნით კლოდიუსი რომში მოვლენების ბატონ-პატრონი გახდას მან თანდათან დაიწ'ო მის მფარველთა შევიწროებას ამის მაგალითია – Lex Clodia de Provinciis⁸ რომელიც ფაქტობრივად აღნიშნულ საკითხზე კეისრის კანონის გადასინჯვას ნიშნავდა [Утченко, 1964:76]¶ ამიერიდან პროკონსულებს უფლება ეძლეოდათ საომარი ოპერაციების გადატანა საგამგებლო ტერიტორიის ფარგლებს გარეთ.

კლოდიუსმა არ დაიწოდ პომპეუსიც. მან გააუქმა აზიაში მის მიერ დამტკიცებული რიგი წესები, ხელი შეუწყორ რომიდან ტიგრან მცირეს გაქცევას და სამართალში მისცა მისი მეგობრები (პლუტ., პომპეუსი, 48). ყოველივე პომპეუსთან დაწყებული ღია ბრძოლის მანიშნებელი იყო [Штиормер, 1876:167; Ферреро, 1916:19]¶ შექმნილი ვითარება პომპეუსს რადიკალური ნაბიჯისკენ უბიძგებდას აქ კი მან უაღრესად საჭირო გათვლა გააკეთას მისი სსნა შეეძლო მხოლოდ კლოდიუსის მონინააღმდეგეს - ციცერონს და იგი ორატორის დაბრუნებისთვის მებრძოლთა რიგებს შეურთდას

ამასობაში, რომში დაწყებულმა ციცერონის რეაბილიტაციის კამპანიამ რესპუბლიკელთა და დიქტატურის მომხრეთა შორის აშკარა ბრძოლის სახე მიიღო. ძვ.წ. 58 წლის 1 ივლისს საკითხი სენატში პირველად დაყენეს, მაგრამ ინტერცესით (ანუ აკრძალვით) გამოვიდა ტრიბუნი ელიუს ლიგურუსი. 29 ოქტომბერს 10-დან 8 სახალხო ტრიბუნმა სენატში კვლავ აღძრა აღნიშნული საკითხი, მაგრამ კვლავ უარყვეს იგი. ასეთ ვითარებაში კლოდიუსი საბოლოოდ გაემიჯნა თავის პომპეუს და მას სახლის დაწვით და მისი კონსულობის დროინდელი კანონები მან უკანონოდ ჩათვლით დაემუქრა.

განდევნილობა მძიმე დარჩა ჯიჯერონისათვის. იგი მიხვდა, რომ რაღაც უნდა დაეთმო ტრიუმვირთა მიმართ და ამ მხრივ მან პირველი ნაბიჯი გადადგა. ძმისადმი წერილი რომელშიც რომში დაბრუნების სანაცვლოდ კეისარს და პომპეუსს მან აღუთქვამდა სამომავლო მხარდაჭერა. ჩანს, უკანასკნელებმა კმაყოფილებით აღიქვეს აღნიშნული დაპირება და თანხმობა განაცხადეს ციცერონის დაბრუნებაზე. ასეთ ვითარე-

ბაში, აღნიშნული საკითხი ძვ.წ. 57 წელს დადებითად გადაწყდა, 415 სენატორი ერთის წინააღმდეგ.

დადებითი პასუხის მიღებისთანავე ციცერონი ტრიუმფით დაბრუნდა დაბრუნდა რომს. იგი სენატორების წინაშე სიტყვით გამოვიდა, რომელშიც მან ისაუბრა თავის დამსახურებებზე: მე ერთმა ვიხსენი სახელმწიფო რომელიც მაშინ ჩავიბარე, როდე-საც ის დაკარგული იყო... ამასტან, ორატორი დასძენდა, რომ „თუ გაიუს მარიუსი იარაღის და ჯარის მეშვეობით დაბრუნდა, მე პომპეუსის, სენატისა და სრულიად იტალიის წყალობით აღ-ვიდგინე ის მდგომარეობა, რომელშიც ადრე ვიმყოფებოდი“. (Цицერონის მიხედვით დაბრუნების შემთხვევაში ამასტან დასძენდა, რომ მარიუსი იარაღის და ჯარის მეშვეობით დაბრუნდა, მე პომპეუსის, სენატისა და სრულიად იტალიის წყალობით აღ-ვიდგინე ის მდგომარეობა, რომელშიც ადრე ვიმყოფებოდი“).

ციცერონის რომში დაბრუნება ჯერ კიდევ არ ნიშნავდა კლოდიუსის საბოლოო განადგურებას. მას უკვე მოესწრო ერ-თგულ პირთაგან შეირაღებული რაზმების შექმნა, რაც უკვე ძალაუფლების ხელში ჩაგდების აშკარად მიმანიშნებელი იყო.

ერთი პერიოდი პომპეუსთან მიმართებაში კლოდიუსმა დათმობა ამჯობინა. მან ძვ.წ. 56 წელს ლუკას თათბირზე კეისა-რთან ძმა გაგზავნა (Cic., Q. fr., II, 4, 4) და მაშინ კეისარმა ითავა მათი შერიგება, თუმჯა ეს დროებითი აღმოჩნდა. პომპეუსი უკვე აშკარად იყო სენატის მხარეზე გადახრილი.

ძალაუფლებისათვის ბრძოლის საკითხში კლოდიუსი კატი-ლინასთან შედარებით წინ წავიდა. თუ კატილინამ საერთოდ გამორიცხა მონათა მხარდაჭერა, კლოდიუსმა დასაყრდენ ძალად გაიხადა სოფლის მონები [Штаерман, 1962:44] ამის გარდა, კლოდიუს მზად ჰქონდა კანონპროექტი, რომლითაც უნდა მომხდარიყო მონების მასობრივი გათავისუფლება (Cic., Pro Milo, XII, 89)¹ ე.ი. ლიბერტინებად გადაქცევა.

ცხადია, გარკვეულ ეტაპზე კლოდიუსი ხელისუფლების-თვის საშიშ ძალად გადაიქცა. კლოდიუსის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვნად ანეიტრალებდა დასაწყისშივე მის მიმართ თვით ტრიუმვირთა (პომპეუსი და კეისარი) გარკვეული ინტე-რესი და აშკარა მფარველობა. ისინი ცდილობდნენ მის გამოყე-ნებას სენატის წინააღმდეგ ბრძოლაში თავიანთი მიზნების გა-ნხორციელებისთვის. ამიტომ იყო, რომ რომის უმაღლესმა მა-გისტრატურამ დიდი ხნის მანძილზე ვერ აღკვეთა კლოდიუსის

მოქმედება, მაგრამ რომში ვითარება რადიკალურად შეიცვალა. შინაგანი დისციპლინის მოშლამ და არეულობამ რომში პურის იმპორტი შეამცირა, რაც ქვეყანას შიმშილით და ხალხის შესაძლო მასობრივი მღელვარებით დაემუქრა. ასეთ ფონზე, სენატი და პომპეუსი ერთმანეთს გაურიგდა და უკანასკნელი 5 წლით აირჩიეს პროკონსულად საგანგებო უფლებების მინიჭებით. მას უნდა უზრუნველყო წესრიგი და პურის შემოტანა, რისთვისაც ხაზინიდან გამოეყო 40 მილ. სესტერციუმი (Cic., Q. fr., II, 5, 1) ამ თანხით პომპეუსს რომისათვის რევოლუცია უნდა აეცილა.

ასეთ ვითარებაში, კლოდიუსმაც ამონურა თავისი როლი და მისი განეიტრალების მიზნით პომპეუსმა მას მილონის რაზებმი დაუპირისპირა. მართლაც, არიციუმის გზაზე მილონმა მოკლა კლოდიუსი, რასაც რომში არეულობა მოჰყვა. ქალაქში გაჩნდა ხანძარი, დაიწვა კურია. გართულების თავიდან აცილების მიზნით მილონი სასამართლოს გადასჯეს. პომპეუსი, რომელიც იმუამად იყო *sine collega* და წესრიგის დამველის იდეალური მმართველის ფუნქციას ასრულებდა, პროცესზე ბრალმდებლის როლი ითავა (App. [^] Гражданские войны, XIV, II [^] 23)). მას უკვე აღარ სჭირდებოდა მილონი. იგი მასში კონკურენტს ხედავდა და ხელი კი შეუმაღალა საკონსულო არჩევნებში (იქვე, 20).

პროკონსულად დანიშნვით პომპეუსი და სენატი ერთმანეთს გაურიგდნენ, თუმცა ბოლომდე არა, რადგან პომპეუსს მაშინ მხოლოდ სამოქალაქო რწმუნება მიანიჭეს. ამის გამო იგი გარკვეულად ნაწყენი იყო, მაგრამ კეისრის წარმატებებით გამნარებულმა ბოლმა გადაყლაპა და სამოქალაქო მმართველობაზე დათანხმდა. პომპეუსისა და სენატის შეთანხმება კი საფრთხეს უქმნიდა ტრიუმვირატის სიმტკიცეს. სენატი ამით ფიქრობდა ტრიუმვირების ურთიერთდაპირისპირებას და მეტისმეტად ამაღლებული კეისრის განეიტრალებას.

პომპეუსის დაახლოება სენატთან გარკვეულად დააჩქარა კრასუსთან ურთიერთობის კვლავ გაუარესებამ. თუ ადრე კრასუსი პომპეუსის დასამცირებლად ლუკულუსს უჭერდა მხარს (App. [^] Гражданские войны, XIV, II [^] 9))[^] ამჯერად ფარულად ეწეოდა კლოდიუსის ფინანსირებას (Cic., O.fr., II, 3, 4). ყოველივე კი

ტრიუმვირატში კრიზისის მომწიფებაზე მიუთითებდა [სურგულაძე, 2011:217-218]¶

ციცერონი რომში ტრიუმფით კი დაპრუნდა, მაგრამ კლოდიუსისაგან მიყენებული დაღი იმდენად მძიმე დარჩა, რომ მან რიგ საკითხებზე გული აიცრუა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ დიდებაზე ფიქრი, რომლითაც იგი ყოველთვის შეპყრობილი იყო, მასში ჩაკვდა. იგი თითქოსდა უკვე აღარ მისწრაფოდა დიდი პოლიტიკურ საქმიანობისაკენ და კმაყოფილი რჩებოდა მეორეხარისხოვანი როლით, ოღონდ საშიშროება არ ყოფილიყო [Ферреро, 1916:59]¶

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კ.სურგულაძე, ციცერონი და რომი, თბ., 2009;
2. Ферреро Г., Величие и падение Рима, т. II, М., 1916;
3. Ученко С., Кризис и падение Римской республики, М., 1964
4. Ученко С., Древний Рим, М., 1969;
5. Ученко С., Юлий Цезарь, М., 1976;
6. История Европы (Древняя Европа), т. 1, М., 1988;
7. Штаерман Е., Рабы и отпущенники в социальной борьбе конца Республики, ВДИ, 1962, №1, с. 24-45;
8. Штюрмер Л., Рим до и во время Юлия Цезаря, СПб., 1876;
9. Cowell F.R., Cicero and the Roman Republic, London, 1956

Кахабер Сургуладзе

Из истории политической борьбы в Древнем Риме (противостояние Цицерона и Клодия)

Резюме

1. Наглядной картиной политических баталий в Риме (I век до н.э) было противостояние Цицерона и Клодия.
2. Скандалная личность – Клодий, руках Триумвирата, был орудием борьбы против сенатской олигархии.
3. Исполняющий обязанность народного трибуна, Клодий занимался бомбардировкой Сената популистскими законами, рассчитанными на привлечение люмпен-пролетариата.
4. Ослаблению Сената способствовало изгнание Клодием из Рима Катона и Цицерона. Между собой их связывала личная вражда.
5. С изгнанием Цицерона Клодий стал единоправным правителем Рима. Постепенно начал ущемлять в правах Цезаря и Помпея. В сложившихся условиях, его нейтрализация возможной становится только лишь силами Цицерона. Триумвы соглашаются на его возвращение в Рим.

Kakhaber Surguladze

From History of Political Fights in Ancient Rome

(Cicero-Clodius controversy)

Summary

1. Cicero-Clodius controversy was a obvious picture of the current political fights in the 1st century AD in the Ancient Rome.
2. A scandalous person Clodius was an anti-senate tool of *triumvirate*.
3. Clodius, serving on people tribune's position, bombed lumpen-proletaries oriented populist laws.
4. Caton and Cicero exile served the Senate's *weakening*. The last one connected it with the personal enmity.
5. Cicero's exile caused Clodius' rule in Rome. He gradually began Ceasar's and Pompeus' oppression. His blockage was possible only by Cicero and triumvirate confirmed his return.

ირაკლი მანველიძე ზაზა ბურგაძე

საერთაშორისო უსაფრთხოების სისტემის ეცროვული თავისებურებები

საერთაშორისო უსაფრთხოების პერსპექტივა როგორც რეგიონალურ, ისე გლობალურ განზომილებაში მჭიდროდაა და-კავშირებული ომისა და მშვიდობის მრავალწლიანი პრობლემის გა-დაწყვეტასთან. ეს პირველ რიგში ევროპის კონტინენტს ეხება, რომელიც ორი მსოფლიო ომის წყარო და ძირითადი ასპარეზი იყო. ხანგრძლივი დროის განვალობაში ევროპის კონტინენტზე მოსახლეობა თანაარსებობის სხვადასხვა მოდელების ფარგლებში, შეიარაღებული კონფრონტაციით დაწყებული პოლიტიკური ინ-ტეგრაციის ჩამოყალიბებით დამთავრებული. ამ უკნასკნელის საწყისი თავდაპირველად ეკონომიკური ფაქტორი იყო, ხოლო შემდეგ მას სოციალურ-პოლიტიკური და უსაფრთხოების ასპექტებიც და-ემატა.

საერთაშორისო უსაფრთხოების გლობალური პრობლემები თავის გამოხატულებას სულ უფრო მეტად რეგიონალური უსაფრთხოების კომპლექსებში პოულობს. თუმცა, მათი გამოვლინება ყველა რეგიონში ერთნაირი როდია. რეგიონალურ პროცესებზე მსოფლიოს წამყვანი სახელმწიფოების მიერ გარედან პროვო-ცირებული პოლიტიკა ახდენს გავლენას. მაგრამ ამა თუ იმ რეგიონში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ლოკალურ პრობლე-მებსაც, რომლებიც მხოლოდ კონკრეტული რეგიონისთვისაა დამა-ხასიათებელი.

რეგიონალური უსაფრთხოება, რომელიც საერთაშორისო უსაფრთხოების შემადგენელი ნაწილია, კონკრეტულ რეგიონში სა-ერთაშორისო ურთიერთობების ისეთი სპეციფიკური დამახასია-თებელი მდგომარეობაა, რომელიც თავისუფალია სამხედრო, ეკო-ნომიკური და სხვა სახის საფრთხეებისაგან, ასევე იმ გარედან ჩა-

რევისა და თავდასხმებისაგან, რომლებიც რეგიონის სახელმწიფო-ების დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტს ხელყოფს.

მართალია საერთაშორისო უსაფრთხოებასა და რეგიონა-ლურ უსაფრთხოებას საერთო ნიშნები, მაგრამ ამ უკანასკნელს გამოვლენის თავისი ფორმებიც აქვს, რაც კონკრეტული რეგიო-ნის თავისებურებებთან, მათში ძალთა ბალანისი კონფიგურაციას-თან, მათ ისტორიულ, კულტურულ, რელიგიურ ტრადიციებთან და ა.შ. არის დაკავშირებული.

რეგიონალური უსაფრთხოების პირველი ფორმა შიდა ინ-ტეგრაციაა. იმისათვის რომ მოხდეს რეგიონალური უსაფრთხოე-ბის პროცესის მხარდაჭერა შეიძლება ამისათვის შექიმნას ორგა-ნიზაცია (მაგ. ეუთო) ან სახელმწიფოები უფრო უნივერსალურ გა-ერთიანებაში შევიდნენ (მაგ., ამერიკული სახელმწიფოების ორგა-ნიზაცია, აფრიკის კავშირი). ან კიდევ შეიძლება სახელმწიფოებმა კონკრეტული რეგიონის ფარგლებში განავითარონ ინტეგრაცია, შექმნან ზეეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის უსაფრთხოების და თავდაცვის მიმართულებით და ინსტიტუციონალურ დონზე დაიწყონ ფიქრი უსაფრთხოების უზრუნველყოფისათვის, რისი კლასიკური მაგალითიც თანამედროვე ეტაპზე ევროკავშირია.

რეგიონალური უსაფრთხოების მეორე ფორმა შიდა ინტეგ-რაციასთან ერთად წამყვანი სახელმწიფოების ჩარევის ფაქტორ-საც ითვალისწინებს. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში უსაფ-რთხოების უზრუნველყოფაში გასათვალისწინებელია წამყვანი სახელმწიფოების ჩარევის ხარისხიც. მეორე მსოფლიო ომის შემ-დეგ ევროპის რეგიონი ამერიკის შეერთებული შტატების და საბ-ჭოთა კავშირის მხრიდან მსგავსი „ჩარევის“ ობიექტად იქცა. უფ-რო ადრე კი, კონტინენტური ევროპის უსაფრთხოებას საფრანგე-თის, გერმანიის, რუსეთის და დიდი ბრიტანეთის ურთიერთდამო-კიდებულება განსაზღვრავდა. ცივი ომის პერიოდში ევროპამ თით-ქოს დაკარგა საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფის ფუნ-ქცია. ამ კუთხით მის გარკვეულ ნაწილზე პასუხისმგებლობა ამე-რიკის შეერთებული შტატებმა აიღო, რასაც იგი ნატოს ფარგლებ-ში ანხორციელებდა. ევროპის აღმოსავლეთი ნაწილის უსაფრთხო-

ების „უზრუნველყოფა“ ვარშავის ბლოკის მეშვეობით საბჭოთა კავშირმა იკისრა.

ბიპოლარული საერთაშორისო სისტემის დაშლის შემდეგ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოების ნაწილი ნატოს წევრი გახდა. ამ დროს ევროპის კონტინენტზე მომხდარი ცვლილებები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის, ბალკანეთის და პოსტსაბჭოთა სივრცის რეგიონებს შეეხეო. ასევე აშკარა იყო აშშ-ის უდავოდ დიდი როლი ევროპის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში XX საუკუნის 90-იან წლებში და XXI საუკუნის დამდეგსაც კი. იუგოსლავის კრიზისმა აშკარად წარმოაჩინა ევროპის უძლურება ნატოს მხარდაჭერის გარეშე გამკლავებოდა პრობლემებს. ამ გარემოებებმა ევროკავშირი აიძულა საკუთარი უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებაზე დაეწყო ფიქრი. საერთო ინტერესების და უსაფრთხოების გარშემო ევროპის გაერთიანების ძველმა იდეამ არანარტო ხორცებს მას უკვე რეალური მახასიათებები და ნიშნებიც გაუჩნდა.

ევროპული უსაფრთხოება ყოველთვის რეგიონალურ კონტექსტში განიხილებოდა. ასე ხდებოდა ცივი ომის პერიოდში, როცა საერთაშორისო ურთიერთობების ევროპული ქვესისტემა ორი ურთიერთდაბირისპირებული ზესახელმწიფოს გლობალურ სისტემაში ცენტრალური წარმოადგინდა იყო. თუმცა ევროპაში ორი ბლოკის დაპირისპირებას არა მარტო რეგიონალური, არამედ გლობალური განზომილებაც ჰქონდა. ცივი ომის დასრულების შემდეგაც კი ევროპა და ევროატლანტიკური სივრცე აგრძელებენ კონცენტრირებას უსაფრთხოების სფეროში. ეს არ ნიშნავს იმას, რომ რეგიონი არ აცნობიერებს უსაფრთხოების გლობალურ გამომწვევებს. პირიქით, უსაფრთხოების ყველა კონცეფცია როგორც ნაციონალურ ისე მრავალმხრივ დონეზე, ხაზს უსავმს საჭირო ადეკვატური პასუხების აუცილებლობას ახალი გლობალური გამოწვევების და რისკების წინააღმდეგ²⁵.

²⁵ М.М. Лебедева, Т.В. Юрьева, Архитектура европейской безопасности: глобальный и региональный аспекты, №б. ბმულზე - http://www.vestnik.mgimo.ru/fileserver/20/16_Lebedeva.pdf

ამრიგად, საერთაშორისო უსაფრთხოება როგორც გლობალურ, ისე მჭიდროდაკავშირებული ცალკეული რეგიონების უსაფრთხოებას მოიცავს. გლობალური პრობლემების გამწვავება გავლენას ახდენს სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის წინააღმდეგობების გაძლიერებაზე ცალკეულ რეგიონებში, რაც თავის მხრივ რეგიონალური კონფლიქტების და კრიზისების გაზრდის საშიშროებას ქმნის. მწვავე გლობალური პრობლემების შერბილება, მათი შესაძლო საშიში შედეგების დაძლევა მოითხოვს უსაფრთხოების მხარდაჭერის გაძლიერებას ცალკეულ რეგიონებში, რაც საყოველთაო უსაფრთხოების განმტკიცებას უწყობს ხელს. ამასთან დაკავშირებით განსაკუთრებულ აქტუალობას იძენს ერთობლივი ძალისხმევები საერთაშორისო მშვიდობის მხარდასაჭერად, რაც კოლეგიურ უსაფრთხოებას გულისხმობს.

ევროპის კონტინენტზე განვითარებული და განშტოებადი კოლექტიური უსაფრთხოების რეგიონალური ორგანიზაციების სისტემა ჩამოყალიბდა. ევროპული უსაფრთხოების ამ სისტემას ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლის მსვლელობაშიც მან რამდენიმე ეტაპი განვლო. ამ პროცესში სხვადასხვა სტრუქტურები მონაწილეობნენ, რომლებიც ერთმანეთისაგან სამართლებრივი, ორგანიზაციული და მატერიალური შემადგენლობით განსხვავდებოდა. ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს „ცივილიზაციური“ ფაქტორი და კონტინენტზე ეკონომიკური ინტეგრაციაც თამაშობდა. ცივილიზაციური ფაქტორი განსაზღვრავს ინტეგრაციის სამ ძირითად მიმართულებას: ტრანსატლანტიკურს, ევროცენტრისტულს და ევროაზიულს.

პირველი ნატოს ფარგლებში ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადასთან ევროპული სახელმწიფოების მჭიდრო ურთიერთობებს გულისხმობს;

მეორე ევროინტეგრაციის დამოუკიდებელი მიმართულებით განისაზღვრება.

მესამე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ევროპული კოლექტიური სტრუქტურის ფორმირების პროცესში პოსტსაბჭოთა ქვეყნების ჩართვას გულისხმობს.

ცივი ომის დასრულების და ვარშავის ხელშეკრულების გაუქმების შემდეგ დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ შემუშავებულ იქნა „ახალი ატლანტიზმის“ კონცეფცია, რომელ-შიც ჩამოყალიბებული იყო ნატოს ამოცანები ისეთი ახალი საფრთხეების გამოვლენის პირობებში, როგორიცაა მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ეთნიკური და რელიგიური კონფლიქტები, ტერორიზმი, ექსტრემიზმი, რადიკალიზმი და ა.შ. ამ ახალმა მიზნებმა ნატო აიძულა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი-დან ძირითადად პოლიტიკურ ორგანიზაციად ტრანსფორმირებულიყო. თუმცა ამავე დროს მან თავდაცვისა და სამშვიდობო ოპერა-ციების ნარმოებისათვის აუცილებელი სამხედრო პოტენციალი შეინარჩუნა.

„ევროპეიზმის“ მომხრეები XX ს-ის 90-იანი წლების ბოლოს გააქტიურდნენ, როცა თავიანთი მისწარაფებები ერთიან ევრო-პულ აქტსა და მასატრიხტის ხელშეკრულებაში ასახეს. ამ იდეამ თავისი განვითარება 1997 წლის ამსტერდამის ხელშეკრულებაში ჰპოვა, როცა საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებში ევროკავშირის კომპეტენციების გაფართოება მოხდა. ევროპეისტების ერთ-ერთი მიზანი ევროპის რეგიონზე ამერიკის შეერთებული შტატების გავლენის შესუსტებაა. ევროპეიზმის იდე-ის ფარგლებში იქნა სწორედ წამოყენებული ინიციატივა ევროპუ-ლი სწარფი რეაგირების ძალების შექმნის შესახებ, რომელიც რე-გიონში მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფი ოპერა-ციების განხორციელებას შეძლებდა. 1998 წლის სენ მალოს შეხ-ვედრამ ფაქტობრივად უსაფრთხოების მიმართულებით ბევრად ფართო გაერთიანებითი პროცესების დაჩქარება განსაზღვრა²⁶.

მიუხედავად გარკევული წინააღმდეგობებისა ევროპული რეგიონალური უსაფრთხოების სისტემაში მნიშვნელოვან თავისე-ბურად შეიძლება ჩაითვალოს სხვადასხვა გეოპოლიტიკური სივ-რცის მომცველი სტრუქტურების არსებობა როგორიცაა მაგალი-

²⁶ А.Ю. Бойко, Развитие парадигмы европейской безопасности в Жур., Мир и Политика, №04 (55), 2011.

თად ნატო, ევროკავშირი და ეუთო და ა.შ. ნატო მოიცავს ტრანსატლანტიკურ სივრცეს, ევროკავშირი საკუთრივ ევროპის რეგიონს, ხოლო ეუთო ტრანსატლანტიკურსაც და ევრაზიულსაც. ასევე განსხვავებულია მათი მექანიზმები უსაფრთხოების უზრუნვლყოფის კუთხით.

„ცივილიზაციური“ ფაქტორი მჭიდროდაა დაკავშირებული ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ეკონომიკურ საწყისებთან. ეს უკანასკნელი ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს ევროპის კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნაში. მაგ., აშშ-ის და ევროპის ქვეყნების ეკონომიკების მჭიდრო ურთიერთდამოკიდებულება ქმნის მყარ ეკონომიკურ საფუძველს მათი სამხედრო-პოლიტიკური ინტეგრაციისათვის. ნატოს შექმნა ფაქტობრივად „მარშალის გეგმის“ ეკონომიკური და პოლიტიკური კომპონენტების თანხვედრა იყო. იგივე შეიძლება ითქვას ევროკავშირის ფორმირების და გაფართოების პროექტზეც. იგი მოიცავს კოლექტიური უსაფრთხოების კომპონენტს - დასავლეთ ევროპული კავშირს სახით და ასევე ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის დამოუკიდებელ პოლიტიკასაც²⁷.

ევროპაში ინტეგრაციული პროცესების ფორმირება დაიწყო უსაფრთხოების ისეთი საერთო პრობლემების გააზრებით, როგორიც საგარეო და საშინაო საფრთხეები იყო. ევროპის კავშირის შექმნამ შეცვალა ევროპის სახელმწიფოთა ურთიერთობები. მათ შორის ყველა სადაც საკითხი ზეროვნული ინსტიტუტების ქრილში მშვიდობიანი გზით წყდება.

თუმცა, ბალკანეთის ომმა ევროპელებს დაანახვა, რომ ომის საფრთხე რეგიონში მაინც არსებობს და ევროპა ასეთი გამოწვევისათვის მზად უნდა იყოს. ევროპას ასევე ამერიკის შეერთებული შტატების რაკეტსაწინააღმდეგეო სისტემების ევროპის კონტინენტზე შესაძლო განალებების გამო შეიარაღებული შეჯიბრის ახალი რაუნდიც ემუქრება.

²⁷ А.Б. Логунов, Региональная и национальная безопасность, Учебное пособие, М., 2009

რეგიონალური უსაფრთხოების განვითარების კუთხითაც ევროკავშირის გაფართოება მნიშვნელოვანი მექანიზმია, ვინაიდან გაფართოებამ საშუალება მისცა სახელმწიფოთა ამ დიდ გაერთიანებას, ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების და სტაბილურობის განმტკიცების საქმეში მნიშვნელოვანი წვლილი შეეტანა. ევროკავშირი ცდილობს არ დაუშვას ახალი გამყოფი ხაზების წარმოქმნა ევროპაში და ხელს უწყობს სტაბილურობის და კეთილდღეობის დამკვიდრებას როგორც, ახალი საზღვრით შემოფარგლულ ტერიტორიაზე, ისე მის ფარგლებს გარეთ.

ევროპაში ხანგრძლივი ევოლუციის შედეგად ჩამოყალიბდა საერთაშორისო ორგანიზაციის რთული სისტემა, რომელიც რეგიონალური უსაფრთხოების განმტკიცებასაც ემსახურება და რაზეც ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცის პოლიტიკის განვითარება მეტყველებს.

ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის ჭრილში ევროპული უსაფრთხოების თანამედროვე რეგიონალური სისტემის ფორმირებისათვის მიმდინარეობს ახალი მექანიზმების შემუშავება. სამხედრო ფაქტორი უსაფრთხოების უზრუნველყოფაში არანაკლებ მნიშვნელოვანია, მიუხედვად იმისა, რომ მას დომინირების ის ხარისხი არ აქვს რაც წინა საუკუნეებში. ამჟამად ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფა მოიცავს ბირთვული, ენერგეტიკული, საინფორმაციო და ეკოლოგიური უსაფრთხოების დაცვას, კრიზისების პრევენციულ რეგულირებას, ბრძოლას საერთაშორისო ტერორიზმთან და ა.შ. უსაფრთხოების საკითხებში ევროპული ინტეგრაციის კულმინაციად შეიძლება ჩაითვალოს 2004 წლის 12 ივლისს ევროპის თავდაცვის სააგენტოს შექმნა. ეს მეტყველებს, იმაზე რომ ევროპის კონტინენტი ბევრად საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფაში ძლიერი და საიმედო სისტემის სახით გვევლინება. ამავე დროს, ევროპის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიზანია გაეროს როლის გაძლიერება, ვინაიდან ის არის ერთადერთი ორგანიზაცია, რომელიც მშვიდობისა და სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის ძალას გამოიყენებს.

ევროპაში უსაფრთხოების ეფექტური სისტემის შექმნა შესაძლო საშინაო და საგარეო, სამხედრო და არასამხედრო საფრთხეების ობიექტურ, ზუსტ შეფასებას და ადეკვატური მოქმედებების განხორციელებას მოითხოვს. შესაბამისად, ევროპული საზოგადოება მთავარი საფრთხეების გამოვლენასა და პრევენციის განხორციელებზეა ორიენტირებული. ვინაიდან მსოფლიოში მიმდინარეობს გლობალური ცვლილებები, გავლენის სფეროებისა და ენერგორესურსებით მდიდარი რეგიონებისათვის ბრძოლა და ინტეგრაციული პროცესები, იკვეთება ძალთა ახალი ცენტრების ფორმირების კონტურები, მწვავდება სხვადასხვა სახის რეგიონალური კონფლიქტები, ჩანს მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ჩამოყალიბების ტენდენცია. ევროპის სახელმწიფოებს სულ უფრო უძლიერდებათ სურვილი განახორციელონ დამოუკიდებელი და კონსტრუქციული საგარეო პოლიტიკა, თავიდან აიცილონ გარე ძალების ჩარევა მათ შიდა საქმეებში და ეკონომიკა გარე საფრთხეებისაგან დაიცვან.

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიოსა და მათ შორის ევროპის თანამეგობრობისათვის მთავარი საფრთხეებია: მასობრივი განადგურების იარაღის გავრცელება, ენერგეტიკული კრიზისი, ეკონომიკური კრიზისი, საერთაშორისო ტერორიზმი, რეგიონალური და ლოკალური კონფლიქტები, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაული, სტრატეგიული სტაბილურობის დარღვევა, ნარკოვაჭრობა, ბუნების დაცვა, საინფორმაციო ომი, რესურსების დეფიციტი, კლიმატური ცვლილებები, რადიკალიზმი და ექსტრემიზმი. აღნიშნული საფრთხეების ანალიზი აჩვენებს, რომ თანამედროვ ევროპის სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაზე სწორედ ისინი ახდენენ გადამწყვეტ გავლენას. ამ გამოწვევების წინააღმდეგ ეფექტური ბრძოლის აუცილებლობის გააზრება ცვლის უსაფრთხოებაზე ტრაციციულ შეხედულებას ევროპაში. ეს კი არის ის არსებითი ფაქტორი, რომელიც გავლენას ახდენს უსაფრთხოების ერთიანი ევროპული სისტემის ჩამოყალიბებაზე, რომელსაც ევროპის ქვეყნები ევროკავშირის ბაზაზე ანხორციელებენ.

საგარეო და შიდა საფრთხეების ხასიათის ცვლილებები გავლენას ახდენს ევროპული უსაფრთხოების სისტემის შინაარსა და მისი მთავარი მონაწილეების ქცევაზე. ევროპული უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემისადმი ახალი მიღების განმასხვავებელი ნიშანია - პირველი: უსაფრთხოების კომპლექსური ხასიათის გაგება, რაც ნიშავს უსაფრთხოების სამხედრო ასპექტების შემცირებას და სამოქალაქო და არასამხედრო ასპექტების გაძლიერებას; მეორე: უსაფრთხოების თემატურ კომპონენტებად დაყოფა (ეკოლოგიური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული) და მესამე: უსაფრთხოების საპაზისო ნიშნები, რომელიც დამოკიდებულია მისი მიღწევის მიზანზე, სტრატეგიაზე, პრინციპებსა და მეთოდებზე (კოლექტიური უსაფრთხოება, კოოპერატიული/თანამშრომლობითი უსაფრთხოება და პრევენციული უსაფრთხოება). ამ ასპექტების კომპლექსური ანალიზი საშუალებას იძლევა დავინახოთ თანამედროვე ევროპული უსაფრთხოების სისტემის შექმნის ისეთი საფუძვლები, როგორიცაა: პოლიტიკური თანმშრომლობა, ნაციონალური და სახელმწიფოთშორისი თავდაცვითი სტრუქტურების შექმნა, სახელმწიფოთაშორისი სამხედრო დაგეგმვარების ფორმირება, შეიარაღების შემცირება, სამხედრო სტრუქტურების გარდაქმნა, პოლიტიკურ და სამხედრო სისტემებს შორის ურთიერთდამოკიდებულება აგრესიის აღკვეთის ეკონომიკურ ზომებთან ერთად და ა. შ.

ევროპაში ეკონომიკური, პოლიტიკური და შემდეგ სამხედრო ინტეგრაციის გაღრმავებამ ისეთი სიტუაცია შექმნა, რომელის დროსაც ევროკავშირის ქვეყნებმა შეძლეს საერთაშორისო არენაზე ერთიანი პოზიციით გამოსულიყვნენ და ახალი სამხედრო-პოლიტიკური ცენტრის როლზე განეცხადებინათ პრეტენზია. თანამედროვე ეტაპზე უსაფრთხოების ევროპული სისტემის შექმნის მონაწილეები არიან: გაერო, რომელიც არის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური საერთაშორისო ინსტიტუტი ძალთა მრავალპოლუსანი ბალანსის მმართვის კუთხით ევროპაში; ეუთო, რომელიც თამაშობს მთავარი კოორდინატორის როლს ევროპული სახელმწიფოე-

ბის ერთობლივი ძალისხმევის შემუშავების მიმართულებით ახალი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ფორმირების საქმეში; ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს ეფექტურ ინსტრუმენტს უზრუნველყოს სტაბილურობა ატლატიდან ურალამდე; ნატო, რომელიც პასუხისმგებელია მისი ხევრი სახელმწიფოების უსაფრთხოებასა და თვდაცვის უზრუნველყოფაზე და ბოლოს, ევროკავშირი²⁸, რომელიც სულ უფრო და უფრო წარმატებით ავითარებს უსაფრთხოებისა და თავდაცის პოლიტიკას.

უსაფრთხოების ევროპული სისტემის ძირითადი პრინციპების ანალიზი ყველა მისი შემადგენელი კომპონენტის გათვალისწინებით აჩვენებს, რომ მასში პრიორიტეტულია როგორც სამხედრო-სტრატეგიული, ისე სამოქალაქო მიმართულება. ევროკავშირის უსაფრთხოების და თავდაცვის პოლიტიკის მაგალითზე კარგად ჩანს, რომ რეგიონალური უსაფრთხოების ეფექტური, მოქმედი სისტემის ჩამოყალიბება დიდი და პატარ სახელმწიფოების შეთანხმებული პოზიციიდან, კრიზისების პრევენციის და მოგვარებისათვის პოლიტიკური, დიპლომატიური სანქციების გამოყენებიდან, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების დამუშავებიდან, კონფლიქტების პრევენციიდან და ურთიერთნდობის გაძლიერებიდან გამომდინარეობს.²⁹

²⁸ Архитектура евроатлантической безопасности, Под общей редакцией проф. И.Ю. Юргенса, А.А. Дынкина, В.Г. Барановского, М., Экон-Информ, 2009, с. 12-36.

²⁹ ევროპული უსაფრთხოების სისტემის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემად რჩება რუსეთის უარყოფითი დამოკიდებულება წატოს და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი. ეს ცალკე კვლევის საგანი და მას არ ვეხებით. ასევე ცალკე განსჯის საგანია ევროპული უსაფრთხოების შესახებ ხელშეკრულების რუსული ვარიანტი, რომლის არსიც არის სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ევრო-ატლანტიკური სივრცის ერთიანი, გაუყოფელი არე.

ევროპის უსაფრთხოების თანამედროვე რეგიონალური სისტემის ფორმირების მნიშვნელოვანი თავისებურება ის არის, რომ მასში მონაწილეობას ღებულობენ ევროპის ის სახელმწიფოები, რომლებიც უკვე არიან სხვადასხვა სახის, უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებული საერთაშორისო სტრუქტურების სუბიექტები. შესაბამისად გამოიყოფა ქვეყნების ხუთი ტიპი: ქვეყნები, რომლებიც არიან ევროკავშირის და ნატოს წევრები და ამით დებულობენ გარკვეულ სარგებელს; ქვეყნები, რომლებიც არიან მხოლოდ ან ნატოს ან მხოლოდ ევროკავშირის წევრი; ქვეყნები, რომლებიც მართალია მიეკუთვნებიან ერთ ინსტიტუტს, მაგრამ სურთ რომ იამავდროულად გახდნენ მეორე ინსტიტუტის წევრიც; ქვეყნები, რომლებიც არ ეკუთვნიან არცერთ დასახელებულ ინსტიტუტს, მაგრამ მათი წევრობის ზღვარზე არიან; ქვეყნები, რომლებსაც ევროკავშირში ან ნატოში გაწევრიანების პერსპექტივა არააქვთ.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი თავისებურება არის ის, რომ ევროპის კონტინენტზე უსაფრთხოების სისტემის არქიტექტურაზე ევროპული, ამერიკული და რუსული შეხედულებები არსებობს.³⁰ ხშირად ეს შეხედულებები იკვეთება, რის შედეგადაც ვლებულობთ ევრო-ატლანტიკურ/ტრანსატლანტიკურ და ევრაზიულ მოდელებს. ეს უკანასკნელი ამჟამად ნაკლებად განხილვადია. საკმაოდ დაპირისპირებულია ტრანსატლანტიზმი და ევროპეიზმი. თუმცა თანამედროვე ეტაპზე მათი თანაარსებობა სიცოცხლისუნარიანობას ავლენს.

³⁰ Договор о Европейской безопасности: импульс к развитию отношений России и Европы, под ред. М.В. Братерского и С.В. Кортунова, М., 2011.

**Иракли Манвелидзе
Заза Буркадзе**

**Европейские особенности системы
международной безопасности**

Резюме

1. Международная безопасность всегда рассматривается в региональном контексте. Так было и в период Второй мировой войны, когда европейская подсистема международных отношений являлась центральной частью глобальной системы противостояния двух великих держав.

2. На Европейском континенте сформировалась еще более развитая и разветвленная система безопасности коллективных региональных организаций, которая прошла несколько этапов развития. В этом процессе важную роль играл «цивилизационный» фактор и экономическая интеграция на континенте. Цивилизационный фактор определяет три основных направления интеграции: трансатлантическое, евроцентристское и евразийское.

3. Для развития региональной безопасности, расширение Евросоюза является важным механизмом, т.к. оно дало возможность такому большому объединению государств, сделать важный шаг в деле способствованию безопасности и стабильности на Европейском континенте.

4. Отличительной особенностью нового подхода проблемы обеспечения европейской безопасности являются: во-первых, понятие комплексного характера безопасности; во-вторых, разделение безопасности на тематические компоненты (экологический, экономический, социальный, культурный) и в третьих – базисные признаки безопасности. Этот комплексный анализ дает возможность увидеть такие основы современной европейской системы безопасности как: политическое сотрудничество, создание структуры национальной и

межгосударственной обороны, формирование межгосударственной военного планирования, сокращение вооружений, преобразование военных структур, взаимозависимость между политическими и экономическими системами в целях искорениения агрессии посредством экономических мер и т. д.

5. Анализ основных принципов безопасности европейской системы, при учитывании всех ее составляющих компонентов, показывает, что в них приоритетным являются как военно-стратегическое, так и гражданское направление.

6. Важной особенностью формирования современной региональной системы является, тот факт, что в ней принимают участие те государства Европы, которые уже являются субъектами других международных структур, направленных на защиту безопасности.

**Irakli Manvelidze
Zaza Burkadze**

European peculiarities of international security system

Summary

1. The European security is always discussed in the regional context. This was the case in the cold war period when the European subsystem of international relations was in the center of global system of two opposed superpowers.

2. A more developed and collective system of regional security organizations has developed on the European continent which has undergone several stages of development. “Civilized” factor has played an important role in this process as well as economic integration occurring on the continent. Civilization factor defines three main directions of integration: transatlantic, Eurocentric and Eurasian.

3. European integration is an important mechanism in the development of regional security because integration gave these countries a chance to make an important step in the development of security and stability on the European continent.

4. The different features of European security is – first: understanding the complex nature of security system; second: dividing the security matters according to thematic components (ecological, economic, social, cultural) and the third:main features of security. A complex analysis of these aspects gives us a chance to see the basics of creating modern European security system. And these basics are political cooperation, creation of national and intergovernmental defensive structures, formation of intergovernmental military planning, decreasing military capacity, changing military structures, relations between political and military systems and so on.

5. The analysis of the main principles of the European security system shows us that both military and civic aspects are important in it.

6. An important feature of the formation of the modern regional European security system is that those European countries take part in it which are already members of different international security structures.

The Struggle of the Bulgarian People against the Ottoman Empire

After founding as a state, the conquest of Bulgaria acquired an utmost importance for Ottoman Empire, as it could perform a role of perfect bridge-head for further progress. So, that is the main reason why Ottomans were trying to seize the Bulgarian domain during the whole 14-th century and after expending its borders deep into the Balkan peninsular, they were in hopes of paving their way into the Central and Eastern Europe. In this case, The Ottoman victory at Kosovo in 1389 gave a go-ahead to their progression toward the Balkan Peninsular. The latter was then under governance of Byzantium.

After achieving victory in the Kosovo Field, Ottomans invaded Albania. This successful military engagement of the Turks constrained the emperor of Bulgaria Ivan Shishman to find allies to defend from Ottomans, but in vain. In spring 1393, the Bayezid I marched to the capital Tarnovo and besieged it. After three-month siege, Tarnovo fell. The Ottoman campaign of 1393 devastated Bulgaria; in the wake of that invasion, the lands of Ivan Shishman were limited to Nikopol and several towns along the Danube. Upon his return from Wallachia after the Battle of Rovine in 1395, Bayezid I attacked and captured Nikopol and murdered Ivan Shishman. Also He abolished the Kingdom of Bulgaria.

Byzantium and whole Europe were deeply in thoughts on account of Ottoman succession and began formation of the crusade against them, to stop their progression to Europe. The Battle of Nicopolis in 1396, widely regarded as the last large-scale crusade of the Middle Ages, failed to stop the advance of the victorious Ottoman Turks. By their victory at Nicopolis, the Turks discouraged the formation of future European coalitions against them. They maintained their pressure on Constantinople, tightened their control over the Balkans, and became a greater threat to central Europe.

Bulgaria, as well as other Balkan regions, was dominated by Ottomans for nearly 4 centuries. However, they were allowed to have cultural autonomies and preserve their religion and customs. Geographically, Bulgaria is the closets to Anatolia. Therefore, Turks settled most densely in Bulgaria.

Among Balkan peoples Bulgarians were the first who started anti Ottoman revolt and fore some reasons these revolts were always coincided with anti Turkish protests of Europeans. For example: in 1592, when Ottoman and Austria war started, which lasted till 1606, the great Bulgarian revolt was broken out named after Tironov. The government of Austria started formation of anti Ottoman coalition before the war, in which were united Ottoman vassal states as were: Wallachia, Moldova, Transsylvania. The united powers under leadership of Michael Khrabri attacked Ottoman castle in the Danube. In the attack with the army of Michael Khrabri also participated volunteers' cavalry consisting of 4000 persons under leadership of Deli Marko and Babi Novaka. The armies of coalition raided north Bulgaria and through destroying Turkish villages they reached to Andrianopole. In parallels, there was partisan warfare in the whole territory of Bulgaria. The main goal of partisan warfare was liberation from Ottomans. By encouragement of Pope and help of Austrian spies the Bulgarian merchants of Tironov district became interested with revolt. Among merchants was the population of Dubrova. For revolt they were prepared by Austrian agent Giovanna Marini. The principal participants of conspiracy were: Todor Balin from Nikopol, ruler of Tarnovo -Dionisi Ralli, merchants from Dubrova- Pavel Jordich and brothers Sokrocheviches. The revolt was also supported by local clergy.

The revolted people acted in accord with agreement. They divided the territory into the regions. Todor Balin acted in the mountains of Nikopol and Balkans. For revolt Peter Jordich prepared Varni, Shumen and Plovdiv and brothers Sorkocheviches – in Tarnovo and Rushuk. The leaders of revolt hoped for Sigizmunda Batori, Prince of Transsylvania and Emperor of Austria Rudolf II, who promised them to support with 6000 soldiers in the revolt.

The reason of revolt became the next success of Michael Khrabri, when he destroyed Ottoman's army and penetrated into the territory of enemy. The revolt started in Tarnovo where approximately 12000 persons united under the flag of rebels and after Tarnovo the revolt was spread in whole territory of Bulgaria. In spite of selfless fighting, Ottomans could suppress the revolt as the emperor of Austria couldn't keep promise and Bulgarians fought with their army only. Defeated leaders were forced to escape to Walachia. In spite of unsuccessfulness Tironov revolt became the first general revolt for Bulgarians which was directed against Ottoman ruling.

Despite treason of west European people, Bulgarians hoped for them as they coincided their second revolt with the second war of Turkey-Austria. It is known as a Vienna Siege in 1683. Turkeys miscarried at first here and it was the basis of fall of the Ottoman Empire. The Europeans inspired with the victory and created the holy union in 1686. The members of the union were Austria, Poland, Russia and other countries. The main goal of the union was to destroy Ottoman Empire. In the same year the next anti Ottoman revolt started by leadership of Strasimorovich. The revolt is known in the history as a second Tironov revolt. The rebels were supported by Russia. But Ottomans were still able to fight and defeat rebels.

Despite Ottomans ruling, Bulgaria still had the Renascence period which started in 1762, when Pais Chilendrak wrote "Slavic and Bulgarian History". The manuscript aroused national feelings in Bulgarian people. He published the book "Nedelnik" in 1806.

The activities of national educators manifested in cultural activities. The establishment of national institutions: the first secular school founded V. Aprilov in Gabrovo, 1835. Release of the first periodicals: "Lyuboslovie", "Bulgarian Eagle" in the 40th year. In 40 - 60 years - the struggle for an independent national church which led to the creation of the Bulgarian Exarchate in 1870.

Financial and cultural growth led to the origination of the national liberation movement. Bulgarian Central Committee appeared in 1866 and the Bulgarian Society was the following in 1868. The beginning of a

national ideology was initiated by G.S. Rakovsky. In 1869 was founded Bulgarian Revolutionary Central Committee ideologised and strategised by Vasil Levski and L. Karavelov. The goal of the committees was to prepare for a coordinated uprising, the peak of which happened to be the “April Uprising in 1876” participated by the country's national revolutionary hero, Christo Botev. The April uprising was a failure as a revolution, but due to publicity that was given to the reprisals that followed, it led directly to European demands for reform of the Ottoman Empire, and the Russo-Turkish War, which ended in Turkish defeat, and the signing of the Treaty of San Stefano in March 1878, followed in July that year by the Treaty of Berlin. It thus ultimately achieved its original purpose, the liberation of Bulgaria from the Ottoman Empire.

The geopolitical interests of Russian Empire were to get the right of going to Mediterranean Sea and to capture Balkan peninsular from Ottomans. Based upon cruelty to Bulgarians and sympathy of rebels of the world countries, the emperor Alexander II signed manifesto on war with Ottomans in Chisinau on April 12, 1877.

Military actions started on two fronts- in Balkan and Caucasus. At the beginning of war Ottoman's army consisted of 450 thousand soldiers, 338 thousand of soldiers were on Balkan front, and 70 thousands- Caucasian front. In April 1877, Russian army swam across the river Prut and penetrated in the territory of Romania. In May-June 1877, after the fights, Russians with Bulgarian soldiers swam across the river Danube. After that, Russian army divided into three parts: General Josef Gourko army should go across Balkan Mountains and place in the back of Ottoman's army in the region of Andrianopole. General Nikolas Krider's army should take in right flank and seize important fortress Plevna. The army of the heir of throne Alexander should take in left flank of Russian army and seize fortress Reschuk. The army of Josef Gourko made a fast attack and captured old capital city of Bulgaria -Tarnovo and began to cross the Balkan Mountains.

On July 17, Gourko attacked from the north with four divisions. The two flank divisions captured mountain positions but the two divisions in the

center were repulsed. On the 18th Gourko attacked from the south. Again the main attack on the pass was repulsed but the Russians carried some of the trenches. Gourko planned a combined attack from the north and the south on the 19th. The next day however the Ottoman forces evacuated the pass and Russia took possession of it.

After taking the pass in July, 1877 the Russian forces built up a defensive position there. Russian General Stoletov placed his 7,500 defenders (5,500 Bulgarians, 2,000 Russians) on three positions at St. Nicholas (today: Peak Stoletov), Central Hill and the reserves in between these two points.

Suleiman Pasha gathered 38,000 Ottomans and was determined to retake the pass instead of simply bypassing it. On August 21, the Ottoman forces bombarded Russian positions and then made an attack against St. Nicholas. The attack was repulsed and the Ottoman forces dug in 100 yards (91 m) away. The next day the Ottoman forces moved their artillery up the mountain side and bombarded the pass while the infantry moved around the Russian flank. On August 23, the Ottoman forces attacked all Russian positions with the main effort again at St. Nicholas where most of the defenders were Bulgarian volunteers. The Ottoman forces thought that the volunteer positions would be easy to capture, but this turned out to be their greatest mistake. Instead, the first unit that began to retreat were the Russians on Central Hill. However, they rallied when the 4th Rifle Brigade arrived and all Ottoman attacks were repulsed. On the 26th, an Ottoman attack on St. Nicholas reached the Russian trenches but was repulsed again by a Bulgarian bayonet charge. More Russian reinforcements arrived and on the 26th, an attack was made against the Ottoman position but driven back to Central Hill. This ended the battle for all practical purposes.

Suleiman Pasha made a second attempt to retake Shipka Pass from the Russians after a failed attempt in August. The Russian defenses had continually been worked on since August but reinforcements were limited due to the siege of Plevna. On September 13, Suleiman began to shell the Russians. The bombardment continued in earnest until the 17th when Suleiman launched a frontal assault against the St. Nicholas position.

Capturing the first line of trenches, the Ottoman forces moved towards the summit. General Fyodor Radetzky, now commanding the defenses, brought up reinforcements and a Russian counterattack drove the Ottoman forces from all captured ground. Secondary Ottoman assaults to the north were repulsed as well. This would be the last attempt the Ottoman forces made to retake Shipka Pass.

General Radezky, commanding the garrison, made preparations to attack from the pass on January 5 while Gourko brought up two columns under Generals Mikhail Skobelev and Nikolai Mirskii to cut off the Ottoman retreat. On January 8, Radezky's attack began but Skobelev was held up by unsuspected heavy resistance and Mirskii attacked unsupported, making little progress. On January 9, Mirskii faced an Ottoman counterattack, but Skobelev was able to move forward in support and defeat the Ottoman forces. Completely surrounded, the remaining Ottoman forces under Veissel Pasha surrendered the same day.

Russian forces under Gourko were able to crush Suleiman's army at the Battle of Philippopolis several days later and threaten Constantinople.

Russians had the same success on Caucasian front and it troubled European countries. They advised sultan and Russian emperor to conclude a treaty. In order to avoid complications with European countries Alexander II agreed to Sultan and on January 19 (31), 1878, they concluded a Preliminary treaty of Russia and Ottoman in Adrianopole. The treaty was renewed on February 19, and Preliminary Treaty of San Stefano was concluded 12km far from Istanbul. Upon the treaty Serbia, Montenegro and Romania received sovereignty; Bulgaria united with Macedonia and made it as an autonomous principality in Ottoman. Ottoman armies shouldn't stay in Bulgaria and fortresses should be destroyed. In spite of the fact that Bulgarians were formally stayed under the ruling of Ottomans until 1908, they got self-government from Ottomans.

After achieving actual independence, on April 16, 1879, the founding meeting of Bulgaria adopted constitution and equality of the peoples was established, separation into titles was abolished, all men of 21 old was given the suffrage, self-government of communities, press freedom,

inviolability of person and property, compulsory free elementary studying and other democratic values were established either.

გიორგი ჭილვარია

ბულგარელი ხალხის ბრძოლა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ რეზიუმე

XIV საუკუნის ბოლოს ბულგარეთი დაიპყრო ოსმალეთის იმპერიამ. თავდაპირველად ის ვასალურ დამოკიდებულებაში იყო, ხოლო 1396 წელს სულთან ბაიაზეთ I ნიკოპოლის ბრძოლაში ჯვაროსნების დამარცხების შემდეგ მოახდინა მისი ანექსია. თურქთა ხუთასწლიანი ბატონობის შედეგად ქვეყნა გაჩანაგდა, განადგურდა ქალაქები, შემცირდა მოსახლეობა.

ბულგარელი ხალხი მრავალწლიან შეუპოვარ ბრძოლებს აწარმოებდა ოსმალეთის იმპერიის წინააღმდეგ, მათგან რამდენიმე აჯანყება საყოველთაოდ ცნობილია: კონსტანტინეს და ფრუფუინას აჯანყება (1408-1413), ტირნოვის პირველი აჯანყება (1598), ტირნოვის მეორე აჯანყება (1686), კარპოშის აჯანყება (1689). ყელა აღნიშნული აჯანყება დამარცხდა.

1860-1870 წნ. კონსტანტინოპოლის პატრიარქისაგან ბულგარეთის ეკლესიის დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის მიმდინარე ბრძოლა წარმატებით დასრულდა. თურქეთის მიერ ეკლესიის დამოუკიდებლობიას აღიარება მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო დამოუკიდებლობისათვის წარმოებულ ბრძოლაში. ვიდრე ბულგარეთის ეროვნული გმირები ქრისტო ბოტოვი, ლიბენ კარაველოვი და ვასილი ლევსკი საიდუმლოდ ამზადებდნენ აჯანყებას, კაპრივშტიცის მცხოვრებლებებმა 1876 წელს დროზე ადრე დაიწყეს აჯანყება. იგი უპრეცედენტო სისასტიკით ჩაახ-

შვეს თურქებმა. პლოვდივში 15 ათასი ბულგარელი დასაჯეს, დაანგრიეს 58 სოფელი.

1877-78 წლების რუსეთ-თურქეთის ომების შედეგად, სან-სტეფანოს საზავო ხელშეკრულებით თურქეთმა ბულგარეთს გადასცა ბალკანეთის ნახევრაკუნძულის 60%.

Гиорги Джиквариа

Борьба болгарского народа против Османской империи

Резюме

В конце XIV века Болгария была завоёвана Османской империей. Сначала она находилась в вассальной зависимости, а в 1396 году султан Баязид I аннексировал её после победы над крестоносцами в битве при Никополе. Результатом пятисотлетнего турецкого ига было полное разорение страны, уничтожение городов, в частности, крепостей, и уменьшение населения. Болгары сопротивлялись и поднимали многочисленные восстания против Османской империи, наиболее известные из которых восстание Константина и Фружина (1408—1413), Первое Тырновское восстание (1598), Второе Тырновское восстание (1686), восстание Карпоша (1689). Все они были подавлены.

В 1860 г. началось движение за независимую от константинопольского патриарха церковь, которое увенчалось успехом через десять лет. Признание Турцией автономности болгарской Церкви явилось важным шагом на пути к независимости. Пока будущие национальные герои Болгарии: Христо Ботев, Любен Каравелов и Василий Левский — в глубокой тайне готовились к освободительной войне, жители Копрившица подняли в апреле 1876 г. преждевременное восстание. Оно было подавлено с

беспрецедентной жестокостью. В Пловдиве было казнено 15 тысяч болгар, а также разрушено 58 деревень.

Такой поворот событий заставил Сербию объявить Турции войну, в которую в апреле 1877 г. вступили на стороне Сербии Россия и Румыния. Решающие сражения состоялись под Плевеном и Шипкой. Россия потеряла в этой войне 200 тысяч человек убитыми и ранеными. Когда русские войска подошли к Стамбулу на 50 км, турки сложили оружие, испугавшись возможности полного разгрома. По подписенному в Сан-Стефано договору Турция отдавала Болгарии 60% Балканского полуострова.

References

1. Svanizde M. _ History of Turkey, Tb. 2007;
2. Ottoman Empire and Central, Western and South-Eastern Countries in XV-XVI Centuries. M. 1984;
3. Goodwin J. - The Rise and Fall of the Ottoman Empire;
4. Shirokorad A.B. - The Rise and Fall of the Ottoman Empire;
5. Russo-Turkish war1877-www.xenophon-mil.org/milhist/modern/russoturk.htm;
6. Budev A - Old engravings: From the Russo-Turkish war 1877-1878, which won.

ირაკლი გორგილაძე

ზოგიერთი მოსაზრება კასპიის ზღვის (ტბის)

სტატუსი ირგვლივ

(პოლიტიკური და სამართლებრივი ასპექტები)

კასპიის რეგიონის უსაზღვრო სიმდიდრე რომ არა, ბუნებრივია არ იქნებოდა განსაკუთრებული პრობლემებიც მისი სტატუსის განსაზღვრების ირგვლივ. სტატუსი - ესაა საზღვარი, რომელიც უზრუნველყოფს გავლენის სფეროთა გადანაწილებას. ნებისმიერი გადანაწილება კი მთავრდება იმით, რომ ვიღაც რჩება გარკვეულწილად მოგებული, ვიღაც წაგებული.

უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს სახელმწიფო თშორის დისკუსია კასპიის ზღვის სტატუსის ირგვლივ, რაც თავისთვად ნაოსნობის, თევზის რენვისა და სხვა ბიორესურსების რაციონალურად გამოყენების საკითხებსაც გულისხმობს.

აუცილებელია ახალი შეთანხმების გაფორმება, რამდენადაც საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის ხელმოწერილი (1921; 1940 წწ.) შეთანხმებანი კასპიის თაობაზე, ძირითადად თევზის რენვის უფლებას ეხებოდა. საერთაშორისო კანონმდებლობის მიხედვით, თუ კასპიის ზღვას მიიჩნევენ ტბად, მაშინ იგი აღიარებულ უნდა იქნას საერთო ტბად და ნებისმიერი დაზვერვითი სამუშაოების ჩატარება მიმდებარე სახელმწიფოებთან წინასწარ შეთანხმებას მოითხოვს. ხოლო თუ კასპიია იწოდება ზღვად მაშინ ის გაყოფილ უნდა იქნას ხუთ მოსაზღვრე (რუსეთი, ირანი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი, თურქეთი) სექტორად და თითოეული მხარე მიიღებს უფლებას თავის ტერიტორიაზე.

რამდენიმე წელია მოსაზღვრე სახელმწიფოები აწარმოებენ მოლაპარაკებებს კასპიის წყალსატევის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით. მოლაპარაკებები სასარგებლო იყო იმით, რომ ცხადი გახდა თითოეული მხარის პოზიცია. გამოიკვეთა პრობლემის სირთულე.

აზრთა სხვადასხვაობაა მინერალური რესურსების მითვი-სება-ათვისების ირგვლივ. არსებობს კონსესუსის ბაზაც, ისეთ სა-კითხებში როგორებიცაა მაგალითად, ნაონსობის უზრუნველყოფა, თევზრეწვა, ზღვის (ტბის) საპაერო აკვატორიის, ბიორესურსების რაციონალური გამოყენება.

ამ საკითხების ირგვლივ კასპიისპირა სახელმწიფოთა უმ-რავლესობას გააჩნიათ კონვენციათა საკუთარი პროექტები, რა თქმა უნდა, წყალსატევის სამართლებრივი სტატუსის განსაზ-ღვრის ჩათვლით. სტატუსის ირგვლივ არსებული დოკუმენტების, პროექტების, ოფიციალური განცხადებების თუ კასპიისპირა სა-ხელმწიფოთა წარმომადგენლების განცხადებათა შეჯამების და ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ აღნიშნულ სა-კითხთან დაკავშირებით არსებობს ორი, კონცეპტუალურად გან-სხვავებული მიდგომა.

ერთი მიიჩნევენ, რომ რაკი საბჭოთა კავშირის დაშლამდე და აქ ახალი სუბიექტების სუვერენიზაციამდე კასპიის ზღვა წარ-მოადგენდა „ერთიანი გამოყენების“ ზღვას, ანუ არსებობდა სსრ-ირანის კონდომინიუმი კასპიაზე - ეს მდგომარეობა უნდა შენარ-ჩუნდეს ახალ სახემწიფოებს შორისაც. მეორენი კი კასპიის ზღვის მიმდებარე სახელმწიფოებს შორის ნებისმიერი ფორმით დელიმი-ტირებას უჭერენ მხარს.

პირველი ვერსიის მომხრენი (რუსეთი და ირანი) ითხოვენ, რომ „ერთიანი გამოყენების რეზუმი“ შენარჩუნებულ იქნას კასპიის ზღვის სამართლებრივი სტატუსის გარკვევამდე. აქედან გამომდი-ნარე, დამოუკიდებლად მინერალური რესუსრსების ათვისება გა-დამუშავება დანაშაულებრივი და არასამართლიანია. ანუ ირლვევა რუსეთ-ირანის კონდომინიუმის რეზუმი.

იმისთვის, რომ ჩავწვდეთ პრობლემის არს, საჭიროა გა-ვერკვეთ კასპიასთან დამოკიდებულების საფუძვლებში. შევეცდე-ბით გავაანალიზოთ ძირითადი საკანონმდებლო დოკუმენტები ირანსა და მეფის რუსეთს შორის, ხოლო შემდგომ ირანსა და სსრკ-ს შორის.

ისტორიული ფაქტები მოწმობენ, რომ XVIII საუკუნის და-საწყისში, რუსეთი სპარსეთს და კასპიის ზღვის სპარსულ ნაწილს განიხილავდა როგორც უცხოურ ტერიტორიას. დაახლოებით 1701 წელს პეტრე დიდმა სპარსეთში გაგზავნა არტემ ვოლინსკი და დაა-ვალა კასპიისპირეთში არსებული დასახლებული პუნქტების, მდი-ნარეების და ა.შ. ალწერა. ამავე პერიოდში კასპიის აღმოსავლეთ სანაპიროზე ჩავიდა რუსული ექსპედიცია, რომელსაც თავადი ბერკოვიჩ-ჩერკასკი ხელმძღვანელობდა. ხელმოწერილ იქნა შე-თანხმებას ვაჭრობის შესახებ, რომელმაც რუს ვაჭრებს სპარსეთ-ში საქონლის შეტანისა და იქ ვაჭრობის უფლება მისცა. ე.ი. რუსე-თი აღიარებდა სპარსეთის უფლებებს კასპიის სანაპიროს ნაწილ-ზე, თუმცა ნებისმიერი ხერხით ცდილობდა აეთვისებინა წყალსა-ტევის ეს ნაწილი (Вышнепольский, 153:936).

1721-22წწ. რუსეთის ჯარები გადავიდნენ კასპიის სპარ-სულ ნაწილში, თითქოსდა ავღანელთა ამბოხის ჩასახშობად. რუსე-თის კონსულმა სპარსეთში სემიონ აბრაამოვმა მიიღო ინსტრუქცი-ები ცენტრიდან - იმ შემთხვევაში დახმარებოდნენ სპარსეთს, თუ იგი დათმობდა კასპიის სანაპიროს განსაზღვრულ ტერიტორიებს (ესეიგი რუსეთი იმ დროისთვის აღიარებდა კასპიის რაიონებზე სპარსეთის უფლებას - ი.გ.).

1723 წლის 23 სექტემბერს, შაჰის ელჩმა პეტერბურგში ის-მაილ ბეიმ ხელი მოაწერა შეთანხმებას რუსეთთან, რომლის თანახ-მად სპარსეთი რუსეთს უთმობდა ქალაქ დერბენტს (დარუბანდს), ბაქოსა და მასთან მიმდებარე ტერიტორიებს. აგრეთვე გილანის, მაზანდარანისა და ასტრაბადის პროვინციებს. თუმცალა შეთან-ხმება არ იქნა რატიფიცირებული სპარსეთის მიერ. 1732 წლის 21 იანვარის შეთანხმების შედეგად რუსეთი იძულებული გახდა დაე-ტოვებინა კასპიის სპარსული პროვინციები (жур. Каспийская флотилия., 2009:42).

ამრიგად მოლაპარაკებები რუსეთსა და სპარსეთს შორის XVIII საუკუნის დასაწყისში ადასტურებს სპარსეთის სუვერენულ უფლებას კასპიის სამხრეთ სანაპიროზე.

XIX საუკუნეში, რუსეთი განაგრძობდა კასპიისპირეთის ტერიტორიების ათვისებას. გულისტანის შეთანხმების (1813წ. ოქტომბერი) V მუხლის თანახმად, რუსეთის სამხედრო ხომალდებს კასპიაში თავისუფალი ნაოსნობის უფლება ეძლეოდათ. ხოლო 1828 წლის 10 თებერვალის თურქმანჩაის შეთანხმებამ რუსეთს კასპიის ზღვაში საკუთარი ხომალდების ყოლის ექსკლუზიური უფლება დაუკანონა (აფთონიჯ, 2006:3).

რუსეთ-ინგლისის კონვენციამ (1907წ. 18/30 აგვისტო) ავღანეთის, სპარსეთისა და ტიბეტის შესახებ, რომლის მიხედვითაც სპარსეთი გაყოფილ იქნა ორ - რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფ ჩრდილოეთის და ინგლისის გავლენის ქვეშ მყოფ სამხრეთის ოლქებად, გაამყარა რუსეთის გავლენა კასპიისპირეთზე, რასაც საფუძველი ზემოხსენებულმა გულისტანისა და თურქმანჩაის ხელშეკრულებებმა დაუდო.

XX საუკუნის დასაწყისში, მდგომარეობა რადიკალურად იცვლება. რუსეთის ახალი, საბჭოთა ხელისუფლებამ 1921 წელს შეთანხმებაგააფორმა სპარსეთთან, რომლის ძირითადი მიზანი კასპიის ზღვაზე ინგლისის უფლებების ამოძირვა იყო. ამ შეთანხმების მიხედვით საბჭოთა რუსეთი უარს აცხადებდა „მეფის რუსეთის კოლონიზაციონული მთავრობის ტირანულ პოლიტიკაზე“. „ყველა შეთანხმებანი და კონვენციები, გაფორმებული სპარსეთსა და მეფის რუსეთს შორის, რომელიც ირანელ ხალხს ულახავდა პატივმოყვარეობასა უფლებებს“ - მისთვის მიუღებლად და იურიდიულად ძალადაკარგულად აღიარა (აფთონიჯ, 2006:5).

თურქმანჩაის შეთანხმება გაუქმდა, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ექნებოდათ თანაბარი უფლებები ნაოსნობაზე. შესაბამისად თოთოვეული მხარის ხომალდებს საკუთარი დროშით ნაოსნობის უფლება მიეცემოდათ. სხვა სახელმწიფოებს ეკრძალებოდათ კასპიის ზღვაში ნაოსნობა - აქ შეეძლოთ ეცურათ გემებს მხოლოდ სპარსეთისა და რუსეთის დროშებით (Вышнепольски, 195:399).

სწორედ ამ შეთანხმებას ეფუძნება მტკიცება იმის შესახებ, რომ კასპი არის რუსეთისა და ირანის ზღვა. ასეთი ფრაზა XX საუკუნის 20-იანი წლებიდან უკვე ოფიციალურ დოკუმენტებშიც ჩნდება. შესაძლებელია მოვიშველიოთ რამდენიმე ნოტა ან ნაოსნობისა და ვაჭრობის შესახებ გაფორმებული კონვენციის (1921) დანართი (#13), რომლის მიზანი იყო უცხოელი მუშებისათვის იქ საქმიანობის აკრძალვა(Тузмұхамедов, 196:30). რეალურად ფრაზა „რუსეთ-ირანის ზღვა“ ერთგვარად აღადგენდა სამართლიანობას ირანთან, რომელიც ნაოსნობის უფლებას დებულობდა. სხვა დატვირთვა ამ ფორმულირებას არ გააჩნდა მით უფრო იგი არ განსაზღვრავდა კასპიის ზღვის სამართლებრივ სტატუსს.

საერთოდ, 1921 წლის შეთანხმებამ უდაოდ გაამყარა ურთიერთობა ირანსა და მის ჩრდილოეთელ მეზობელს შორის. მოგვიანებით (1931წ) შეტანილ ცვლილებებს, რომელმაც ირანი ფორმალურად საზღვაო სახელმწიფოდ აქცია კასპიის სანაპიროზე, პრაქტიკულად არაფერი შეუცვლია. ზღვაზე კვლავ რუსეთი ბატონობდა. უფრო მეტიც, ირანმა უარი თქვა რუსეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ მონათესავე ხალხებთან ძველ ეთნოკულტურულ კავშირებზე. ასეთ ურთიერთობას ბუნებრივია კეთილმეზობლურს ვერ უწოდებ. ირანი იძულებული იყო ბევრი დაეთმო.

მოგვიანებით გაფორმებული შეთანხმებანი რუსეთსა და ირანს შორის ასევე არასახარბიერო იყო ამ უკანასკნელისთვის. ამის დასტურია შეთანხმება ვაჭრობისა და ნაოსნობის შესახებ, რომელსაც ხელი მოეწერა 1940 წლის 25 მარტს თეირანში. შეთანხმების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტის მიხედვით, თითოეულ მხარეს უფლება ეძლეოდა თევზჭერა ენარმობინა საკუთარი სანაპიროებიდან 10 მილის აკვატორიაში. ხოლო 10 მილიანი სასაზღვრო ზოლის მიმდებარე აკვატორია ცხადდებოდა თავისუფალ ზონად (История дипломатии.1964:365).

ამრიგად, გამოირიცხა კონდომინიუმის არსებობა. ეს იმიტომ, რომ ზღვის აკვატორია იყოფოდა ორ არათანაბარ სექტორად. 1970 წლის სსრკ ნავთობმრეწველობის სამინისტროს ინიცია-

ტივით კასპიის ზღვის საბჭოური ნაწილი განაწილებულ იქნა ზღვასთან მიმდებარე სახელმწიფოებს შორის, მაგრამ მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით - სამინისტროს რესპუბლიკურ სტრუქტურათა სამუშაოების კარგად ორგანიზებისთვის. საკუთრების უფლება არ იყო გათვალისწინებული. (სსრკ ტერიტორიული წყლები ითვლებოდა საერთო საკავშიროდ, ხოლო კასპიის ზღვა, ფორმალურად ითვლებოდა საერთო ზღვად საბჭოთა კავშირსა და ირანს შორის).

ზოგიერთი მოსაზრებით, რადგან ეს დაყოფა წარმოებდა ადმინისტრაციულ გადაწყვეტილებათა საფუძველზე, არ შეიძლება განიხილებოდეს როგორც საერთაშორისო-სამართლებრივი შედეგის მქონე აქტი, თუმცადა უნდა აღინიშნოს, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში მოკავშირე სახელმწიფოებს შორის არ არსებობდა სახელმწიფო საზღვრები საერთაშორისო სამართლებრივი გაგებით. საზღვრები ატარებდნენ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ხასიათს და შედევად, სსრ კავშირის დაშლის შემდეგ ურთიერთ აღიარებულ იქნენ ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების მიერ, როგორც სახელმწიფოთშორისი საზღვრები. ამრიგად არანაირი საფუძველი არ არსებობს გამონაკლისი გაკეთდეს კასპიის შემთხვევაში, რომელიც ასევე დაყოფილი იყო ნაციონალურ სექტორებად საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

რაც შეეხება საკუთრივ წყალსატევის სტატუსს, კასპიის პრობლემის ირგვლივ არსებულ ისედაც მწირ ლიტერატურაში მოცემულია სხვადასხვაგვარი განსაზღვრება - „ზღვა-ტბა“ (Конвенция ООН по морскому праву 1997:127). ის მოცულობით ზღვასავეთ დიდია, მაგრამ გარშემორტყმულია ხმელეთით როგორც ტბა. დამოკიდებულების სხვადასხვაობის შედეგია სტატუსის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციაც. თუკი ზღვაა, მაშინ მისაღებია საერთაშორისო საზღვაო ნორმები, რომელიც მის სექტორებად დაყოფას ითვალისწინებს. თუკი ტბა მაშინ ის საერთო სარგებლობაში უნდა მოექცეს.

ესეიგი, არსებობს ორი არსებითად განსხვავებული მიდგომა, შესაბამისად, ორი პოზიცია კასპიის მოსაზღვრე და არამხოლოდ კასპიისპირა სახელმწიფოებს შორის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Афтониж А. Некоторые историко-правовые вопросы России в начале XIX в. М.,2003

Вышнепольский С. Мировые морские пути и судоходство. Очерки. М.,1953

История дипломатии ТIII. М., 1964

Конвенция ООН по морскому праву 1997 г.

Конвенция ООН по Континентальному шельфу 1958

Ж. Каспийская флотилия. Комментарии к заметкам. 2009

Тузмухамедов Р. Советско-иранские отношения (1917-1921).
М.,1960

Irakli Gorgiladze

Political and legal aspects of the Caspian Sea

Summary

The problem of the political and legal status of the Caspian Sea in the modern sense arose after the "Persian March" Peter I (1722 1723gg) and the Russian-Persian wars (1804-1813, 1826-1828). the ensuing wars Petersburg (1723), Rasht (1729), Gulistan (1813) and Turkmenchay (1828) treatises provide the exclusive right to have a Russian navy in the Caspian Sea. Persia has retained the right only to commercial shipping. This means total submission to the jurisdiction of the Russian Caspian Sea, or, in other words, the Caspian Sea is an internal water body Russia.

Soviet Russia has refused monopoly rights to the Caspian Sea and the Soviet-Iranian agreement 1921.1935 and 1940. granted exclusive rights to the equal implementation of maritime activities of the USSR and Iran.

Иракли Горгиладзе

Политико-правовые аспекты Каспийского моря

Резюме

Проблема политico-правового статуса Каспийского моря в современном понимании возникло после «Персидского похода» Петра I (1722-1723гг) и русско-персидских войн (1804-1813; 1826-1828 годы).последовавшие за этим войнами Петербургский (1723), Рештский (1729), Гюлистанский (1813) и Туркманчайский (1828) трактаты предоставляли России исключительное право иметь военный флот на Каспийском море. Персия сохраняло право только на торговое судоходство. Это означало полное подчинение Каспийского моря российской юрисдикции или, иначе говоря, Каспий являлся внутренним водоемом России.

Советская Россия отказалась от монопольных прав на Каспий и советско-иранские договора 1921,1935 и 1940 гг. предоставляли равные исключительные права на осуществление морской деятельности СССР и Ирану.

ნატალია ლაზბა

კოლეგიური პრიზისი და კონფესიონალიზმის საკითხები მახლობელ აღმოსავლეთში (ლიბანის მაგალითზე)

ლიბანი მდებარეობს რა ცივილიზაციებისა და კულტურების გზაჯვარედინზე, ხშირად ექვევა მწვავე საერთაშორისო და რეგიონალურ უთანხმოებათა ცენტრში, რასაც, როგორც წესი, შორს მიმავალი შედეგები მოჰყვება ხოლმე არა მარტო ლიბანისთვის, არამედ მთლიანად ახლო აღმოსავლეთის ხალხებისათვის. სხვადასხვა ძალების, ფაქტორთა ურთიერთქმედება და, აგრეთვე მათი იდეოლოგიებისა და ინტერესთა გადახლართვა და შეჯახება პოლიტიკურ არენაზე პერმანენტულ კონფლიქტურ ვითარებას ქმნის ლიბანის გარშემო (1. 2007, c. 15).

ლიბანში, სადაც მრავალი რელიგიური ინსტიტუტები, პარტიები და ორგანიზაციები არსებობენ, ურთიერთ და შიდაკონფესიური უთანხმოებები პოლიტიკური კრიზისის შიდა მიზეზად იქცა. დასავლეთის ძალები აშშ-ის მეთაურობით და რეგიონალური ძალები, ირანისა და სირიის მეთაურობით, სხვადასხვაგვარ ზეგავლენას ახდენენ ლიბანზე, რაც კიდევ უფრო ართულებს ქვეყანაში არსებულ სიტუაციას. მგვარი სიტუაციის ერთ-ერთ მიზეზს მრავალფეროვანი კონფესიონალური შემადგენლობა და ლიბანური საზოგადოების კლანურობა წარმოადგენს. დღეისათვის ლიბანში ყველაზრ მრავალრიცხოვან კონფესიად მუსლიმი-შიიტები ითვლებიან (სხვადასხვა მონაცემებით, 40%-მდე), მეორე ადგილზე – მუსლიმი-სუნიტები არიან (25%-ის ფარგლედში), ქრისტიანი-მარონიტები (20,5%). მათ მნიშვნელოვნად ჩამორჩება ბერძენი-მართლმადიდებელი ქრისტიანები (10%), დღუზები (5%-ზე ოდნავ მეტი), ბერძენი-კათოლიკე ქრისტიანები (დაახლოებით 4,5%) მოდიან.

ლიბანის კონსტიტუციისა და მისი სახელმწიფოებრივი წყობის მიხედვით მაღალი თანამდებობები – ქვეყნის პრეზიდენტი, შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი, ცენტრალუ-

რი ბანების თავჯდომარე – მუდმივად ქრისტიან-მარონიტებს ეკუთვნით, პრემიერ-მინისტრისა და პარლამენტის სპიკერის თანამდებობები კი მუსლიმ-სუნიტებსა და მუსლიმ-შიიტებს

ასეთი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა საკმაოდ კარგად ასახავს ეთნოკონფესიურ შემადგენლობას და მათ პოზიციებს თანამედროვე ეტაპზე. თუმცა, დროთა განმავლობაში მუსლიმი მოსახლეობა ზრდის კავლობაზე დრის წესრიგში დადგა ჩამოყალიბებული სახელმწიფოებრივი სტრუქტურის შეცვლის აუცილებლობა. ეს ბევრად განაპირობებს ამჟამინდენდელ კნიფლიქტსაც, თუმცა იგი, ძირითადად, პოლიტიკურ ხასიათს ატარებს (6:<http://www.otechestvo.org>).

ლიბანის თითქმის ყველა ეთნოკონფესიური ჯგუფი ოჯახური კლანების მიერ იმართება. კედრის ქვეყნის პოლიტიკა კი კლანურობის უმაღლესი ხარისხიც კი ახასიათებს. პოლიტიკურ დინასტიათა ისეთი სიმრავლე, როგორიც ლიბანშია, არ არსებობს მსოფლიოს არცერთ ქვეყანაში. მაგალითად, ხელმძღვანელ როლებზე მარონიტების თემში, უმაიელების გარდა სხვა ოჯახებიც აცხადებენ პრეტენზიას, როგორებიცაა ფრანგიერი, შამუნები და უაუა. მარონიტების კლანური ბელადები მჭიდრო კავშირში იმყოფებიან აშშ-ის და საფრანგეთთან, თუმცა ფრანგიერს ოჯახი, მაგალითად, დამასკოს ტრადიციულ მოკავშირეს წარმოადგენს.

რაც შეეხება სუნიტებს, იქაც არ არის ერთიანობა. თუ ხარისხების ოჯახი მმართველი კოალიციაში შედის, მაშინ კარამეს კლანი ოპოზიციაში იმყოფება. იგივე სიტუაციაა დრუზებშიც, რომელთა ლიდერმა ვალიდ ჯუმბულატმა გაიარა გზა სირიის აქტიურ მომხრედან და უმაიელების კლანის ძირითადი მონინაალმდეგიდან დამასკოს შეურიგებელ მონინაალმდეგემდე და მარონიტული თემის ანტისირიულად განწყობილი წანილის მოკავშირემდე.

ლიბანურ კლანებს შორის არსებული წინაალმდეგობა და მტრობა ევროპაშიც კი იჩენს თავს, სადაც დროდადრო მასობრივი შეტაკებები ხდება ლიბანური დაჯგუფებებისა და ცალკეული ოჯახების წარმომადგენლებს შორის.

ამ თვალსაზრისით ტრადიციულად შიიტები ითვლებოდნენ ლიბანში ერთადერთ თემად, რომელსაც კლანები არ აკონტროლებდენ (თუმცა, გავლენიანი ოჯახები მათ შორისაც არიან). ხოლო თუ გავიხსენებთ, რომ შიიტების ნილი ლიბანის მოსახლეობაში დაახლოებით 40% ზე მეტი შეადგენს, ცხადია, რომ მათი როლი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში არსებითაა (7: <http://www.utro.ru/articles/2006/12/14/609991.shtml>).

კონფესიონალურ უმცირესობებს შორის მუდმივად მიმდინარეობს მეაცრი კონკურენცია, პოლიტიკური ზეგავლენის დასამყარებლად და სახელმწიფოებრივი რესურსების მოსაპოვებლად. დღეისათვის ლიბანის პოლიტიკურ არენაზე წამყვანი როლი სამ კონფესიას უჭირავს. ესაა მარონიტები, რომლებიც XX საუკუნის შუა ხანებამდე ლიბანის უმსხვილეს კონფესიას წარმოადგენდნენ, რომელსაც მონინავე ადგილი ეჭირა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში (ამას ხელს უწყობდა დასავლეთის, კერძოდ კი საფრანგეთის მხარდაჭერა) (Жур., «Власть», № 47(701), 27.11.2006, с. 13).

თუმცა უკანასკნელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში სიტუაცია შეიცვალა: ბუნებრივი ნამატის შედარებით დაბალი მაჩვენებლებისა და ქრისტიანი მოსახლეობის მიგრაციის მაღალი დონის გამო მარონიტებმა დაკარგეს თავისი რაოდენობრივი უპირატესობა, ხოლო 1975-1990 წწ. ომის შემდეგ თემი გაიყო და არსებითად დასუსტდა პოლიტიკური თვალსაზრისით.

სამოქალაქო ომის შემდეგ (1975-1990წწ) ლიბანში შეიცვალა მუსლიმი შიიტების მდგომარეობა. შამოქალაქო დაპირისპირებამდე ისინი არ თამაშობდნენ მნიშვნელოვან როლს ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ნაკლებად უზრუნველყოფილ და განათლებულ კონფესიას წარმოადგენდნენ. ლიბანის შიიტები სწრაფად სწრაფად დანინაურდნენ საზოგადოებრივი მდგომარეობის თვალსაზრისით. მათ ანგარიშს უწევდნენ ისეთი ტრადიციულად პრივილეგირებული თემები, როგორებიცა მარონიტები სუნიტები და დრუზები. ეს შესაძლებელი გახდა შიიტური სულის უეცარი გამოვლენის შედეგად, რომელიც ხანგრძლივი დროის მანძილზე შეუმჩნეველი იყო. შიიტებმა მუდამ, დისკრიმინირებულმა მარგინალურმა თემმა განსაკუთრებით გამძლე

და თავგანწირული ბრძოლების წარმოება შეძლო საერთო არა-ბული საქმისთვის – იმპერიალისტებისა და სიონისტების წინა-აღმდეგ (ასე ესმოდათ არაბ ნაციონალისტებს) (Г.И.Мирский, (<http://www.nationalsecurity.ru-/library/00067/00067-shiiti001.htm>). 1990 წლის შემდეგ შიიტები ლიბანის ყველაზე მრავალრიცხოვანი კონფესიური რესპუბლიკის ძლიერ სამხედრო ძალად იქცნენ, შექმნეს რა ორგანიზაცია ჰესბოლახი. 1992 წლიდან „ჰესბოლა-ხის“ ლიდერის შეის აპას მუსავის მკვლელობის შემდეგ ორაგა-ნიზაციას სათავეში ხასან ნასრალა ჩაუდგა. მისი ხელმძღვანე-ლობით „ჰესბოლახი“ სამხედრო ფრთის მქონე საზოგადოებრივ პოლიტიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა და დრესდლეისობით მას 14 დეპუტატი ყავს ლიბანის პარლამენტში და ორი მინის-ტრი მთავრობაში. მოძრაობას ერთ მილიონზე მეტი შიიტის მხარდაჭერა გააჩნია და თანაც თავის ზეგავლენასაც ზრდის ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე, როგორც ჰამასი პალესტი-ნაში.

ლიბანის მესამე, მსხვილ თემს სუნიტი-მუსლიმები წარ-მოადგენენ. ლიბანის ისტორიის მანძილზე მათი პოლიტიკური და ეკონომიკური მოღვაწეობა საკმაოდ წარმატებულად ვითარ-დებოდა. ეროვნული შეთანხმების შესაბამისად, თემებს შორის ჯენტლმენური ხელშეკრულებით, ლიბანელი მუსლიმი-სუნიტები სათავეში უდგანან ლიბანის მინისტრთა კაპინეტს. სამოქალა-ქო ომის შემდეგ გავლენიანი არაბული ქვეყნების, განსაკუთრე-ბით კი, საუდის არაბეთის მხარდაჭერით სუნიტებმა სერიოზუ-ლი კონკურენცია გაუწიეს დასუსტებულ მარონიტულ თემს.

მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლიბანური საზოგადოების კონფესიური მრავალფეროვნება არ წარმოადგენს ლიბანის ში-და და მის გარშემო არსებულ წინააღმდეგობათა ძირითად მი-ზეზს. ერთ-ერთ არსებით ფაქტორს, რომელიც ლიბანში პოლი-ტიკური კრიზისის გაღრმავების მიზეზი გახდა, ისრაელის აგ-რესია წარმოადგენდა – საზოგადოებაში შიდა პროცესების კა-ტალიზატორი. ის უშუალოდ, ლიბანს არ შეხებია, მაგრამ მის-თვის შორს მიმავალი შედეგები ჰქონდა. ლიბანი მრავალი წლის განმავლობაში გახდა დასავლეთის, ისრაელის, ადგილობ-რივი რეაქციის არაბულ განმათავისუფლებელ მოძრაობასთან

გამძვინვარებული პოლიტიკური და სამხედრო წინააღმდეგობების არენა (Комсомольская правда, 22.03.2006). თუმცა, ეს ბრძოლა სცილდებოდა მხოლოდ ლიბანის პრობლემებს, საზოგადოებაში დაგროვილმა სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ეთნო-კუნფესიონალური ხასიათის ღრმა შიდა წინააღმდეგობებმა ლიბანში არსებულ კონფრონტაციას განსაკუთრებით დამანგრევები ძალა მიანიჭეს.

ლიბანში არანაკლებ მნიშვნელოვან პრობლემად პალესტინის საკითხი რჩება. პალესტინელი ლტოლვილები მოწყვეტილი არიან თავიანთ სამშობლოს და თანაც ლიბანურ საზოგადოებაში ინტეგრირების შესაძლებლობა არა აქვთ. ამის შედეგად, ახალგაზრდა პალესტინელები და მათთან ერთად მათი თანაგრძნობი სუნიტური და შიიტური დარიბი ფენა წარმოადგენენ კადრების მომწიფებლებს მრავალრიცხოვანი ისლამური დაჯგუფებებისათვის, რომლებიც მათ გასამრჯელოს გარდა, კონკრეტულ იდეოლოგიურ ორიენტირებასაც აძლევენ. ამგვარად, პალესტინის საკითხი და შიდა ძალების ბრძოლა მის გარშემო მრავალი წლის მანძილზე ლიბანური პოლიტიკური არენის ცენტრში აღმოჩნდა.

ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესობისა და ისრაელის მხრიდან მუდმივი ჩარევის შედეგად წარმოქმნილი სოციალური დაძაბულობის ზრდა, რომელსაც თან სდევდა პერმანენტური პოლიტიკური კრიზისი, დაემთხვა პალესტინური საკითხის გარშემო არსებულ პოლიტიკურ წინააღმდეგობას. ლიბანი ფაქტიურად ორ ბანაკად გაიყო. ქრისტიანული თემის მნიშვნელოვანი ნაწილი პალესტინურ მოძრაობას აღიქვამდა როგორც ფაქტორს რომელიც დესტაბილიზაციას იწვევდა ლიბანში. ისრაელის წარმატება ომში ქრისტიანებისათვის, რომლებიც ისტორიულად დასავლეთზე იყვენენ ორიენტირებულნი და რომლებსაც არაბული ბრძოლებიდან განდგომა სურდათ სირიასა და ეგვიპტეში არსებული რეჟიმების სისუსტის მაჩვენებელი გახდა (A. M. Родригес, 2001, с.132).

ლიბანის გარშემო არსებული წინააღმდეგობები (შიდა-პოლიტიკური ძალაუფლებისათვის კონფესიებს შორის ბრძოლა, პალისტინის საკითხი, ისრაელის აგრესია, ურთიერთობის დარე-

გულიორება სირიასთან და ა.შ.) სხვადასხვა რელიგიური თემები-სა და მათი ახლო აღმოსავლელი თუ შიდა რეგიონალური მფარველობის ინტერესებს ეხებიან და, შედეგად კარგად გამო-სატული ურთიერთკონფესიურ ხასიათს იძენენ.

გამოყენებული ლიტერატურა:

Журнал "Международная жизнь", № 10, М., 2007.

Журнал «Власть» № 47(701) от 27.11.2006.

Газета «Комсомольская правда», 22. 03. 2006.

Новейшая история стран Азии и Африки. XX век. Часть 3.
1945-2000. М., 2001 г. Под ред. А. М. Родригеса.

<http://www.otechestvo.org.ua/main/20087/0444.htm>

<http://www.utro.ru/articles/2006/12/14/609991.shtml>

<http://www.nationalsecurity.ru/library/00067/00067shiiti001.htm>

აზიისა და აფრიკის ქვეყნების ისტორიის საკითხე-ბი. თბ., 1993.

Лазба Наталья

**Вопросы конфессионализма и политических кризисов на
Ближнем востоке (на примере Ливана)**

Резюме

Ливан, находясь на перекрестке цивилизаций и культур, регулярно оказывается в центре острых международных и региональных противоречий, которые, как правило, имеют далеко идущие последствия не только для его народа, но и для всего Ближнего и Среднего Востока. Подобное взаимодействие различных сил и факторов, а также переплетение и столкновение их идеологий и интересов на ливанской политической арене создает перманентную конфликтопасную обстановку вокруг Ливана

Natalia Lazba

**The Questions of Confessionalism and Political
Crises in the Middle East**

Summary

Lebanon situated at the crossroads of civilizations and cultures regularly is found at the centre of critical international and regional conflicts which usually have far-reaching consequences not only for this people but for the Near and Middle East. This kind of interaction of different factors also collision of their ideologies and interests on the political arena in Lebanon creates permanent conflict situation around the country.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური პონცოფიის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები

რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები და მიმართულებები ასახულია რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში. ის წარმოადგენს შეხედულებათა სისტემას რუსეთის საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსა და შინაარსზე. მის სამართლებრივი ბაზას წარმოადგენს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუცია, ფედერალური კანონები და სხვა ნორმატიულ - სამართლებრივი აქტები.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის შესავალში აღნიშნულია, რომ იგი უმთავრეს ყურადღებას ამახვილებს საერთაშორისო წესრიგის კოლექტიურ საფუძველზე, მრვალპოლარულ მსოფლიოს ფორმირებაზე, საერთაშორისო არენაზე წარმოქმნილი პრობლემების საერთაშორისო სამართლის გზით, გაეროს წესდებით გადაჭრაზე. კონცეფციაში ასევე ყურადღება გამახვილებულია გლობალური პრობლემების გადაჭრაში რუსეთის პრიორიტეტებზე, რეგიონალურ პრიორიტეტებზე, რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკის ფორმირებასა და რეალიზაციაზე.

კონცეფციის თანახმად მსხვილ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებებს უკვე აღარ შეუძლიათ ამომწურავად უპასუხონ თანამედროვე გამოწვევებსა და საკითხებს, რომლებიც მრავლმხრივია. საერთაშორისო პრობლემების გადაჭრის საკითხში ბლოკურ მიდგომას ცვლის ქსელური დიპლომატია, რომელიც ეყრდნობა მრავალფეროვანი სტრუქტურების მონაბილეობის მოქნილ ფორმებს ყველაზე რთული ამოცანების გადაჭრის საქმეში.

მთავარი ფაქტორი, რითაც დღეს რუსეთი გავლენას ახდენს საერთაშორისო პოლიტიკაზე სამხედრო სიძლიერესთან ერთად, ესაა ეკონომიკური, მეცნიერულ-ტექნიკური, ეკოლოგიური, დემოგრაფიული და ინფორმაციული სფერო.

საერთაშორისო პრობლემებისა და კრიზისული სიტუაციების მრავალფეროვნება და სირთულე რუსეთის ფედერაციას კარნახობს მათ

შეფასებასა და პრიორიტეტების გამოყოფას. პოლიტიკურ-დიპლომატიური, სამართლებრივი, სამხედრო, ეკონომიკური, ფინანსური და სხვა ინსტრუმენტების გამოყენება საგარეო პოლიტიკური ამოცანების გადასაჭრელად გულისხმობს შეთავსებას მათ რეალურ მნიშვნელობასთან, რაც უზრუნველყოფს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ ინტერესებს, ხელისუფლების ყველა შტოსთან კოორდინირებული და ეფექტური მუშაობის მეშვეობით.

რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის თანახმად რუსეთის ფედერაცია დაინტერესებულია საერთაშორისო ურთიერთობების სისტემის სტაბილურობით, რომელიც დაფუძნებული იქნება თანასწორუფლებიანობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთსარგებლიანობის საერთაშორისო სამართლის პრინციპებზე. ასეთი სისტემა უზრუნველყოფს მსოფლიო თანამეობრობის თითოეული წევრის საიმედო და თანაბარ უსაფრთხოებას პოლიტიკურ, სამხედრო, ეკონომიკურ, ინფორმაციულ, ჰუმანისტიკურ და სხვა სფეროებში. მისი მთავარი ინსტრუმენტი - მრავალმხრივი დიპლომატია.

კონცეფციის თანახმად მსოფლიო პოლიტიკის კოორდინაციისა და საერთაშორისო ურთიერთობების რეგულირების ცენტრად უნდა დარჩეს გაერო, რომელმაც დაამტკიცა თავისი უალტერნატივობა და გამოირჩევა უნიკალური ლეგიტიმურობით. რუსეთი მხარს უჭერს მისი ცენტრალური და მაკოორდინირებული როლის ზრდას. ეს გულისხმობს იმ მიზნებისა და პრინციპების უპირობო დაცვას, რომელიც მოცვემულია გაეროს წესდებაში; ასევე ეთანხმება გაეროს რაციონალურ რეფორმირებას მსოფლიოში ცვალებადი პოლიტიკური და ეკონომიკური რეალიების ფონზე.

რუსეთი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს მსოფლიოს განვითარების მართვის ამაღლებას, თვითრეგულირებადი საერთაშორისო სისტემის შექმნას, რაც მოითხოვს მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოთა კოლექტიურ ლიდერობას. ეს სახელმწიფოები, ერ-

თმანეთთან ინდა იმყოფებოდნენ გეოგრაფიულ და ცივილიზაციურ წარმომადგენლობით ურთიერთობაში და სრულ პატივისცემას გამოხატავდნენ გაეროს მაკონდინირებელი როლის მიმართ.

განსაკუთრებით საყურადღებოა საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემის რუსული ხედვა, რომელსაც ვრცელი ადგილი უჭირავს რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში. მასში აღნიშნულია, რომ რუსეთის ფედერაცია თანმიმდევრულად გამოდის საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის როლის შემცირების, ასევე სტრატეგიული და რეგიონალური სტაბილურობის მომხრედ. ამ მიმართულებით რუსეთი დგამს შემდეგ ნაბიჯებს: ურყევად იცავს თავის საერთაშორისო ვალდებულებებსა და საერთაშორისო შეთანხმებებს მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ, ამყარებს კონტროლს შეიარაღებასა და განიარაღებაზე, ასევე იღებს ზომებს სამხედრო სფეროში ნდობის გასამყარებლად; მონაწილეობს ამ სფეროში ახალი შეხედულებების მომზადებასა და გაფორმებაში, რომელიც პასუხობს თანასწორობასა და უსაფრთხოების განუყოფლობაზე დაფუძნებულ ნაციონალურ ინტერესებს. ადასტურებს ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის კურსის მიმართ უცვლელობას, ერთგულების მრავალმხრივი ურთიერთობების საფუძველზე, ასევე მასობრივი განადგურების იარაღის სხვა ტიპების და მისი შექენის მიმართ, გამოდის ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის ხელშეკრულების დაცვის მომხრედ, იცავს კონვენციას ბაქტერიოლოგიური, (ბიოლოგიური) და ტრესიკური იარაღის გადამუშავებასა და წარმოებისა და აკრძალვის შესახებ კონვენციის, ასევე ქიმიური იარაღის წარმოებისა და გამოყენების აკრძალვის კონვენციას, აქტიურად მონაწილეობს ორმაგი დანიშნულების ტექნოლოგიებზე და მასალების ტვირთბრუნვაზე საერთაშორისო კონტროლის დაწესებაში, დაინტერესებულია, რაც შეიძლება სწარაფოდ შევიდეს ძალაში ყოვლისმომცველი შეთანხმება ბირთვული გამოცდების აკრძალვის შესახებ. ასევე გამოდის სარაკეტო სისტემების გაუვრცელებლობის იურიდიულად უზრუნველყოფილი გლობალური რეჟიმის დაწესების მომხრედ.

კონცეფციაში განსაკუთრებულ ყურადღება დათმობილი აქვს ბირთვულ სახელმწიფოებთან დიალოგს შეტევითი სტრატეგიული შეიარაღების შემცირების მიზნით (კონტინენტთაშორისი ბალისტიკური რაკეტები, ბალისტიკური რაკეტები წყალქვეშა ნავებზე და მძიმე ბომბდამშენებზე) მინიმალურ დონეზე, ისინი მხოლოდ იმ ზომით უნდა იყოს შენარჩუნებული, რაც საჭიროა სტრატეგიული სტაბილურობისათვის, გამოდის კოსმოსში იარაღის დაუშვებლობის, კოლექტიკური რეაგირების სისტემის მომხრედ თანასწორუფლებიან საფუძველზე შესაძლებელი სარაკეტო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად, რომელიც გამორიცხავს ცალმხრივ ქმედებას სტრატეგიულ რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სფეროში, რომელმაც საერთაშორისო ურთიერთობებში დესტაბილიზაცია შეიძლება გამოიწვიოს.

რუსეთის ფედერაცია თვლის, რომ თანამედროვე განვითარების ფუნდამენტურ ტენდენციებს, მრავალპოლარულობის, რისკებისა და საფრთხეების დივერსიფიკაციის ჩათვლით მივყავართ დასკვნამდე, რომ სტრატეგიული სტაბილურობის პრობლემის გადაწყვეტა შეუძლებელია იყოს მხოლოდ რუსეთის ფედერაციისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის სფერო. ობიექტურად მოდის დრო, როცა აუცილებელია მსგავსი საკითხების გადაჭრა სხვა ბირთვულ სახელმწიფოებთან ერთად. სწორედ ამაშია სრატეგიული გახსნილობის აზრი, რომელიც მოცემულია რუსეთის ინიციატივების საფუძვლებში, კერძოდ ევროპაში სარაკეტო საფრთხეების თავიდან ასაცილებლად კოლექტიკური ძალისხმევის რეალიზაციაში და საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის 1987 წ. დადებული ხელშეკრულებისათვის გლობალი ხასიათის მიცემაში, რომელიც გულისხმობდა მცირე და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციას.

რუსეთის საგარეო პოლიტიკურ კონცეფციაში ხაზგასმულია, რომ რუსეთის ფედერაცია ამერიკის შეერთებულ შტატებთან აგებს ორმხრივ ურთიერთობებს არა მარტო ურთიერთსასარგებლო სავაჭრო-ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, კულტურუ-

ლი და ა.შ., არამედ, გლობალურ სტრატეგიული და საერთაშორისო სტაბილურობის კუთხით. რუსეთი დაინტერესებულია არსებული გაფანტული ინფრასტრუქტურის ეფექტური გამოყენებით საგარეო პოლიტიკური პრობლემების, უსაფრთხოებისა და სტრატეგიული სტაბილურობის ჩათვლით, რომელიც საშუალებას მისცემს ორივე სახელმწიფოს ურთიერთმისალები გადაწყვეტილებებისა და თანმხვედრი ინტერესების რეალიზაციის გზაზე. ამისათვის აუცილებელია რუსეთ-ამერიკის ურთიერთობების გადატანა სტრატეგიული პარტნიორობის რეზიმში, ორივე სახელმწიფომ უნდა გადალახოს წარსულის სტრატეგიული პრინციპების ბარიერები და გაერთიანდეს რეალური საფრთხეების წინააღმდეგ. იქ კი, სადაც რუსეთსა და აშშ-ს შორის რჩება აზრთა და ინტერესთა სხვადასხვაობა, მუშაობა უნდა წარიმართოს ურთიერთპატივისცემის სულისკვეთებით.

რუსეთი თანმიმდევრულად გამოდის აშშ-სთან განიარაღების საკითხესა და შეიარაღების კონტროლზე ახალი ხელშეკრულებების გაფორმების, კოსმოსური და რაკეტსანიააღმდეგო სფეროში ნდობის გამყარების მომხრედ.

რუსეთი დაინტერესებულია, რომ აშშ-ს ქმედება მსოფლიო არენაზე შეესაბამებოდეს საერთაშორისო სამართლის და ასევე გაეროს პრინციპებსა და ნორმებს.

რუსეთის ფედერაციის გრძელვადიანი ინტერესები ამერიკის მიმართ ეყრდნობა სოლიდურ ეკონომიკურ ფუნდამენტს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს უთანხმოებათა მოგვარება კულტურითა და პრაგმატიზმით, ინტერესთა ბალანსით, ურთიერთპატივისცემით, რაც საფუძვლად დაედება რუსეთ ამერიკის ურთიერთობებში სტაბილურობასა და პროგნოზირებულობას.

ამრიგად, რუსეთის საგარეო პოლიტიკური კონცეფციის ყურადღების არეალში მოქცეულია საერთაშორისო წესრიგის, კოლექტიურ უსაფრთხოების, გლობალური პრობლემების, ახალი გამოწვევების, საგარეო პოლიტიკაში რუსეთის პრიორიტეტების,

პარტნიორებთან თანამშრომლობის, საგარეო პოლიტიკის რეალიზაციის და ა.შ. ცალკეული ასპექტები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Концепция внешней политики Российской Федерации, М., 2011;
2. Conception of the foreign Policy of the USA, Woshington, 2011;
3. ნატო ღუდუშაური, რუსეთის პოლიტიკური ანატომია, თბ., 2010;
4. ზურაბ კვეტენაძე, რუსეთი ახალი მსოფლიო წესრიგის გზაზე, ჟრნ. „საისტორიო ვერტიკალები“ #16. თბ., 2009;
5. ზურაბ კვეტენაძე, რუსეთის დიპლომატია და ნატოს აღმოსავლეთით გაფართოების საკითხი, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“, #2(6) თბ., 2009;
6. ზურაბ კვეტენაძე, რუსეთის როლი და ადგილი გლობალურ პოლიტიკაში, კრებული „ახალი და უახლესი ისტორიის საკითხები“,
7. Бачинин В. Национальная идея для России: выбор между византизмом, евангелизмом и секуляризмом. "Вестник Европы", №2 - 2001 Материал предоставлен <http://www.politnauka.org>;
8. Ланцова С.А., Мировая политика и международные отношения под. ред. Ачкасова В.А;

Gela Iremadze

The main principles and directions of the concept of the Russian foreign policy

Summary

The concept of the Russian foreign policy gives the main principles and orientations of the country's foreign policy. This is a system of visions about the main orientations and content of the Russian foreign policy. Its

juridical basis is the Russian constitution, federal laws and other normative acts.

In the Russian foreign policy concept attention is given to such aspects as international order, collective security, global problems, new challenges, priority areas in Russian foreign policy, cooperation with partners, realization of foreign policy and so on.

Гела Иремадзе

**Основные принципы и направления политической
концепции внешней политики России**

Резюме

Во внешней политической концепции Российской Федерации отражены основные принципы и направления внешней политики страны. Она представляет систему взглядов на основное содержание и направление внешней политики России. Ее правовую базу представляет Конституция Российской Федерации, Федеральные законы и другие нормативно-правовые акты.

В ареал внимания внешней политической концепции входят отдельные аспекты международного порядка, коллективная безопасность, глобальные проблемы, новые вызовы, российские приоритеты во внешней политике, сотрудничество с партнерами, реализация внешней политики и т.д.

ირაკლი მანველიძე ნატალია ლაზბა

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის სამოქალაქო ასაკი

ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის საერთო პოლიტიკაში (უთსპ) მნიშვნელოვანია არა მარტო სამხედრო, არამედ სამოქალაქო ასპექტებიც. აღნიშნულ საკითხებზე, ჯერ 1999 წლის დეკემბერში, ჰელსინკის ევროპულ საბჭოზე მიიღეს გადაწყვეტილება სამოქალაქო ასპექტების განვითარების შესახებ, ხოლო მოგვიანებით, სანტა მარია დე ფეირას ევროპულ საბჭოზე კი წევრი ქვეყნები უკვე ევროკავშირის თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის მნიშვნელოვან სამოქალაქო ამოცანებზე შეთანხმდნენ, რაც პირველ რიგში გულისხმობდა 5000 კაცისგან შემდგარი საპოლიციო რაზმის შექმნას. მას დაეკისრებოდა ადმინისტრაციული და სამოქალაქო ფუნქციები. ამრიგად, უთსპ-ის რეალიზაციის განუყოფელ ნაწილად გამოცხადდა მისი სამოქალაქო კომპონენტი. ის მოიცავს ევროკავშირის მოქმედებების კოორდინაციას ოთხ პრიორიტეტულ სფეროში: პოლიცია, კანონის უზენაესობა, სამოქალაქო ადმინისტრირება და სამოქალაქო დაცვა. ამის გარდა, სამოქალაქო კომპონენტს ასევე ეხება გადაუდებელი ჰუმანიტარული მისიების შესრულება კრიზისულ სიტუაციებში, რომელიც მოიცავს სამაშველო დახმარების განევასაც.

კრიზისების მართვის სამოქალაქო და სამხედრო ინსტრუმენტების გარდა ევროპის უსაფრთხოების სტრატეგია ითვალისწინებს პოლიტიკური, დიპლომატიური, სავაჭრო და სხვა მეთოდების გამოყენებას. სტრატეგიის თანახმად საზოგადოების დაცვის საუკეთესო საშუალებაა გლობალურად განხორციელდეს დემოკრატიის, სოციალური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერა, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებათა დაცვა.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს კონფლიქტების თავიდან აცილებასა და კრიზისული სიტუაციების მართვაში. ეს გულისხმობს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარება, რეაბილიტაცია, დახმარება მართლწესრიგის დამყარებაში და ინსტიტუციურ შესაძლებლობათა განვითარება.

ტერორისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლა არ არის მხოლოდ სამხედრო მოქმედებებისა და სამართლის საკითხი. ასევე მნიშვნელოვანია კულტურა, იდეები და არასამხედრო პოლიტიკა. მულტილეტარული თანამშრომლობა უფრო ეფექტურს ხდის საერთო ძალისხმევას.

ევროკავშირი ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელსაც შეუძლია არსებული ძალებისა და რესურსების მთელი სპექტრი გამოიყენოს, როგორიცაა ჰუმანიტარული დახმარების აღმოჩენა, სახელმწიფო მშენებლობის მხარდაჭერა და ქვეყნის მართვის პროცესის მონესრიგებაში ხელშეწყობა, კრიზისების მოგვარება, ტექნიკური და ეკონომიკური დახმარება, პოლიტიკური დიალოგი და მედიატორის როლი. ეს ყველაფერი ავსებს კავშირში შემავალი სახელმწიფოების ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ ინსტრუმენტებს, რომელსაც ევროკავშირი კრიზისების არიდების და პრევენციის, ასევე მშვიდობის აღდგენისა და პოსტკონფლიქტური ცხოვრების ნორმალურ რიტმში დაბრუნებისთვის გამოიყენებს.

აქედან გამომდინარე, ევროკავშირმა შექმნა რესურსების გარკვეული ჯგუფი, რომლებსაც დასახული ამოცანების განხორციელებლად გაძლიერებს. კერძოდ, ევროკავშირის განკარგულებაშია 5000 კაცისაგნ შემდგარი საპოლიციო ჯგუფი. მათ შორის 1400 კაცი სწარფი რეაგირების ძალების ფარგლებში (13 საპოლიციო დანაყოფი სწრაფი განლაგებისათვის, თითოული შედგება 60-110 წევრისაგან). მის მართვას ახორციელებს ევროკავშირის საპატიოს გენერალური სამდივნო რვა კაციანი ჯგუფის ხელმძღვანელობით.

კანონის უზენაესობის მიმართულებით ევროკავშირის საქმიანობა ითვალისწინებს 282 კაციანი ექსპერტთა ჯგუფის შექმნას, რომელშიც შედიან მოსამართლეები, პროკურორები, ადმი-

ნისტრაციული პერსონალი და აღმასრულებელი დაწესებულების თანამშრომლები. მათი ნაწილის ჩართვა სამუშაოების განხორციელებისათვის შესაძლებელია 30 დღის განმავლობაში. ეს სია ითვლის დაახლოებით სამას კაცს, მათგან 60 სწრაფი განლაგების ძალების ფარგლებში.

ევროკავშირის სამოქალაქო ადმინისტრირების ამოცანა ითვალისწინებს ექსპერტთა და, ასევე სწრაფი განლაგების ძალების ფარგლებში მოწინავე ჯგუფების შექმნას. შექმნილია მსგავსი სპეციალისტების მონაცემთა ბაზაც.

რაც შექება სამოქალაქო დაცვის და გადაუდებელი ჰუმანიტარული მისიების შესრულებას კრიზისულ სიტუაციაში, დასავლეთ ევროპული კავშირის 1995 წლის 15 მაისის ლისაბონის დეკლარაციის თანახმად, ესპანეთმა, იტალიამ და საფრანგეთმა გადაწყვიტეს ქვეითი (EBPOFOP, EUROFOR)³¹ და საზღვაო ანტიკრიზისული ჯარების³² შექმნა, რომლებიც შეძლებდნენ სამშვიდობი ოპერაციებში მონაწილეობის მიღებას. ევროკავშირის წევრმაქვეყნებმა შექმნეს სამი ჯგუფი (თითოეულში 10 ექსპერტის შეამდგენლობით), რომელიც ყალიბდება 24 საათის განმავლობაში და შვიდი დღის მანძილზე შეუძლია მოქმედებების შეფასებისა და კოორდინაციისათვის განახორციელოს მუშაობა. ასევე შექმნეს „ჩარევის“ ჯგუფი 2000 კაცის შემადგენლობით და სპეციალური რესურსებით, რომელთა განლაგება შესაძლებელია ორი-შვიდი დღის განვალობაში. ჯგუფის მუშაობის კორდინაციას ახორციელებს კრიზისული მოწესრიგების სამოქალაქო ასპექტების კომიტეტი.

³¹ EBPOFOP, იბ. ბმულზე - www.eurofor.it. EUROFOR www.euromarfor.org.

³² DIRECTIVE 2009/43/EC OF THE EUROPEAN PARLIAMENT AND OF THE COUNCIL of 6 May 2009 simplifying terms and conditions of transfers of defence-related products within the Community, იზ. ბმულზე - <http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2009:146:0001:0036:en:PDF>.

თანამედროვე კონფლიქტების ბუნების და ტენდენციების ანალიზი მეტყველებს, რომ სამხედრო გადაწყვეტა არ არის არც ერთადერთი და არც საუკეთესო საშუალება.

2003 წელს დიპლომატიური ძალისხმევით თავიდან იყო აცილებული საომარი მოქმედებები იუგოსლავის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში, 2004 წელს ოპერაცია „ალტეა“-ს ფარგლებში ბოსნია ჰერცეგოვინაში მოხდა ნატო-ს სამშვიდობო კონტიგენტის შეცვლა, EULEX (მართლწესრიგის აღდგენის ევროკავშირის სამოქალაქო მისია კოსოვოში) ევროკავშირის დღემდე ყველაზე მრავალრიცხოვანი მისიაა. მის შემადგენლობაში დაახლოებით 2 000 თანამშრომელია, რომლებიც ეხმარებიან პოლიციას, სასამართლო სისტემას, მოძრავ საბაჟო პუნქტებზე მუშაობენ.

ევროკავშირის საქმიანობა კრიზისების მართვის მხრივ, მხოლოდ მეზობელი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. ევროკავშირმა არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი პირობები შექმნა კონგრს დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დარფურში კრიზისისგან დაზარალებულთა და დევნილთა დაცვისთვის.

ევროკავშირმა თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის ფარგლებში განახორციელა საპოლიციო მისია ავლანეთში. მისიის მიზანია უწყვეტი და ეფექტური სამოქალაქო საპოლიციო სისტემის დამკვიდრება ავლანეთში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მისია ხელმძღვანელობს და მონიტორინგს უწევს, ასევე საკონსულტაციო და სასწავლო საქმიანობას ახორციელებს ავლანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რეგიონებში, პროვინციებში. მისია ემყარება საერთაშორისო საპოლიციო და კანონის უზენაესობის სფეროში არსებულ მიღწევებს. ევროკავშირის მიზანია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ავლანეთის პოლიციის სისტემის რეფორმირებაში. პოლიციის გაძლიერება და კანონის უზენაესობა მნიშვნელოვანია ავლანეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მისიას საპოლიციო საქმანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად მიაჩნია სამოქალაქო პოლიციის ჩამოყალიბება, ასევე თანამშრომლობა საერთა-

შორისო საპოლიციო ინსტიტუტებთან. მისისის სტრატეგიული პრი-ორიტეტები გაერთიანებულია ექვსი მიზნის ირგვლივ: ქმედითი პოლიცია, პოლიციის მოთხოვნის ვალდებულობა, კონტროლი და კომუნიკაცია, დანაშაულის გამოძიება, ანტიკორუფციული საქმიანობა, პოლიციისა და ბრალდების სისტემის ურთიერთკავშირი, ადამიანის უფლებები და გენდერული თანასწორობა ავღანთის საპოლიციო სისტემაში.

ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში ყველაზე დიდი სამოქალაქო მისია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისიაში სამი ათასამდე თანამშრომელია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. ევროკავშირის გარდა მისიაში მონაწილეობენ ნორვეგია, შვეიცარია, თურქეთი, ხორვატია, აშშ. მისი ძირითადი მიზანი იყო დახმარებოდა კოსოვოს ხელისუფლებას კანონის უზენაესობის სფეროში, საპოლიციო რეფორმაში, სასამართლო და საბაჟო კუთხით. მისის საბაჟო კომპონენტი გულისხმობს ევროკავშირის სტანდარტებისადმი დაახლოებას, ვაჭრობის ლეგიტიმაციას და ეკონომიკის დაცვას. მისიას გააჩნია შეზღუდული აღმასრულებელი უფლება-მოსილება. იგი წარმოადგენს ტექნიკურ მისიას ზედამხედველობის, საკონსულტაციო უფებამოსილებით და მოქმედებს გაერო-ს რეზოლუციის ფარგლებში. ევროკავშირის მიზანია ხელი შეუწყოს მრავალეთნიური სასამართლო, საპოლიციო, საბაჟო სისტემის ჩამოყალიბებას, მართლმასაჯულების სისტემის პოლიტიკური ჩა-რევისაგან გათავისუფლებას, ევროპულ სტანდარტებთან შესაბა-მისობას. მისის მუშაობის შედეგებიდან გამომდინარე ხდება სტრატეგიული მიზნების განსაზღვრა.

მსოფლიოში კრიზების მენეჯმენტისა და სტაბილურობის უზრუნველყოფაში ევროკავშირის აქტიური მონაწილეობის და-დასტურებაა განვითარების საერთაშორისო პოლიტიკა ანუ ევროკავშირი არის მსხვილი საერთაშორისო დონორი, რაც შეიძლება განხილული იქნეს როგორც უმნიშვნელოვანესი ინვესტიცია მშვიდობისა და უსაფრთხოებისათვის მსოფლიოში. ევროკავშირის სა-

ვაჭრო და საფინასო პოლიტიკა ასევე მნიშვნელოვან როლს თამ-შობს მსოფლიოში სტაბილიზაციის, დემოკრატიზაციის და „good governance” ხელშეწყობაში, რაც კარგადაა ჩამოყალიბებული კო-ტონის ხელშეკრულებებში.

ევროკავშირი მიიჩნევს, რომ უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის საჭიროა დემოკრატიულ პრინციპებზე დაყრდნობილი სახელმწიფოების ჩამოყალიბება. ამისათვის იგი მნიშვნელოვან ღონისძიებებს ატარებს მეზობელ ქვეყნებში. ეს პოლიტიკა მიზნად ისახავს მეზობელ ქვეყნებში მმართველობის ხელშეწყობას პროგრამების დახმარებით და სავაჭრო-ეკონომიკურ კავშირებს. ვინაიდან ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი მიზანი სწორედაც არის „დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის განვითარება, ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების დაცვა“.

ევროპის თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის არა-სამხედრო ასპექტების კუთხით მნიშვნელოვან როლს ასრულებს ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯი. ის ევროკავშირის წევრი ქვეყნების და ინსტიტუტების პერსონალისთვის აწყობს ტრენინგებს. იგი 2005 წელს დაფუძნდა. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის კოლეჯის ტრენინგებს ესწრებიან დიპლომატები, პოლიციელები, კანონის უზენაესობისა და სამოქალაქო ადმინისტრაციის კუთხით მომუშავე ადამიანები.

ევროკავშირის ჩარევა რეგიონალური კონფლიქტების გა-დაწყვეტაში გულისხმობს კარგი მმართველობის ჩამოყალიბებას, დემოკრატიის აღვდენას, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას, ასევე გლობალურ კომუნიკაციას, რაც ამცირებს კონფლიქტებს.

ამრიგად, თანამედროვე საფრთხეების გადაწყვეტა და კრიზისული სიტუაციების მენეჯმენტი საჭიროებს სამხედრო და სამოქალაქო, ან ორივე შერეული ინსტრუმენტების გამოყენებას.

Irakli Manvelidze

Natalia Lazba

Civil aspects of the European security and defense policy

Resume

Both the military and civil aspects are important for the European security and defense policy. At Helsinki European Council in 1999 it was decided to develop the civil aspects.

Besides the military methods of crisis management the European security strategy considers to use political, diplomatic, market and other tools. According to the strategy the best way to defend society is to support democratic, social and political reforms globally, the rule of law and human rights. The civil component has been defined as the integral part for the security and defense policy which implies coordination of European Union's actions in four priority areas: police, rule of law, civil administration and defense. Besides that the civil component implies humanitarian missions in crisis situations.

Иракли Манвелидзе
Наталия Лазба

**Гражданские аспекты политики безопасности и
обороны Евросоюза**

Резюме

В политике безопасности и обороны Евросоюза важным является не только военный, но и гражданский аспект. В декабре 1999 года на Европейском Совете в Хельсинках было принято решение развития гражданского аспекта.

Стратегия безопасности управления кризисами Европы помимо военных методов, подразумевает применение политических, дипломатических, торговых и др. методов гражданских инструментов. Исходя из данной стратегии, защита общества, является наилучшим средством развития демократии, что подразумевает поддержку социальных и политических реформ, верховенство закона и защиту прав человека. Неотъемлемой частью реализации политики безопасности и обороны является ее гражданский компонент, который подразумевает координацию Евросоюза по четырем приоритетным направлениям: полиция, верховенство закона, государственное администрирование и гражданская защита. Кроме того, к гражданскому компоненту относятся также, выполнение безотлагательной гуманитарной помощи в кризисных ситуациях и проведение спасательных работ.

ევროკავშირის როლი საერთაშორისო პრიზისების მოგვარები

ევროკავშირის როლი საერთაშორისო ასპარეზზე კრიზისების მოგვარების კუთხით სულ უფრო იზრდება. ევროკავშირი ცდილობს გაზარდოს თავისი, როგორც გლობალური აქტორის როლი საერთაშორისო ასპარეზზე. ამ კუთხით ევროკავშირი ძირითადად იყენებს ე.წ. „რბილი ძალის პოლიტიკას“.

ევროკავშირი აქტიურად ცდილობს თავისი წელილი შეიტანოს კონფლიქტების მოგვარების საქმეში. ევროკავშირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცებას და რეალური გავლენა იქნია ადამიანების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. ძალადობის თავიდან აცილების, მშვიდობის აღდენისა და შეიარაღებული კონფლიქტების შემდეგ მოსახლეობის ნორმალურ ცხოვრებასთან დაბრუნების მიზნით ევროკავშირის წარმომადგენლები იცავენ საზღვრებს, თვალყურს ადევნებენ სამშვიდობო შეთანხმებების შესრულებას, წვრთვნიან სამართალდამცავებს, იცავენ გემებს ზღვის მეკობრეების თავდასხმებისგან. ევროკავშირს უფრო ხშირად მიმართავენ კრიზისულ სიტუაციებში ან საომარი კონფლიქტების შემდგომ პერიოდში დახმარების თხოვნით.

დღევანდელი კონფლიქტები აჩვენებენ, რომ სამხედრო ჩარევა არ არის კონფლიქტების გადაწყვეტის საუკეთესო გამოსავალი. 2003 წელს დიპლომატიური ძალისხმევით თავიდან იქნა აცილებული საომარი მოქმედებები იუგოსლავის ყოფილ რესპუბლიკა მაკედონიაში. 2004 წელს ოპერაცია „ალტეა“-ს ფარგლებში ბოსნია ჰერცეგოვინაში მოხდა ნატო-ს სამშვიდობო კონტიგენტის ჩანაცვლება ევროკავშირის სამშვიდობო მისით. მართლწესრიგის აღდენის ევროკავშირის სამოქალაქო მისია კოსოვოში ევროკავშირის დღემდე ყველაზე მრავალრიცხვანი მისია. მის შემადგენ-

ლობაში დაახლოებით 2 000 თანამშრომელია, რომლებიც დახმარებას უწევენ ქვეყანას სასამართლო და საპოლიციო სისტემებში.

ევროკავშირის საქმიანობა კრიზისების მართვის მხრივ მხოლოდ მეზობელი ქვეყნებით არ შემოიფარგლება. ევროკავშირმა არჩევნების ჩატარებისთვის აუცილებელი პირობები შექმნა კონკრეტულ რესპუბლიკაში. სომალის სანაპირო წყლებში მეკობრებთან ბრძოლის თვალსაზრისით პირველი სამხედრო-საზღვაო ოპერაციის ორგანიზება მოხდა. თავდაცვის და უსაფრთხოების პოლიტიკის გატარება მოხდა ინდონეზიაში, სადაც სამშვიდობო შეთანხმების შესრულებაზე ხდებოდა დაკვირვება.

2003 წელს ევროკავშირის მიერ კონგრეს დემოკრატიულ რესპუბლიკაში შეიარაღებული შეტაკებების და ბუნიაში ჰუმანიტარული კრიზისის შედეგების ნეიტრალიზაციის მიზნით ოპერაცია “არტემიდა” წარმატებით ჩატარდა.

2008 წელს სამ კვირაზე ნაკლებ დროში კავკასიაში ევროკავშირის მისია განთავსდა, რომლის მიზანი იყო რუსეთსა და საქართველოს შორის კრიზისის მოგვარებისთვის ხელშეწყობა, მას შემდეგ რაც ამ ქვეყნებმა ევროკავშირის შუამავლობით სამშვიდობო შეთანხმებას მიაღწიეს. ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში საქართველოში ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის საოპერაციო ფაზა 2008 წლის 1 ოქტომბერს დაიწყო. 22 წერი სახელმწიფოდან ევროკავშირმა 200-ზე მეტი დამკვირვებლის გამოგზავნა შედლო. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ითვალისწინებს 12 აგვისტოსა და 8 სექტემბრის შეთანხმების შესრულებაზე მონიტორინგს, რაც გულისხმობს რუსული და ქართული შეიარაღებული ძალების კონფლიქტის დაწყებამდე დაკავებულ პოზიციებზე დაბრუნებას, რუსეთის შეიარაღებული ძალების სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მიმდებარე ტერიტორიიდან გასვლას. მისიას ასევე ევალება ბოლოდროინდელი კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ტერიტორიებზე მდგომარეობის სტაბილიზაციისა და ნორმალიზაციის ხელშეწყობა, მხარეებს შორის ნდობის ჩამოყალიბება და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ქართული საპოლიციო ძალების განთავსების და აღმას-

რულებელი ძალაუფლების გადაბარებასთან დაკავშირებული საქ-
მიანობის მონიტორინგი და ყველა მხარის მიერ ადამიანის უფლე-
ბებისა და კანონის უზენაესობის დაცვის მონიტორინგი.

ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატი ფარავს
საქართველოს მთელ ტერიტორიას. ქვეყანაში ყოფნით მისია ხელს
უწყობს ადგილზე სიტუაციის ნორმალიზაციასა და სტაბილიზაცი-
ას. ასევე ევროკავშირის სადამკვირვებლო მისია ამზადებს ანგა-
რიშს ადამიანის უფლებების საკითხებზე, კანონის უზენაესობის
პატივისცემასა და უსაფრთხოების საკითხებზე. მისიის მოხსენებე-
ბი ასევე მოიცავს იძულებით გადაადგილებული პირების და
ლტოლვილების დაბრუნების საკითხებს. ამგვარად, შესაძლებელია
ევროკავშირის დედაქალაქებისათვის არსებული მდგომარეობის
შესახებ ობიექტური და სრული ინფორმაციის მიწოდება. ევრო-
კავშირის სადამკვირვებლო მისიას ასევე შეუძლია ადგილზე, ად-
გილობრივ ხელისუფლებასთან პირდაპირი თანამშრომლობით
იმოქმედოს მოცემულ საკითხებთან დაკავშირებულ ნაკლოვანე-
ბებზე. ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მანდატის ერთ-ერ-
თი ყველაზე დიდი გამოწვევა ნდობის აღდგენაა. იმისათვის, რომ
მოხდეს ადგილზე მდგომარეობის სტაბილიზაცია და ნორმალიზა-
ცია, განსაკუთრებით კი იმ ტერიტორიებზე რომლებიც აგვისტოს
ომის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალდა, ადმინისტრაციული
საზღვრის ორივე მხარეს კვლავ უნდა აღდგეს ნდობა, საჭიროა
დამყარდეს პირდაპირი კონტაქტები და ნარმოიშვას თანამშრომ-
ლობის მცირე პროექტები.

ევროკავშირი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ახლო აღმო-
სავლეთში სიტუაციის დარეგულირების კუთხით. იგი ამ პროცესში
საერთაშორისო შუამავლების ოთხეულის სრულფასოვანი წევრია
და ყველაზე აქტიურ მონაწილეობას ღებულობს დიპლომატიურ
მოლაპარაკებებში. ევროკავშირის მისიის მიზანია იორდანიის და-
სავლეთ სანაპიროზე, პალესტინაში სამოქალაქო პოლიციის და
სისხლის სამართლის სამართალნარმოების სისტემის მხარდაჭერა.

ერაყში სიტუაციის დარეგულირების მიზნით ევროკავშირმა
დაიწყო მისია, რომელიც წარმოადგენს სამოქალაქო კრიზისების

მართვის ოპერაციას ევროკავშირის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისია დაიწყო 2005 წლის პირველი ივნისიდან. მისი მიზანია კანონის უზენაესობის განმტკიცება და ადამიანის უფლებების პატივისცემის კულტურის ამაღლება ერაყში. მისია ითვალისწინებს ერაყის კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემაში დასაქმებული პირების პროფესიულ განვითარებას. წევრი ქვეყნები ახდენენ კანონის უზენაესობის საუკეთესო პრაქტიკის სწავლების ორგანიზებას, სემინარები აადვილებს შეხედულებების გაცვლას ევროკავშირის წარმომადგენლებსა და ერაყელ მონაწილეებს შორის. სემინარების მიზანია ნდობის ამაღლება, ორმერივი პატივისცემა და ოპერატიული თანამშრომლობა ერაყის კრიმინალური მართლმსაჯულების სისტემის სხვადასხვა წარმომადგენლებს შორის.

როგორც უკვე აღინიშნა ევროკავშირის კანონის უზენაესობის მისია კოსოვოში ყველაზე დიდი სამოქალაქო მისიაა ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. მისიაში სამი ათასამდე თანამშრომელია როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. ევროკავშირის გარდა მისიაში მონაწილეობენ ნორვეგია, შვეიცარია, თურქეთი, ხორვატია, აშშ. მისიამ მუშაობა დაიწყო 2008 წლის დეკემბრიდან. მისი ძირითადი მიზანია კოსოვოს ხელისუფლების დახმარება კანონის უზენაესობის სფეროში, საპოლიციო რეფორმაში, სასამართლო და საბაჟო სფეროში. მისიას გააჩნია შეზღუდული აღმასრულებელი უფლებამოსილება და მოქმედებს გაეროს რეზოლუციის ფარგლებში.

ევროკავშირმა ასევე განახორციელა სამხედრო საზღვაო ოპერაცია სომალიში, რომელიც ჩატარდა გაეროს უშიშრობის საბჭოს რეზოლუციის ფარგლებში, სომალის სანაპიროსთან მსოფლიო სასურსათო პროგრამის ხომალდის დასაცავად მეკობრეების თავდასხმისაგან. ოპერაციის მიზანი იყო მეკობრეების შეჩერება და პრევენცია. ოპერაცია დაიწყო 2008 წლის 13 დეკემბრიდან და სრულად ამოქმედდა 2009 წლის თებერვალში. ეს ოპერაცია არის ევროკავშირის პირველი სამხედრო- საზღვაო ოპერაცია ევროპის უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის ფარგლებში. ოპერა-

ციიაში მონაწილე სამხედრო პირებს უფლება აქვთ დააკავონ და გადაიყვანონ პირები, რომლებიც ეჭვმიტანილი არიან მეკობრეობაში და ყაჩაღურ თავდასხმაში. ევროკავშირის ამ ოპერაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სომალის უშიშროების ძალების და სომალის სამოქალაქო საპოლიციო ძალების ჩამოყალიბებაში. ოპერაცია არის ნაწილი იმ გლობალური საქმიანობისა, რომელსაც ევროკავშირი ახორციელებს აფრიკაში.

ავღანეთის საკითხისადმი სიღრმისეული მოდგომის გამო 2007 წელს ევროკავშირმა დაიწყო საპოლიციო მისია. მისი მიზანია უწყვეტი და ეფექტური სამოქალაქო საპოლიციო სისტემის დამკვიდრება ავღანეთში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მისია საკონსულტაციო და სასწავლო საქმიანობას ახორციელებს ავღანეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, რეგიონებში, პროვინციებში. ევროკავშირის მიზანია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ავღანეთის პოლიციის სისტემის რეფორმირებაში. პოლიციის გაძლიერება და კანონის უზრუნველყობა მნიშვნელოვანია ავღანეთში სტაბილურობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. მისიას საპოლიციო საქმიანობის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად მიაჩნია სამოქალაქო პოლიციის ჩამოყალიბება, ასევე თანამშრომლობა საერთაშორისო საპოლიციო ინსტიტუტებთან.

2003 წლის 31 მარტს ევროკავშირმა დაიწყო სამხედრო ოპერაცია ყოფილი იუგოსლავის რესპუბლიკა მაკედონიაში. ოპერაციისათვის ხელმისაწვდომი იყო ნატოს რესურსები, რაც შესაძლებელი გახდა ევროკავშირი-ნატოს შეთანხმების საშუალებით. მისიას მიზანი იყო ხელი შეეწყო სამომავლო სტაბილური და უსაფრთხოებო გარემოსთვის და შესაძლებელი გაეხადა 2001 წლის აგვისტოს ოპრიდის სამშვიდობო შეთანხმების შესრულება, რომელსაც ხელი მოეწერა მაკედონიისა და ეთნიკური ალბანელების მიერ.

ამრიგად, ევროკავშირი აქტიურად ცდილობს ამა თუ იმ რეგიონში არსებული კონფლიქტების გადაჭრას, რისთვისაც ის ძირითადად იყენებს ე.ნ. „რბილი ძალის“ პოლიტიკას. ევროკავშირის თვის მნიშვნელოვანია კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარება.

ევროკავშირი არის ახალი მოთამაშე კონფლიქტების გადაწყვეტის სფეროში. ევროკავშირმა ხელი შეუწყო საერთაშორისო უსაფრთხოების გამტკიცებას და რეალური გავლენა იქონია ადამიანების ცხოვრებაზე მთელ მსოფლიოში. ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის განვითარებასთან ერთად იზრდება მისი, როგორც გლობალური აქტორის როლი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჰავიერ სოლანა, ევროპის უსაფრთხოების პოლიტიკის ათი წელი, 2009
2. ე.კრასნიკი, „კოსოვო: ევროკავშირის პოლიტიკის ხელახალი გააზრება“, 2009
3. www.delgeo.ec.europa.eu; [www.aceh-mm.org](http://eeas.europa.eu); [http://eeas.europa.eu](http://www.eummm.eu); www.eummm.eu; www.eulex-kosovo.eu; www.eunavfor.eu; <http://www.eupol-afg.eu>

Inga Tsintskiladze

European Union's role in solving crisis situations worldwide

Resume

The European Union's role in the global security is discussed in this paper. The EU's role in solving international crises is growing. The European Union is trying to become a more active global player and is developing its common foreign and security policy. The European Union is a "soft power" and it is trying to solve conflicts in non-military ways.

The paper also analyses the importance of different EU missions in the world, such as EU missions in Kosovo, Afghanistan, Georgia and so on. With the development of the EU's common foreign and security policy the EU's role on the international stage is increasing.

Инга Цинцкиладзе

**Роль Европейского союза в решении кризисных
ситуаций по всему миру**

резюме

Роль Европейского Союза в глобальной безопасности обсуждается в этой статье. Роль ЕС в разрешении международных кризисов растет. Европейский союз старается стать более активным глобальным игроком и развивает свою общую внешнюю политику и политику безопасности. Европейский Союз является «мягкой силой» и старается решить конфликты невоенными методами.

В документе также анализируется важность различных миссий ЕС в мире, таких как миссии ЕС в Косово, Афганистане, Грузии и так далее. С развитием общей внешней политики и политики безопасности ЕС роль ЕС на международной арене растет.

სოციოლოგია

Sociology

Социология

ინება ზოიძე

გენდერული ასპექტები მხართველობით საქმიანობაში

XXI საუკუნეში მიმდინარე პროცესებს, ეკონომიკურ და ეკო-ლოგიურ კატაკლიზმებს, სოციალური ცვლილებებს მოჰყვა ტრა-დიციულ ღირებულებათა ტრანსფორმაცია, რაც პირველ რიგში გენდერულ ბალანსში აისახა.

გენდერულმა პრობლემებმა სოციოლოგების, ფსიქოლოგების, ეკონომისტებისა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმომადგენლების ყურადღება XX საუკუნის 60-იან წლებისთანავე მიიპყრო, რაც განპირობებული იყო საზოგადოებრივ ქალთა გააქტიურებით და იგი ორ კატეგორიად გაიყო. 1. მიზნები, რომლებიც მოიცავდა ქალთა პრობლემატიკას (სოციალურს, უფლებრივს და სხვა); 2. გლობალური საკითხებისაკენ ორიენტაციას, რომელმაც სოციალურიდან პოლიტიკურისკენ გადაინაცვლა.

შემუშავდა არაერთი თეორიული კონცეფცია და მიდგომა საოჯახო საქმეების გაძლიერების ანალიზის, მამაკაცთა და ქალთა შორის შრომის განაწილების, დასაქმებაში გენდერული დისკრიმინაციის და ანაზღაურებაში თანასწორობის საკითხებზე. კლევის ეს მიმართულება ამჟამადაც აქტიურად ვითარდება. კერძოდ, საერთაშორისო ორგანიზაციების (გაერო, ევროპის კავშირი, ევროპის საბჭო) შესაბამისი სტრუქტურები ყურადღების კონცენტრირებას ახდენენ გენდერულ პრობლემებზე ყველა სფეროში.

მეცნიერული თეორიები გენდერული თანასწორობის შესახებ ორ ძირითად – ბიოტექნიკურ და ბიოკულტურულ მიმართულებად იყოფა. ბიოტექნიკურში იგულისხმება ბიოლოგიური და გენეტიკური ფაქტორები, ხოლო ბიოკულტურული თეორიის მიმდევრები თვლიან რომ გენდერი გამოხატავს რთულ სოციო-კულტურულ მიმართულებას. კერძოდ, განსხვავება მამაკაცსა და ქალს შორის ეფუძვნება სოციალურ როლებს, ქცევასა და ემოციურ მახასიათებლებს (**Кравченко А. И., Тюрина И. О.2005: 623.** თავიდანვე გენდერული ურთიერთობები მამაკაცის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სრულყოფილებას ეფუძნებოდა. განსაკუთრებით ეს თემა აქტუალურია საზოგადოების განვითარების ისეთ სფეროში, როგორიცაა მართვა.

XX საუკუნემდემამაკაცის მიერ ძალაუფლების მონოპოლიზაციამ ოჯახში, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, საწარმოებში გამოიწვია მართვის ფუნქციების მონოპოლიზაციაც. შრომის დანანილებამ და ინდუსტრიალიზაციამ კი ეჭვქვეშ დააყენა გენდერული სხვაობების საკითხები, ქალებმა საზოგადოებრივ საქმიანობაში თავდაპირველად ფორმალურად მამაკაცების თანაბარი უფლებები მიიღეს. საზოგადოებამ ცივილიზაციის პარალელურად იურიდიულად გააფორმა და დააკანონა ეს თანაბარუფლებიანობა. ქალი აქტიურად ჩაება საზოგადოებრივ საქმიანობებში, თანდათან გაქრა ის ძირითადი მიზეზი, რომელიც ქალს მამაკაცს უქვემდებარებდა. კერძოდ, ეს არის ეკონომიკური დამოკიდებულება ანუ მამაკაცმა ამ მხრივ თანდათან დაკარგა „ოჯახის თავის“ ფუნქცია.

მიუხედავად ამისა, ბევრ ქვეყანაში თანამედროვე საზოგადოებრივი აზროვნება ზოგადად კვლავ პატრიარქალური რჩება. სამწუხარიდ, წარმატებულ მენეჯერად ან ხელმძღვანელად ძირითადად მამაკაცი მოიაზრება. პრაქტიკულადაც მაღალანაზღაურებადი და პრესტიჟული თანამდებობითაც ისინი არიან დაკავებულნი. საქართველოში დასაქმებულ შრომისუნარიან მოსახლეობაში ქალთა ხვედრითი წილი 52%-ს აღწევს, მთლიანად დასაქმებულებში კი მათი წილი 50%-ია. მაშინ როდესაც აქტიური მოსახლეო-

ბის 57 % ქალია. (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2004).

დასაქმების დონე ყველაზე მაღალია 50-64 წლის ქალებში (65,4 პროცენტი) უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე 15-24 წლის ქალებში შეინიშნება. ამ ასაკში ყოველი მესამე ქალი უმუშევარია (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2005.).

გენდერული ბალანსირების კვალდაკვალ გაორმაგდა ქალის სოციალური სტატუსიც. ქალს გარდა საოჯახო საქმეებისა, დაემატა თავისი პროფესიონალური სამუშაოებიც. სტატისტიკური მონაცემებით საქართველოში ქალები ყოველკვირეულად საშინაო საქმეებს უთმობენ დაახლოებით 50 საათზე მეტს, ამასთან მკვეთრად გაიზარდა მათი ხვედრითი წილი საკანონმდებლო, აღმასრულებელ, სასამართლო და ბიზნეს სტრუქტურებში, მეცნიერების ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სტრუქტურებში.

გენდერული ასპექტების ანალიზისას უმთავრესი ადგილი უჭირავს შრომის გენდერული დანანილების პრობლემებს, რაც გულისხმობს მამაკაცსა და ქალს შორის საქმიანობის განაწილებას ტრადიციებისა და წესჩვეულებების გათვალისწინებით, რაც ფორმალურად თუ არაფორმალურად დამკვიდრებულია საზოგადოებრივ ცხოვრებაში. საინტერესოა ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა ქვეყანაში ამა თუ იმ სფეროს ძირითად ბირთვს წარმოადგენენ ქალები ან კაცები. იშვიათია პრაქტიკა, როცა ორივე თანაბარ მონაწილეობას ღებულობს ერთი და იგივე შინაარსის საქმიანობაში. შრომის პაზრის ყველაზე მაღალორგანიზებულ ქვეყნებშიც კი გამოყოფენ წმინდა მამაკაცურ და წმინდა ქალურ პროფესორებს. (მაგალითად, თითქმის ყველა ქვეყანაში დაბალი რგოლის სამედიცინო პერსონალის თითქმის 82 % ქალია). სამეცნიერო ლიტერატურაში ქალთა და მამაკაცთა მკაცრად დადგენილი პროფესიებით დასაქმების ტენდენციას გენდერულ პროფესიულ სეგრეგაციას უნდღებენ (**Кравченко А. И., Тюрина И. О. 2005, 629**). სწორედ ამ ტენდენციის ზეგავლენით ქალი დაბალანაზღაურებადი პროფესიებითა და მიმართულებებით შემოიფარგლება.

სეგრეგაციის მაღალი დონე ითვლება ქალისა და მამაკაცის კარიერული შესაძლებლობებისა და შრომის ანაზღაურების დისპროპორციის მნიშვნელოვან ფაქტორად, რაც თავის მხრივ იწვევს დასაქმების სფეროში გენდერული ბალანსის დარღვევას.

სეგრეგაცია ვლინდება ფირმებს შორის და უშუალოდ ფირმებშიც, დასაქმების სფეროებსა და მიმართულებებში. განასხვავებენ პროფესიული სეგრეგაციის ორ სახეს—ჰორიზონტალურს და ვერტიკალურს.

ჰორიზონტალურ სეგრეგაციაში იგულისხმება მამაკაცისა და ქალების არათანაბარი განაწილება ეკონომიკურ სფეროებსა და პროფესიებში. ვერტიკალურში კი იგულისხმება არათანაბარი განაწილება თანამდებობრივი იერარქიის ჰოზიციებზე. ვერტიკალური სეგრეგაციის შემთხვევა ხშირ შემთხვევაში გულისხმობს, რომ წარმოებრიობის მხრივ ერთნაირი მახასიათებლების მქონე ცალკეულ მუშაკებს განსხვავებულად ექცევიან იმის გამო, რომ ისინი წარმოადგენენ სხვადასხვა სოციალურ-დემოგრაფიულ ჯგუფებს.

სქესის მიხედვით დისკრიმინაციას ვხვდებით როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო შრომით ბაზარზე. მაგალითად, ინგლისში ქალები შეადგენენ სამუშაო ძალის 40 %-ს, მაგრამ აქედან მხოლოდ 10 % ფლობს მენეჯერის ან მმართველის თანამდებობას. დაახლოებით მსგავსი მონაცემებია საქართველოშიც. დასაქმებული მოსახლეობის განაწილება ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით გვიჩვენებს, რომ დაქირავებული ქალების ყველაზე დიდი წილი (36,0 პროცენტი) დასაქმებულია განათლებაში, ხოლო დაქირავებული კაცების ყველაზე დიდი წილი (20,0 პროცენტი) დასაქმებულია სახელმწიფო მმართველობაში. მცირეა თვითდასაქმებული ქალების რიცხოვნებაში მენარმე ქალების წილი (13,8 პროცენტი) როცა იგივე სტატუსით კაცებში 26,2 პროცენტია დასაქმებული (სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი, 2005).

ფსიქოლოგები ამ მონაცემების ანალიზისას აღნიშნავენ რომ მმართველობით საქმიანობაში გენდერული დისბალანსი ხშირ შემთხვევაში გამომდინარეობს არა მხოლოდ ტრადიციული შეხედულებიდან და ნორმებიდან, არამედ ფსიქოლოგიური ფაქტორები-

დანაც. ქალები ნაკლებად ფლობენ იმ თვისებებს, რომლებიც მათ ლიდერად აქცევენ, ლიდერული უნარჩვევები კი აუცილებელი მასასიათებელია იმისათვის რომ პიროვნება დაეუფლოს მმართველის პოზიციებს. მსგავს სიტუაციაში ხშირად ვლინდება მამაკაცი თანამშრომლების მიერ ქალი ლიდერის მიმართ წინააღმდეგობა. გარდა ამისა, პროფესიულ მიღწევებში ქალებს ხელს უშლის „შინაგანი ბარიერები“: ლიდერობის შიში (ხშირ შემთხვევაში ქალებს ეშინიათ წარმატების მიღწევა ბიზნესსა და პოლიტიკაში, რადგან ერიდებიან კრიტიკას ახლობელი თუ გარმეომყოფი მამაკაცებისაგან), საკუთარი თავისადმი რწმენის არქონა, დაბალი თვითშეფასება და ა.შ.

მენჯმენტის სფეროს ფსიქოლოგების აზრით (ჯ. ვიტკინი, ს. კარტერი, ა. ჟარდენი) მმართველობით საქმიანობაში ქალებს თვითრეალიზებაში ხელს უშლის შემდეგი ძირითადი ფაქტორები:

1) მამაკაცებისაგან განსხვავებით ქალები უფრო შემსრულებელი ფსიქოლოგის მატარებლები არიან ამიტომ ისინი ნაკლებად იჩენენ ინიციატივას კარიერაზე ზრუნვისათვის. 2) ქალები უფრო ემოციურნი არიან და ცუდათ ახერხებენ საკუთარი თავის მართვას. 3) ქალებს უფრო ნაკლებად ახასიათებთ რისკისადმი მიღრეკილება, ეჭვი და შიში აიძულებს მათ დაიზღვიონ თავი და დაუყოვნებლივ გადასაჭრელი საკითხები გადადონ. 4) ქალებს ახასიათებთ ცხოვრებისეული „კომბინირებული“ სტრატეგიების გამოყენება, ისინი სამუშაოსა და ოჯახს თანაბარ როლებს აკისრებენ (Кравченко А. И., Тюрина И. О. 2005, 640).

ქალების დაბალი თვითშეფასება რეალური გენდერული პრობლემაა. ის ხშირ შემთხვევაში ეფუძნება ტრადიციულ კულტურულ სტერეოტიპებს ქალის მეორეხარისხოვნების შესახებ, როდესაც ქალის პასიურობა მიჩნეულია როგორც სწორი, დადებითი და სასურველი ქცევის სტილი. ოჯახში კი მთავარია ქალისა და მამაკაცის როლების არაპრიორიტეტული გადანაწილება. ამ საკითხთან მიმართებაში ჯერ კიდევ ბევრი რამ არის დასახვეწი.

ადამიანის უფლებათა დაცვის უნივერსალური დეკლარაციის მიხედვით ნებისმიერ პიროვნებას აქვს უფლება, მიიღოს მონა-

წილეობა საკუთარი ქვეყნის მართვაში. ქალთა დამოკიდებულების გაძლიერებას აქვს უდიდესი მნიშვნელობა სრულყოფილი მართვისა და ზოგადად, საზოგადოების ყველა სფეროს განვითარებისათვის. ქალთა თანასწორუფლებიანი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში განაპირობებს სქესთა ბალანსს, ასახავს საზოგადოების სტრუქტურას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს დემოკრატიის წინსვლისა და განვითარებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სოციალური ტენდენციები საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო სტატისტიკის დეპარტამენტი, თბ., 2004.

2 ქალი და მამაკაცი საქართველოში, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, სტატისტიკის დეპარტამენტი, სტატ. პუბლიკ თბ., 2005.

З.Кравченко А. И., Тюрина И. О. Социология управления М., 2005.

Инеза Зойдзе

Гендерные аспекты в руководящей деятельности

Резюме

В статье рассмотрены гендерные аспекты в руководящей деятельности на современном этапе. Освещены проблемы гендерного распределения труда, распределение трудовой деятельности между женщиной и мужчиной с учетом традиций и обычаев, что формально или неформально закрепилось в общественной жизни. Рассмотрены отношения психологов и социологов к данной проблеме. Выделены те основные тенденции, на основе которых в тех или иных странах формируются различные подходы изучения гендерного баланса. На основе статистических данных проанализирована данная существующая проблема в Грузии.

Ineza Zoidze

Gender aspects in leadership

Resume

The article deals with gender aspects in leadership positions at the present stage. Such problems are discussed as the problems of gender division of labor, the distribution of work between women and men taking into account the traditions and customs that formally or informally exist in public life. The attitude of psychologists and sociologists to the problem is considered. Those major trends are highlighted on the basis of which in different countries different approaches to exploring gender balance are formed. On the basis of statistical data this problem is analyzed in Georgia.

ფსიქოლოგია

Psychology

Психология

რუსულან კეჭაყმაძე

სიკვდილი და მასთან შეგუების სტატისტიკა

სიკვდილი - ესაა მოვლენა, რომელსაც ვერც ერთი ადამიანი ვერ გაექცევა. ყველა სხვა ცოცხალი არსებისაგან ადამიანი განსხვავდება იმით, რომ იგი ნათლად აცნობიერებს სიკვდილის გარდაუვალობას. თანამედროვე ადამიანს აქვთ სიკვდილის უარყოფისა და იგნორირების ტენდენცია, თუმცა, იმის ცოდნა, რომ სიკვდილი გარდაუვალია, ადამიანში ბადებს სიკვდილის ქვეცნობიერ შიშს, რომელიც ნებისმიერ მომენტში შეიძლება გამწვავდეს. სიკვდილი - ესაა საუბრისთვის უსიამოვნო თემა და თუ მაინც ლაპარაკობენ სიკვდილზე, მხოლოდ მეცნიერულ, ფორმალურ, უფრო ხშირად - სამედიცინო ენაზე. ყოველდღიურ ცხოვრებაში სიკვდილზე საუბარი იწვევს დისკომფორტს. ადამიანს ურჩევნია სიკვდილზე ისაუბროს ზოგადი ფორმით, მაგ., „ ყველა ადამიანი მოკვდავია,“ ვიდრე გადავიდეს „მე - ს“ ენაზე და თქვას: „ ოდესმე მეც მოვკვდები.“

ადრეულ პერიოდებში სიკვდილი იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ადამიანი კვდებოდა თავის სახლში და ოჯახის წევრები სიცოცხლის ბოლო წუთებამდე უვლიდნენ მას. დაკრძალვის რიტუალიც სრულდებოდა ოჯახისა და ახლობლების მიერ. კერძოდ, ოჯახის წევრები და მეგობრები თვითონ თხრიდნენ სამარეს და მარ-

ხავდნენ მიცვალებულს. თუმცა, XX საუკუნეში ეს ყველაფერი იქ-ცა რაღაც ტექნოლოგიურ პროცესად. დასავლეთში ადამიანთა უმ-რავლესობა კვდება საავადმყოფოებში, სადაც ყველა აუცილებელ საქმეს აკეთებს მედპერსონალი. დამკრძალავი ბიუროს თანამ-შრომლები ამზადებენ გარდაცვლილის სხეულს აუცილებელი რი-ტუალების ჩატარებისთვის, შემდეგ მისი გადასვენება ხდება ეკ-ლესიაში, მომაკვდავ ადამიანთან კონტაქტები კი უკიდურესად შეზღუდულია.

უარყოფა წარმოადგენს სტრესთან გამკლავების ნორმა-ლურ მექანიზმს, მაგრამ მან შეიძლება ხელი შეუშალოს აქტიურად გამკლავებას, ვინაიდან ადამიანი ამ დროს უბრალოდ უარს ამბობს რეალობის დანახვაზე ან მიღებაზე და ეს არსებით გავლენას ახ-დენს მის ქცევაზე. ადამიანს უნდა შეეძლოს იმ რეალობის მიღება, რომ ცხოვრება არაა უსასრულო და თვითონაც მოწყვლადია.

მკვლევართა ნანილი თვლის, რომ ბოლო პერიოდში სიკ-ვდილთან დაკავშირებული კულტურული ტაბუ თანდათან სუს-ტდება. არსებობს ბევრი წიგნი, სტატია და სასწავლო კურსი, რომ-ლებმაც შეიძლება შეცვალონ სიკვდილთან დაკავშირებული გან-წყობები. სამედიცინო დარგის წარმომადგენლებსაც კი, რომელ-თაც ყოველდღიურად უზდებათ სიკვდილთან შეჯახება, სჭირდე-ბათ მსგავსი საგანმანათლებლო პროგრამები და სემინარები, რა-თა ისწავლონ, თუ როგორ გაუმკლავდნენ სიკვდილთან დაკავში-რებულ საკუთარ გრძნობებს.

ვის უფრო ეშინია სიკვდილის - მოხუცებს თუ ახალგაზ-რდებს? ფსიქოანალიზი ამტკიცებს, რომ საკუთარი სიკვდილის გა-მო შფოთვა ან შიში - ნორმალური მოვლენაა. ადამიანები, რომლე-ბიც განიცდიან უფრო მეტ შფოთვას, სხვადასხვაგვარად უმკლავ-დებიან ამ გრძნობას. ზოგიერთ ადამიანს, რომელმაც იპოვა ცხოვ-რების აზრი და მიზანი, აქვს იმის აღიარების უნარი, რომ სიკვდი-ლი წარმოადგენს ცხოვრების აზრის ნაწილს. რელიგიური ფანატი-კოსები, რომლებიც თავს სწირავენ რწმენას(მაგ., კამიკაძეები), წარმოადგენს პრობლემის ასეთი გადაწყვეტის უკიდურეს მაგა-

ლითს. ეგზისტენციალისტები და ათეისტები, რომლებიც დარწმუნებული არიან, რომ სიკვდილის შემდეგ არაფერი აღარაა, ზოგჯერ განიცდიან მძიმე გრძნობას, როცა წარმოიდგენენ, რომ სიკვდილით საბოლოოდ წყვეტენ არსებობას. თუმცა, მათ შეიძლება განიცადონ სხვა გრძნობებიც: ისინი ურიგდებიან იმ აზრს, რომ სიკვდილი გარდაუვალია და აღიქვამენ მას, როგორც ბუნებრივ მდგომარეობას. ისინი გამოდიან იმ მოსაზრებიდან, რომ არარსებობაში არ შეიძლება იყოს სტრესი და ტკივილი, ამიტომ არაფერი აზრი არა აქვს სიკვდილის გამო შფოთვასა და მღელვარებას.

კვლევები აჩვენებს, რომ ადამიანების უმრავლესობა იმყოფება ამ ორ პოლარულ თვალსაზრისს შორის. ამ შემთხვევებში, საკუთარი სიკვდილის შიში ან მეტისმეტი შფოთვა ძირითადად განისაზღვრება იმით, თუ რა პიროვნული და კულტურული მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის სიკვდილს. გამოკვლევები მოწმობს, რომ საკუთარ სიკვდილთან დაკავშირებით მოხუცები ნაკლებად შფოთავენ, ვიდრე ახალგაზრდები. გარდა ამისა, ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში აქვს გამოკვეთილი მიზანი, ნაკლებად ეშინია სიკვდილის. დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის რელიგიურ რწმენასაც: გამოკითხვები აჩვენებს, რომ ის, ვისაც მტკიცედ სწამს ღმერთის და იმქვეყნიური ცხოვრების, სიკვდილის წინ იშვიათად ვარდება დეპრესიაში და განიცდის ნაკლებ შფოთვას.

ერთ - ერთ კვლევაში ახალგაზრდებს ეკითხებოდნენ, რას იზამდენ ისინი, თუ გაიგებდნენ, რომ სიკვდილამდე დარჩენილი ჰქონდათ მხოლოდ 6 თვე. როგორც წესი, ცდის პირები პასუხობდნენ, რომ გაემგზავრებოდნენ სამოგზაუროდ ან შეეცდებოდნენ იმის გაკეთებას, რაც ყოველთვის უნდოდათ, მაგრამ არ ჰქონდათ ამის საშუალება. როცა იგივე შეკითხვას უსვამდნენ ასაკიან ადამიანებს, ისინი ლაპარაკობდნენ მედიტაციაზე ან ისეთ საქმეზე, რასაც სჭირდებოდა შინაგანი კონცენტრაცია, თუმცა, უფრო ხშირად აღნიშნავდნენ, რომ ისურვებდნენ ამ დროის გატარებას ოჯახთან ან ახლობლებთან. გარდა ამისა, ერთ - ერთ გამოკითხვა-

ში, რომელშიც მონაწილეობდა საკმაოდ ბევრი ასაკიანი ადამიანი, მხოლოდ 10% - მა უპასუხა, რომ ეშინია სიკვდილის. ამასთანავე, კვლევის მრავალმა მონაწილემ აღნიშნა, რომ ეშინია ხანგრძლივი და ტანჯვით სიკვდილის.

მართალია, ასაკიანი ადამიანები ნაკლებ შფოთვას განიცდიან სიკვდილთან დაკავშირებით, მაგრამ ყველა ასე არაა. ისმის კითხვა: შესაძლებელია თუ არა იმ ნიშნების დადგენა, რომელთა მიხედვითაც შეიძლება ადამიანების დაყოფა ორ ჯგუფად: ისინი, ვინც ძლიერად და ნაკლებად შფოთავს სიკვდილის გამო. ამ საკითხთან დაკავშირებული ექსპერიმენტები არ იძლევა ერთმნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალებას. ზოგიერთი ცნობის მიხედვით, ყველაზე ნაკლებად შფოთავენ ის ადამიანები, რომელმაც ერიკსონის მიხედვით, მიაღწიეს პიროვნული მთლიანობის სტადიას. სხვა მონაცემებით, ფიზიკურად და გონიერივად ჯანმრთელი ასაკიანი ადამიანები, რომლებიც აკონტროლებენ თავის ცხოვრებას, განიცდიან ყველაზე მეტ შფოთვას.

ადამიანები სიკვდილზე ფიქრისას ძლიერ შფოთვას ხშირად განიცდიან მაშინ, როცა მათ აღმოაჩნდებათ ისეთი დაავადება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი, მაგრამ რამდენიმე კვირის ან თვის შემდეგ შფოთვის დონე მცირდება.

სიკვდილზე ყველა ფიქრობს. როგორ რეაგირებენ ადამიანები ამ აზრებზე? ამ და სიკვდილთან დაკავშირებული სხვა საკითხების კვლევა XX საუკუნის 60 - იან წლებში ერთ - ერთმა პირველმა დაინტყო ელიზაბეტ კიუბლერ - როსმა. მან ყურადღება გაამახვილა ისეთ სიტუაციებზე, როდესაც სიკვდილის პერსპექტივა ადამიანისთვის ხდება ძალიან რეალური, მაგ., როდესაც მას აღმოაჩნდება უკურნებელი დაავადება. ამ ადამიანებთან საუბრების შემდეგ მან გამოყო სიკვდილზე ფიქრთან შეგუების 5 სტადია: უარყოფა, ბრაზი, ვაჭრობა, დეპრესია და მიღება. მოკლედ დავახასიათოთ ეს სტადიები:

- უარყოფის სტადიაზე ადამიანი უარყოფს სიკვდილის შესაძლებლობას და ცდილობს დაარწმუნოს საკუთარი თავი იმაში, რომ ეს შეცდომაა და დიაგნოზი არაა სწორი.
 - როცა ადამიანი აცნობიერებს, რომ მართლაც მოკვდება, მას იპყრობს გაღიზიანება, სიბრაზე და შური. ესაა სიბრაზის სტადია. ადამიანი თავს გრძნობს მოტყუებულად, რადგან მისი გეგმები და ოცნებები უკვე ვეღარ განხორციელდება.
 - ვაჭრობის სტადიაზე ადამიანი ეძებს დროის მოგების შესაძლებლობას, იგი იძლევა დაპირებებს და მოლაპარაკებებს აწარმოებს ღმერთთან, ექიმებთან, მედდებთან და სხვა ადამიანებთან განაჩენის გადავადების შესახებ, ტკივილისა და ტანჯვისგან გათავისუფლების შესახებ.
 - თუ ვაჭრობას არ მოაქვს შედეგები, ხოლო დრო იწურება - ადამიანს იპყრობს უიმედობა და უმწეობის განცდა. ახლა იგი იმყოფება დეპრესიის სტადიაზე და ტირის არამარტო რეალურ დანაკარგებს, არამედ ოჯახთან და მეგობრებთან თავის მოახლოებულ განშორებას.
 - ბოლო, მიღების სტადიაზე ადამიანი ღებულობს მოახლოებული სიკვდილის ფაქტს და მშვიდად ელის მას.
- ამ ავტორის მიერ აღწერილი შეგუების სტადიები წარმოადგენს ადამიანის ჩვეულებრივ რეაქციას სიკვდილის გარდუვალობაზე და გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რას გრძნობენ მომაკვდავი ადამიანები, თუმცა ეს არა უნივერსალური. ყველა ადამიანი არ გადის ამ ყველა სტადიას და მხოლოდ ზოგიერთები გადიან მას ზუსტად აღწერილი მიმდევრობით. ადამიანის რეაქციაზე გავლენას ახდენს ბევრი ფაქტორი: კულტურა, პიროვნული თვისებები, რელიგია, პირადი ფილოსოფია, დაავადების ხანგრძლივობა და ხასიათი. ზოგი ადამიანი ბოლომდე იმყოფება ბრაზის ან დეპრესიის სტადიაზე, ზოგი ელოდება სიკვდილს, როგორც ტკივილისგან გათავისუფლებას. ყველა ადამიანი თავისებურად ახდენს სიკვდილთან შეგუებას და არ უნდა ვიფიქროთ, რომ სიკვდილის პროცესი წარმოადგენს უნივერსალურ თანმიმდევრულ სტადიებს. ამი-

ტომ ასეთ შემთხვევაში ადამიანს თავს არ უნდა მოვახვიოთ შეგუების სტადიათა გარკვეული ნაკრები. პირიქით, როგორც ამტკიცებს რობერტ კასტენბაუმი, ადამიანს საშუალება უნდა მივცეთ, თავისი გზით მივიდეს სიკვდილთან. თუ მომაკვდავს სურს, მაშინ უნდა ელაპარაკონ თავიანთ გრძნობებზე; თუ მას აქვს კითხვები, უნდა მიიღოს მათზე პასუხი; უნდა მოაწესრიგოს საკუთარი საქმეები, ნახოს ნათესავები და მეგობრები, აპატიოს და თვითონაც ითხოვოს პატიება ურთიერთობისას დაშვებული უმნიშვნელო შეცდომების გამო. კასტენბაუმი ამტკიცებს, რომ ადამიანისთვის ეს მოქმედებები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რაღაც ემოციური სტადიების გავლა განსაზღვრული თანმიმდევრობით.

ადამიანებს, რომლებსაც არ ემუქრებათ სწრაფი სიკვდილი, უფრო მეტი დრო აქვთ იმ აზრთან შესაგუებლად, რომ როდესმე მოკვდებიან. თავის უკანასკნელ წლებს ისინი ხშირად ატარებენ წარსულის მოგონებებსა და სასიამოვნო მოგონებების ხელახლა განცდაში. ბატლერის მიხედვით, ცხოვრების ეს მიმოხილვა წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან საფეხურს, რომელზეც ადამიანი გადადის ცხოვრების ბოლოს. სიბერეში ადამიანს ყველაზე მეტად იზიდავს საკუთარი თავის შეცნობა. ამ პროცესს ხშირად მიყყავართ პიროვნების ნამდვილ ზრდამდე: ადამიანები აგვარებენ ძველ კონფლიქტებს, ახდენენ ცხოვრების ხელახლა გააზრებას და საკუთარ თავში აღმოაჩენენ ხოლმე რაღაც ახალსაც. მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი ეჯახება რეალურად მოახლოებულ სიკვდილს, იგი ზუსტად განსაზღვრავს იმას, თუ რაა მისთვის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და რას წარმოადგენს იგი სინამდვილეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

Г. Крайг. Психология развития. Питер, 2002

www.trevoga.narod.ru

www.psichology.vuzlib.org/book_o199_page_15.html

www.tanat.info/stati/ psihologicheskie – problemy

Rusudan Kechakmadze

Death and the Dying Process of Adjusting to a Death

Summary

A death is an event that will not be able to avoid any one person on the ground. Man is different from other living creatures that he clearly understands the inevitability of his death. The death has the personal and cultural importance and affects not only the dying man, but of the living. In Western society the denial is one of the realities of death as for the dying and their loved ones. Denial is a normal mechanism for coping with stress, but it can be difficult to deal with life. E. Kubler-Ross identified five stages of adaptation to thoughts of death: denial, anger, bargaining, depression and acceptance. Many critics, however, point out that although this is a common reaction for all people on the approach of death, every man on his own – coping with the thought of impending death.

Русудан Кечакмадзе

Смерть и стадии приспособления к умиранию

Резюме

Смерть – это событие, избежать которое не сможет ни один человек на земле. Человек отличается от других живых существ тем, что он четко осознает неизбежность своей смерти. Смерть имеет личное и культурное значение и затрагивает не только умирающего, но и живых.

В западной обществе отрицание составляет одну из реалий смерти как для умирающих, так и для их близких. Отрицание – это нормальный механизм совладания со стрессом, но оно может мешать активно бороться с трудностями жизни.

Э. Кюблер – Росс выделила пять стадий приспособления к мысли о смерти – отрицание, гнев, торг, депрессию и принятие. Многие критики, однако, указывают, что хотя это – общие для всех людей реакции на приближение смерти, каждый человек по – своему справляется с мыслью о скорой смерти.

ქეთევან ბერიძე

ფსიქოლოგიურ ძალადობად კლასიფირებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია

უკანასკნელ წლებში საზოგადოებაში ხშირად საუბრობენ ძალადობის პრობლემის შესახებ. საქართველოში, ისევე როგორც მთელ მსოფლიოში, ბავშვები ხდებიან ძალადობის და უგულებელყოფის მსხვერპლი, რასაც ადასტურებს 2007 წელს UNISEF-ის მიერ საქართველოში ჩატარებული ბავშვთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევის მონაცემები. კვლევის შედეგების მიხედვით, ბავშვთა მიმართ ძალადობა გვხვდება როგორც ოჯახში, ისე სასწავლო და აღმზრდელობით დაწესებულებაში. ბავშვები ძალადობას განიცდიან როგორც მოზრდილისგან, ისე თანატოლისგან, ხოლო ცხოვრებისეული მოვლენები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს ბავშვის გრძნობებსა და ქცევაზე. უსამართლობა, ფსიქიკური ტრავმატიზაცია, წყენა, ყოფითი პრობლემები, სისასტიკე, მშობელთა განხეთქილებები, მასწავლებელთა უტაქტობა, აღზრდის დეფექტები - ეს ყველაფერი აისახება ფსიქიკაში და მთელი შემდგომი ცხოვრების მანძილზე ბავშვი რჩება მომხდარის შთაბეჭდილებათა ქვეშ. რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, ბავშვის ფსიქოემოციურ განვითარებაზე შესაძლოა სავალალო გავლენა მოახდინოს საწყენმა რეპლიკატმა, კრიტიკულმა გამოხტომებმა, სიტყვიერმა შეურაცხყოფამ, თავზე წამოთაქებამ, რომელსაც სერიოზულად არც კი აღვიქვამთ. სამწუხაროდ, შედეგად ვლებულობა ბავშვთა ქცევით დარღვევებს, შფოთვით აშლილობებს, პოსტტრავმატულ სტრესულ აშლილობებს, ნარკომანიას, ალკოჰოლიზმს, დეპრესიას.

ბავშვზე ძალადობად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ქცევა, რომელიც ბავშვს ტრავმას აყენებს. თუმცა, ძალადობის ფორმებს შორის, როგორიცაა ფიზიკური, ფსიქოლოგიური(ემოციური), სექსუალური ძალადობა და უგულებელყოფა, ემოციური ძა-

ლადობა ძალადობის ყველაზე ძნელად ამოსაცნობ ფორმად ითვლება. ფსიქოლოგიურად დათრგუნული ბავშვების ამოცნობა ძნელია, რადგან ემოციური ძალადობა არ ტოვებს სხეულზე ფიზიკურ კვალს და მისი უარყოფითი ეფექტი შეიძლება გამოვლინდეს მხოლოდ ბავშვის განვითარების შემდგომ პერიოდში. ფსიქოლოგიური ძალადობა გულისხმობს ისეთ ქცევას, რომლის მიზანია აკონტროლოს, მართოს ბავშვის მოქმედებები და ემოციები მისი დამორჩილების მიზნით. აქ იგულისხმება დამამცირებელი მეტსახელით მიმართვა, მუქარა, ბავშვის შეკითხვის უპასუხოდ დატოვება, სამომავლო ქცევის უარყოფითი პროგნოზი, მოზრდილთა ჩხუბი ბავშვის თანდასწრებით, ისეთი საქციელის დაბრალება, რომელიც მას არ ჩაუდებია და


ემოციური ძალადობის მსხვერპლი ბავშვის ტიპიური ფიზიკური და ქცევითი გამოვლინებებია:

- ❖ მეტყველების დარღვევა – ბავშვს ენა ებორკება, ძნელად ლაპარაკობს;
- ❖ ფსიქოსომატური ჩივილები – თავის ტკივილი, მუცლის ტკივილი, გულისრევა, თავბრუსხვევა, გულის ნასვლა.
- ❖ შარდის და დეფეკაციის შეუკავებლობა;
- ❖ დეპრესიული მდგომარეობა;
- ❖ ბავშვის დესტრუქციული და აუტოდესტრუქციული ქცევა;
- ❖ თავდაჯერებულობის ნაკლებობა, ძალზე დაბალი თვითშეფასება, თვითიზოლაციისკენ მიდრეკილება;
- ❖ მოზრდილზე ზედმეტად დამოკიდებულება;
- ❖ პასიურობა, ინიციატივის არქონა;
- ❖ ბავშვი ხშირად იტყუება;
- ❖ ბავშვი ასაკისთვის შეუფერებლად „დიდია“ ან პირიქით, ინფანტილურია.

ჩვენი კვლევის საგანი გახლდათ, სწორედ ემოციურ ძალადობად კლასიფიცირებულ მონაცემთა ინტერპრეტაცია, რომელიც განვიხილეთ ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრის მონაცემების

საფუძველზე. ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრი გაიხსნა 2012 წლის იანვარში საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ფონ-დის მიერ ევროკავშირის ფინანსურით მხარდაჭერით. 2012 წლის მარტიდან 2013 წლის მაისამდე ცენტრს დასახმარებლად მიმართა 67 - მა ბენეფიციარმა, რომელთაგან 35 – ბიჭია, ხოლო 32 – გოგონა. 6 წლამდე ასაკის – 20 - მა ბენეფიციარმა, 7 – დან 12 წლის ასაკის – 21 - მა ბენეფიციარმა, ხოლო 13–18 წლის ასაკის 26 - მა ბენეფიციარმა.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით საზოგადოების დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად რომ შეიცვალა, ამ ფაქტს ადასტურებს მომართვიანობის მონაცემთა ანალიზი.




მართალია, მომართვიანობა ძირითადად წანილდება თვითმომართვის და ჯანდაცვის ორგანიზაციებზე, მაგრამ ნიშანდობლივია, რომ გაიზარდა საზოგადოების სხვა ინსტიტუციების რეაგირება და ჩართულობა ძალადობის შემთხვევათა მიმართ. მონაცემების ანალიზი გვაფიქრებინებს, რომ შეიცვალა ხედვა და დამოკიდებულება პრობლემის მიმართ და არა ის, რომ გაიზარდა ბავშვთა მიმართ ძალადობის რიცხვი.

თითქოს ბუნებრივია, რომ დიდები უნდა ზრუნავდნენ ბავშვებზე, უქმნიდნენ ზრდისა და განვითარების ყველა პირობას, განსაკუთრებით - იცავდნენ მათ საფრთხისგან, მაგრამ ხშირად სწორედ ბავშვები ხდებიან სასტიკი მოპყრობის და ძალადობის

მსხვერპლი. პრაქტიკულად, ფსიქოლოგიური ტრავმა გადატანილი აქვს ძალადობის მსხვერპლ ყველა ბავშვის, რის შედეგადაც ისინი შემდგომ ვითარდებიან განსაზღვრული პიროვნული, ემოციური და ქცევითი თავისებურებებით, რაც უარყოფით გავლენას ახდენენ მათ შემდგომ ცხოვრებაზე. ემოციური ძალადობა შეიძლება ვლინდებოდეს ცალკე და ასევე შეიძლება წარმოადგენდეს ფიზიკური ან სექსუალური ძალადობის შემადგენელ ნაწილს. ბათუმის ბავშვთა დახმარების ცენტრის ძალადობის ფორმების კლასიფიცირების სტატისტიკურ მონაცემთა სურათი ასე გამოიყერება: ფსიქოლოგიური ძალადობის – 39 შემთხვევა, ფიზიკური ძალადობის – 20 შემთხვევა, სექსუალური ძალადობის – 4 შემთხვევა, უგულებელყოფა – 4 შემთხვევა.

რა სახის ძალადობა აღინიშნებოდა:



მონაცემთა ანალიზი მოვახდინეთ ჩატარებული ფსიქოდიანოსტიკური მონაცემებისა და ფსიქოლოგიური დასკვნების შესწავლის საფუძველზე. უგულებელყოფის, ფიზიკური და სექსუალური ძალადობის შემთხვევათა ცალკე კლასიფიცირება მოხდა შემთხვევათა განსაკუთრებულობის საფუძველზე, თუმცა ჩვენს მიერ შესწავლილი თითოეული შემთხვევა არ გამორიცხავს ფსიქოლოგიურ ძალადობას - პირიქით, ის მოცემულ შემთხვევათა შემადგენელი ნაწილია. მონაცემთა თვისობრივი ანალიზის დროს განსაკუთრებით უნდა აღვნიშნოთ ის მძიმე ემოციური ტრავმები, რომელსაც სექსუალური ძალადობის „გამოცდილება“ ტოვებს ბავშვის სულში .

ფსიქოლოგიურ ძალადობად კლასიფიცირება ეყრდნობა შემთხვევების შესწავლას სტადარტიზებული და არასტანდარტიზებული მეთოდიკების საფუძველზე. ფსიქოლოგის მიერ გამოყენებული იყო დიაგნოსტიკის შემდეგი ინსტრუმენტები: ინტერვიუირება (ბენეფიციარისა და მისი ოჯახის წევრების), ქცევაზე დაკვირვება, ემოციური მდგომარეობის საკვლევი ლუშერის ტესტი, ბეკის დეპრესიის კითხვარი, სპილბერგერის შფოთვის კითხვარი, არტ-თერაპიული მეთოდიკები.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ძალადობის ფორმებს შორის ყველაზე ძნელად ამოსაცნობია ფსიქოლოგიური ძალადობა. მიუხედავად ამისა, არსებულ მონაცემებში ჭარბობს ემოციური ძალადობის შემთხვევები. ჩვენთვის საინტერესო იყო გაგვერკვია, რა ნიშნების საფუძველზე მოხდა ძალადობის ფორმის კლასიფიცირება, რისთვისაც შევისწავლეთ თითოეული ისტორია, ვიკვლიეთ მისი გამომწვევი მიზეზები. გამოიკვეთა საკმაოდ საინტერესო და მნიშვნელოვანი გარემოებები. ნიშანდობლივია ის, რომ 39-ვე შემთხვევაში მომართვის მიზეზებად დასახელებული იყო ბავშვის ისეთი პრობლემები, როგორიცაა, აგრესიული ქცევა, თანატოლებთან კონფლიქტები, ურთიერთობის პრობლემები, პასიურობა, ტყუილი, ენურეზი, გულის წასვლა, თავის ტკივილები და სხვა სომატური ჩივილები, ხოლო ფსიქოდიაგნოსტიკური კვლევის შემდეგ არსებული პრობლემების გამომწვევ მიზეზად დადასტურდა ფსიქოლოგიური (ემოციური) ძალადობა. საინტერესოა თვითონ ფსიქოლოგიური ძალადობის გამომწვევი მიზეზების განხილვა. არსებული მონაცემების კვლევის საფუძველზე გამოვლინდა, რომ 39 შემთხვევიდან ძირითადი ნაწილი განპირობებულია ოჯახური ძალადობით, განქორწინებით, მშობლების ფსიქოლოგიური მდგომარეობით, მშობლების ალკოჰოლიზმით. მიუხედავად იმისა, რომ მომართვიანობის მიზეზად სახელდებოდა ბავშვის ფსიქიკური განვითარების პრობლემები, შესწავლილი ისტორიების საფუძველზე დაფიქსირდა ამ პრობლემით გამოწვეული ემოციური ძალადობის მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა. მაგალითად, 14 წლის ბენეფიციარი – „გო-

ნებრივად ჩამორჩება ასაკობრივ ნორმას, რითაც უკვე მიეკუთვნება ძალადობის რისკ-ჯგუფს, ხდება ბავშვის ემოციური უარყოფა, მხარდაჭერის დეფიციტი“. 13 წლის ბენეფიციარი – „აქვს ქცევის პრობლემები, არ უყვარს სწავლა, დაუკითხავად იღებს სხვის ფულს, რის გამოც ოჯახის წევრები ლანდლავენ“, ეუბნებიან: „შეგან არაფერი არ გამოვა, ოჯახის შემარცხევენი ხარ“. 8 წლის ბენეფიციარი – „მიატოვა დედამ, იზრდება სახელმწიფო ინსტიტუციაში, გონებრივი განვითარებით ჩამორჩება ფაქტიურ ასაკს, დედასთან ცხოვრების დროსაც განიცდიდა განდევნის და თანაგრძნობის დეფიციტს“, ამბობს, რომ „არავის უყვარს, რომ ცუდია“. 14 წლის ბენეფიციარი – „ცხოვრობს მამასთან და მოხუც ბებიასთან ერთად, თუმცა დაჟინებით მოითხოვს ბავშვთა სახლში გადაყვანას. მიზეზად ასახელებს მამის ალკოჰოლიზმს და ბების დაჟინებულ „შეუსაბამო“ მოთხოვნებს. მისი გადმოცემით, მამას წლების განმავლობაში ჰქონდა ალკოჰოლის პრობლემები, ის ყოველთვის იყო მთვრალი და ეჩეუბებოდა მას და ბების, რომ კიდევ მოეტანათ მისთვის ალკოჰოლური სასმელი. კონფლიქტები აქვს ბებიასთანაც, ამბობს, რომ ბებია მუდმივად აძლევს შენიშვნებს, უყვირის, მოითხოვს, რომ მოაწესრიგოს სახლი და ისწავლოს, რაზეც მას აქვს გამოხატული ნეგატივიზმი“. 14 წლის ბენეფიციარი – „დედის გარდაცვალების გამო ბავშვის მდგომარეობა დამძიმებულია სომატური გართულებებით, კერძოდ, ყოველდღიური გულყრებით. მან გამოიქვა ბებიასთან ცხოვრების სურვილი, რის გამოც მიიღო საყვედურები დის და მამის მხრიდან. ამ შემთხვევის შემდეგ ისევ გაუმეორდა მორიგი გულყრის შეტევა.“ 6 წლის ბენეფიციარი – „აქვს ძლიერი ემოციური მიჯაჭვულობა მამასთან, ვერ ხერხდება ბავშვთან განმარტოება, რაც ბადებს ეჭვს, რომ ბავშვი მოქცეულია მამის ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ. მშობლები გაყრილები არიან, ბავშვი მიაკუთვნეს დედას, მამა არ ეთანხმება სასამართლოს გადაწყვეტილებას“. 8 წლის ბენეფიციარი – „ალკოჰოლიკი მამა, პათოლოგიური სიმთვრალით, მუდმივად ეჩეუბება დე-

დას. მართალია, ბავშვზე დაკვირვებით არ დასტურდება ფიზიკური ძალადობის ნიშნები, მაგრამ ბავშვი გამოკვლევის დროს აფიქ-სირებს დარტყმის შიშს და ამბობს: „მე ძალიან მეშინია დარტყმის“. აღზრდის დეფექტები, მუდმივი ნეგატიური შედარება ძმებთან ან დებთან, აგრეთვე ბავშვის მიმართ სხვა ძალადობრივი ქცევები, რომელსაც მშობლების ნაწილი მიიჩნევს „ნორმად“, „ლრმა კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაში და გავლენას ახდენს მის მომავალ ცხოვრებაზე, მის ნარმატებასა თუ ნარუმატებლობაზე, პირადი ცხოვრების მოწესრიგებაზე, შვილებთან დამოკიდებულებაზე და რაც მთავარია, შესაძლოა, ამგვარი ქცევა თვითონაც ნორმად მიიჩნიოს და თავის შვილებთან იგივე გაიმეოროს, რადგან ეს არის სწორედ ის სცენარი, რომელიც მისთვის მშობლიურია, ნაცნობია და სხვა ცხოვრებისეული სცენარი არ იცის და არც უნახავს.

შემთხვევათა ანალიზის საფუძველზე ჩანს, რომ ემოციური ძალადობა აერთიანებს როგორც ბავშვის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს, ისე ბავშვთან მიმართებაში უმოქმედობას, ხოლო მოზრდილთა ამგვარმა ქცევამ შეიძლება ბავშვში სერიოზული ქცევითი და ემოციური დარღვევები გამოიწვიოს. „ემოციური იარები დიდხანს რჩება, ემოციური სიცივე და ბავშვის ემოციური მოთხოვნილების იგნორირება, დაშინება – ამახინჯებს ბავშვის წარმოდგენას საკუთარ თავზე და მთელი ცხოვრების მანძილზე ემოციურ ტრავმას ტოვებს მის სულში“ (1:15).

მრავალი კვლევა აჩვენებს, რომ ზრდასრული კრიმინალების 70% ბავშვობაში ძალადობაგანცდილი და უგულვებელყოფილია. ძალადობის შედეგები აისახება არამარტო პიროვნულ, არამედ სახელმწიფო დონეზეც, ვინაიდან მსხვერპლთა პრობლემების მოგვარება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან, როგორიცაა სამედიცინო დახმარება მწვავე შემთხვევებში, სამედიცინო რეაბილიტაცია, ფსიქოლოგიური რეაბილიტაცია, სოციალური დახმარება, მსხვერპლისა და მოძალადის სოციალური რეაბილიტაცია და სხვა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ბავშვებ-

ზე ძალადობის უარყოფითი შედეგები ერთნაირია სხვადასხვა კულტურულ და გეოგრაფიულ გარემოში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბავშვზე ძალადობის ძირითადი საკითხები. საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის განვითარების ფონდი, თბილისი, 2011.
2. მ. ბალიაშვილი. სოციალური ფსიქოლოგიის საფუძვლები, თბილისი, 2010.
3. Крайг Г. Психология развития. М., 2002.
4. Майерс Д. Социальная психология. М., 2000.

Кетеван Беридзе

Интерпретация данных, классифицированных как психологическое насилие

Резюме

В последнее время в нашем обществе часто обсуждаются проблемы насилия. Предметом нашего исследования является интерпретация данных, классифицированных как эмоциональное насилие. Изучение проводилось на основе статистических данных Батумского центра помощи детям, основанного Фондом общественного здоровья Грузии при финансовой поддержке Евросоюза. Исследования показали, что из классифицированных 39-ти случаев психологического насилия основная часть обусловлена: насилием в семье, разводами, психологическим состоянием родителей, алкоголизмом родителей. Несмотря на то, что причиной обращений назывались проблемы детского развития, изучение историй выявило лишь несколько случаев эмоционального насилия, вызванного этой проблемой.

Ketevan Beridze

Interpretation of Data which Classified as an Emotional Abuse

Summary

Recently, the issue of violence often discussed in our society. The subject of our study is to interpret data which classified as an emotional abuse. The study was conducted on the basis of statistical data from Batumi Child Support Center, which was founded by the Public Health Foundation of Georgia, with the financial support of the EU. Our studies have shown that out of the 39 classified cases of psychological violence, the main part is due to: domestic violence, divorce, psychological state of the parents, and alcoholism of parents. Despite the fact, that child development was marked as main reason of appeals, we revealed only a few cases of emotional abuse caused by this problem.

ლირებულებითი დამოკიდებულების ფენომენი

ალბათ ყველა დამეთანხმებით იმაში, რომ ჩვენ, ადამიანებს, ყველაფერთან დაკავშირებით, რაც ჩვენს გარშემო ხდება, საკუთარი შეხედულებები გვაქვს. ჩვენ მოგვწონს ან არ მოგვწონს ვიღაც, გვაღიაზიანებს ან გვხიბლავს რაღაც და შესაბამის ემოციებსაც გამოვხატავთ. ხშირად ეს ემოციები ზღვარს არ სცდება, თუმცა არის შემთხვევები, როდესაც კონკრეტული ფაქტის ან მოვლენისადმი დამოკიდებულების გამოხატვა რადიკალურ ფორმებს ღებულობს და აგრესიაშიც გადადის. ეს გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ ჩვენი დამოკიდებულებები არ არის მხოლოდ ზედაპირული რეაქციები ნანახსა და მოსმენილზე და მათ ლრმა პიროვნული საფუძვლები აქვთ. ნინამდებარე ნაშრომის მიზანი სწორედ ამ საფუძვლების ძიებაა. აქ მოყვანილი მოსაზრებები ჩამოყალიბდა პირადი დაკვირვებისა და რეალური ფაქტების ანალიზის შედეგად, რაც ვფიქრობ კარგ ნინაპირობებს შექმნის შემდგომში საკითხის სილრმისეული შესწავლისათვის. აქვე მინდა აღვნიშნო ისიც, რომ შეხედულებები, რომლებსაც გაეცნობით შესაძლოა არ იყოს უნიკალური, უნივერსალური ან ობიექტური ჭეშმარიტების დამდგენი, თუმცა სურვილი იმისა, რომ მოექცენოს ფსიქოლოგიური ახსნა იმას, თუ რატომ ხდება პიროვნებისთვის ზოგჯერ მიუღებელი - მისალები ან პირიქით, საკმაოდ დიდია. აქედან გამომდინარე მართებულად მიმართია ჩემი თვალსაზრისი იყოს დაბალანსებული და არ გასცდეს იმ ზღვარს, რომლის იქითაც მეცნიერული კვლევის გარეშე, რაიმეს დასამტკიცებლად, არგუმენტების მოყვანა აზრს დაკარგავს. ამიტომ, შევეცდები, ვიყო ფრთხილი ტერმინებისა და განსაზღვრებების გამოყენებაში და დავტოვო რაც შეიძლება ფართო არეალი თემის ირგვლივ დისკუსიის-თვის.

და, რადგან დამოკიდებულებებზე ვსაუბრობ, ბარემ აქ-
ვე ვიტყვი, რომ ჩემი სასაუბრო თემა ღირებულებითი დამოკი-
დებულება იქნება, ვინაიდან მიმაჩნია, რომ სწორედ პიროვნე-
ბაში ჩანერგილი ღირებულებები განსაზღვრავს იმას, თუ რო-
გორი ხასიათის და შინაარსის არის მისი შეხედულებები ამა
თუ იმ მოვლენაზე. თუ რატომ ვფიქრობ ასე ამაზე ცოტა ქვე-
მოთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით ღირებულებითი დამოკი-
დებულების არსის შესახებ.

ის, რომ ადამიანს მის გარშემო მომხდარი ფაქტებისა
და მოვლენებისადმი საკუთარი დამოკიდებულება გააჩნია, ბუ-
ნებრივიც არის და საჭიროც. სხვა შემთხვევაში ის მოსალოდ-
ნელ ცვლილებებზე დროულ რეაგირებას ვერ მოახდენდა და
ადაპტაციასთან დაკავშირებით სირთულეებიც შეექმნებოდა.
გააზრება იმისა თუ რა ხდება და შესაბამისი მოქმედებების
დაგეგმვა და განხორციელება, მნიშვნელოვანი იარაღია ინდივი-
დისთვის წებისმიერ პირობებში სრულფასოვანი ფუნქციონირე-
ბისთვის. თუმცა ყველა ასეთი ქმედება არ შეიძლება ჩაითვა-
ლოს ღირებულებითი დამოკიდებულების გამოხატულებად. ქმე-
დებების გარკვეული ნაწილი პირდაპირ არის მიბმული ინსტიქ-
ტებთან და ის აუცილებლად რეალიზდება იმ შემთხვევაშიც კი
თუ პიროვნებაში საერთოდ არ იარსებებს ღირებულებები. მა-
გალითად, ადამიანის საფრთხისადმი დამოკიდებულება ვერავი-
თარ შემთხვევაში ვერ ჩაითვლება ღირებულებით დამოკიდებუ-
ლებად, რადგანაც მას შიშისა და თავდაცვითი რეაქციების გა-
მოხატვა შეუძლია ჯერ კიდევ იმ ასაკში, როდესაც წარმოდგე-
ნა არ აქვს ღირებულებების არსებობაზე. მაგრამ თუ ადამიანი
უარს იტყვის პოლიტიკურ აქტივობაზე იმ მოტივით, რომ აქვს
შიში განსახვავებული აზრის დევნისა და ამან შეიძლება საფ-
რთხე შეუქმნას პირადად მას ან მის ოჯახს, ეს უკვე ღირებუ-
ლებითი დამოკიდებულებაა, რომლის რეალიზებაც ღირებულე-
ბების არარსებობის შემთხვევაში შეუძლებელი იქნებოდა. შესა-
ბამისად ღირებულებითი დამოკიდებულების არსებობაზე შეიძ-
ლება ვისაუბროთ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენი დამოკიდე-
ბულება პირდაპირ კავშირშია მორალურ პრინციპებთან და გა-

დამწყვეტ მომენტში ამჟღავნებს ვართ თუ არა ამ პრინციპების ერთგული.

აქედან გამომდინარე, საწყის ეტაპზე, შეგვიძლია განვსაზღვროთ, რომ ლირებულებითი დამოკიდებულება არის ინდივიდის მიერ ფაქტებისა და მოვლენებისადმი გამოხატული დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრულია ამ ინდივიდში ჩანერგილი ლირებულებების მუშაობით. მართალია ეს განსაზღვრება ამ ეტაპისთვის სრულყოფილად ვერ ჩაითვლება, თუმცა მას შემდეგ, რაც გავეცნობით ლირებულებათა სისტემების ფორმირება-რეალიზაციის პროცესს, გაჩნდება შესაძლებლობა მისი შევსება-გაფართოებისა.

ლირებულებითი დამოკიდებულება ინდივიდში ზრდა-განვითარებასთან ერთად ყალიბდება. იმ პრინციპების გაჩენა, რომლებიც ასეთი დამოკიდებულების აღმოცენებას უწყობს ხელს, პიროვნების ფორმირებას უკავშირდება. პიროვნებაში ლირებულებითი დამოკიდებულების გამოხატვის საფუძვლები იმ სოციალური ჯგუფების ზეგავლენით იყრება, რომელშიც ინდივიდი ვითარდება. ასეთ სოციალურ ჯგუფებად შეიძლება მოვიაზროთ ოჯახი, სამეგობრო წრე, სკოლა, უნივერსიტეტი, სამსახური და რელიგიური და სუბკულტურული გაერთიანებები. ამ პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სოციალური ჯგუფის ავტორიტეტის. თუ აღმოჩნდება, რომ მოზარდის-თვის ოჯახზე მეტად ავტორიტეტული სუბკულტურული გაერთიანებაა, მაშინ იგი ამ სუბკულტურაში აღიარებულ ლირებულებებს მიიღებს და მისი ლირებულებითი დამოკიდებულებაც სწორედ ამ პრინციპებით იქნება ნაკარნახევი.

ზოგადად სოციალურ ჯგუფებს ბევრი საერთო ლირებულებები აქვთ, თუმცა მათ შორის არსებობს რადიკალური განსხვავებებიც. ამის გათვალისწინებით, ადამიანისთვის განსაკუთრებით სახიფათოა, თუ ის მისთვის თანაბრად ავტორიტეტულად მიიჩნევს ორ ან მეტ სოციალურ ჯგუფს, რომლებსაც ერთმანეთისგან განსხვავებული ლირებულებები გააჩნიათ. ამ შემთხვევაში მუდმივად იარსებებს რისკი იმისა, რომ ეს პიროვნება ღიად დაუპირისპირდეს იმ სოციალურ ჯგუფს, რომლისთვისაც მიუღებელი იქნება მის მიერ მეორე ან მესამე სო-

ციალური ჯგუფის ღირებულებების გაზიარება. გარდა ამისა იგი განწირული იქნება შიდა პიროვნული კონფლიქტებისთვის და იმ შემთხვევაში თუ ვერ შეძლებს სოციალურ ჯგუფებთან ჩამოყალიბებული დამოკიდებულებების დაბალანსებას, შეიძლება მივიდეს სუიციდამდე, ან საბოლოოდ გადააფასოს ღირებულები და გახდეს ერთი კონკრეტული სოციალური ჯგუფის ღირებულებების მიმდევარი და დამცველი.

ღირებულებითი დამოკიდებულების ფორმირების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მისი განმტკიცების პროცესს. ამაში იგულისხმება ის, რომ ადამიანში ჩანერგილი ღირებულებების რეალიზაციისთვის აუცილებელია შეიქმნას ხელსაყრელი პირობები. თუ ასეთი ხელსაყრელი პირობების შექმნის შემთხვევაში პიროვნება მომხდარი ფაქტის ან მოვლენისადმი გამოხატავს ღირებულების შესაბამის დამოკიდებულებას, მაშინ ეს დამოკიდებულება განმტკიცდება და გაიზრდება შანსი იმისა, რომ კონკრეტული ფაქტის ან მოვლენისადმი ამ ადამიანმა სხვა შემთხვევაშიც იგივე დამოკიდებულება გამოხატოს. თუმცა ცალსახად ამის მტკიცებაც არ იქნებოდა სწორი, რადგან ამ დროს დიდ როლს თამაშობს ადამიანის ნებელობაც და არ არის გამორიცხული მოლოდნი არ გამართლდეს, მითუმეტეს, რომ ადამიანის ქცევას სხვა მრავალი ფაქტორიც განაპირობებს.

ღირებულებითი დამოკიდებულების ფორმირების ინსტრუმენტია ენა. პიროვნებაში ღირებულებების ჩანერგვას ხელს უწყობს მასზე მიწოდებული ინფორმაცია იმის შესახებ თუ რისი კეთება შეიძლება და რისი არა. ინფორმაცია მოიცავს წინა თაობების გამოცდილებას ღირებულებების რეალიზაციას-თან დაკავშირებით და მაგალითებს იმის შესახებ თუ რომელი ღირებულება როგორი ცხოვრების სტილს განაპირობებს.

ვინაიდან არსებობს მორალური და ამორალური ღირებულებები, შესაბამისად არსებობს პოზიტიური და ნეგატიური ღირებულებითი დამოკიდებულებებიც. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ადამიანებს პოზიტიური ღირებულებითი დამოკიდებულება მაინცდამაინც მორალური ღირებულებებისადმი აქვთ, ხოლო ნეგატიური ამორალურისადმი. ამაში იგულისხმება

კონკრეტული ღირებულების პიროვნების მიერ მიმღებლობა ან მიუღებლობა და არა მისი მორალურობა-ამორალურობა. მაგალითად, ყველამ ვიცით, რომ ადამიანების უმრავლესობას ნარკოტიკებისადმი ნეგატიური ღირებულებითი დამოკიდებულება აქვს, რადგან მისი მოხმარება ითვლება დანაშაულად და ამორალურ ქცევად. თუმცა ჩვენს გარშემო არიან ადამიანები, რომლებსაც ნარკოტიკებისადმი პოზიტიური ღირებულებითი დამოკიდებულება აქვთ და მოიხმარენ კიდეც მას. ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს შემთხვევასთან, როდესაც პოზიტიური ღირებულებითი დამოკიდებულება გამოხატულია ამორალური ქცევისადმი (ნარკოტიკების მოხმარებისადმი), ხოლო ნეგატიური მორალურისადმი (ნარკოტიკების მოხმარებაზე უარის თქმისადმი).

კიდევ ერთი პარამეტრი, რომლითაც ღირებულებითი დამოკიდებულებები შეიძლება დავაჯგუფოთ, კონკრეტული ღირებულების მიმღებლობა-მიუღებლობაა. ამ მხვრივ შეგვიძლია გამოვყოთ ღირებულებები, რომელთა მიმღებლობის არეალი ფართოა და ღირებულებები, რომლებიც მისაღებია მხოლოდ ვიწრო სოციალური წრისთვის. პირველ ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ზოგადსაკაცობრიო ღირებულებები (მაგალითად, პატიოსნება, კაცომოვარება, შემწყნარებლობა და ა. შ.), რომლებიც მისაღებია ადამიანთა უმრავლესობისთვის, ხოლო მეორე ჯგუფს შეიძლება მივაკუთვნოთ ღირებულებები, რომლებიც დამკვიდრებულია სუბკულტურებში, რელიგიურ, ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობებში და სხვა სოციალურ ჯგუფებში. საზოგადოება, სადაც სოციალური ჯგუფების ღირებულებები მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან და მათი ღირებულებითი დამოკიდებულებები არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს, შედარებით მშვიდია, ხოლო საზოგადოება, რომელშიც საპირისპირო მდგომარეობაა მუდამ არის კონფლიქტების და დაპირისპირებების კერა.

ღირებულებითი დამოკიდებულების არსებობა ჩვენს ცხოვრებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს. ეს არის ფენომენი, რომელიც განაპირობებს არა მხოლოდ ჩვენს ემოციურ რეაქციებს კონკრეტულ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირე-

ბით, არამედ გვიბიძგებს განვახორციელოთ გარკვეული ქმედებებიც. ამის კარგი მაგალითია 17 მაისს ჩვენი ქვეყნის დედაქალაქში, თბილისში განვითარებული მოვლენები. საუბარია პომოფობის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ აქციაზე, რომელიც სექსუალური უმცირესობების წარმომადგენლებმა მოაწყვეს. აქცია დაპირისპირებით დასრულდა. დედაქალაქის ქუჩებში გამოსულმა ასობით ადამიანმა რუსთაველის პროსპექტზე მიმდინარე მსვლელობა გააპროტესტა და მისი მონაწილეების მიმართ აგრესიაც გამოხატა. საქმე იმაშია, რომ მოქალაქეების უმრავლესობისთვის მიუღებელი აღმოჩნდა არა აქციის გამართვა, არამედ ის, რომ ამ აქციას მართავდნენ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის მქონე ადამიანები, რაც სხვა არაფერია თუ არა ლირებულებითი დამოკიდებულების აგრესიული ფორმით რეალიზება. შეიძლებოდა თუ არა ამ დაპირისპირების თავიდან აცილება ეს სხვა საკითხია, თუმცა ფაქტია, რომ საზოგადოებაში, რომელშიც არატრადიციული სექსუალური ორიენტაციით ცხოვრების მიმღებლობის არეალი ძალიან ვიზრო იყო, გაჩნდა კონფლიქტის კერა, რაც სწორედ სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებს შორის ღირებულებითი დამოკიდებულებების შეუთავსებლობამ გამოიწვია.

ლირებულებითი დამოკიდებულების გამოხატვის ასევე კარგი მაგალითია “კამიკაძე” ტერორისტის ქმედებები. მისთვის სიცოცხლე, როგორც ფასეულობა არაფერს წარმოადგენს და გაცვლილია “ჯიპადის” (საღვთო ომის) გზით იმქვეყნად სამუდამო სასუფევლის – სამოთხის დამკვიდრების იდეაზე. მისი ცნობიერება იმდენად შეპყრობილია ამ იდეით, რომ ძალიან რთულია სიცოცხლისადმი მისი ლირებულებითი დამოკიდებულების მაჩვენებელი გავზარდოთ სამოთხის დამკვიდრების სურვილისადმი ფორმირებულ ლირებულებით დამოკიდებულებაზე მეტად, რაც მას ტერორისტული აქტის დაგეგმვას და განხორციელებას გადააფიქრებინებდა.

ლირებულებითი დამოკიდებულების რეალიზების თვალსაზრისით შეიძლება გამოვყოთ ადამიანთა სამი ჯგუფი: აქტიური, პასიური და შემნიღბავი.

აქტიურ ჯგუფში შემავალი ადამიანები გვევლინებიან, როგორც ღირებულებების აქტიური დამცველები და მათი შინაგანი განწყობაც შეესაბამება ქცევას.

პასიურ ჯგუფში შემავალი ადამიანები შეიძლება გახდნენ ღირებულებათა უგულებელყოფის მომსწრენიც, გააჩნდეთ კიდეც საკუთარი ღირებულებითი დამოკიდებულებები ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების მიმართ, თუმცა არ მოისურვონ მათი რეალიზება და რეაგირება მიანდონ სხვას. ამ ტიპის ადამიანების შემთხვევაში ეს შეიძლება გაგრძელდეს მანამ, სანამ ის თავად არ იგრძნობს თავს შეურაცხყოფილად და არ დაიწყებს საკუთარი თავის დაცვას.

რაც შეეხება შემნიღბავ ჯგუფს, ეს გახლავთ ადამიანების კატეგორია, რომლებიც რიგ შემთხვევებში აქტიურად ცდილობენ საკუთარი ღირებულებითი დამოკიდებულებების გამოხატვას, საზოგადოების თვალში ცდილობენ ჰქონდეთ ღირებულებათა დამცველის იმიჯი, თუმცა მათი შინაგანი განწყობები არ ეთანხმება იმას, რასაც ამბობენ და ხშირად ეს მხოლოდ მათივე ნაკლის დაფარვას ემსახურება.

განწყობა ვახსენე და აქვე აუცილებლად უნდა აღვითონო, რომ ღირებულებითი დამოკიდებულების ფენომენის განხილვა თვისუფლად შეიძლება დიმიტრი უზნაძისეული განწყობის თეორიის კონტექსტში. ღირებულებითი დამოკიდებულება იმ მნიშვნელობით, რა მნიშვნელობითაც ამ ნაშრომშია გამოყენებული, ფაქტიურად არის მზაობა კონკრეტული ქმედებების განსახორციელებლად, ხელსაყრელი პირობების გაჩენისთანავე. ამის მტკიცების საფუძველს კი მაძლევს ადამიანში ღირებულებათა იმ სისტემის არსებობა, რომელიც მისი პიროვნების შემადგენელი ნანილია და განსაზღვრავს მისი ქცევის თავისებურებებსა და არსს. ამასთან ამით მტკიცდება ისიც, რომ ღირებულებითი დამოკიდებულება ხშირ შემთხვევაში სტერეოტიპული ხასიათის არის და ეფუძნება ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს, რომელიც ინდივიდში მასზე გავლენის მქონე სოციალურმა ჯგუფებმა ჩანერგეს.

შეიძლება თუ არა ღირებულებითი დამოკიდებულების შეცვლა? ამ კითხვაზე დადებითი პასუხი არსებობს. ღირებუ-

ლებითი დამოკიდებულების შეცვლა შესაძლებელია და ამის საუკეთესო საშუალება კონკრეტულ ღირებულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებაა. სწორედ ეს არის ის საიდუმლო იარაღი, რომელსაც პოლიტიკურობები ცალკეული პიროვნებების ან მასების დამოკიდებულებების შესაცვლელად იყენებენ და რომელსაც პროპაგანდა ჰქვია. სწორად წარმოებული და თანმიმდევრული საინფორმაციო შეტევის განხორციელების შემდეგ დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ არამხოლოდ ცალკეულ პიროვნებებში, არამედ სოციალურ ჯგუფებშიც კი ამორალური ღირებულებებისადმი წევატიური ღირებულებითი დამოკიდებულება შეცვალოს პოზიტიურით და პირიქით – მორალური ღირებულებებისადმი პოზიტიური დამოკიდებულება შეცვალოს ნეგატიურით. თუმცა იმის მტკიცება, რომ ამის მოხერხება ყოველთვის შეიძლება აზრს მოკლებულია. ადამიანებს უჭირთ სტერეოტიპული და ისეთი ღირებულებითი დამოკიდებულებების შეცვლა, რომლებიც პირდაპირ არის მიბმული მათ ტრადიციებზე, თვითმყოფადობაზე, ეროვნულობასა და პირად ღირსებაზე.

როგორც ზემოთმოყვანილი მაგალითებიდან დავინახეთ, ღირებულებითი დამოკიდებულება არის სწორედ ის ფენომენი, რომელიც განსაზღვრავს ჩვენი ქმედებების შინაარსს კონკრეტულ ფაქტებთან და მოვლენებთან დაკავშირებით. ღირებულებათა ის სისტემები, რომლებიც ჩვენში ზრდა-განვითარების პროცესში ინერგება, არის ამოსავალი წერტილი ამ ქმედებებისთვის. თუ მე შინაგანად (ბუნებით) ვარ მორალური პიროვნება და ჩემში ღრმად ფესვებგადგმულია მორალური ღირებულებები, სიცოცხლის ხელყოფითაც რომ დამემუქრონ ჩემი ღირებულებითი დამოკიდებულებები არ შეიცვლება, რადგან, ისევ ამ ტერმინებით რომ ვისაუბროთ, ჩემი ღირებულებითი დამოკიდებულება სიცოცხლისადმი შეიძლება უფრო ნაკლები მნიშვნელობის გამოდგეს ვიდრე იმ მორალური ღირებულებებისადმი, რომელთა უარყოფაც შეიძლება მომთხოვონ. ამ ლოგიკით, თუ დგას საკითხი ღირებულებითი დამოკიდებულების შერჩევით გამომუდგრებასთან დაკავშირებით, ყოველთვის წინა პლანზე იწევს ის ღირებულებითი დამოკიდებულება, რომელიც ჩემთვის,

როგორც პიროვნებისთვის უფრო მეტად ფასეულია და თანხმობაშია იმ სოციალური ჯგუფის ღირებულებებთან რომელსაც საკუთარ თავს მივაკუთვნებ.

შესაბამისად, უკვე შეგვიძლია შევთანხმდეთ ღირებულებითი დამოკიდებულების განსაზღვრების საბოლოო ვარიანტზე და ის შეიძლება ჩამოვაყალბოთ შემდეგნაირად: ღირებულებითი დამოკიდებულება არის ინდივიდის მიერ მის გარშემო მიმდინარე ფაქტებისა და მოვლენებისადმი გამოხატული დამოკიდებულება, რომელიც განსაზღვრულია ადამიანის ზრდა-განვითარების პროცესში მასზე გავლენის მქონე სოციალური ჯგუფების მიერ მის პიროვნებაში ჩანერგილი ღირებულებების მუშაობით და აისახება ქცევის თავისებურებებზე.

გამოყენებული ლიტერატურა

დიმიტრი უზნაძე, განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები. განწყობის თეორიის ძირითადი დებულებები, თბ., 2004;

Kohlberg, Lawrence (1981). Essays on Moral Development, Vol. I: The Philosophy of Moral Development. San Francisco, CA: Harper & Row. ISBN 0-06-064760-4.

Jean Piaget - The Moral Judgment Of The Child (1997, Glanco, Illinois)

http://en.wikipedia.org/wiki/Jean_Piaget#Education:_Mortality

Firuz Bolkvadze
The Phenomenon of the Value Attitude
Abstract

Work consists of four sections. First is about phenomenon, second is about formation of phenomenon, third is about kinds of phenomenon and fourth is about working of phenomenon and its influence over human.

Фируз Болквадзе
Феномен ценностного отношения

Р е з ю м е

Работа состоит из четырех разделов. Первая, о феномене, вторая о формировании феноменя, третья о видах феномена и четвертая о работе феномена и его влияния на человека.

ციალა ტუღუში

ქცევის მართვის სტრატეგიები: განვითარების გენერაცია

ფსიქოლოგიური მეცნიერების საბოლოო მიზანი ქცევის მართვაა, რაც ბიჭევიორისტების აზრით დაკავშირებულია სწორი ადაპტური რეაქციების ფორმირების პროცესთან, რისთვისაც გამოიყენება სხვადასხვა განმამტკიცებლები. ექსპერიმენტებმა დაადასტურა, რომ ყველაზე ეფექტური ვარიანტული განმტკიცების რეჟიმია. თვით განმტკიცების სქემა შეიძლება იყოს მუდმივი ან ნაწილობრივი. პირველ შემთხვევაში განმტკიცდება ყველა სწორი რეაქცია. გამოირკვა, რომ ამ პირობებში რეაქცია სწრაფად გამომუშავდება, მაგრამ სწრაფადვე ქრება. ნაწილობრივი განმტკიცება ორი სახისაა: რეგულარული და არარეგულარული ანუ ვარიანტული. რეგულარულის დროს განმტკიცება ხდება ყოველთვის, რეაქციების გარკვეული რაოდენობის შესრულების ან გარკვეული დროის მონაკვეთის გასვლის შემდეგ; არარეგულარული ანუ ვარიანტული განმტკიცება არ უკავშირდება რეაქციების მკაცრად განსაზღვრულ რიცხვს ან დროის ინტერვალს. თავად განმტკიცება ასევე შეიძლება ორი სახის იყოს: პოზიტიური და ნეგატიური. პოზიტიური განმტკიცება რეაქციის შემდეგ დადგებითი სტიმულის მიცემას გულისხმობს, ხოლო ნეგატიური განმტკიცებისას უარყოფითი სტიმულაციის მოცილება ხდება.

სკინერი თვლის, რომ ყველა მოქმედება, რეაქცია შეიძლება ორ კლასად დაიყოს. პირველს მიეკუთვნება რეაქციები, რომლებსაც პავლოვი შეისწავლიდა. მათ სკინერი რესპონდენტულს უწოდებს. ქცევა, რომელიც აქტიურად ზემოქმედებს გარემოზე მისი შეცვლის მიზნით სკინერის აზრით არის ოპერანტული ქცევა და იგი მას P ტიპის განპირობებულობას უწოდებდა, რათა ხაზი გაესვას რეაქციის ზემოქმედებას მომავალ ქცევაზე. ოპერანტული ქცევა (ოპერანტული დასწავლით გამოწვეული) განისაზღვრება მოვლენებით, რომლებიც რეაქციას

მოყვება. (ოპერანტული ქცევის წარმოშობის შესახებ მსჯელობა უაზროა, ვინაიდან არ არსებობს, უცნობია მათი წარმოშობის მიზეზები). თუ შედეგები ორგანიზმისთვის დადებითია ოპერანტის გამეორების ალბათობა ძლიერდება. როცა ეს ხდება, ამბობენ, რომ შედეგი განმტკიცდა და ოპერანტული რეაქცია განპირობებული გახდა. და პირიქით, თუ დადებითი არაა და არ განმტკიცდა, მაშინ ოპერანტის მიღების ალბათობა შემცირდება. მაგალითად, თქვენ აღარ გაულიმებთ ადამიანს, რომელიც თქვენს ლიმილს პასუხის გაპრაზებული გამოხედვით ან საერთოდ არასოდეს გილიმით. სკინერი თვლიდა, რომ ამ შემთხვევაში ოპერანტული ქცევა კონტროლდება ნეგატიური შედეგებით.

განვიხილოთ სიტუაცია, რომელიც ხშირად ხდება ოჯახებში, სადაც პატარა ბავშვია, კერძოდ, ტირილის ქცევის ოპერანტული დასწავლა. როცა პატარას რაიმე სტკივა, ის ტირის და მშობლის მყისიერი რეაქციაა-ყურადღების გამოყოფა. ვინაიდან ყურადღება განმამტკიცებელი ფაქტორია ბავშვისათვის, ტირილის რეაქცია ხდება ბუნებრივად განპირობებული. მაგრამ ბავშვმა შეიძლება მაშინაც იტიროს, როცა არ ტკივა, რათა მიიპყროს ყურადღება. შეუძლიათ თუ არა მშობლებს ბავშვის განპირობებული ქცევის დაძლევა? ფსიქოლოგი უილიამსი ყვება შემთხვევას, როცა სერიოზული ავადმყოფობის გამო ბავშვს 18 თვის განმავლობაში მშობლები განსაკუთრებულ ყურადღებას უყოფდნენ. ერთ-ერთი მშობელი ყოველთვის მის საძინებელში რჩებოდა, სანამ ბავშვი არ დაიძინებდა და ეს 2-3 საათი გრძელდებოდა. ბავშვის ტირილს მშობლები პოზიტიურ განმამტკიცებელს აძლევდნენ. ის აკონტროლებდა თავის მშობლებს. ექიმებმა ურჩიეს მშობლებს ტირილის იგნორირება და ბავშვის მარტო დატოვება საძინებელში. ერთი კვირის შემდეგ ტირილი შეწყდა, ხოლო ათი დღის შემდეგ ის უკვე იღიმებოდა, როცა მშობლები ტოვებდნენ საძინებელში. ერთი კვირის შემდეგ როგორც კი დააწვინეს ბავშვმა დაიწყო ყვირილი და მშობელი მასთან დარჩა დაძინებამდე. ეს ერთი პოზიტიური განმამტკიცებელი საკმარისი აღოჩნდა იმისათის, რომ მთელი ეს ჩაქრობის პროცედურა ისევ ხელმეორედ გასავლელი გამხდარიყო.

მეათე ლამეს ბავშვის ტირილი შეწყდა და ორი ნლის განმავლობაში არ განმეორებულა.

ოპერანტულ რეაქციებს სკინერი აქტიურ ქცევად განიხილავს. სწორედ მათი საშუალებით ხდება გარემოსთან შეგუება. ბუნებრივად მიმდინარე ადაპტაციის პროცესში ოპერანტული ქცევის ფორმირება და შეცვლა განმტკიცებებთან მისი თანხვედრის შემთხვევითობაზეა დამოკიდებული. მაგრამ, თუ მოქმედების განმტკიცებასთან შეუღლების პროცესი მიზანდა-სახულად არის წარმართული, შესაძლებელი უნდა იყოს ქცევის მართვა ისე, როგორც გვესაჭიროება. ადამიანის ყველა მეტ-ნაკლებად რთული ქცევა ოპერანტული ბუნებისაა და ექვემდებარება იმ ზოგად კანონზომიერებებს, რაც ცხოველთა ქცევის შესწავლის სამალებით დადგინდა. დასწავლის ფუნდამენტური პრინციპები და მექანიზმები შეიძლება თავისუფლად გამოვიყენოთ, როცა ადამიანის ქცევის ფორმირების, კონტროლისა და რეგულაციის ამოცანებია გადასაწყვეტი. აქედან გამომდინარე, ოპერანტული განმტკიცების ტექნიკა შეიძლება გამოყენებული იქნას მოსწავლეებისა და სტუდენტების სწავლებაში, გონებრივად ჩამორჩინოლი ბავშვების სწავლასა და აღზრდაში, ფსიქიურ დაავადებათა მკურნალობაში და ა.შ. ადამიანებს „ავადმყოფური“ ქცევა იმიტომ უყალიბდებათ, რომ სოციალურ გარემოში ადაპტური ქცევა არ იყო სათანადოთ განმტკიცებული და ხდებოდა არაადექვატური ქცევის განმტკიცება. მდგომარეობის გამოსწორება, ანუ ქცევის მოდიფიკაცია, გაუმჯობესება, ყველა შემთხვევაში შედარებით უფრო ადაპტური და ადექვატური აქტივობის თანადათანობითი განმტკიცების გზით ხორციელდება.

პირობითი განმტკიცება

თეორეტიკოსები ორი ტიპის განმტკიცებას აღიარებენ-პირველად და მეორადს. პირველადი განმამტკიცებელი-ნებისმიერი მოვლენა ან ობიექტია, რომელსაც თავისთავად აქვს განმამტკიცებელი თვისებები. ეს არის წყალი, საკვები, ფიზიკური კომფორტი და სექსი. მათი ფასეულობა ორგანიზმისთვის დასწავლაზე არაა დამოკიდებული. მეორადი, ანუ პირობითი განმამტკიცებელი ეს არის ნებისმიერი მოვლენა ან ობიექტი, რომელიც იძენს გან-

მამტკიცებლის თვისებას პირველად განმამტკიცებელთან მჭიდრო ასოციაციის საშუალებით, რაც ორგანიზმის წარსული გამოცდილებითაა განპირობებული. ზოგადი მეორადი განმამტკიცებლების სტიმულების მაგალითებია ფული, ყურადღება, მიჯაჭვულობა და კარგი შეფასება. სკინერი ამტკიცებდა, რომ ნებისმიერი ნეიტრალური სტიმული შეიძლება გახდეს განმამტკიცებელი თუ იგი ასოცირდება სხვა სტიმულებთან, რომლებიც ადრე განმამტკიცებლის როლში გამოდიოდნენ. ამგვარად, პირობითი განმამტკიცებლის ფენომენი მნიშვნელოვნად ზრდის ოპერანტული დასწავლის შესაძლებლობების სფეროს, განსაკუთრებით თუ ეს ეხება ადამიანის სოციალურ ქცევას. პირობითი განმამტკიცებლისთვის დამახასიათებელია ის, რომ იგი გენერალიზდება, თუ იგი გაერთიანდება არა ერთ პირველად განმამტკიცებელთან. ფული-განსაკუთრებული მაგალითია ამ შემთხვევაში. ფული თავისთავად ვერ დააკმაყოფილებს ვერც ერთ პირველად მოთხოვნებს. მაგრამ კულტურული გაცვლის საშუალებით იგი ხდება მრავალი სიამოვნების მიღების საშუალება. ჩვენ შეგვიძლია შევიძინოთ მანქანა, მოდური ტანსაცმელი, სახლი, განათლება, სამედიცინო მომსახურება. სხვა გენერალიზებული პირობითი განმამტკიცებელი სტიმულებია-მლიქვნელობა, შექება, სხვების დაქვემდებარება. ეს ე.წ. სოციალური განმამტკიცებელი სტიმულები ხშირად მოქმედებენ ძალიან რთულად და შეუმჩნევლად, მაგრამ ისინი არსებითია ჩვენი ქცევისთვის სხვადასხვა სიტუაციებში. ყურადღება-უბრალო შემთხვევაა, ყველამ იცის, რომ ბავშვი იქცევა ცუდათ, ერევა უფროსების საუბარში, თავს მოკატუნებს ავად იმისთვის, რომ ყურადღება მიიქციოს. ყურადღება მნიშვნელოვანი სხვების-მშობლის, შეყვარებულის, მასწავლებლის-განსაკუთრებით ეფექტური გენერალიზებული პირობითი სტიმულია. კიდევ უფრო ძლიერი გენერალიზებული პირობითი სტიმულია-სოციალური აღიარება. ბევრი ადამიანი დროის დიდ ნაწილს ატარებს სარკესთან, რათა მოეწონოს მეუღლეს ან შეყვარებულს. მოდაც ასევე არსებობს სოციალური მოწონების-

თვის და მანამ იარსებებს, სანამ იქნება სოციალური აღიარება. კარგი ნიშნები—ასევე პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმულია.

სკინერი თვლიდა, რომ განმამტკიცებელი სტიმულები ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანის ქცევის კონტროლისთვის და ის აღნიშნავდა, რომ ყველა ადამიანი გაივლის უნიკალურ დასწავლის მეცნიერებას და ადამიანებს არ მართავს ერთი და იგივე განმამტკიცებელი სტიმულები.პირობითი განმამტკიცებელი სტიმულები ადამიანებთან საკმაოდ რთული გასაგებია.

ქცევის კონტროლი ავერსული სტიმულის საშუალებით

სკინერის აზრით ადამიანის ქცევა კონტროლდება ავერსული(არასასიამოვნო ან მტკიცნეული) სტიმულებით. ორი ყველაზე ტიპიური ავერსული კონტროლის მეთოდია—დასჯა და ნეგატიური განმამტკიცებელი. ეს ტერმინები ხშირად გამოიყენება როგორც სინონიმები.

დასჯა. დასჯის მიზანია აიძულოს ადამიანები არ მოიქცეს მოცემული სახით. დასჯა შეიძლება განხორციელდეს ორი გზით, სკინერის მიხედვით ეს არის პოზიტიური დასჯა და ნეგატიური დასჯა. პოზიტიური დასჯა, როცა ქცევას მივყავართ ავერსულ შედეგამდე. თუ ადამიანი მოიპარავს, ის ციხეში მოხვდება. ნეგატიურია დასჯა, როცა ქცევას მოყვება პოზიტიური განმამტკიცებელი სტიმულის მოშორება. ცუდი ქცევის გამო ბავშვს არ აყურებინებენ ტელევიზორს ან გააგდებენ კლასიდან, როცა ხელს უშლის გაკვეთილის ჩატარებას.

სკინერი დასჯას განხილავდა როგორც ქცევის კონტროლის არაეფექტურ საშუალებას. დასჯის ტაქტიკას შეუძლია გამოიწვიოს უარყოფითი ემოციური და სოციალური თანმხლები ეფექტები. შფოთვა, შიში ანტისოციალური ქმედება, თვითპატივისცემის დაქვეითება—ეს ზოგიერთი ნეგატიური თანმხლები მოვლენებია, რაც დასჯას თან ახლავს. ავერსული ქმედებით გამოწვეულმა საფრთხემ შეიძლება გამოიწვიოს კიდევ უფრო საკამათო ქცევის მოდელები. მაგალითად, ბავშვი, რომელიც დაისაჯა ცუდი სწავლის გამო, შემდეგ იქცევა უარესად—არ დადის, აცდენს გაკვე-

თილებს, დახეტიალობს ქუჩაში. დასჯა არ გამოუმუშავებს სასურველ ქცევას ბაჟშეს. არასასურველი ქცევის ჩანაცვლებისთვის სკინერი გვთავაზობს პოზიტიური განმამტკიცებლის გამოყენებას.

ქცევის მოდიფიკაციის ტექნოლოგიის ერთ-ერთ ვარიანტს ფსიქიატრიულ კლინიკებში გავრცელებული ე.წ. უეტონების სისტემა წარმოადგენს. პაციენტის მიერ სხვადასხვა პოზიტიური მოქმედებების შესრულება (მაგ. ოთახის დალაგება, მორიგეობა) ჯილდოვდება უეტონებით, რომელიც პაციენტს შეუძლია გადაცვალოს მისთვის სასურველ საგნებზე(ტკბილეული, სიგარეტი, ბილეთი კინოში და ა.შ.). ეს სისტემა საკმაოდ ეფექტურია არაადაპტური ქცევის ჩაქრობისა და ადაპტური ქცევის ფორმირების თვალსაზრისით. ქცევის მოდიფიკაციის ამ პროგრამამ გაამართლა სხვა სიტუაციებში(გონებაჩამორჩენილებთან, დელიკვენტურ მოზარდებთან, აგრესიულ და აუტისტურ ბავშვებთან). სოციალური ქცევის მართვისათვის განმტკიცებლების ორგანიზებული და ეფექტური სისტემაა საჭირო. სკოლაში მასწავლებლები უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ არასასურველ ქცევას და პოზიტიურზე არ ამახვილებენ ყურადღებას. მათ მცდარი წარმოდგენა აქვთ, რომ ამით უფრო შეასუსტებენ მას. ხშირად ყურადღება, თუნდაც ნეგატიური(განსაკუთრებით ყურადღების დეფიციტის დროს) ჯილდოა მოსწავლისთვის. სპეციალისტები რეკომენდაციას იძლევიან მოსწავლის რთული ქცევის დროს დაკვივება ვაწარმოოთ სამ სხვადასხვა მასწავლებელთან და 40 წუთის განმავლობაში ჩავინიშნოთ წუთში რამდენჯერ გამოავლინა ბავშვმა რთული ქცევა, რამდენჯერ იყო ჩართული დავალებაში(როცა ბავშვი დავალებაშია ჩართული, ის არ ავლენს რთლ ქცევას). თუ ბავშვი ჩართულია და აინტერესებს, ის იმსახურებს შექებას. ასევე შექებას იმსახურებს იგი, როცა ასრულებს ინსტრუქციებს. შექება უნდა დაკონკრეტდეს, თუ რას აკეთებს მოსწავლე კარგად. სპეციალისტები ფიქრობენ, რომ ერთ შენიშვნას უნდა მოყვეს 4 შექება—წახალისება. პოზიტიურ შედეგს იძლევა, როცა მოსწავლეს ისეთ დავალებას ან აქტივობას მივცემთა, რაშიც ის წარმატებული იქნება. ამერიკაში კარგად

მუშაობს ვიდეოს გადაღება კლასში და შემდეგ პედაგოგებისა და სპეციალისტების მიერ განხილვა, თუ რამ იმუშავა კარგად და რამ არა.

Циала Тугуши

Стратегии управления поведения: подкрепление

Резюме

Цель психологической науки управление поведения. По мнению бихевиористов формирование поведения связано с различными типами подкрепления. Скинер выделил подкрепления регулярные и нерегулярные или вариантные, респодентное и оперантное поведение. Эксперименты доказали, что более эффективны вариантные подкрепления. Скинер считал, что наказание неэффективный тип подкрепления. Педагоги чаще применяют замечание и наказание за неадекватное поведение, чем поощрение, когда ребенок выполняет инструкции.

TsialaTugushi

Building Behavior Management Strategies: Reinforcements

Summary

Objective psychological science management behavior. Behavioural scientists believed that the formation of behavior associated with different

types of reinforcements. Skinner has provided regular and irregular reinforcements or variant, respondent and operant behavior. Experiments have proved that more efficient variant of reinforcements. Skinner believed that the punishment ineffective type of reinforcement. Teachers often used comment and punishing inappropriate behaviour than the promotion, when a child performs the instructions.

**მასნავლებლებისა და სასპორტო სკოლების
მწვრთნელთა საკვალიფიკაციო -
საგანახათლებლო მონაცემების შესძლება
აზარაში**

საკითხი ეძღვნება ისეთ აქტუალურ თემას, როგორიცაა საჯარო სკოლებში ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მასწავლებლებისა და, მეორე მხრივ, სასპორტო სკოლების მწვრთნელების განათლების, კვალიფიკაციის, მომზადებულობისა და მათთან დაკავშირებული საკითხების გარკვევას, რომლებიც განაპირობებს მოსწავლე-ახალგაზრდების ფიზიკურად და სულიერად ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებას. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში მომუშავე მასწავლებელთაგან, 69%-ს აქვს სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის დიპლომი და კვალიფიკაცია, და არა სპორტის მწვრთნელ-მასწავლებლის დამადასტურებელი საბუთი და კვალიფიკაცია. საჯარო სკოლებში და სასპორტო სკოლებში მომუშავე ამ კატეგორიის მასწავლებლებს კი კანონით ეკრძალებათ სპორტის მასწავლებლად მუშაობა, რადგან სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი შედარებით ზოგადად ფლობს სპორტის ამა თუ იმ სახეს, ხოლო სპორტის მწვრთნელ-მასწავლებელს მოეთხოვება ვინრო სპეციალიზაცია, სკოლის მიერ არჩეულ სპორტის სახეობაში.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლის ფიზიაღზრდის, სპორტის მასწავლებელთა 31%-ს არა აქვს სპეციალური უმაღლესი განათლება. აქედან, 25%-ს დამთავრებული აქვს ტექნიკური, ხოლო 6% საშუალო სკოლის განათლების მქონეა. ზემოთ აღნიშნული კონტინგენტიდან, გადამზადებაზე უარი განაცხადა მასწავლებელთა 4%-მა, 15%-მა კი თავი შეიკავა. სულ კვალიფიკის ამაღლებაზე მასწავლებელთა 19% თქვა უარი. ამას ემა-

ტება ასაკოვან მასწავლებელთა 8% (63–84 წლის მასწავლებლები), რომლებიც არ ექვემდებარებიან გადამზადებას, რაც კიდევ უფრო ზრდის მაჩვენებელს $19\% + 8\% = 27\%$. მიღებულ პროცენტულ მონაცემს თუ დავუმატებთ ზემოთ ნაჩვენებ 31%-ს, მაშინ მივიღებთ, რომ სკოლაში მომუშავე მასწავლებელთა 58% ვერ დაექვემდებარება გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც ძალზე სახიფათო მაჩვენებელია. გამოდის, რომ უახლოეს მომავალში, თუკი სასწრაფოდ არ დავიწყებთ არსებული ადამიანური რესურსის მაქსიმალურად გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალი კონტინგენტით სკოლის უზრუნველყოფას, – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლები მხოლოდ 42%-ით იქნება უზრუნველყოფილი კვალიფიცირებული კადრებით, ისიც საუკეთესო შემთხვევაში (იგულისხმება ამ კატეგორიისათვის სპეციალურად შექმნილი სასწავლო პროგრამის დაჩქარებული კურსით გავლა).

ასევე, კვლევამ გვიჩვენა, რომ საჯარო სკოლები 42%-ით არ არიან უზრუნველყოფილი იმ სპორტული ინვენტარით, რომლის გარეშე სპორტის სწავლება ყოვლად შეუძლებელია, ხოლო კითხვა-რების საფუძველზე მიღებული მაჩვენებლები იმის თაობაზე, რომ სპორტული ინვეტარით უზრუნველყოფა 58%-ს შეადგენს, ძალიან გადაჭარბებულად მიგვაჩნია.

კატასტროფულია საჯარო სკოლების სპორტული ლიტერატურითა და მეთოდური სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის დონე, რომელიც მხოლოდ 17% შეადგენს. ამავე დროს, ბუნებრივია, რომ ასეთი სპორტული ლიტერატურის გარეშე წარმოუდგენელია არა მარტო რაიმე სპორტული სიახლის დანერგვა, არა-მედ საერთოდ სწავლება. დღეს საქართველოში ასეთი ლიტერატურა თითქმის არ არის, ან ძალიან დიდ იშვიათობას წარმოადგენს. უცხოურ ლიტერატურაზე კი ხელი არ მიგვიწყდება, ენობრივი და სხვა ბარიერების გამო. იშვიათად ხორციელდება ასეთი წიგნების თარგმანი, წიგნების ფასი საკმაოდ მაღალია, ტირაჟი კი მცირე.

კითხვარის მიხედვით, როგორც საჯარო, ისე სასპორტო სკოლის აბსოლუტურად ყველა მასწავლებელი მიუთითებს დაბალ ხელფასზე, რომელიც არ არის საკმარისი არც სტიმულირებისთვის და არც ნოვატორული ინიციატივებისათვის, და ამგვარად, ერთ-ერთ ძირითად ხელისშემშლელ პირობად გვევლინება სწავლებაში.

ასეთივე მდგომარეობა აღინიშნება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სასპორტო სკოლებშიც, სადაც, მომუშავე პედა-გოგთაგან, სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებლის კვალიფი-კაციითაა 34%, მწვრთნელ-მასწავლებლისა – 17%; 24% კვალიფი-კაციის გარეშეა (არასრული უმაღლესი განათლება, საშუალო გა-ნათლება და კითხვარში კვალიფიკაციის არდაფიქსირება). დანარ-ჩენ 25%-ს სხვადასხვა პროფესიის ადამიანები შეადგენენ, რომელ-თა 62% არ არის სერტიფიცირებული. გადამზადებასა და კვალი-ფიკაციის ამაღლებაზე უარი განაცხადა პედაგოგთა 3%, თავი შეი-კავა 18%, გადამზადებას არ ექვემდებარება 63-92 წლის ასაკის პე-დაგოგები, რომელთა პროცენტული მაჩვენებელია 22%.

ზემოთ აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით დგინდება, რომ ამჟამად სასპორტო სკოლებში კვალიფიკაციის შესაბამისად მუშაობის უფლება აქვს მხოლოდ 17%-ს, ხოლო პედაგოგების და-ნარჩენი ნაწილი – 83% გადამზადებას არ ექვემდებარება. აქვე თუ გავითვალისწინებთ სასპორტო სკოლების კვალიფიცირებული კადრებით უზრუნველყოფის მძიმე მდგომარეობას და დასაქმე-ბულთა სპორტულ გამოცდილებას, მიზანშეწონილია, მათ მიეცეთ გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების შანსი. ამ შემთხვე-ვაში, ასეთი სურათი გვექნება: გადამზადებისადმი დაუქვემდება-რებულთა $83\% - (3\% + 18\% + 22\%) = 43\%$ მსურველი, რაც მაინც სა-განგაშო ციფრია, რადგან საბოლოდ მივიღებთ $17\% + 43\% = 60\%$ და ესეც – საუკეთესო შემთხვევაში.

რაც შეეხება სპორტულ საქმიანობაში ანკეტაში აღნიშნულ პირველ სამ ხელისშემშლელ პირობას, ისინი ასე გადანაწილდა:

1. სპორტული ინვენტარის არქონა და სიძველე – 59%.

2. საწვრთნელი პირობების არქონა, არსებულის სიმცირე, მოუწესრიგებელი გარემო და ამის გამო მეცადინეობათაა შეზღუდული დრო – 45%.

3. დაბალი (მიუღებელი) ანაზღაურება – 43%.

საინტერესო მონაცემები დაფიქსირდა კითხვაზე: „რა უნდა ისნავლებოდეს საჯარო სკოლაში: სპორტი თუ ფიზიკური კულტურა (ფიზიკური აღზრდა) და სპორტი სექციური მუშაობის ფორმით გაკვეთილების შემდეგ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სპორტში მომუშავე მწვრთნელ-მასწავლებელთა 17% (რომელთაგან 8% სამთო მოთხილამურეა) თვლის, რომ შესაძლებელია სპორტის სწავლება საჯარო სკოლაში ბოლო გაკვეთილებზე, ხოლო გამოკითხულთა 83% მიზანშეწონილად მიიჩნევს ფიზიკური კულტურის (ფიზიკური აღზრდის) სწავლებას საჯარო სკოლაში და სპორტული სექციების მუშაობას გაკვეთილების შემდეგ. იგივე აზრისაა საჯარო სკოლების მასწავლებელთა 90%-ზე მეტი. გამოკითხულთა უმრავლესობის მიერ გამოთქმული ნეგატიური აზრი საჯარო სკოლებში „სპორტის“ სწავლების მიმართ გამოწვეული უნდა იყოს ზემოთ აღნიშნული პირობებით, რაც აგრეთვე იმის შედეგია, რომ არასათანადო შესწავლილი იყო სპორტის სწავლებისათვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და სპორტის მასწავლებლებით საჯარო სკოლების უზრუნველყოფის საკითხი. ამჟამად მტკიცდება, რომ ეს საკითხი ნაჩერევად და არაკომპენტენტურად იქნა მიღებული, როგორც ჩანს, მხოლოდ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული მდგომარეობისადმი უკრიტიკო მიბაძვის საფუძველზე.

იგივე კვლევებით დადგინდა, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საჯარო სკოლებში მასწავლებელთა 47% ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში – სახელმწიფო უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულია ფიზიკური აღზრდის სპეციალობით. იგივე სპეციალობით, თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (შემდგომში ფიზიკური კულტურის აკადემია) და თელავის პედაგოგიური ინ-

სტიტუტი დამთავრებული აქვს მხოლოდ 10%-ს. ეს იმის მაჩვენებელია, რომ აჭარის რეგიონს პედაგოგიური კადრებით, მათ შორის, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტებით უზრუნველყოფს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამჟამად, თბილისა და ბათუმში აღნიშნულ სპეციალობებზე მიღება აღარ წარმოებს.

სასპორტო სკოლებში მომუშავეთა მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის (შემდგომში სახელმწიფო უნივერსიტეტის) კურსდამთავრებულია ფიზიკური აღზრდის სპეციალობით 34%.

თბილისის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი (შემდგომში ფიზიკური კულტურის აკადემია) დაამთავრა 12,6%.

თელავის პედაგოგიური ინსტიტუტი დამთავრებული აქვს მხოლოდ 1,4%-ს დაწყებითი სამხედრო მომზადებისა და ფიზიალურდის სპეციალობით.

მიღებული მონაცემები შემაშფოთებელია. კვლევაში მწვრთნელთა ასაკობრივი მაჩვენებლები (მწვრთნელთა წლოვანება) არ არის გათვალისწინებული, რადგან ასაკოვანი პედაგოგები არ ექვემდებარებიან გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რაც კიდევ უფრო დაბლა დასწევდა არსებულ მაჩვენებლებს. ცხადია, შექმნილი მდგომარეობა განსაკუთრებული განსჯის საგანი უნდა გახდეს განათლების სისტემის ყველა საფეხურზე, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოსა და მთავრობის დონეზეც კი, რადგან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში არსებული მდგომარეობა იდენტურია ქვეყნის ყველა რეგიონისათვის.

Besik Tcictcagi
**Examination of qualification and training of school teachers and
coaches the sports schools of Adjara**

Summary

Status of the teachers of physical culture and sports in high schools and sports schools is a matter of great concern, since their qualification and education data are inadequate and therefore the results of their work to be the best.

Бесик Цицаги
**Изучение квалификационно-образовательных данных
преподавателей школ и тренеров спортивных школ**
Аджарии
Резюме

Положение дел у преподавательского состава физической культуры и спорта в средних школах и в спортивных школах вызывает большое беспокойство, так как их квалификационно-образовательные данные не соответствуют предъявляемым требованиям а поэтому и результаты их работ желают быть лучшими.

განცყობის ფაქტორების პრობლემა

აპროპრიაციის ფსიქოლოგიის [ჩაგანავა, 1995; ჩაგანავა, 2011; ჩაგანავა, 2004; ჩაგანავა, 1978; ჩაგანავა, 2004] კონცეფციის შესაბამისად ცოცხალ არსებათა სამყაროსათვის დამახასიათებელია აპროპრიაციის (მიკუთვნება, დაუფლება, ათვისება, მითვისება) უძლიერესი ტენდენცია. ის გარემოს მიმართ შვიდ ზოგადიოფსიქიურ ტენდენციას აერთიანებს. აპროპრიაციის ეს ტენდენციები ცოცხალი არსების ნებისმიერ დონეზე მოქმედებენ, რადგან ისინი, შედარებით უარყოფით გარემოში, სიცოცხლისუნარიანობის, სიცოცხლის შენარჩუნების ზოგად კანონზომიერებებს ეყრდნობან. ნებისმიერ ორგანიზმს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისა და გარემოსთან საზოგადოდ უკეთ შეგუების უნარი გააჩნია. ცოცხალი არსების “ეს უნარი მისი ისეთი თავისებურებებიდან გამომდინარეობს, რომელთა გარეშე ცოცხალი ინდივიდის არსებობა შეუძლებელია” [ნადირაშვილი, 2001:11]. დაუზნაძე ნაშრომში – “განწყობის ფსიქოლოგიის ექსპერიმენტული საფუძვლები” წერს: “ერთი სიტყვით, “მოთხოვნილება” ფსიქო-ფიზიკური ორგანიზმის ყოველ მდგომარობას შეიძლება ეწოდოს, რომელიც, საჭიროებს რა გარემოს შეცვლას, ამისათვის აუცილებელი აქტივობის იმპულსებს იძლევა” [უზნაძე, 1949:44]. “მდგომარობა” “საჭიროებს რა გარემოს შეცვლას” ნიშნავს, რომ გარემო “ორგანიზმისათვის” “უცხოა,” საშიშიცაა, რადგან იქ აშკარად არ არის მოთხოვნილების დამაკმაყოფილიბელი საგანი. ამიტომ აქ ორგვარ ქცევასთან გვაქვს საქმე. პირველი, ეს ისეთი ქცევაა, როდესაც ორგანიზმი ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად განერიდოს ამ მის წინაშე არსებულ გარემოს – ანუ, როგორც უცნაური არ უნდა იყოს აქ ნამყვანია არა აპროპრიაციული ქცევა, ანუ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაზე ორიენტირებული ქცევა, არამედ საშიში სიტუაციისაგან განსარიდებელი ქცევა. ეს კი ნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა აქ ზოგადად თავის გა-

დარჩენის, ანუ საკუთარი მდგომარეობის შენარჩუნების სტიმული მოქმედებს და არა კონკრეტული საგნის (საკვების) დაუფლების (აპროპრიაციის) ტენდენცია, რომელიც ვერც კი ამოქმედდება, სანამ არ მოიხსნება საშიშროება.

ამრიგად ზოგადი ბიოფსიქიური განწყობები არსად გამქრალან, ისინი ქმნიან კონკრეტული ქცევის საფუძველს, ანუ გარემოს შეცვლაა უპირველესი ამოცანა. პირველი ამოცანაა – უსაფრთხო გარემოს მიღწევა და რაც შეიძლება სწრაფად. მეორე მხრივ, რადგან “მოთხოვნილება” “საჭიროება” შეცვლას – ეს ნიშანებს, რომ მოთხოვნილების მდგომარეობა აგრეთვე “უცხოა”, შინაგანად “შემაწუხებელი,” ”არათავისი” და ის, რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოვიცილოთ. აქ საკუთარი ორგანიზმის (მოთხოვნილების) მდგომარეობის დაძლევა – ნეგაცია ხდება აუცილებელი. აქ ორ გრძნობასთან გვაქვს საქმე – გარემოს შიშთან, რომელიც სიკვდილის შიშს უკავშირდება, მაგალითად, თუ საჭმელზე გვაქვს საუბარი, ეს საკუთარი მოთხოვნილების აკვიატებას უთანაბრდება, რომელიც არანაირად არ გვცილდება და დროთა განმავლობაში იზრდება კიდევაც და მისი დაძლევის გარეშე შეუძლებელია კომფორტული ე.ი. “თავისი” მდგომარეობის მიღწევა. აქ ინდივიდს უფრო მეტად აკვიატებულობა აწუხებს, რომელიც უთუოდ მოთხოვნილების სიმტკიცის გვერდითი ეფექტია. მოთხოვნილება იწვევს აკვიატებულობას იმიტომ, რომ სავსებით შესაძლებელია, რომ აკვიატებულობის შემაწუხებულობის გარეშე მოთხოვნილების ძალიან გაძლიერებამდე, ანუ ნაკლულობის ძლიერი განცდის მდგომარეობამდე ინდივიდმა არც კი მიმართოს შესაფერის ქცევას და დაკმაყოფილდეს იმ რეზიტაციით, რომლებიც მას გააჩნია. ამიტომ მოთხოვნილება მნიშვნელოვანწილად ინდივიდის საწინააღმდეგო, შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც აკვიატებულობის მდგომარეობის ინდივიდზე თავსმოხვევით აფიქსირებს საკუთარ თავს.

საყურადღებოა, რომ ქცევის განხორციელებისათვის ე.ნ. ოპერატორი შესაძლებლობების [ნადირაშვილი, 1983:218-233] ცნება არის შემოთავაზებული განწყობის ფსიქოლოგიაში. საქმე იმაშია, რომ მოთხოვნილებისა და შესატყვისი სიტუაციის შეხ-

ვედრის შემთხვევაში იქმნება შთაბეჭდილება თითქოს ქცევა მისით ხორციელდება, რაც განწყობის ზოგადი ხასიათის მაჩენებელია და ორგანიზმის, როგორც მთელის, აქტივობის შესწავლის შესაძლებლობას იძლევა. ეს კი არა მხოლოდ განწყობის ორადიაციისა და გენერალიზაციის შესაძლებლობების განმაპირობებლია [უზნაძე, 1949: 25-36], არამედ აგრეთვე განსაზღვრავს ზოგადი, გენეტიკური ტენდენციების გამოვლენის შესაძლებლობას. ამგვარად ოპერატიული შესაძლებლობები სინამდვილეში ერთობლიობაა ცოცხალი არსების განვითარების პერიოდში ჩამოყალიბებული სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნების ტენდენციებისა. განწყობის ზოგადი ხასიათი, არა მხოლოდ ამ მოცემულ აწმყო დროში სხვადასხვა მოდალობათა შიგნით რეცეპტორთა ანალოგიურ რეაქციათა ხასიათით არის განპირობებული [უზნაძე, 1949: 25-36], არამედ გენეტიკურად, დიდი ხნის ნინათ შემუშავებული ზოგადი განწყობისეული ქცევის ხასიათის გამძლეობა იძლევა იმის შესაძლებობას, რომ კონკრეტულ ვითარებაში შემუშავებულ განწყობისეულ რეაქციათა ნაირსახეობა, ამჟამინდელი, კონკრეტული განწყობისეული აქტივობა აგრეთვე იქნება ისევე მყარი და გამძლე, რადგან ზოგადად იმავე მონაცემებით ხასიათდება, როგორც პირვანდელი ბიოფსიქიური განწყობები [ჩაგანავა, 1995: 536-565]. ფიზიკური სივრცისა და “ფსიქოლოგიური სივრცის” პრობლემა არ არის ახალი. მაგალითად უ.სტერნი სპეციალურ თავს უძღვნის “სივრცის დაპყრობას” და საუბრობს “სივრცისეულის” დაძლევაზე შემეცნებაში და მოქმედებაში [Стерн, 2003:12. 79]. “სივრცის დაპყრობა” სინამდვილეში “სივრცის დაუფლებაა” ანუ სივრცის აპროპრიაციაა.

თუ “აქტიობა მოთხოვნილების დაკმაყოფილების საშუალებათა უზრუნველყოფის ხერხი” – ა მაშინ ისიც შესაძლებელია ვამტკიცოთ, რომ აქტივობა, როგორც საშუალება და ხერხი აერთიანებს რაღაც განმტკიცებულ მოქმედებებს და ქმნის ისეთ ერთიანობას, რომელიც ასეთი კონკრეტული ქცევის დროს უწინაც გამოიყენებოდა, ისინი აპრობირებული, გათავისებული არიან და პრობლემას არ უქმნიან ინდივიდს. ამავე დროს ეს საშუალებები და ხერხები სიტუაციის შესატყვევის უნ-

და იყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში ქცევა დაბლოკირდება, საშიში გახდება და ინდივიდი იძულებული იქნება საშიშროები-საგან გამოსვლის აპრობირებული საშუალებები და ხერხები ეძებოს—ანუ თავდაპირველად დაწყებული ქცევა შეწყდება, ის მიზანშეწონილობის ხასიათს დაკარგავს.

შ. ჩხარტიშვილი წერს, რომ „მიზანი, პირველ რიგში წარმოდგენაა“....მაგრამ ის „სპეციფიკუზი ფსიქოლოგიური თავისებურებითაც ხასიათდება; სახელდობრ, მისი შინაარსი პიროვნებისაგან განხორციელებას, სინამდვილედ გარდაქმნას მოითხოვს და მას მოქმედებისაკენ მოუწოდებს“ [ჩხარტიშვილი, 1958:91]. მართალია, რომ წარმოდგენას, და ამ შემთხვევაში, საკუთარი მიზნის წარმოდგენას არ აქვს და არც შეიძლება ქონდეს საკუთარი ძალა „მატერიალური პროცესების“ თვალ-საზრისით, როგორც ამას შ. ჩხარტიშვილი ამბობს და ეს სავ-სებით მართებულია, მაგრამ აგრეთვე მართებულია ისიც, რომ „სუბიექტს კი ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს მას თვი-თონ მიზანი ეზიდებოდეს თავისკენ“ [ჩხარტიშვილი, 1958:92]. ამრიგად ქცევის განხორციელებისათვის არ არის საკმარისი, რათა სუბიექტურად ადამიანს ქონდეს მოთხოვნილების შესატ-ყვისი სიტუაცია, არ არის საკმარისი, რათა ადამიანს ქონდეს ოპერატიული შესაძლებობები [წადირაშვილი, 1983:14-16], არამედ საჭიროა, რათა მოთხოვნილება იყოს გათავისებული ისევე რო-გორც მიზანი, ანუ ორივეს უნდა ქონდეს “თავისიანობის” ნიშა-ნი, „საკუთრად“ უნდა იყვნენ მიჩნეული.

ეს დასკვნა სავსებით შეესატყვისება შ. ჩხარტიშვილის დებულებას იმის შესახებ, რომ “პიროვნებას შეუძლია აქტუა-ლური მოთხოვნილების ტყვეობას თავი დააღწიოს, მომენტა-ლურ მდგომარეობაზე ამაღლდეს, სიცოცხლის ბუნებრივ მიმ-დინარეობას მიმართულება შეუცვალოს და ისეთი ქცევის აქ-ტები განახორციელოს, რომლებიც ანმყოს მოთხოვნილებებს კი არ პასუხობს, არამედ ერთგვარ მსხვერპლს მოითხოვს მისგან“ [ჩხარტიშვილი, 1958:108]. ამრიგად დასკვნის შ. ჩხარტიშვილი “ ისეთ ქცევასთან გვაქვს საქმე, რომელიც აქტუალური მოთხოვ-ნილებიდან ან საერთოდ არ გამოიყვანება, ან კიდევ მისი შეპი-რობებისათვის აქტუალური მოთხოვნილების იმპულსი და მას-

თან დაკავშირებული გრძნობები არაა საკმარისი. ამიტომ სწორედ აქ ხდება საჭირო ნებისყოფისა და მისი სპეციფიკური მოტივების შესახებ ლპარაკი“[ჩხარტიშვილი, 1958:109]. ნებისყოფითი ქცევა ადამიანის მირ წარმოსახული, ფენომენოლოგიური, გაცნობირებული საკუთარი მოთხოვნილებისა, საკუთარი მიზნისა, შესაბამისი საკუთარი ოპერატორული შესაძლებლობებისა და მთლიანად საკუთარი შინაგანი მდგომარეობისა და გარე საკუთარი სიტუაციის ათვისებულობის დარწმულებულობის განცდის ერთობლიობაა, რომელიც განაპირობებს წმინდა ფსიქოლოგიურ ქცევას. განწყობისეული მოქმედება მოთხოვნილებით აქტუალიზდება, ხოლო ნებისყოფითი მოქმედება კი მიზნით. ნებისყოფითი ქცევა მთლიანად პიროვნების მიერ არის ფორმირებული, ის მთლიანად მას ეკუთვნის, მისადმი არის დამორჩილებული და გაცნობიერებული საკუთარი მოთხოვნილებისა, საკუთარი მიზნისა, შესაბამისი საკუთარი ოპერატორული შესაძლებლობებისა და ათვისებულობაში დარწმუნებულობისა. ამრიგად ნებისყოფით მოქმედებას საფუძვლად აქვს მთლიანად გათავისებული, აქტუალური ბიოლოგიური, ინდივიდუალური მოთხოვნილებიდან განთავისუფლებული, პიროვნულად საკუთარი მოთხოვნილება და აგრეთვე საკუთარი, ხშირად ინდივიდუალური თვალსაზრისით, არაგონივრული, არაპრაქტიკული, მიზანი, რომელიც სულაც არ არის აუცილებელი, რომ მომავალზე იყოს ორიენტირებული, მაგრამ ის პიროვნებისათვის საკუთრად, თავისად, ანუ ღირებულად და აუცილებლად შესასრულებლად არის მიჩნეული. თუ ჩვეულებრივი განწყობისეული ქცევა სიცოცხლის შენარჩუნებაზე არის ორიენტირებული, ნებისყოფითი ქცევა ძირითადად, საკუთარი ღირებულებებით წარმოქმნილი, პიროვნულად ღირებულებითი საკუთარი მიზნით არის განპირობებული, რომელიც სიცოცხლის შენარჩუნებას შეიძლება სულაც არ გულისხმობდეს. ამრიგად სულ ერთია იმპულსურია თუ ნებისყოფითია ქცევა, მისი ცველა კომპონენტი (განწყობის ფაქტორები) უნდა იყოს სახელდებული ფაქტორ „თავისით.“ წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ისინი გაუცხოვდებიან შეუძლებე-

ლი იქნება მათზე ზემოქმედების მოხდენა და ქცევის განხორციელება. ამიტომ ინდივიდს არა მხოლოდ ქცევის ყველა კომპონენტის მიმართ უნდა ქონდეს მათი მისადმი ფსიქოლოგიური კუთვნილების, გათავისებულობის, ათვისებულობის განცდა, არამედ განცალკევებულად ქცევის მეოთხე კომპონენტის სახით (განწყობის მეოთხე ფაქტორი) წარმოდგენილი უნდა იყოს ინდივიდისა (იმპულსური ქცევის შემთხვევაში) თუ პიროვნების (ნებისყოფითი ქცევის შემთხვევაში) ათვისებულობის დარწმუნებულობის განცდა, რომელიც ქცევის ინიცირების, სასხლეტის, ამშვების როლის შემსრულებელია და მის გარეშე ვერანაირი ქცევა ვერ განხორციელდება. ამავე დროს წამყვან ფუნქციას იმპულსური ქცევის დროს მოთხოვნილება უნდა ასრულებდეს, ხოლო ნებისყოფითი ქცევის დროს კი მიზანი. იმ დროს როდესაც ზემოდასახელებული მეოთხე კომპონენტი არ არის წარმოდგენილი, მაშინ ქცევა ბლოკირდება უცხოობის განცდით, რომლის ურთიერთობები ათვისებულობის დარწმუნებულობის განცდასთან მოითხოვს თეორიულ და ექსპერიმენტულ შესწავლას.

საყურადღებოა, რომ თავის დროს ა. ფრანგიშვილს შესწავლილი აქვს მოგონების პროცესში დარწმუნებულობის საკითხი (Прангишвили, 1967:105-205).

წარმატებულობისა თუ წარმატებლობის მიუხედავად აქტივობა იძლევა საშუალებას ინდივიდმა(ერთდროულად და გაერთიანებულად განიცადოს საკუთარი თავი და სიტუაცია-გარემო დაძაბულ მდგომარეობაში. მაგრამ ეს დაძაბულობა, ტონუსი არსებობის განმსაზღვრელია და მხოლოდ ის აერთიანებს ფიზიკურ, ბიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ სუბიექტურ მდგომარეობას და ფიზიკურ(საგნობრივ და ფსიქოლოგიურ ობიექტურ მდგომარეობას. აქტივობა აერთიანებს ოთხივე ფაქტორს (მოთხოვნილება, სიტუაცია, ოპერატიული შესაძლებლობები და ათვისებულობაში დარწმუნებულობის განცდა). ამიტომ აქტივობის პროცესი, რომელიც გამარტივებული თვალსაზრისით მოთხოვნილებისა და სიტუაციის დაუფლების ურთიერთობის პროცესში ხორციელდება და მათ ჩვენ განვაცალკევებთ, ვადიფირენცირებთ ხელოვნურად, რადგან აქ აპსოლუ-

ტური ჰარმონიულობა სუფევს—ანუ აქ ეს ჰარმონიულობა არ დაიყვანება აქტივობის (განწყობის) არც ერთ შემადგენელ ნანილამდე, ის თავისთავად ღირებული ხდება და ამიტომ “აკვიატებულობით”, განმეორებულობით ხასიათდება ინდივიდის დონეზე, როდესაც აქტუალიზებულია ყველა განცდა და განსაკუთრებით შემეცნებითი პროცესები, როგორც სიტუაციაზე ორიენტირებული პროცესები.

საქმე იმაშია, რომ აქტივობას ყველაზე კარგად შეესატყვისება აპროპრიაციის პრიმიტიული (ზოგადი) ტენდენცია, რადგან პირველად ის არ იყო დიფერენცირებული და ასევეა აქტივობა. მართალია მისი მამოძრავებელია მოთხოვნილება და სიტუაცია, მაგრამ ის თვითონ უკვე მოქმედების დროს გამოცალკევდება, გამოდიფირენცირდება და თავისი მდგომარეობით პირვანდელ აპროპრიაციის პროცესს ემსგავსება, როდესაც გარე დამკვირვებლისათვის აპროპრიაცია აპროპრიაციისათვის განკუთვნილი ჩანს. ეს კი მას (აქტივობა) ქცევის კონკრეტული შემადგენელი ნაწილებისაგან, პირობებისაგან (მოთხოვნილება—სიტუაცია) მიღმა აყენებს, ამოაგდებს ამ ურთიერთობებიდან და ის იმ ბიოლოგიურ შემოჭილობას კარგავს, რომელიც მოთხოვნილებასა და სიტუაციას ახასიათებს. აქტივობა (აპროპრიაციის ტენდენციასთან გაიგივებული) რეალურად ყველაფრის დაუფლების პრიმიტიული ტენდენციაა, რომელსაც კონკრეტული მოქმედების საზღვრებს მოთხოვნილება, სიტუაცია, ოპერატიული შესაძლებლობები და ათვისებულობის დარწმუნებულობის განცდა უნდესებს. მაგრამ როდესაც ეს ბიოფსიქური მუხრუჭები მას ეხსნება, ის მის ირგვლივ არსებულ საზღვრებს არღვევს და ისეთი საშუალებებისა და ხერხების დაუფლებას ცდილობს, რაც მაქსიმალურად განაპირობებს ორგანიზმისაგან (ფიზიოლოგიური ცვლილებები და ფაქტორები) და გარემოსაგან მოქმედების დამოუკიდებლობას (მუშა მეხსიერების, წარმოსახვის, აზროვნების მეშვეობით), რაც, ერთის მხრივ, შინაგანი, წმინდა ფსიქოლოგიური პოტენციალის ამოქმედებას უტოლდება და სრულყოფილად ცნობიერებაში ხორციელდება. მეორე მხრივ კი გარემოსაგან დამოუკიდებლობას ინდივიდი იარაღის შექმნით და მისი გამოყენებით აღწევს, რადგან იარაღი, თუნ-

დაც მისი პრიმიტიულობის გამო მაინც აძლევს ინდივიდს საშუალებას, რომ დაიცვას თავი გარემოს შემოტევისაგან და შეეცადოს მისი მეშვეობით დაეუფლოს გარემოს ანუ განახორციელოს აპროპრიაციის პრიმიტიული ტენდენცია. ამავე დროს ცნობიერების დონეზე მოქმედებას იწყებს სოციალური ფაქტორი, რომელიც მეტყველების საშუალებით იძლევა შესაძლებლობას სხვა ადამიანები იქნენ გამოყენებული ეგოცენტრული მიზნების განსახოციელებლად საკუთარი ინტერესების სხვებთან შეთანხმებული შეზღუდვების საფუძველზე. ყველაფერი ეს ინდივიდს აძლევს საშუალებას გაცნობიერებულად დაეუფლოს როგორც საკუთარ თავს ისე გარემო სიტუაციას და ამგვარად პიროვნული ღირებულებები შეიძინოს.

ჩვენს მიერ წამოყენებული ჰიპოთეზის სამართლიანობა, დუზნაძის მიერ აქტივობის მიმართ გამოთქმული მოსაზრებითაც დასტურდება. დუზნაძე „ნერს“—ამასთანავე უნდა გვახსოვდეს ისიც, რომ ამ შემთხვევაში აქტიობა არა მხოლოდ როგორც მოთხოვნილების საშუალებათა უზრუნველყოფის ხერხი უნდა იქნეს გაგებული, არამედ ამავე დროს როგორც წყარო, რომელიც თვით იძლევა უშუალოდ მათი დაკმაყოფილების შესაძლებლობას” [უზნაძე, 1949: 44].

აქტივობა კი როგორც კომფორტული მდგომარეობის შემადგენელი ნაწილი შეესატყვისება აპროპრიაციის ტენდენციას და ის “თავისიანობის” ნიშნით არის სახელდებული. ის არის უშუალოდ ფაქტორ “თავისის” განცდა, რომელიც მაშინ უჩნდება ინდივიდს, როდესაც იქმნება აქტივობის ერთიანობის წინასწარი განცდა, ერთიანობა ყველა კომპონენტისა და ამ შემთხვევაში ძალიან მოკლე დროით ვლინდება კვინტესენციური მეოთხე ფაქტორი ათვისებულობაში დარწმუნებულობის განცდით, რომელიც ამავე დროს სტარტერის, ქცევის ამშვების ფუნქციის მატარებელია, რადგან ათვისებულობა ზუსტად აქტივობას ნიშნავს და აქტივობის განხორციელებაში პოულობს მეოთხე ფაქტორი თავის რეალიზაციას.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული დუზნაძის მიხედვით “ობიექტივაციის” მომენტი, რომელიც ამოცანისადმი თეორეტიკული მიმართების დაწყების შესაძლებლობას ქმნის” [უზნა-

ქ. 1949:46] “ფუნქციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას როდი ისახავენ მიზნად, ისინი, ეს აქტები, სრულიად გარკვეული მიზნებისათვის გვესაჭიროება, - ვთქვათ, იმ საკითხის გადასაჭრელად, თუ რაში მდგომარეობს ამოცანა, ან რა წესების გამოყენება იქნებოდა მის გადასაჭრელად ყველაზე უფრო მიზანშენონილი “და არა იმისათვის რომ უბრალოდ ჩვენი შემეცნებითი ფუნქციების ამოქმედების შესაძლებლობა მოგვცემოდა” [უზნაძე, 1949:46].

თეორეტიკული მოთხოვნილება არსებითად მხოლოდ როგორც ჩვენი სუბსტანუციონალური მოთხოვნილებების გართულება წარმოიშვება, რამდენადაც იგი განწესებულია მუდამ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელთა დაკმაყოფილება უზრუნველყოს, ჩვენ შეგვეძლო გვეთქვა, რომ იგი, არსებითად, მხოლოდ სუბსტანციონალურ მოთხოვნილებათა შემდგომ განვითარებას, ან გართულებას წარმოადგენს” [უზნაძე, 1949:46].

მოთხოვნილებისა და სიტუაციის ზემოთ აღნერილი მიმართებების საფუძველზე დ. უზნაძე ფიქრობს, რომ “როდესაც მოთხოვნილების ფაქტთან ერთად მისი დაკმაყოფილების სიტუაცია მოიპოვება, მაშინ—და მხოლოდ მაშინ—როგორც ზემოდ დავრნმუნდით, სუბიექტში განწყობა აღიძვრის, რომელიც მას გარკვეული ქცევის აქტისკენ მოიხმობს” [უზნაძე, 1949:48].

ამრიგად სავსებით საფუძვლიანად შეიძლება დავასკვნათ, რომ აქტივობის ცნობილი ფაქტორების – მოთხვნილება, სიტუაცია, ოპერატორი შესაძლებლობები, - გვერდით უნდა დავაყენოთ საკუთარი თავისა და სიტუაციის ათვისებულობაში დარწმუნებულობის განცდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ნადირაშვილი შ. განწყობის ფსიქოლოგია. ტ. I. მეცნიერება, თბილისი, 1983. 259 გვ.

2. ნადირაშვილი შ. განწყობის ანტროპული თეორია. ოპიზა, თბილისი, 2001. 207 გვ.

3.უზნაძე დ. განწყობის ფსიქოლოგის ექსპერიმენტული საფუძლები. ფსიქოლოგია. ტ.VI, მეცნიერება, თბილისი, 1949. 212 გვ.

4.უზნაძე დ. ზოგადი ფსიქოლოგია. შრომები, ტ. III-IV, მეცნიერება, თბილისი, 1964. 636 გვ.

5.უზნაძე დ. ბავშვის ფსიქოლოგია. სასკოლო ასაკის ფსიქოლოგია. შრომები, ტ.V. მეცნიერება, თბილისი, 1967. 631 გვ.

6.ჩაგანავა გ. სადოქტორო დისერტაცია-აპროპრიაციის ფსიქოლოგიის პრობლემები. თბილისი. 1995. 653 გვ.

7.ჩაგანავა გ. განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. აჭარა, ბათუმი, 2001.224 გვ.

8.ჩაგანავა გ. ნეგატივიზმის პერიოდები პიროვნების ფსიქურ განვითარებაში. ბსუ შრომები.V. (ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სერია), ბათუმის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2003. გვ.281-285.

9.ჩაგანავა გ. ისტორიული და სოციალური ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. ბატუმის უნივერსიტეტი, ბათუმი, 2004. 254 გვ.

10.ჩაგანავა გ. ცნობიერების პრობლემა აპროპრიაციის ფსიქოლოგიის საფუძველზე. ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის შრომები, ტ.VII. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმი, 2008. გვ. 242-252.

11.ჩხარტიშვილი შ. ნ. ნებისმიერი ქცევის მოტივის პრობლემა. ცოდნა, თბილისი. 1958. 378 გვ.

12. Прангишвили А. С., Исследования по психологии установки, «Мецниереба», Тб., 1967. 340 с.

13.Стерн В.Психология раннего детства. Харвест, Минск. 2003.400 с.

14. Чаганава Г. Я.Автореферат кандидатской диссертации – Влияние фактора «свой» на процесс восприятия и оценки действий человека. Тбилиси,1978. 28 с.

15.Чаганава Г. Я. Психология страха. Энциклопедический словарь. Аджара, Батуми, 2004.255 с.

Guram Chaganava
The Problems of the Set Factors
Summary

Experimental, clinical, empirical and logical – theoretical data let us to prove, that together with the well known factors(conditions) of activity – need, situation, operative possibilities it is necessary to mention – the feeling of the confidence in the mastering of the self, own behavior, own condition and the surroundings.

Гурам Чаганава
Проблема факторов установки
Резюме

Экспериментальные, клинические, эмпирические и логико – теоретические данные позволяют утверждать, что наряду с уже хорошо известными факторами (условиями) активности – потребность, ситуация, оперативные возможности, - необходимо поставить переживание уверенности в освоенности самого себя, своего поведения, своего состояния, и внешней среды.

გურამ ჩაგანავა
მარი მალაყმაძე
მარიტა იობიძე

იცდივიდუალიზაცია და კოლექტივიზაცია ემპირიული კვლევა კროსკულტურულ ჭრილში

ევროპულ მეცნიერებაში საკმაოდ გავრცელებული იყო აზრი ევროპელთა უპირატესობის შესახებ საერთოდ არაევროპელთა მიმართ, რაც მნიშვნელოვან წილად განპირობებული უნდა ყოფილიყო ევროპაცენტრიზმის მოვლენით, როდესაც ყველაფერი საუკეთესო ევროპასა და ევროპელებს მიეკუთვნებოდათ, ხოლო მსოფლიოს სხვა რეგიონები ნაკლულად გამოიყურებოდნენ. ასეთი თვალსაზრისი XIX საუკუნეშიც არსებოდა, რომელიც ამართლებდა აფრიკისა და აზიის ქვეყნების დაპყრობას, კოლონიების ჩამოყალიბებას, მონურ შრომას.

ზოგიერთ შემთხვევაში ეს ყველაფერი იმით იყო გამართლებული, რომ თითქოს ევროპელები განსაკუთრებული დადებითი თვისებებით გამოირჩეოდნენ, ხოლო მსოფლიოს დანარჩენ მოსახლეობას ასეთი დონე არ გააჩნდა. ასეთი თვალსაზრისი განსაკუთრებით იმაში გამოიხატებოდა, რომ ევროპულ ანუ დასავლურ კულტურას აზიურ ანდა აღმოსავლურ კულტურას უპირისპირებდნენ. გამოდიოდა, რომ ევროპული კულტურა ყველა პარამეტრით ჯაბდა აღმოსავლურს, რომ ევროპას ახასიათებდა უპირველესად ინდივიდუალიზმი (თეზელიშვილი, 2007:251; მაიერს, 2000:247-256; ხიუსტონ, შტრებე, 2004:580) რომელიც თავისუფალ პიროვნებასთან იყო გაიგივებული, ხოლო აღმოსავლეთს კოლექტივიზმი (თეზელიშვილი, 2007:285-286; მაიერს, 2000:247-256.), რომელიც ადამიანის ჯგუფზე დამოკიდებულებას აღნიშნავდა. ამ თვალსაზრისის მიხედვით ევროპას ახასიათებდა მეცნიერული მიდგომა ყველაფერთან, ხოლო აღმოსავლეთს მითოლოგიური. ევროპას ახასიათებდა კანონის უზენაესობა, ხოლო აღმოსავლეთს კი თვითნებო-

ბა. ევროპას ახასიათებდა დემოკრატიულობა, ხოლო აღმოსავლეთს კი ტირანია. ევროპას ახასიათებდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი და მასთან დაკავშირებული პიროვნული ღირებულებები, ხოლო აღმოსავლეთს კი ახასიათებდა კოლექტიური მიწა-სარგებლობა და აქედან გამომდინარე ნაკლები პიროვნული ღირებულებები.

მართალია მოგვიანებით ასეთი უკიდურესობები უკუგდებული იქნა, მაგრამ ახლაც, როგორც ამას უამრავი გამოკვლევა ადასტურებს არსებობს ევროპული და აღმოსავლური კულტურების დაპირისპირება, თუმცა ამჟამად უფრო ობიექტურად უდგებიან კულტურათა შედარებას, რაც დღის წესრიგში აყენებს საკითხს დასავლური და აღმოსავლური კულტურების სინთეზირებას ანუ ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის ტენდენციათა ისეთ გაერთიანებას, რომელიც ორივე ორიენტაციის უპირატესობების სიმბიოზი იქნება. კულტურათა ასეთ გაერთიანებას, დაახლოებას, შერწყმას კომუნიტარიანიზმი ეწოდა.

ინდივიდუალისტები ინარჩუნებენ საკუთარ იდენტობას, საკუთარ ღირსების გრძნობას, მაშინაც კი, როდესაც ისინი წყვეტენ საკუთარ სოციალურ კავშირებს. სიყმანვილეში ისინი იპრდვიან მშობლებისაგან გამოსაცალკევებლად და საკუთარი მე-ს ღირსების გრძნობის დასაუფლებლად. ინდივიდუალიზმის აპოლოგეტები ამტკიცებენ „იგრძენი საკუთარი თავი, აღიარე საკუთარი თავი, ერთგული იყავი საკუთარი თავისადმი”, ნუ იქნები დამოკიდებული (მხარდაჭერის მიღებისადმი, მიღრეკილების გამო, სიყვარულის ან არასასურველი პარტნიორის მიმართ მიჯაჭვულობისგამო.) ფსიქოტერაპევტი ფრიც პერლზი შემდეგნაირად აყალიბებს ინდივიდუალიზმის სქემას: „მე დაკავებული ვარ ჩემი საქმით, შენ კი შენით. მე ამ სამყაროში სულაც არ ვარ იმისათვის, რომ დავაკმაყოფილო თქვენი მოლოდინი. თქვენ კი იმისათვის არ ხართ, რომ დააკმაყოფილოთ ჩემი.” კოლექტივისტურ კულტურებში, სადაც უპირველესყოვლისა ღირებულად ითვლება ჯგუფური სოლიდარობა, ასეთი სიტყვები იშვიათად წარმოითქმის. დიდი ოჯახები გუ-

ლისხმობენ შემჭიდროვებულობას. ზოგჯერ გვარს სპეციალურად წერენ სახელის ნინ,იმისათვის, რომ ხაზი გაუსვან სოციალურ იდენტობას (Maiyerc, 2000:247-256).

აზიურ კულტურებში და საერთოდ მესამე სამყაროს ქვეყნებში უფრო ღირებულად მიჩნეულია კოლექტივიზმი. აქ უმაღლეს პრიორიტეტს ადამიანები მიანერენ საკუთარი ჯგუფების,— საოჯახო, კლანურ,შრომით—მიზნებს და კეთილდღეობას, როგორც წესი ლიტერატურაში და ფილმებში ადიდებენ მათ, ვინც დასძლია ეგო-იზმი და ყოველთვის ახსოვს, ვინ არის ის და ასრულებს საკუთარ საზოგადოებრივ ვალდებულებებს. ჩვეულებრივ კოლექტივიზმი გაბატონებულია იქსადაც ადამიანები მუდმივა ებრძვიან საერთო უბედურებას და საჭიროა ურთიერთდახმარება(Maiyerc,2000:247-256).

კოლექტივისტური კულტურების აღზრდის მოდელში აქ-ცენტირებულია დამჯერობა და “წესიერად”ქცევა.თუ თქვენ ცხოვრობთ აზიაში,თქვენთვის მიუღებელი იქნება განსაზღვროთ ბავშვების არჩევანი. თქვენ შეეცდებით შეინარჩუნოთ დიდი ოჯახი და იზრუნოთ მოხუცებულ მშობლებზე.

კოლექტივისტურ კულტურებში ურთიერთობები “მუშაკი—უფროსი” აღინიშნება ურთიერთ ლოიალობით.აქ სოციალური სოლიდარობა ღირებულად ითვლება,ადამიანები ცდილობენ შეინარჩუნონ ჰარმონია,ავლენენ ურთიერთპატივისცემას და საშუალებას აძლევენ სხვებს “შეინარჩუნონ საკუთარი სახე”.ადამიანები ერი-დებიან კონფორნტაციას,განერიდებიან გახსნილობისა და თვით-შექების ტენდენციებს.ისინი ცდილობენ გვერდი აუარონ მწვავე თემებს,ავლენენ მოკრძალებულობას (Maiyerc,2000:247-256).ადამიანები ეხმარებიან ერთმანეთს და ახსოვთ ვინ ეხმარებოდა მათ. და-მოუკიდებლობის ნაცვლად პიროვნება ურთიერთდამოკიდებულია, მაგრამ რადგან,სოციალური იდენტიფიკაცია მნიშვნელოვანია მათთვის,ისინი უფრო მეტად არიან ორიენტირებულნი იმსჯელონ ადამიანზე მისი ჯგუფური კუთვნილების მიხედვით. “მითხარი მი-

სი გვარი,რომელი სკოლა დაამთავრა და სად მუშაობს და მე მეცო-
დინება მასზე თითქმის ყველაფერი” ამბობენ ამ კულტურის წარ-
მომადგენლები. ინდივიდუალისტები უფრო ფრთხილნი არიან
სტერეოტიპების მიმართ და ცდილობენ არ გააკეთონ დასკვნები
ადამიანის მდგომარეობის თუ საქმიანობის მიხედვით.” ყოველი
ადამიანი პიროვნებაა,ამიტომ თქვენ არ შეგიძლიათ გააკეთოთ
დასკვნა ადამიანის მხოლოდ სქესის,რასის ან საქმიანობის მიხედ-
ვით (Майерс,2000:247-256). ყოველი კულტურული ტრადიცია გუ-
ლისხმობს გარკვეულ უპირატესობებს. ინდივიდუალისტურ საზო-
გადღებაში ადამიანებს აქვთ მეტი თავისუფლება, უფრო ამაყობენ
საკუთარი მიღწევებით და ნაკლებ შეზღუდულნი არიან გარშემომ-
ყოფ ადამიანთა მოლოდინებით. მათი ქცევა უფრო თავისუფა-
ლია,ისინი თავისუფლად გადაადგილდებიან და ირჩევენ ცხოვრე-
ბის სტილს,მაგრამ ამის გამო უფრო მეტია მარტობა,მეტია გან-
ქორწინება და სტრესული აშლილობები(Майерс,2000:247-256).

კოლექტივისტური ლირებულებების გამოკვლევებმა და
გენდერულმა კვლევებმა აჩვენეს,რომ არსებობს ინდივიდუალიზ-
მის ალტერნატივა. ამ მონაცემთა საფუძველზე სოციალური ფსი-
ქოლოგი ჰეიზელ მარკუს და სინობუ კიტაიამა თავაზობენ დამოკი-
დებულების ახალ გაგებას ’იყო დამოკიდებული არ ნიშნავს აუცი-
ლებლად იყო უძლური და არ გქონდეს შესაძლებლობა გააკონ-
ტროლო სიტუაცია.ხშირად ამის ქვეშ იგულისხმება ურთიერთდა-
მოკიდებულება. ეს კი გულისხმობს ახლოს ურთიერთობების და-
ფასების,ყურადღებიანობის და სხვებისადმი პასუხისმგებლობითი
დამოკიდებულების უნარს განსაზღვრო საკუთარი თავი არა მხო-
ლოდ როგორც უნიკალური,არამედ როგორც “მნიშვნელოვანი
სხვების” ერთგული მოკავშირე. ამრიგად,ნამოყენებულია კომუნი-
ტარიანიზმის კონცეფციია—ინდივიდუალიზმისა(ადამიანის ძირითა-
დი უფლებების პატივისცემა) და კოლექტივიზმის(ოჯახის,საზოგა-
დოების კეთილდღეობაზე ზრუნვა)სინთეზის მცდელობაა.

ბუნებრივად იბადება კითხვა,თუ რა ადგილი უკავია ქარ-
თულ კულტურას მსოფლიო კულტურათა დაპირისპირებაში,ამაზე

პასუხის გაცემას შეეცადა გრიგოლ რობაქიძე და კონსტანტინე გამსახურდია. აი რას წერს კონსტანტინე გამსახურდია:

” ჩვენი ისტორია “ხალხთა ხიდი” იყო. ჩვენი ისტორიული მისია, ორ შეურიგებელ უკიდურესობათა და კონტრასტთა შერიგება—შეგუებაა. მთელი ჩვენი კულტურა ამ ორ დიდ სამყაროსაგან გადმოსროლილი ჩრდილისა და სინათლის ნათელყოფაა. ამრიგად კონსტანტინე გამსახურდიას თვალსაზრისით ქართული კულტურის შინაარსის მიხედვით შეიძლება ვილაპარაკოთ, კულტურათა ისეთ შერწყმაზე, რომელიც ამჟამად საუკეთესოდ არის მიჩნეული მსოფლიოს ფინანსობრივი და სოციოლოგიური მიერ. საყურადღებოა, რომ ქართული კულტურის თაობაზე და მის ისტორიულ ფესვებზე ევროპასა და აზიასთან მჭიდრო კავშირ—ურთიერთობების თვალსაზრისით ძალიან ორიგინალურად მიუთითებს, რუსი მკვლევარი სერგო ართუნიანი. ის აღნიშნავს, რომ ქართული კულტურის თავისებურება და საქართველოს განვითარების პერსპექტიულობა საქართველოს წარსულითა და განსაკუთრებით ქართული ფეოდალიზმის ბუნებით არის განპირობებული. ის აღნიშნავს, რომ მისი კვლევების საფუძველზე დადასტურდა, რომ ისეთი შორეული აღმოსავლეთის ქვეყანა, როგორიც არის იაპონია და რომელიც რეალურად ძალიან წარმატებულ ქვეყნად ითვლება, ერთმანეთთან ჰარმონიულად შერწყმულია იაპონური ტრადიციული წეს-ჩვეულებები და თანამედროვე ევროპული ტექნიკური და სოციალური სტრუქტურები. ამის საფუძველად კი ავტორი მიიჩნევს იაპონიის ფეოდალიზმის თავისებურებებს, რომელიც ფაქტობრივად თავისუფალ ადამიანთა ერთობლიობას ასახავდა და მისი სტრუქტურით თითქმის არ განსხვავდებოდა დასავლურ—ევროპული ფეოდალიზმისგან. ამავე დროს სერგო არუთინოვი ამტკიცებს, რომ ზუსტად ქართული ფეოდალიზმი მისი არსებითი ნიშნებით, პიროვნული დამოუკიდებლობას და თავისუფლების ინდივიდუალური ღირებულებების დაცვით ძალიან ახლოს არის როგორც დასავლურ—ევროპულ, ისე იაპონურ ფეოდალიზმთან, რადგან საქართველოში სხვა ახლომდებარე აღმოსავლური ქვეყნებისაგან გან-

სხვავებით გაბატონებული იყო კერძო საკუთრების ინსტიტუტი, რომელიც ადამიანს ბუნებრივად აძლევს დამოუკიდებელ შემოსავალს, რაც უზრუნველყოფს საკუთარ პიროვნებაში დარწმუნებულობის, თვითდაჯერებულობის, პიროვნული თანასწორობის, ღირსების გრძნობას. ამავე დროს იმის გამო, რომ საქართველო მუდმივად განიცდიდა უცხოტომელთა შემოტევას ქართული ფეოდალიზმი ხასიათდებოდა მეაცრი სტრუქტურით და სამხედრო ორგანიზაციულობით, რაც თავისთავად კოლექტივიზმის საფუძველი ხდებოდა. მაგრამ ეს კოლექტივიზმი ყოფითი კოლექტივიზმი კი არ იყო, როდესაც ადამიანი მის ყოფაში არის დამოკიდებული თემზე და არ აქვს სხვა არანაირი საშუალება დამოუკიდებლად იარსებობს, რადგან არ ფლობს საკუთრებას და ამგვარად არ აქვს ინდივიდუალური შემოსავალი საკუთარ თავის რჩენისათვის. ალმოსავლეთის ქვეყნებში კი ძირითადად გავრცელებული იყო კოლექტიური მიწასარგებლობა და ამიტომ ინდივიდი მთლიანად დამოკიდებული იყო თემზე, რადგან მას არ ქონდა ინდივიდუალური შემოსავალი და ის იძულებული იყო თემის მორჩილი ყოფილიყო. ყოველი ზემოთქმულის გამო ჩვენ სპეციალური კითხვარების მეშვეობით შევეცადეთ შეგვესწავლა ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმისადმი დამოკიდებულება საჯარო სკოლის უფროს კლასელთა გამოკითხვის საფუძველზე.

ჩვენს კვლევაში მონანილეობას ღებულობა 95 უფროსკლასელი და მიღებულია საკმაოდ საინტერესო მონაცემები. პირველი კითხვარში გამოყენებული იყო რამდენიმე წრე. ისინი განთავსებული იყვნენ ორ ჯგუფად. პირველ ჯგუფში, ცენტრში განთავსებული იყო წრე სადაც ჩაწერილი იყო ‘მე’. ამ წრის ირგვლივ გარკვეული დაშორებით განთავსებული იყო რამდენიმე წრე, რომლებიც თანმიმდევრულად აღნიშნავდა დედას, მამას, ძმას, დას და მეგობარს.

მეორე წრეთა ჯგუფი შინაარსობრივად არ განსხვავდებოდა პირველისაგან ანუ ცენტრალურ წრეში ჩაწერილი იყო ‘მე’, მაგრამ სხვა ზემოთ ჩამოთვლილი წრეები შესაბამისი დასახელებით კვეთდნენ ცენტრალური წრის ფარგლებს. ცდისპირებს, საკუთარი

თავი უნდა გაეიგივებინათ ცენტრალურ წრეში მინიშნებულ მეს-თან და ამ ორი ვარიანტიდან უნდა აერჩიათ ერთ-ერთი. შემდეგ ყოველი არჩეული ვარიანტის მიხედვით, რესპონდენტებს უნდა გა-ეკეთებინათ შესაბამისი ინტერპრეტაცია.

ყოველი ვარიანტი თავისთავად უპირატესობას აძლევდა ოჯახისგან და სხვებისაგან დამოუკიდებლად ყოფნას ანდა შემ-ჭიდროვებლობას და ერთად ყოფნას, რაც იმდენად თვალსაჩინო იყო, რომ რესპონდენტები ადვილად ხვდებოდნენ მიწოდებულ გა-მოსახულებაში ჩადებულ აზრს. ეს კარგად ჩანს იმ მოტივაციები-დან, რომლებიც გაკეთებული აქვთ ვაჟებსა და გოგონებს.

რეალურად წრეთა ის ჯგუფი, რომელიც კვეთდა ერთმა-ნეთს უფრო მეტად კოლექტივიზმის ამსახველად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ის ჯგუფი, სადაც წრეები არ კვეთდნენ ერთმანეთს ინდივი-დუალიზმის ამსახველ, სიმბოლურ წრეთა ჯგუფს აღნიშნავდა. მთლიანობაში არსებული შეფასებების მიხედვით ინდივიდუალიზ-მი, როგორც უფრო მეტად დასავლური კულტურისათვის დამახა-სიათებელი არჩეული ჰქონდათ 45 რესპონდენტიდან 21 რესპონ-დენტს, ხოლო კოლექტივიზმის ამსახველი ჯგუფი იგივე 45 რესპო-დენტიდან არჩეული ჰქონდათ 24 რესპონდენტს. ამრიგად მთლია-ნობაში, როგორც ჩანს უპირატესობას ღებულობს აღმოსავლური ღირებულების ქცევის სტერეოტიპი, თუმცა მათ შორის რაოდე-ნობრივად იმდენად მცირე განსხვავებაა – სულ 3 ერთეულით ჯობნის აღმოსავლური კოლექტივიზმი დასავლურ ინდივიდუა-ლიზმს, რომ სინამდვილეში, არსებული კულტურული ორიენტაცი-ები, თითქმის თანაბრად არის წარმოდგენილი. ეს კი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ ორივე ტენდენციის თანაბარი ღირებულება მივიჩნიოთ, რაც თავისთავად ინდივიდუალიზმისა და კოლექტი-ვიზმის ტენდენციების თანაბარ გავრცელებულებაზე მიუთითებს. ასეთი მდგომარეობა შეიძლება ამართლებდეს იმ ვარაუდს, რომე-ლიც თავის დროზე გამოთქმული ჰქონდა კ. გამსახურდიას, რომ ქართულ კულტურაში ერთდროულად შეინიშნება აღმოსავლური და დასავლური კულტურებისათვის დამახასიათებელი ნიშან-თვი-

სებები. საყურადღებოა ისიც, რომ ჩვეულებრივად, მაგალითად, აშშ-ში ვაჟებს უფრო მეტად ახასიათებთ ინდივიდუალიზმი, ხოლო გოგონებს კი კოლექტივიზმი. ასეთი ტენდენცია ჩვენი გამოკითხვითაც დადასტურდა, რადგან ვაჟებმა ინდივიდუალიზმი 11ჯერ აღინიშნეს, ხოლო გოგონებმა კი აღმოსავლური ანუ კოლექტივისტური ტენდენციები 14 ჯერ აღნიშნეს. შეიძლება ისიც ვქვათ, რომ მიღებულ მონაცემებს შორის იმდენად მცირეა განსხვავება, რომ არ შეიძლება განსხვავებულ სქესთა შორის ამ თვალსაზრისით განსხვავებულობაზე აქცენტის გაკეთება. სავსებით სამართლიანად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ განსხვავებული სქესების წარმომადგენელთა დამოკიდებულება ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის მიმართ აგრეთვე გარკვეულ სინთეზს წარმოადგენს და ეს თვისებები თითქმის თანაბრად არის გავრცელებული, როგორც მდედრობითი ისე მამრობითი სქესის წარმომადენელთა შორის.

პარალელურად შედგენილი იყო ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის შესწავლისადმი მიძღვნილი თვისებების ნუსხის კითხვარი, რომელშიც ექვს ბალიანი შეფასების სისტემის მიხედვით, რესპონდენტებს, მათი ვარაუდის საფუძველზე, უნდა ეჩვენებინათ, თუ რამდენად ახასიათებთ ესა თუ ის მითითებული თვისება ზოგადად ქართველებს, თურქებს, სომხებს, რუსებს, გერმანელებსა და იტალიელებს. მონაცემები დაჯგუფდა ზოგადი მაჩვენებლის შესაბამისად, სადაც აისახა 50 რესპონდენტის თვალსაზრისი, ხოლო ცალ-ცალკე იყო წარმოდგენილი 25 გოგო – რესპონდენტის და ასევე 25 ვაჟი – რესპონდენტის მაჩვენებლები. კვლევის შედეგად დადასტურდა, რომ მთლიანობაში მრავალი მაჩვენებლის მიხედვით უპირატესობა უფრო მეტად გერმანელებს მიეწერებათ, ხოლო ქართველების უპირატესობა 9 შემთხვევაში დადასტურდა. აქ განსაკუთრებით ყურადსალებია ის ტენდენციები და ორიენტაციები, რომლებიც პირდაპირ მიუთითებს ინდივიდუალიზმზე თუ კოლექტივიზმზე. მაგალითად, ინდივიდუალიზმის გავრცელება ქართველებში მესამე ადგილს იკავებს გერმანელებისა და იტალიელების შემდეგ. ამავე დროს კოლექტივიზმი პირველ

ადგილს იკავებს მიღებული ზოგადი მონაცემების საფუძველზე. ეს კი ნიშნავს, რომ სინამდვილეში ორივე ეს ტენდენცია საკმაოდ ღირებულია ჩვენი რესპონდენტებისათვის და ეს უკვე იმაზე მეტყველებს, რომ ქართული კულტურის სინთეზურობის ბუნება ნამდვილად აისახება ჩვენი რესპონდენტების ცნობიერებაში. ეს კიდევ უფრო უკეთ დასტურდება იმ შემთხვევაში, როდესაც ზოგადი მონაცემებით ისევ ქართველების შეფასების მიხედვით, მათ ყველაზე უფრო მეტად ახასიათებთ ინდივიდუალიზმისა და კოლექტივიზმის სინთეზი. ჩვენ კარგად ვიცით, რომ დიდი ხანია წავიდა ის დრო, როდესაც ევროპაცენტრიზმის საფუძველზე ევროპელები განსაკუთრებით უპირატესობას ანიჭებდნენ ინდივიდუალიზმს და მის პიროვნულ ღირსებასთან, ღირებულებასთან აიგივებდნენ, ხოლო კოლექტივიზმს კი მორჩილებას უტოლებდნენ. მაგრამ როგორც ბოლო კვლევების სტატისტიკური მასალები აჩვენებენ დასავლური ინდივიდუალიზმი არც თუ იშვიათად უკიდურესობაში გადადის, ეგოიზმად გარდაიქმნება და ამიტომ პიროვნული განკერძოება, დეპრესიულობა, განქორწინება, დამნაშავეობის ზრდა და სხვა ნეგატიური მოვლენები, როგორც ამტკიცებენ (Maiyerc, 2000:247-256) პირდაპირ კავშირშია ინდივიდუალიზმთან. ამავე დროს ის ქვეყნები რომლებიც ტრადიციულად კოლექტივიზმთან არიან დაკავშირებულნი, მაგალითდ, იაპონია, გაცილებით უფრო მეტად ხასიათდებიან ერთმანეთზე მზრუნველობით, მხარდაჭერით, თანამშრომლობით, ურთიერთგაგებით. ამიტომაც არის, რომ ამჟამად მეცნიერები უარყოფენ, რომ აღმოსავლურ კულტურას მაინც და მაინც დამოკიდებულება ახასიათებს და ისინი მიიჩნევენ, რომ აქ ადგილი აქვს ურთიერთდამოკიდებულებას, რაც სხვების ბედზე პასუხისმგებლობასთან, მოვალეობის გრძნობასთან გაიგივდება და ასეთი მდგომარეობა სულაც არ ნიშნავს პიროვნული ღირებულებების დაკნინებას. პირიქით, ეს ნიშნავს პიროვნული ინიციატივის წინ წამოწევას, რომელიც მაინც და მაინც პირად უპირატესობებზე კი არ არის ორიენტირებული, არამედ თანამშრომლობის შედეგად, საზოგადოების ინტერესების პირად ინტერესებთან გაიგივებას

გულისხმობს. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ფაქტობრივად ბოლო წლებში შექმნილმა ხელოვნურმა ტერმინმა „პიროვნებათაშორის ურთიერთდამოკიდებულება“ ყველაზე მაღალი ქულით არის აღნიშნული ბათუმის საჯარო სკოლის ქართველი რესპონდენტების მიერ. იმავე რესპონდენტების მიხედვით ყველა სხვა ეროვნების ნარმომადგენლებს უფრო დაბალი ქულა დაუდასტურდათ. ეს კი იმის მიუხედავად, რომ არავითარი ახსნა-განმარტება არ მიგვიცია ამ ტერმინის მნიშვნელობასთან დაკავშირებით. საყურადღებია აგრეთვე ისიც, რომ პიროვნული დამოუკიდებლობის შეფასების თვალსაზრისით, როგორც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დასავლური ლირებულება ქართველები გერმანელების შემდეგ მეორე ადგილზე დგანან ჩვენი რედპონდენტების თვალსაზრისით.

ამრიგად, გამოდის რომ ჩვენი უფროსკლასელი რესპონდენტები ყოველგვარი მომზადების გარეშე, ერთდროულად დადებითად აღნიშნავენ იმ ძირითად მათთვის დამახასიათებელ დასავლურ თვისებებს, რომელიც პიროვნულ დამოუკიდებლობაში გამოიხატება და აღმოსავლური კულტურისათვის დამახასიათებელ იმ ძირითად თვისებას, რომელიც პიროვნებათაშორის ურთიერთდამოკიდებულებაში გამოიხატება.

ამრიგად, ჩვენი რესპონდენტები ახორციელებენ რეალურ სინთეზირებას, თითქოსდა ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებების ფონზე, როდესაც ისინი ტრადიციულად ორი დაპირისპირებული კულტურული ორიენტაციების შერწყმას ერთ კულტურაში სახელდობრ, ქართულ კულტურაში ახერხებენ. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ჩვენი უფროსკლასელი რესპონდენტები ერთდროულად უპირატესობას ანიჭებენ ყველა სხვა ეროვნების ფონზე, ქვეყანასთან საკუთარი თავის გაიგივებას 5 ბალით, კუთხესთან საკუთარი თავის გაიგივებას 4 ბალით, ახლობლებთან საკუთარი თავის გაიგივებას 4 ბალით. ანუ, რესპონდენტები წინააღმდეგობას კი არ აფიქსირებენ ქვეყნის, კუთხის თუ ახლობლების ინტერესებს შორის, არამედ ახერხებენ, სხვა ეროვნების წარმომადგენელთა ფონ-

ზე, ისეთი სიმბიოზის შექმნას, რომელიც ერთდროულად, ჰარმონიულად ითვალისწინებს, როგორც ქვეყნის, ისე კუთხის და ახლობელთა წრის უპირატესობებს. თუმცა, როგორც ჩვენი ზოგადი მონაცემები მეტყველებს, უპირატესობას ქვეყანასთან საკუთარი თავის გაიგივებას ანიჭებენ.

მიღებული მონაცემებიდან კარგად ჩანს, რომ ზემოთქმულის მიუხედავად ჩვენი რესპონდენტები საკმაოდ კრიტიკულად არიან განწყობილნი და ობიექტურად უდგებიან იმ ნაკლოვან მხარეებს, რომლებიც მათი აზრისთ, შეიძლება ქართველებს ახასიათებს. ეს არის, მაგალითად, ევროპელებთან შედარებით დისციპლინის უფრო დაბალი შეფასება. იგივე ევროპელებთან შედარებით, უფრო დაბალი ნიშნით აღინიშნება მოვალეობისა და ვალდებულების გრძნობა, კანონმორჩილება, თვითდისციპლინა, სხვათა აზრის პატივისცემა, საკუთარი აზრის გამოთქმის საშუალება. აგრეთვე უფრო დაბალი ნიშნით აღინიშნება ისეთი მნიშვნელოვანი თვისება, როგორიც არის გონივრულობა, ობიექტურობა და პირიქით მაღალი ნიშნით აღინიშნება მიკერძოება, ტენდენციურობა. ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟების მონაცემები გვაძლევს რამდენიმე სხვაობას. მაგალითად, გოგონების თვალსაზრისით ქართველებს თითქმის ყველაზე უფრო მეტად, გარდა გერმანელებისა ახასიათებთ ნებისყოფითი ქცევა, მაგრამ ვაჟების თვალსაზრისით ნებისყოფითი ქცევა ქართველებში თითქმის ყველაზე უფრო ნაკლები ნიშნით არის აღნიშნული. ასევე საინტერესოა ისიც, რომ მოვალეობის გრძნობას გოგონები უფრო მაღალი ნიშნით აღნიშნავენ და უპირატესობაზე არის მითითება სომხებთან და რუსებთან შედარებით, იმ დროს, როდესაც ვაჟები მოვალეობის გრძნობის თვალსაზრისით ყველა სხვა ერის ნარმომადგენელთან შედარებით ჩამორჩენას ვარაუდობენ, ხოლო ვალდებულების გრძნობის თალ-საზრისით თურქების დონეზე დგანან.

განსაკუთრებით საყურადღებოა, რომ ტრადიციების მიმდევრობა რესპონდენტების აზრით ყველაზე მაღალი ქულით არის აღნიშნული ზოგადი მონაცემებით და ცალ-ცალკე გოგონებისა და

ვაჟების მონაცემებში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქაც სკოლის უფროს-კლასელები ახორციელებენ საუკეთესო სინთეზს ტრადიციულსა და თანამედროობას შორის. მართლაც, როგორც ცნობილია ისეთი წარმატებული ქვეყნები, როგორიც არის აღმოსავლეთში იაპონია, ხოლო დასავლეთში ბრიტანეთი, ზუსტად ტრადიციების შენარჩუნებისა და თანამედროვებისათვის ფეხის შენყობის საფუძველზე, წარმატებულ ქვეყანათა რიგში დგანან.

გამოყენებული ლიტერატურა:

- ს. თეზელაშვილი, ფსიქოლოგიური ენციკლოპედია, თბ., 2007.
Майерс Д., Социальная психология, Питер, СПб., 2000.
Хьюстон М., Штребеб., Введение в социальную психологию,
Юнити, М., 2004.

**Guram Chaganava
Mari Malakmadze
Marita Iobidze**

Empirical Study of Individualism and Collectivism in the Crosscultural Sense Summary

The empirical study of individualism and collectivism in the crosscultural sense on material obtained as a result of a survey of high school students of Batumi's schools, showed that they have the advantage of the interdependentce in relationships with people and synthesize individualistic and collectivistic tendencies.

**Гурам Чаганава
Мари Малакмадзе
Марита Иобидзе**

**Эмпирическое исследование индивидуализма и
коллективизма в кросскультурном разрезе**

Резюме

Эмпирическое исследование индивидуализма и коллектизма в кросскультурном разрезе на материале, полученных в результате опроса старшеклассников батумских школ, показало, что они преимущественно отдают взаимоответственности во взаимоотношениях с людьми и синтезированию индивидуальных и коллективистических тенденций.

ყოფილი ნებრძების შემთხვევების ინტერპრეტაცია

ცხოვრების თანამედროვე ტექნოლოგიზაციის შედეგად ადამიანი ძალიან დატვირთულია ემოციურად, რისთვისაც სჭირდება თავისი ფსიქიური შესაძლებლობანი გაანაწილოს სწორად. ამისთვის საჭიროა პქონდეს სურვილი დაეუფლოს ფსიქიური თვითრეგულაციის მეთოდებს. თუმცა, ყველა ადამიანისათვის ემოციური გადატვირთვა და ინფორმაციული სიჭარბე არ არის გადაძაბვის მიზეზი. ნევროზი ეკუთვნის ფუნქციონალურ, ფსიქოგენურ შექცევად დარღვევებს, რომელიც ხასიათდება ხანგრძლივი მიმდინარეობით. ი.მ. სეჩენოვმა შემდეგში კი ი.პ. პავლოვმა გვიჩვენეს რეფლექტორული მექანიზმების განსაკუთრებული როლი უმაღლესი ფსიქიური ფუნქციების ჩამოყალიბებაში. ჩვენი ფსიქიკა, როგორც რეფლექტორული სისტემა მიმართულია არასასურველი მოქმედებების გარე სამყაროდან, აცილებაზე. კარენ ხორნი თვლიდა, რომ ნევროზები წარმოიქმნება როგორც დაცვა, ისეთი არასასურველი სოციალური ფაქტორებისაგან, როგორიც არის დამცირება, სოციალური იზოლაცია, მშობლების ტოტალური კონტროლირებადი სიყვარული ბავშვობაში, აგრესიული მობირობა მშობლების მხრიდან. ავადმყოფებს აღენიშნებათ ფსიქიური სიმპტომები: მერყეობა, ურთიერთობის პრობლემა, არაადეკვატური თვითშეფასება: ამაღლებული ან დადაბლებული, ხშირი შფოთიანობა, შიში, რაღაცა ცუდის მოლოდინი, გაურკვევლობა საკუთარ თავში, ხასიათის არასტაბილურობა, გაღიზიანებულობა, მაღალი მგრძნობელობა სტრესებთან, ტირილის სურვილი, შეიძლება მეხსიერების დაქვეითება, ძილის დარღვევა, თავის, გულის არეში და მუცლის ტკივილები, მომატებული დაღლა, შრომისუნარიანობის დაქვეითება, უმადობა, ან პირიქით მომატებული მადიანობა, ვესტიბულარული აპარატის მოშლა, ძილის დარღვევ-

ვა, ცუდი სიზმრები, ზედმეტი ზრუნვა საკუთარ ჯამრთელობაზე, ვეგეტატიური დარღვევები, მომატებული ოფლიანობა, გულისცემა, არტერიული წნევის მერყეობა, ხველა, ხშირი დეფეკაცია, შარდა, ზოგჯერ პოტენციის დაქვეითება.

ტერმინი ნევროზი შემოგვთავაზა შოტლანდიელმა ექიმმა კულლენმა 200 წლის წინ 1776 წელს. რთულია გამოყენოთ რარაც სახე, რომელიც დამახასიათებელია ნევროზისათვის. თუ დავეთანხმებით თანამედროვე წარმოდგენებს, ნევროზი არის ფსიქოგენური, ნერვულ-ფსიქიური დარღვევა. მისი ძირითადი ნიშნებია: ფსიქოგენური ხასიათი დასაწყისში, პიროვნების განსაკუთრებულობა, თავის ტვინის ორგანული ცვლილებების არქონა, ვეგეტატიური, სომატური, ემოციურ-აფექტური გამოვლინებები, თვითკრიტიკა, მისწრაფება შექმნილი მტკივნეული სიტუაციების გადალახვისაკენ. ავადმყოფები მოდიან კლინიკაში ჩივილებით რომლებიც ეხება გულსისხლძარღვთა სისტემას, კუჭნანლავის სისტემას, საყრდენ-მამოძრავებელ სისტემას, სასუნთქ ორგანოებს ან შარდსასქესო ორგანოებს. მაგალითად: ჩვენს კლინიკას მომართა მამაკაცმა ავთომ, 43 წლის, რომელსაც აღნიშნებოდა ჩივილები: ყელში გაჩერილი ლუკმის შეგრძნება, სუნთქვის გაძნელება, გულმკერდის არეში ტკივილის შეგრძნება, ბოყინი. ჩატარდა მრავლობითი კვლევები, რამე ორგანული დაზიანება დაფიქსირებული არ იქნა. დაენიშნა მკურნალობა ტრანკვილიზატორებით, რამაც შედეგი არ გამოიყო. ავადმყოფი ათი დღის განმავლობაში გადიოდა გამოკვლევებს და თან იტარებდა ტრანკვილიზატორებით დამამშვიდებელ სამკურნალო კურსს, თუმცა შედეგი ნაკლებად შეინიშნებოდა. იმ პეროდისათვის ოჯახში მოხდა ცვლილება. შეეძინა შვილიშვილი. ღოგორც თვითონ აღნიშნავს ყველა ჩამოთვლილი სიმპტომი უცებ გაუქრა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მდგომარეობის გაუმჯობესება გამოიწვია ოჯახში მომხდარმა მნიშვნელოვანმა ცვლილებამ, რომელზეც მოხდა ყურადღების გადანაცვლება, რაც დამახასიათებელია ნევროზული მდგომარეობისათვის. მსგავსი პრობლემების არსებობისას, ავადმყოფები ხშირად ასახელებენ ასსეთ სიმპტომებს: სუნთქვა მიჩერდება, ან სული გამიჩერდა, ან სუნთქვის დროს “ჰაერი

მუცელში მრჩება”. ეს კიდევ ერთი კომპლექსური ექსპრესიული ფენომენია, რომელშიც ღებულობს მონაწილეობას სუნთქვის ფუნქცია. კლინიკას მიმართა აღნიშნული ჩივილებით ახალგაზრდა ქალბატონმა 30 წლის ელისომ. ჩივილები ჰქონდა შეტევითი ხასიათით. გამოკვლევებით ორგანული დაზიანებები არ იქნა დაფიქსირებული, ავადმყოფი ირწმუნებოდა, რომ შემდეგი შეტევის შემთხვევაში ის მოკვდებოდა. თერაპევტმა აჩვენა ხელოვნური სუნთქვის აპარატი და აუხსნა, რომ აღნიშნული შეტევის დროს მას ჩართავენ ამ აპარატზე. იგი აღარ შეკამათებია. ამის შემდეგ ავადმყოფი წაიყვანეს და აჩვენეს სუნთქვის აპარატზე შეერთებული პაციენტი. თუ იგი პალატაში შესვლის პროცესში ქომინით სუნთქქავდა და სუნთქვის გაუარესების შიში ჰქონდა, ჩართული აპარატის დანახვამ და იმისმა სურვილმა, რომ არ დასჭირდებოდა იგივე მასაც, მკვეთრად მოუხსნა ყველა პათოლოგია. მან თავი უცებ იგრძნო კარგად, უარი თქვა ყოველგვარ დახმარებაზე და საკუთარი ფეხით, დამშვიდებული წავიდა სახლში.

გამოყოფენ ნევროზის სამ ძირითად ფორმას: ნევრასთენია, ისტერია და აკვიატებული აზრები. გვხდება შერეული ფორმებიც. ხშირია ტაქიკარდიები, ზოგჯერ პაროქსიზმულიც, მსუბუქი მიმდინარეობის დროს შეიძლება ტკივილის სინდრომი გახანგრძლივდეს. დაქვეითებულია ან დროებით დადაბლებულია შრომისუნარიანობა, ზოგჯერ საჭიროა მედიკამენტოზური თერაპია. არსებობს მძიმე მიმდინარეობა. საინტერესო შედეგები მოგვცა ასეთი ჩივილების მქონე პაციენტებზე დაკვირვებამ: ავადმყოფი თეონა, 50 წლის, აღენიშნება პერიოდული პაროქსიზმული ტაქიკარდიები. იგი ხშირად ხვდება სტაციონარში, სადაც აღნიშნული პრობლემის მოგვარება ხდება ტრანკვილიზატორებით. გამოკითხვის შემდეგ გახდა ცნობილი, რომ ავადმყოფს აქვს გატარებული მძიმე ბავშვობა, რაც შეიძლება ჩავთვალოთ მისი მდგომარეობის ერთ-ერთ გამომწვევ მიზეზად. აღნიშნული ჩივილები გამოუვლინდა მშობიარობის შემდეგ. იგივე პრობლემა აღენიშნებათ ოჯახში დას და დედას. ავადმყოფი იქნა გამოკვლეული (ელექტროფიზიოლოგიური კვლევა), მიზეზის დადგენა არ მოხერხდა. უნდა ვივარაუდოთ გენეტიკური

კონტროლი ნეიროფიზიოლოგიური ფუნქციების ფორმულირებაში. განსაკუთრებული გამწვავების პერიოდებად შეიძლება ჩავთვალოთ პუბერტატული და კლიმაქტიკურიული პერიოდები.

დასკვნის სახით, შეიძლება ვთქვათ, რომ მსგავსი სიმპტომების გამოვლენისას, მკურნალონის პროცესში, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია მოხდეს ფსიქიკის მატრავმირებელი მიზეზების გამოკვლევა და აღმოფხვრა. ხშირად კარგ ეფექტს იძლევა ადგილმდებარეობის შეცვლა, ყურადღების გადატანა სხვა საქმიანობაზე. მთავარი ადგილი მკურნალობაში ფსიქოთერაპიას უჭირავს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Г.И. Каплан, Б.Дж.Сэдок «Клиническая психиатрия»
Издательство «Медицина» 1998 г.

2. Д.Р. Штульман, О.С. Левин Неврология.
Справочник практического врача Издательство «МЕДпресс-информ», 2002, 2004г

Eteri Varshanidze

Interpretation of usual neurotically cases

Summary

In our laden time with scientifically progress, a person is loaded emotionally, why he needs to distribute his physical opportunities correctly, and it's better if he has a will to study methods of self-regulations.

However the emotional laden or informational abundance aren't the reason of tension. Nervous belongs to a functional and psychical destroys.

As conclusion I can say that, these kinds of symptoms which appear in the process of cure, it's necessary to search for the reasons which damage the psychics and eradicate them. Mostly if we change the space or our attention onto something else it's a good effect. However the main place has psychotherapy.

Етери Варшанидзе

Интерпретация обычных случаев невроза

Резюме

В наше загруженное время с научной точки зрения прогресса человек загружен эмоционально, вот почему он должен распределить свои физические возможности правильно, и лучше, если у него есть желание изучить методы саморегуляций.

Однако эмоционально загруженное состояние или информационный излишек для всех людей не является причиной напряженности. Невроз принадлежит к функциональным, и психогенным обратимым нарушениям, который характеризуется длительным продолжением.

პრიმიტიული იზოლაციის დაცვის მექანიზმი

ფრონიდი ყურადღებას აქცევდა ისტერიული თვისებების სიჭარბის პირობებში, ემოციური დარღვევების მქონე ადამიანებს, რომლებიც ცდილობდნენ დაცვითი ფუნქციების გამოყენებით განრიდებულიყვნენ წარსულის გამოცდილების გამორჩებას, რომელსაც მათვის შეეძლო აუტანელი ტკივილი მოეტანა (Mak-ვილქამს, 2010:130-191). ფრონიდის აზრით, მათთვის უკეთესი იყო მთლიანად განეცადათ მათი შიშის მომგვრელი ემოციები და ამგვარად გაენთავისუფლებინათ ენერგია საკუთარი ცხოვრების განვითარებისათვის. ამრიგად, “დაცვების” შესახებ ყველაზე ადრეული კონტექსტის მიხედვით თერაცევტის ამოცანას წარმოადგენდა მათი ინტენსიონის შემცირება. ამ კონტექსტში პიროვნების არაადაპტური დაცვების შესუსტება ან დამსხვრევა ნებისმიერ სიტუაციაში აუცილებელია. სამწუხაროდ “დაცვები” თავისი ბუნებით ნაკლენადაპტურნი არიან. ამიტომ საზოგადოებაში ამ სიტყვამ დაუმსახურებლად ნეგატიური შეფერადებულობა მიიღო, თუმცა მეცნიურულ, თეორიულ დონეზე სულ არ არის ააუცილებელი, რომ “დაცვის” მოქმედების დროს რაღაც პათოლოგიური პროცესებთან გვქონდეს საქმე (Mak-ვილქამს, 2010:130-191). ფენომენი, რომელიც “დაცვის” სახელწოდებით არის ცნობილი მრავალი პოზიტიური ფუნქციით გამოირჩევა. ის ვლინდება, როგორც ჯანსაღი, შემოქმედებითი ადაპტაცია და აგრძელებს მოქმედებას მთელი სიცოცხლის განმავლობაში. იმ შემთხვევაში, როდესაც მისი მოქმედება მიმართულია რაიმე საფრთხის წინაშე საკუთარი “მე”-ს დაცვაზე ეს სახელწოდება გამართლებულია. პიროვნება, რომლის ქცევა ატარებს დაცვით ხასიათს, არაცნობიერად ცდილობს შეასრულოს ერთი ან ორი შემდეგი ამოცანა: 1.განერიდოს ან დაეუფლოს რომელიმე ძლიერი საფრთხის გამომწვევ გრძნობას – შფოთიანობა (შიში, საფრთხის მოლოდინი),

ზოგჯერ უძლიერესი მწუხარება ან სხვა დეზორგანიზაციული ემოციური განცდა; 2. საკუთარი თავის პატივისცემის შენარჩუნება. ეგო- ფსიქოლოგები გამოყოფენ “დაცვის” საშუალებით შფოთიანობის (შიში, საფრთხის მოლოდინი) დაძლევის ფუნქციას. ობიექტური ურთიერთობების თეორეტიკოსები თვლიან, რომ “დაცვა”-ს აქვს შფოთიანობის (შიშის, საფრთხის განცდის) დაძლევის ფუნქცია. სელფ – ფსიქოლოგები ამახვილებენ ყურადღებას “დაცვის” იმ როლზე, რომელიც ემსახურება საკუთარი “მე”-ს ძლიერ, არაწინააღმდეგობრივ, პოზიტიურ გრძნობებს (Мак-Вильямс, 2010:130-191).

გარკვეული “დაცვის” ან “დაცვების” ერთობლიობის ავტომატური გამოყენება შედეგია სულ ცოტა ოთხი ფაქტორის ურთიერთქმედებისა: 1. თანდაყოლილი ტემპერამენტი; 2. ადრეულ ბავშვობაში განცდილი სტრესები; 3. დაცვები, რომელთა ნიმუშებად იყვნენ მშობლები ან სხვა მნიშვნელოვანი ფიგურები; 4. ცდისეული გზით შეთვისებული ცალკეული “დაცვის” გამოყენების შედეგები.

გამოყოფენ ე.ნ. პირველად, პრიმიტიულ (დაბალი დონის) და მეორადულ (მაღალი დონის) დაცვის მექანიზმებს. პრიმიტიული დაცვა ხასიათდება ორი თვისებით: მას არა აქვს საკმარისი კავშირი რეალობის პრინციპთან; მას ახასიათებს საკუთარი “მე”-ს მიღმა მყოფი ობიექტების დაშორებულობისა და კონსტანტობის არასაკმარისი აღრიცხვადობა. მაგალითად, უარყოფა ითვლება უფრო პრიმიტიული პროცესის მაჩვენებლად, ვიდრე განდევნა(მაგალითად, ფსიქიური შინაარსის გადატანა ცნობიერებიდან არაცნობიერში – ფრეიდ 3,1990: 441), რადგან, იმისათვის, რათა რაღაც იქნეს განდევნილი, ის რაღაცნაირად უნდა იყოს შემეცნებული და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება იქნეს გადაყვანილი არაცნობიერში. პირველადი, პრიმიტიული (დაბალი დონის) დაცვის მექანიზმები აგრეთვე ცნობილია პრიმიტიული იზოლაციის სახელწოდებით.

როდესაც ჩვილი ბავშვი ძალიან აგზნებულია ან დანაღვლიანებულია ის უბრალოდ იძინებს, რაც ნიშნავს ცნობიერების სხვა მდგომარეობაში ფსიქოლოგიურ გადასვლას. ეს არის ავტომატური რეაქცია, რომელიც ყველაზე პატარა ბავშვებსაც

ახასიათებს. ზრდასრულის ვარიანტში იგივე მოვლენა შეიძლება ქონდეს იმ ადამიანებს, რომლებიც განცალკევდებიან სოციალური და პიროვნული სიტუაციებიდან მომდინარე დაძაბულობიდან ისეთი სტიმულაციით, რომელიც მათ ფანტაზიასთან არის დაკავშირებული. ქიმიური ნივთიერებების გამოყენება ცნობიერების შესაცვლელად აგრეთვე განიხილება იზოლაციის სახეობად. DSM –ს მიხედვით პიროვნული კონტაქტებისაგან განრიდების ტენდენცია აღინიშნება “აუტისტური ფანტაზირების” ტერმინით და არა “იზოლაციით”. ასეთ ადამიანს ხშირად აღწერენ, როგორც შიზოიდურს. იზოლაციის (დაცვითი სტრატეგიის თვალსაზრისით) მთავარ ღირსებად მიჩნეულია ის, რომ ადამიანს, თითქმის დამახინჯების გარეშე, რეალობიდან გაქცევის საშუალებას აძლევს. ადამიანი იზოლაციის საშუალებით დაწყნარებას აღწევს სამყაროს შეუცნობელობით კი არა, არა-მედ მისგან გაქცევით.

ამრიგად პრიმიტიული იზოლაცია ეს არის აუტისტური ფანტაზირება, რაც ცნობიერების

სხვა მდგომარეობაში გადასვლას ნიშნავს. ამ დაცვითი მექანიზმის ცხადი ნაკლოვანება არის ის, რომ ამ შემთხვევაში ინდივიდი გამოერთვება პიროვნებათაშორისი ურთიერთობების გადაწყვეტის აქტიურ პროცესს. საფრთხეზე ასეთი რეაქციის გამო ასეთ ადამიანებს შიზოიდურ ტიპს მიაკუთვნებენ. ფენიჭელი თვლიდა, რომ დაცვის ეს მექანიზმი ჭარბად გამოიყენება კომპულსური ნევროზების დროს, როდესაც პაციენტებს არ ავინყდებათ საკუთარი პათოგენური ტრამვების შესახებ, მაგრამ მათ კავშირებს და ემოციურ მნიშვნელობას. იზოლაციის დადებითი თვისება კი ის არის, რომ რეალობიდან გაქცევის მიუხედავად, რეალობა თითქმის არ მახინჯდება. აფექტის იზოლაცია ყველაზე პრიმიტიულ დაცვით მექანიზმად ითვლება ე. წ. “ინტელექტუალური დაცვის” შემადგენლობაში. როდესაც პირვანდელი დაცვა იზოლაცია ხდება, მაშინ ცხოვრებისეული პატერნი ასახავს მსჯელობის მნიშვნელობის გაზვიადებულ შეფასებას და გრძნობების შეუფასებლობას, როდესაც ხასიათის სტრუქტურა ობსესიურად განხილება. ასეთი დაცვის მექანიზმი დამახასიათებელია აკვიატების მქონე ნევროზებისათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

Мак-Вильямс Н., Психологическая диагностика, «Класс», М., 2010.

Фрейд З., Психология бессознательного, Просвещение, М., 1990.

Фрейд А., Введение в детский психоанализ; Норма и патология детского развития; «Я» и механизмы защиты, Попурри, Мн., 2004.

Katzner K., English-Russian, Russian-English Dictionary, John Wiley & Sons, New York, 1984.

Inga Bolkvadze Defense Mechanism of Primitive Isolation

Summary

Article discusses primary processes of psychological defense, in particular, defense mechanism of primitive isolation.

Инга Болквадзе Защитный механизм примитивной изоляции

Резюме

В статье рассматриваются вопросы первичных процессов психологической защиты, в частности, защитный механизм примитивной изоляции.

მანანა დუმბაძე

საპავშვილ სახლის აღსაზრდელების ურთიერთობის პროგლობი

თანამედროვე ცხოვრების სტილი, დაძაბულობის მაღალი დონე, აქსელერაციის მოვლენები ზეგავლენას ახდენენ ბავშვებში ნერვულ-ფსიქიკური აშლილობების ჩამოყალიბებაზე. ნერვო-ფსიქიკური აშლილობების მიზეზებია ბავშვისათვის არასასურველი ცხოვრებისეული და ხანგრძლივად მოქმედი ფსიქომატრამვირებელი სიტუაციები (1. 124–157). სწორედ ამიტომ საბავშვო სახლის აღსაზრდელების საშუალო ასაკის ჯგუფი მძიმე ფსიქოლოგიურად კრიზისულ პერიოდს მიეკუთვნება. ამ გარემოებას ემატება ოჯახისაგან მოშორებით, უცხო პირებთან ურთიერთობაში ცხოვრება ამიტომ ამ ასაკობრივ ჯგუფში საკმაოდ მაღალია ნერვიულობის მაჩვენებელი, განსაკუთრებით გოგონებში. შესაძლებელია ეს იმით აიხსნას, რომ გოგონები საერთოდ უფრო ემოციურნი არიან და ამიტომ ოჯახისაგან მოწყვეტას ისინი უფრო მტკიცნეულად განიცდიან.

უფროს ასაკში თითქმის იგივე მაჩვენებელია ნერვიულობისა, ანუ ეს ბავშვები შედიან განსაკუთრებით ნერვიულ ადამიანთა ჯგუფში, რაც მთლიანად განსხვავდება იმავე ასაკის, ქალაქის ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეთა მონაცემებისაგან. მნიშვნელოვანია, რომ საბავშვო სახლის უმცროსი ასაკის გოგონები ემსგავსებიან საბავშვო სახლის საშუალო ასაკის ბავშვებს, რაც ფსიქიკური დაძაბულობის ოვალსაზრისით მათი ნერვიული “დაწინაურების” მაჩვენებელი უნდა იყოს. არ არის გამორიცხული რომ აქ ჩვენ კაუზალური ატრიბუციის მოვლენასთან გვქონდეს საქმე, ანუ გარემოებათა გამო ეს თვისებები ზედაპირულად მიეწერებათ მათ.

საბავშვო სახლის უმცროსი სასკოლო ასაკის ჯგუფი თვისების ასაკის ბავშვებთან შედარებით გაცილებით მაღალი აგ-

რესიულობით ხასიათდება. მათი ემოციური პრობლემები გამოწვეულია არა მხოლოდ იმ ფაქტორებით, რომლებიც მოზარდებს ახასიათებთ, არამედ მნიშვნელოვანნილად არასრულფასოვნების მოტივებით, რადგან ისინი სხვა ბავშვებისაგან განსხვავებით რეალურად უდედ-მამოდ იზრდებიან და ამიტომ ისინი ნაკლულობას განიცდიან, რაც არასრულფასოვნებაში გადასვლის მაჩვენებელია.

საფიქრებელია, რომ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებისათვის საკუთრივ მზრუნველობა, “მეურვეობა” არის სასურველი და ამიტომ მათი აგრესიულობა მშობლებისაგან ფსიქოლოგიური დაშორების ტენდენციით კი არ არის გამოწვეული, არამედ რეალურად მშობლებთან დაახლოების შეუძლებლობით, რაც ამ ასაკში განსაკუთრებით ძლიერ იგრძნობა, რადგან ჩვეულებრივ სრულფასოვნება ოჯახში ყოფნას გულისხმობს. ამიტომ სხვა მოზარდებთან და ჭაბუკებთან შედარებით ასეთი კატეგორიის ახალგაზრდები არა უბრალოდ ნერვიულობას განიცდიან, არამედ მათ არასრულფასოვნების ძლიერი კომპლექსი უყალიბდებათ და საფიქრებელია, რომ ზუსტად არასრულფასოვნების ეს ძლიერი კომპლექსი არის აგრესიულობის ზრდის მთავარი მოტივი.

მ. პერრე და უ. ბაუმანნი აღნიშნავენ, რომ კრიზისული ცხოვრებისეული გარემო უნდა ქმნიდეს დეპრესიისადმი დაქვემდებარების სპეციფიკურ მზაობას ანუ მოწყვლადობას, როდესაც ნაკლებია სოციალური მხარდაჭერა და ყურადღება. გარემოს სიტუაციის ასეთი დეფიციტური მანიშნებლები ყურადსალებია საბავშვო სახლის აღსაზრდელების დეპრესიულობის ზრდაში, რომლებიც მართლაც განიცდიან საოჯახო მზრუნველობის, თანაგრძნობისა და დახმარების ნაკლებობას. საბვშვო სახლის ყველა ასაკი და ყველა სქესობრივი ჯგუფი თავსდება მაღალი დეპრესიულობის ჯგუფში; უნდა ვიფიქროთ რომ ასეთი მდგომარეობა გამოწვეულია ფსიქოსოციალური ფაქტორებით.

ლიტერატურის არც ერთი წყარო არ აფიქსირებს ასეთ ადრეულ ასაკში დეპრესიულ მდგომარეობას, ამიტომ გვრჩება ერთადერთი შესაძლებლობა ვივარაუდოთ, რომ ასეთი ადრეული დეპრესიულობა და მისი საყოველთაო გავრცელება გამოწ

ვეული უნდა იყოს საერთოდ ცხოვრებისეული გარემოთი, რომელიც ხასიათდება ყურადღების დაბალი დონით, მოუწესრიგებლობით, თანაგრძნობისა და ურთიერთდახმარების ნაკლულობით, არაკონტროლირებადობით, რომლებიც საერთოდ ქცევის პესიმისტური სტილისა და უმწეობის გავრცელებულობაზე მეტყველებს და რომელსაც როგორც ჩანს ბავშვები უმცროს სასკოლო ასაკში ითვისებენ.

შეზღუდული სოციალური გარემოს გამო მზრუნველობამოკლებული ბავშვები კიდევ ვერ გამოსულან იმ დაძაბული თვითმეზღუდვის მდგომარეობიდან, რომელიც მათში გამოწვეულია მშობლების გარეშე დარჩენით და ვერ ახერხებენ ადვილად შევიდნენ კონტაქტში სხვა ადამიანებთან, ისინი თავს გრძნობენ, როგორც სხვისი დაცინვის და ზენოლის სამიზნედ შესაბამისად ისინი ნაკლები კონტაქტურობით ხასიათდებიან.

საყურადღებოა ერთი გარემოება, რომ საერთოდ გოგონები სისტემატურად უფრო მეტად არიან ინტროვერტები, ანუ საკუთარ თავზე და ოჯახზე ორიენტირებულნი. საბავშვო ახლის აღსაზრდელებში კი ნაკლულობის გრძნობა, რომ არ ვთქვათ არასრულფასონება, რომელიც ამ ბავშვებს ახასიათებთ ჩვეულებრივ ბავშვებთან მიმართებაში იწვევს ექსტრავერტულ ქცევაზე ორიენტირებას, ანუ საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩართულობას, რომელიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს საოჯახო ურთიერთობების ნაკლულობის საკომპენსაციო მიღრეკილებად.

ამიტომ საბავშვო სახლის აღსაზრდელებში მდედრობითი სქესისათვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი კანონზომიერება დარღვეულია და უმცროს ასაკში გოგონები ნაკლებ ინტროვერტები არიან ვიდრე ვაჟები. საშუალო ასაკში, როდესაც იწყებს ჩამოყალიბებას ქალური და მამაკაცური სტერეოტიპები, გოგონები გაცილებით უფრო მეტად არიან ინტროვერტირებულნი ვიდრე ვაჟები;

როგორც კვლევებიდან გამოჩენდა რაც უფრო ემატება ასაკი საბავშვო სახლის აღსაზრდელს, როგორც ჩანს მით უფრო მეტად განიცდის უმწეობას და უპერსპექტივობას, აქედან გამომდინარე უფრო მეტი აქვს შიშის განცდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ შიშის აქცენტუაციის ანალოგიური მაჩვენებლები საბავშვო სახლის უმცროს ასაკში (11.6) ძალიან ახლოსაა ჩვეულებრივი სკოლის უმცროს კლასელთა მონაცემებთან (12.3), მაგრამ შემდგომში შიშის აქცენტუაცია საბავშვო სახლის აღსაზღველებში იზრდება. ეს მონაცემები ცხადად მეტყველებს იმაზე, რომ შიშის აქცენტუაცია იზრდება ანუ

მზრუნველობა მოკლებულობა თუ უმცროს ასაკში გარეგნულ ფაქტორად არის მიჩნეული ანუ მათზე ნაკლებად ზრუნავენ და აქცენტი მართლაც მზრუნველი ადამიანის არყოფნაზე არის გადატანილი, უფროს ასაკში ეს გრძნობა შინაგან ემოციურობაში გადადის და როგორც ჩანს არასრულფასოვნების განცდის საფუძველზე აქცენტი შინაგან მდგომარეობაზე კეთდება და არა მაინც და მაინც სავარაუდო მზრუნველობაზე, რაც საბავშვო სახლის აღსაზღველებში ჯერ კიდევ უმცროს სასკოლო ასაკში აგზნებადობის მაჩვენებელს ზრდის.

ამრიგად შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ ახლობლებთან ფიზიკური დაშორებულობა გადაიზრდება ფსიქოლოგიურად შინაგან უკმარისობის განცდაში, რომელიც ფიზიკური ნაკლულობის ფსიქოლოგიური ექვივალენტია და აგზნებადობის ზრდა არ უნდა იყოს მოულოდნელი.

მზრუნველობამოკლებულ ცდისპირებში ჰიპერტიმიულობის ფაზა შეიძლება ასაკობრივ თვისებად მივიჩნიოთ, სუბდეპრესია უეჭველად ოჯახთან დაკავშირებით, საკუთარი მდგომარეობის უკმაყოფილებით, აღზრდისა და სწავლების ნაკლოვანებებით, რომლებიც არც თუ იშვიათად უარყოფითად მოქმედებენ მზრუნველობამოკლებულთა ღირსებაზე, რაც საკუთარი არასრულფასოვნების განცდის საფუძველი შეიძლება გახდეს

საბავშვო სახლის აღსაზრდელები ვერ გრძნობენ მათ მიმართ ემპატიისა და ამიტომ თვითონაც ნაკლულ მდგომარეობაში არიან სხვების გრძნობების გაზიარებაში. ეს კი თავისთავად იწვევს მათი შიდა ფსიქოლოგიური სამყაროს დახურვას და ნარმოსახვის სამყაროში ყოფნას, შესაბამისად ისინი მუდამ იმყოფებიან გუნება-განწყობილების ცვალებადობის უკიდურეს მწვერვალზე, ამიტომ უმცირესი და სხვებისათვის შეუმჩნეველი

მიზეზები მათი გუნება-განწყობილების ხშირ ცვალებადობას იწვევს რაც შემდომში მათ ლაბილურობზე აისახება, რაც ტესტებითაც დადასტურდა.

საფიქრალია რომ სულ სხვა საფუძველი აქვს ეპილეპტოიდურ ტენდენციებს მზრუნველობამოკლებულთა შორის, აქ თანაბრად არის განაწილებული სხვადასხვა სქესის წარმომადგენლებში, ეს კი გვაფიქრებინებს რომ თუ ეპილეპტოიდური ტენდენციები ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეებში უფრო მეტად ახასიათებს გოგონებს, რადგან ისინი უფრო მეტად არიან შეზღუდულნი თავის ქცევაში ვიდრე ვაჟები, ხოლო მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში სქესობრივი განსხვავევის გარეშე არიან შეზღუდულები, როგორც საოჯახო ურთიერთობის თვალსაზრისით, ისე აღზრდის, სწავლებისა და ყოფითი პირობების მიხედვით, ამიტომ თუ ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეები უფრო მეტად არიან გაღიზიანებულნი მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში ეპილეპტოიდურობის ტენდენციის მქონე აღსაზრდელები გამოირჩევიან მძვინვარებისა და დარდიანობის გუნება-განწყობილებით.

მზრუნველობამოკლებულთა კატეგორიას სოციალური გარემოდან გამომდინარე არ აქვთ დიდი იმედი გინდ სწავლით გინდ მუშაობით, რომ ისინი დადებით შედეგს მიაღწევენ და ამიტომ დელინკუენტურობაზე და ალკოჰოლიზმზე ორიენტაცია და უშუალოდ სიამოვნების მიღებაზე მიდრეკილება განპირობებულია დაურწმუნებლობით, ხოლო საკუთარი უინიციატივობით, რომელიც ოჯახისაგან მხარდაჭერის არსებობასთან უნდა იყოს დაკავშირებული აიძულებს მას ქუჩის ჯგუფებისაკენ მიდრეკილებას, რაც განაპირობებს მერყევი ტიპის ჩამოყალიბებას.

მზრუნველობამოკლებულთა ჯგუფში საკმაოდ მაღალია კონფორმიზმის მაჩვენებლები. განსაკუთრებული კომფორმიზმი საერთოდ მათზე მმობლების მხრივ ყოველგვარი მეურვეობის და ზრუნვის საკომპენსაციო ქცევაა, როდესაც თანატოლები თითქოს ერთმანეთისათვის მშობლების როლს თამაშობენ და ასეთი კომფორმიზმი მათში იძულებით შემჭიდროებულობისა და “უსაფრთხოების” განცდას იწვევს, რომელიც ასე სასურველია მათთვის.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში ნ.ჩ ავლენს ჭეშმარიტ და ლრმა გრძნობებს ოჯახისა და რელიგიური დაწესებულებებისადმი. მაგ.: ოჯახი – ერთი გუნდი, სახლი – გუბბათი (ანუ მას როგორც ჩანს სახლი რელიგიურ დაწესებულებასთან აქვს გაიგოვებული, რომელიც სიწმინდის სიმბოლოა), საყვარელი–დედა. აგრეთვე ავლენს თანაგრძნობის მოთხოვნილებას: შეურაცყოფა – გულისტკივილი, სევდიანი ადამიანი, სიბრალულის – ცრემლი, ლოცვა – სულის სიწმინდისთვის და ასე შემდეგ.

როგორც ვიცით ფსიქოასტერურ ტიპს ახასიათებს გაუბედავობა და ეს გამოიხატება იმაში რომ პ. ტ. მისთვის მტკივნეულ საკვანძო სიტყვებს საერთოდ არ ავსებს. მაგ.: ოჯახი – , დაცინვა – . ამავე დროს ცდილობს იმსჯელოს თუმცა მისი მსჯელობა ხელოვნურია და ნაკლებ შეიცავს განვითარების შესაძლებლობას, ის უფრო მეტად ჩიხში იქცევა და ამიტომ საკვანძო სიტყვების გასწვრივ რუსულ სინონიმებს წერს: ნათურა – ლამბაზჩკა, მინა – სტეკლო, კოლოფი – კარობკა ანდა კუთხურ გამოთქმებს იყენებს: ბავშვი – ბაღანა, ბეწვი – ბაღანი და ასე შემდეგ. მას აგრეთვე მომავლის შიშიც ახასიათებს და ის გამოტოვებს ისეთ საკვანძო სიტყვებს როგორიც არის: მზრუნველობა, შიშის გასწვრივ კი ის წერს – სიკედილის და მაგალითად დაქორწინებაზე უბრალოდ ქორწილი უწერია რაც რათქმაუნდა ტავტოლოგიაა და როგორც ჩანს ის ვერ ნახულობს დაქორწინების პერსპექტიულ განვითარებას.

მას შფოთიანობაც ახასიათებს რაც ცემის – სახლთან დაკავშირებაში შეიძლება გამოვლინდეს.

მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს ახასიათებთ ჩაკეტილობა, რაც გამოიხატება მოკლე, „კი“ და „არას“ პასუხებში, რომლებიც ზღუდავენ მის შინაგან სამყაროსთან ასოციასციებით დაკავშირების შესაძლებლობას და როგორც სხვა შემთხვევებში აქაც მზრუნველობა მოკლებულათა შიზოიდური ტიპის მონაცემები (ნ. ო.) სრულყოფილი შიზოიდური ნიშნებით ხასიათდება. მაგ.: გულითადობა – კი, შეურაწყოფა – არა, კმაყოფილი – კი, სიცრუე – არა; (ანუ ის რაც მისთვის ნაცნობია და რაც მას ასე ვთქვათ ახასიათებს, ასოციაციებში უარყოფს

და ამბობს “არას” და პირიქით, სადაც მისგან შორს მყოფი თვისებაა წერს “კის”). შეკითხვა –კითხვითი ნიშანი, ის აშკარად განიცდის თანაგანცდის ნაკლებობას, როგორც საკუთარი თავის მიმართ, ისე სხვების მიმართ. ამას ადასტურებს სიკვდილი – არგადარჩენა, ანუ მას არც საკუთარი თავი ეცოდება და არც სხვები; სიძულვილი – მძულს, სხვების უარყოფითი დამოკიდებულების უარყოფაა, რაც საზოგადოებისადმი ნეგატიური დამოკიდებულების მაჩვენებელია და შეიძლება ხაზგასმული კომფორმიზმი ვლინდება, რადგან კომფორმიზმისათვის საზოგადოებაში მიღებულობაზე კეთდება აქცენტი, აქ კი რადგან საზოგადოება ხშირად ასეთ ბავშვებს თითქოსდა არ ღებულობს ამიტომ მის საიპრისპიროდ არის არის განწყობილი და ყოველგვარ მასთან შეგუებას უარყოფს.

ბ. 6. გამოირჩევა გავრცელებული სტერეოტიპული ასოციაციებით, რაც კარგად გამოხატული ეპილეპტოიდური ტიპის თვისებაა, რომელიც საკუთარი ინერტულობის საკომპენსირო ქცევაა. მაგ.: მწვანე – ფოთოლი, წყალი – ცივი, სიკვდილი – ჯოჯოხეთი, ვადახდა – ვალის, სოფელი – დასასვენებელი და ასე შემდეგ. მას აგრეთვე საკმაოდ გამოხატული აკურატულობა ახასიათებს, რაც მის კალიგრაფიაში გამოიხატება; მაგრამ სრულყოფილი ეპილეპტოიდური ნიშნები არ შეიმჩნევა.

გაცილებით უკეთეს შესატყვისობას ავლენს ეპილეპტოიდურ ტიპთან მზრუნველობა მოკლებული ცდისპირი მ.ფ., რომელიც შეიძლება კარგად გამოხატავს ამ ტიპის ძირითად ღვარძლიან, დარდიან გუნება – განწყობილებას, თანდათანობით გაღიტიანებულობის მომატებით და ისეთი ობიექტის მოძიებით რომლის მიმართაც შეიძლება ეს ღვარძლი გამოხატოს. მარინა ფუტკარაძე გამოტოვებს იმ საკვანძო სიტყვებს, რომლებიც ღვარძლს ან დარდიანობას იწვევს, ეს არის დაცინვა, დაცემა; ეს სიტყვები უეჭველია მასთან მიმართებაში საპასუხო გაბრაზებას იწვევს (დაცინვა), ხოლო “დაცემა” სოციალურ იერარქიაში დაბალი ადგილის გამომხატველია და დარდიანობის გამომწვევია. საკუთარი მდგომარეობით უკმაყოფილებას ის ემოციურად მისთვის მიუღებელი ტერმინების დასახელებით ცდილობს, რაც როგორც ჩანს მას ალიზიანებს და აფექტურ

ფეთქებადობას განაპირობებს. მაგ.: სიამაყე – ამპარტავანი, ცადუნა – ბოროტება, მდიდარი – უგულო, საყვარელი – ღალატი, ცოდვის – ჩადენა, სიბრალული – შეცოდება, შეურანყოფა – დამცირება.

მზრუნველობამოკლებულთა შორის კონფორმულობის მაღალი მაჩვენებელი გვაფიქრებიებს, რომ აქ აქცენტი უფრო ემოციურია და საკუთარ მცირე სოციალურ ჯგუფზე კონცენტრირებული სტერეოტიპებია. მაგალითად საკვანძო სიტყვა მზრუნველობა საბავშვო სახლის დიდმა ნაწილმა მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებს დაუკავშირა (მზრუნველობა – მოკლებული), სხვა შემთხვევაში საზოგადოებრივი ვერბალური სტერეოტიპები აქ თითქმის ერთი და იგივეა მაგ.: სიკვდილი – სიცოცხლე, ცივი – ცხელი, მელანი – პასტა, მდიდარი – ღარიბი, და ა. შ.

არასტანდარტულობა ინდივიდუალური ქცევის გამოხატულებაა, ის თავისუფლებაზე და დამოუკიდებლობაზე მიუთითებს. მზრუნველობამოკლებულთა ასოციაციებში ჩანს, რომ შეზღუდულები არიან თავისი “მეს” სოციალური მდგომარეობით, ნათესავებთან ურთიერთობის თვალსაზრისით ნაკლები შანსი აქვთ რომ არასტანდარტულები იყვნენ.

გახსნილობის თვისება დაკავშირებული უნდა იყოს ისეთ შიანგან მდგომარეობასთან რომელიც უმრავლეს შემთხვევაში ძირითადად ანალოგიურ მდგომარეობას ასახავს და ამიტომ გახსნილობა თავისთავად გულისხმობს რომ თუ ჩვენ ჩვენს შინაგან პრობლემებზე გსაუბრობთ, შესაძლებელია მათი სიმძაფრის მიუხედავად ჩვენ მაინც ანალოგიურს ველით ჩვენი მოსაუბრის მხრიდან, როდესაც ასეთი ვარაუდის შესაძლებლობა ჩვენ არა გვაქვს. მაგ.: მზრუნველობამოკლებულ ბავშვებში გახსნილობაც შეუძლებელია, რადგან სხვასთან საუბარი გულისმობს ისეთი მდგომარეობის ასახვას, რომელიც ჩვენ აუცილებლად ნაკლულ მდგომარეობაში ჩაგვაყენებს, როგორც ეს შეიძლება იყოს მზრუნველობამოკლებულ ბავშვებსა და სკოლის მოსწავლეებზე შედარებითი საუბრის დროს. მაგ. სიამაყე – ვერ დავთრგუნავ, სულელი – ვარ, წუხილი – მჩვევია, კმაყო-

ფილი – არა ვარ, გულითადობა – არ მჩვევია, ძმა – ნერვების მომშლელი.

მზრუნველობამოკლებული აღსაზრდელები განცალკევებული, ხშირად საზოგადოებისაგან მოწყვეტილი და მასთან რეალურად დაპირისპირებაში მყოფი ერთობლიობაა და ამიტომ ეს ჩვეულებრივი სტერეოტიპი მათთვის თითქოსდა უცხო სხეულის თვისებებს იძენს და მიღებული ხდება მათი წრისათვის. ისინი მათთვის კუთვნილების განცდის მიღმა იმყოფებიან, რაც ფსიქიკური აშლილობის ერთერთი საფუძველი უნდა იყოს, შესაბამისად მათ სტერეოტიპების საწინააღმდეგო უარყოფითი წარმოდგენები ახასიათებთ.

ოჯახზე ყურადღების კონცენტრაცია მრავალნაირად გამოიხატება, ის ზოგჯერ შესაბამისი საკანძო სიტყვის გვერდით ასოციაციებში სიტყვის გამოტოვებით ვლინდება, როდესაც აღსაზრდელისათვის ეს სიტყვა იმდენად მტკიცნეულა განცდებთან არის დაკავშირებული, რომ მისი შესაბამისი ასოციაციები ბლოკირებულია და ის არაფერს აღნიშნავს. სხვა შემთხვევაში კი ოჯახზე ორიენტირება საერთოდ ოჯახზე დაშორებულობით გამოწვეული გრძნობების მოქარბებით გამოიხატება, რაც პესიმისტურ გუნება-განწყობილებაში აისახება და შესაბამისად ასოციაციებით დასტურდება. მაგ.: ყალბი შექმნილი აქ გულისხმობს მშობლებისადმი დამოკიდებულება, რომ ადანაშაულებს იმაში რომ მშობლები თავის ფუნქციას არ ასრულებენ და უბრალოდ გააჩინეს . კოცნა – სითბო ეს გაიგივებულია ოჯახურ სითბოსთან და ალერსთან, რომელსაც მოკლებული არიან. ძვირფასი – დედა, მამა – სიამაყე, ცოდვის – გამოსწორება, ოჯახი – დედ-მამა და ა. შ.

უპერსპექტივობა ჩვეულებრივი კონტრასტია ჩვეულებრივი სკოლის მოსწავლეების პერსპექტივულობისა, რომელიც როგორც ჩანს არ არის მხოლოდ ოჯახისაგან მოწყვეტით განპირობებული, არამედ მნიშვნელოვანნილად საზოგადოების მხრიდან უყურადღებობითაც არის განსაზღვრული, რადგან სოციალური გარემო და განსაკუთრებიტ შეზღუდული მატერიალური შესაძლებლობები ზღუდავენ შესაფერისი აღზრდის, სწავლების სტიმულების და მზრუნველობის უზრუნველყოფის

ნაკლებობით არის გამოწვეული. მაგ.: კოლოფი – მძივი, მას აქვს სურვილი რომ ქონდეს მძივი, მაგრამ ნაკლები შანსია, რომ ეს ქონდეს და ამიტომ მტკივნეულ აღიქმება.

ახალი – იმედი, იმედი საერთოდ ოცნებაა და არა რეალისტური საფუძველი და შესაბამისად ისინი ოცნების სფეროში არიან, თანაც ეძებენ “ახალს” რადგან უკმაყოფილონი არიან ახლანდელით.

იღბალი – გაუმართლა რადგან უპერსპექტივონი არიან ისინი იღბალზე არიან დამოკიდებულნი და არა რაღაც კანონზომოერებაზე.

ფაქტია, რომ საბავშვო სახლის აღსაზრდელების აბსოლუტური უმრავლესობა უკმაყოფილოა თავისი მდგომარეობით და რადგან რეალურად მათ არ შეუძლიათ რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შეიტანონ საკუთარ სოციალურ მდგომარეობაში და ვერ გრძნობენ მათ მიმართ ემპათიას ეს თავისთავად ინვევს მათი შიდა ფსიქოლოგიური სამყაროს დახურვას და წარმოსახვის სამყაროში ყოფნას, ანუ საზოგადოებისაგან განკურძოებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

ზურაბიშვილი ა. დ. ფსიქიატრია, ცოდნა, თბილისი, 1958,
444 გვ.

ჩაგანავა გ. განწყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები, აჭარა, ბათუმი, 2001. 224გვ.

Михеев В. В. Учебник нервных болезней. Медицина. М. 1966. 438с.

Manana Dumbadze
Relationship Problems Inmates of Children's Home
Summary

Most of the inmates of children's home are dissatisfied with their situation, because they can't really make any significant changes in their social situation and don't feel empathy to themselves

by the surrounding them people, this causes the closing of their internal mental world and move into the world of imaginations mediates or whether it means estrangement from reality.

Манана Думбадзе
Проблемы взаимоотношений воспитанников
детского дома

Резюме

Абсолютное большинство воспитанников детского дома недовольны своим положением,

так как реально они не способны внести какие-либо значительные изменения в свое социальное положение и не чувствуют эмпатию к себе со стороны окружающих, то это вызывает закрытие их внутреннего психологического мира и опосредует перемещение в мир воображений или же это означает отчуждение от реальности.

მშობლების გაზვიადებული მზრუნველობის პროგლობა

ოჯახური ბედნიერება და სტაბილურობა განუყოფლადაა დაკავშირებული ოჯახური ტრადიციების შექმნასთან. ტრადიციები ასახავს მის განსაკუთრებულობას და ინდივიდუალურობას. ზოგიერთი ოჯახის ტრადიციები გადადის თაობიდან თაობაზე. ბავშვის ცხოვრებისეული ხედვა პირდაპირ იქნება დაკავშირებული რამდენად ჩამოუყალიბებენ სამყაროს სურათს მშობლები, რაც უფრო მეტ სიხარულს და პოზიტიურ ენერგიას დაანახებთ პატარა-ობიდანვე ბავშვს, მით უფრო ნათლად აღიქვამს სამყაროს.

მშობლები ბავშვთან ურთიერთობისას მას გადასცემენ იმ ტრადიციებს, ღირებულებებს, ქცევის იმ ნორმებს, რომელიც დამახასიათებელია მოცემული საზოგადოებისათვის; თუმცა არის შემთხვევები, როცა ბავშვები ძალიან ბევრ რამეს სწავლობს საკუთარი დაკავირვების წყალობით.

აქედან გამომდინარე რათქმაუნდა ოჯახური ტრადიცია უპირველესად არის სითბო, სულიერი ატმოსფერო ოჯახში, რომელიც შედგება დღიური განრიგით, ცხოვრების წესით, ჩვევებით; მაგალითად ზოგ ოჯახში მიღებულია ადრე ადგომა, საუზმობა, სადილობა და ა. შ. რისთვისაც ბევრ ოჯახს, განსაკუთრებით კი გადამეტებული მზრუნველობით გამორჩეული დედა ან პირიქით ცდილობს თავისი შვილების გარკვეულ ჩარჩოებში მოთავსებას და იმის სწავლებას თუ როგორი ქცევაა მისაღები, რისთვისაც გამოიყოფა მშობელთა კატეგორიის შემდეგი სახე:

1. ავტორიტარული მართვის სტილი, როცა მშობელი იღებს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

2. დემოკრატიული მართვის სტილი, როცა არჩევანის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ბავშვის აზრსაც ითვალისწინებენ.

3. ლიბერალური მართვის სტილი. როცა მშობლები საერთოდ არ ერევიან მოზარდების საქმიანობასა და მის გადაწყვე-

ტილებაში’ თითქოსდა მიტოვებულნი არიან მშობლებისაგან ბავ-შვები.

აბსოლიტური ჩაურევლობა ბავშვის ცხოვრებაში გულის-ხმობს მის დატოვებას ღირებულებების, ქცევის ყოველგვარი გან-მსაზღვრებების გარეშე, თუმცა ამ ასაკში ბავშვები აუცილებლად საჭიროებენ მინიშნებებს სწორ ქცევაზე. არ არის რა მზად ბავშვი დამოუკიდებლობისათვის და რჩება პირისპირ დამოუკიდებელი მოქმედების, საჭიროების მქონე სიტუაციების პირისპირ მისი ქცე-ვა გარკვეულნილად გაუაზრებელია და ხმირად სპონტანურ ხასი-ათს იძენს, რაც ზრდის შეცდომების რისკს და უშუალოდ ბავშვის პასუხისმგებლობას, თუმცა ამ ასაკში ბავშვს პასუხისმგებლობის გრძნობა საკმარისად აქვს განვითარებული და მითუმეტეს შემეც-ნებული. შედეგად კი ვიღებთ რეალობას, რომელშიც ბავშვი და-ტოვებულია მოცემულობაში საკუთარი პასუხისმგებლობის მაღა-ლი წილით და საკმარისად განუვითარებელი შესატყვისი უნარ-ჩვევებით.

განსხვავებულია დამოუკიდებულება, როდესაც საქმე გვაქვს დემოკრატიული ფსიქოტიპის მშობელთან, ასეთ დროს არ ვხდებით იმ ორ უკიდურესობას, რომელიც დამახასიათებელია ავ-ტორიტარის და ლიბერალის მშობლებისათვის. შესაბამისად დე-მოკრატი ტიპის მშობელი იცავს ერთგვარი ოქროს შუალედს, გა-დაჭარებულ კონტროლსა და სრულ ჩაურევლობას შორის. ასეთ დროს მშობლის მონაწილეობა ბავშვის განვითარებაში, ის არის შე-დეგზე ორიენტირებული და აზლვევს მას, როგორც ზედმეტი პა-სუხისმგებლობის ტვირთისაგან, ასევე დამოუკიდებელი უნარ-ჩვე-ვების მოკვეთისაგან. ამგვარი დამოკიდებულებით ბავშვი ყალიბ-დება გააზრებული ღირებულებების მატარებელი ადეკვატური პა-სუხისმგებლობისა და უნარ-ჩვევების მქონედ.

ტრადიციის აღმზრდელობითი ძალა უნინარეს ყოვლისა ის არის, რომ მათში არსებულ გამოცდილებას მომავალი თაობა იღებს ყველაზე ბუნებრივი გზით. ბავშვების ქვეცნობიერი ყველა-ფერს ისრუტავს, მასში იღექება და გარკვეულ დრომდე ინახება, მერე კი სიტუაციის შესაბამისად ამოტივტივდება და პიროვნების ქცევაზე პოვებს 0

ასახვას, ამიტომ ძალზე მნიშნელოვანია, ქვეცნობიერში შე-მონახული “ნალექი”, რაც შეიძლება პოზიტიური იყოს.

სასწავლო და აღმზრდელობით დაწესებულებებში ხშირად ცდილობენ მოზარდებში შიშის დათესვას. შიშზე დაფუძნებული მეთოდები-ყვირილი, დასჯა, სამწუხაროდ დღესაც აქტუალურია, თუმცა არცთუ სახარბიელოა მათი შედეგი. დედა შვილს ფიზიკურად და სიტყვიერად იმის გამო სჯის, რომ მისი ელემენტარული თხოვნა არ შეასრულადა ა.შ..

ჩემი პრაქტიკული გამოცდილებიდან მრავალი მაგალითი არსებობს და მინდა ერთ-ერთი მაგალითი განვიხილო ბავშვის კვებასთან დაკავშირებით, სადაც ბავშვი უარს აცხადებს კვებაზე, რის გამოც დედა-შვილს შორის დაძაბული ურთიერთობაა. ეს კი უარყოფითად მოქმედებს ბავშვის ფსიქიკის განვითარებაზე ანუ არიან იმპულსურები, ვერ ახდენენ ყურადღების კონცენტრირებას საგავვეთილო პროცესში და რაც მთავარია უჭირთ კონტაქტის დამყარება თანატოლებთან, ასევე ახასიათებთ მიჯაჭვულობა კერძო პედაგოგის მიმართ, რადგან ამსგავსებენ თავის ე.ნ. მზრუნველ მშობელს, თუმცა ამავდროულად არიან კრიტიკულებიც, აქვთ მომავლის შიში, თითქოსდა ითვალისწინებენ მშობლის რჩევა დარიგების გათვალისწინებას, მაგრამ მათი სურვილი უფრო ძლიერია და მოქმედებენ საკუთარი სურვილებით, რის გამოც მშობელი ბავშვის ასეთ საქციელს უკეთებს შემდეგი სახის კომენტარებს: მამასავით ჯიუტი ხარ, დაუჯერებელი, თავისებური და ა. შ. რაც ძლიერ მოქმედებს ბავშვის ფსიქიკურ განვითარებაზე, რის გამოც აღზრდის ეს ხერხი არათუ შედეგს ვერ გამოიღებს, უფრო მეტად გაართულებს სიტყუციას. უფრო მეტიც, აღზრდის პროცესში დაშვებულ შეცდომებზე ბავშვები ემოციურად მძიმედ განიცდიან, ხდებიან კრიტიკულები და ეჭვით უყურებენ მშობლის მიერ სიყვარულის გამოვლინებას

აქედან გამომდინარე კი მნიშვნელოვანია, რომ პირველ რიგში მშობელმა ძალიან კარგად გაერკევს აღზრდის ამ მეთოდის ეფექტურობასა და შედეგიანობაში, რადგანაც პრაქტიკაში გამომდინარე ტრადიციული მეთოდებიდან ყველაზე ხშირად ვაწყდებით მშობელთა ავტორიტარიზმს (არათუ იშვიათად აგრესიულს) ამდენად გაცილებით მეტად ვართ პრაქტიკოსი ფსიქოლოგები მოტივირებულები, რომ ვსრულყოთ ავტორიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ მიმართული ფსიქოლოგიური ბერკეტები, რომელთა კომპლექსური ამოქმედებაც დაეხმარება მშობელს იყოს უფრო სამართლია-

ნი და ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული ქცევის მატარებელი.

Миранда Турманидзе

Проблема преувеличенного опекунства родителей

Резюме

Воспитательная сила семейной традиции прежде всего в том, что имеющий жизненный опыт новое поколение получает естественным путём. Детское подсознание всасывает всё, откладывается в них и хранится определённое время. А потом зависимо от ситуации всплывает и отражается на поведение личности. Поэтому важно, что сохранённое в подсознании «осадок» был позитивным. В первую очередь важно чтобы родители хорошо разобрались в эффективности и результативности этого метода воспитания, так как исходя из практики традиционных методов, чаще всего сталкиваемся родительским авторитаризмом (нередко агрессивное). Следовательно психологи более мотивированы чтобы направить психологические рычаги для перехода от авторитарного к демократическому воспитания. Это поможет родителям быть более справедливым и ориентированными к детским интересам.

Miranda Turmanidze

The Problem of de Exaggerated Supervision of the Parents
Summary

The educational power of family traditions is that the new generation receives experience in natural way. Subconsciousness of children absorbs everything that they see and hear and saves this information for some period. Then, depending on the situation this information comes up and influences on the child's behavior. Therefore it is necessary that the information being saved in the subconsciousness should be positive. First of all it is important that the parents investigate the efficiency and results of this method of education, since, as practice of traditional methods show, we often face the parents' authoritarianism (often aggressive). Consequently, psychologists are motivated to activate psychological levers to pass from authoritarian educations towards democratic. This will help the parents to be fairer and take account of the children's interests.

ალექსითიმითის ფეროვანის კვლევა სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფები

ალექსითიმითია (Berthoz, 2005: Hill, 291-298) სიტყვასიტყვით ნიშნავს “სიტყვების არ არსებობას გრძობების გამოსახატავად.

ამჟამად, ამ ტერმინმა მტკიცებ დაიკავა ადგილი ლიტერატურაში, რომელიც ეძღვნება ფსიქოსომატურ სნეულებებს (Поллок, 1978: 224-228; Аммон, 256; Вереин, 1978: 281-291;

Симерницкая, 1978: 298-305; Лунц, 1978: 292-297) და მასთან დაკავშირებული ალექსითიმითის კონცეფცია სულ უფრო მეტ პოპულარობას იწვევს. ალექსითიმითია არის ფსიქოლოგიურ მახასიათებელთა ერთობლიობა, რომელსაც ახასიათებს: გრძნობების აღნერისა და განსაზღვრის სირთულეები, გრძნობებსა და სხეულებრივ შეგრძნებებს შორის განსხვავებულობის სირთულეები, ფანტაზიისა და წარმოსახვის სიღარიბე, ყურადღების კონცენტრაციაუფრო მეტად გარე გარემოებებზე, ვიდრე შინაგან განცდებზე, სიძნელე განასხვავონ ემოცია და გარეგნული შეგრძნებები. კანონზომიერად დგება საკითხი – გამოწვეულია თუ არა ალექსითიმითა თანდაყოლილი დეფექტით, არის თუ არა ის ბიოქიმიური დეფექტითის შედეგი, გამომდინარეობს თუ არა ის განვითარების, ოჯახის სოციალური და კულტურული შეზღუდვების რეზულტატიდან? – ამ კითხვებს პასუხი არ გააჩნია. მაგრამ არსებობს წინასწარი მოსაზრება, რომელიც მიგვითითებს, რომ ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება გენეტიკურ ფაქტორებს. ალექსითიმითია შეიძლება შეგვხვდეს, როგორც ჯანმრთელ ადამიანებში, აგრეთვე სხვადასხვა სნეულებებით დაავადებულ ავადმყოფებში. ამიტომ უნდა ვიცოდეთ, რომ ალექსითიმითია – არ არის “დასაბუთებული დავიწყება”, რომელიც შეიძლება ავსნათ უბრალო განდევნით ან უარყოფით.

რამდენიმე ხნის წინ გამოქვეყნდა შრომა, რომელშიც ასახული იყო ალექსითიმითის ახალი ასპექტი, მისი კავშირი სასიკვდილო რისკის შემთხვევებთან. საუბარია იმაზე, რომ ალექ-

სითიმით დაავადებულ მამაკაცებში 42-60 წლის ასაკში მატულობს რისკი სომატური სნეულებებისა. არის ნამუშევრები, რომლებშიც ნამყვანი როლი ალექსითიმითის ფორმირებაში მიეკუთვნება ოჯახს. სიძნელეები საკუთარი ემოციების აღწერაში, დაკავშირებული იქნა დედის მზრუნველობის დაბალ დონესთან, აგრეთვე ბავშვზე დედის გადამეტებულ მზრუნველობასთან.

ცნობილია, რომ ალექსითიმით უმეტესად არიან დაავადებულები მამაკაცები დაბალი სოციალური მდგომარეობით და შემოსავლებით, აგრეთვე დაბალი ცოდნის დონის პიროვნებები. ალექსითიმითის ზრდა შეინიშნება (34%-მდე) ასაკის მატებასთან ერთად. ალექსითიმია გვხვდება უმეტესად იმ ადამიანებს შორის (85%), რომლებიც დაავადებულია აუტისტური აშლილობებით.

დადასტურებულად ითვლება, რომ ალექსითიმიას აგრეთვე ახასიათებს: ფანტაზიის უუნარობა, ღარიბი სიზმრები, სქემატური, რიგიდული აზროვნება (Lumley,1996: 1271-1300; De Gucht, Heiser,2003).

საშუალო მონაცემების შედარებისას ევროპის მასშტაბით ალექსითიმიის დამახასიათებელი დონე ინგლისურენოვან მოსახლეობაში ნაკლებია, ვიდრე არაინგლისურენოვან მოსახლეობაში. ჩინურ ენაზე მოსაუბრეებმა ალექსითიმიის უფრო მაღალი საშუალო ქულა აჩვენეს, ევროპელებთან შედარებით, ამრიგად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ალექსითიმია ზოგჯერ განპირობებულია ხალხის კულტურული თავისებურებებით.

ალექსითიმია, მისი კონცეფციიდან გამომდინარე შეიძლება აღმოჩენილი იქნეს ჯანმრთელ ადამიანებში და შემუშავებული მეთოდების საფუძველზე შესაძლებელია მისი განვითარების შეჩერება, რადგან შემდგომში ზოგჯერ ალექსითიმია შეუცევად ხასიათს ღებულობს და გადადის ამა თუ იმ ფსიქოსომატურ სნეულებებში. მიზანი იყო შეგვესნავლა სკოლის მოსწავლეების 3 ასაკობრივ ჯგუფში (მეოთხე, მეცხრე, მეთერთმეტე კლასები) ალექსითიმიის გავრცელებულობა.

ალექსითიმიის დონის შესწავლა მოხდა “ტორონტოს ალექსითიმიური სკალ”-ის საშუალებით, (TAS) (Карвасарскии Б.Д. 2007, 484-487.871). რომელიც დამუშავებულია ვ.მ. ბეხტერევის ინსტიტუტში, ლიტერატურული მონაცემების თანახმად ეს არის

ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდი ალექსითიმიის შესასწავლად, რომელიც აკმაყოფილებს ტესტებისადმი წარდგენილ მოთხოვნებს.

შედეგების თეორიული მონაცემები შეიძლება 26 – დან 130 ქულამდე. მეთოდიკის ავტორის მონაცემებით “ალექსითიმიური” პიროვნება ღებულობს 74 ქულას და მეტს, “არა ალექსითიმიური” პიროვნება ღებულობს 62 ქულას და უფრო ნაკლებს.

გამოკვლევა ჩატარებული იყო ბათუმის №8 საჯარო სკოლის მე-11 კლასში, ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მე-4, მე-9 და მე-11 კლასებში. ბათუმის სკოლაში გამოკითხული იყო 30 მე-11 კლასელი, აქედან 17 გოგო და 13 ვაჟი. ქობულეთის №1 საჯარო სკოლის მე-4 კლასში გამოკითხული იყო 14 მოსწავლე, აქედან 7 გოგო და 7 ვაჟი. მე-9 კლასში გამოკითხული იყო 21 მოსწავლე, აქედან 5 გოგო და 16 ვაჟი. მე-11 კლასში გამოკითხული იყო 26 მოსწავლე, აქედან 15 გოგო და 11 ვაჟი. სულ გამოკითხული იყო 91 მოსწავლე, 55 ვაჟი და 36 გოგო.

მიღებული მასალების დამუშავება: მიღებული მასალები დამუშავდა და დაჯგუფდა 4 ცხრილში. მათი ანალიზის საფუძველზე ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ საერთოდ ჯანმრთელ ბავშვებში ალექსითიმია საკმაოდ არის გავრცელებული, რადგან 91 ცდისპირიდან მაღალი ალექსითიმია აღმოაჩნდათ 28 მოსწავლეს, ანუ მოსწავლეთა 30 %-ს., აქედან 14 გოგოა. რადგან ალექსითიმიის გამოვლენა შესაძლებელია ადრეულ ასაკში, სავსებით შესაძლებელია ბავშვებთან ფსიქოთერაპიული მუშაობა, (მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი ავტორი ფსიქოთერაპიას უშედეგოდ მიიჩნევს). ეს შესაძლებლობას მოგვცემს შევაფერხოთ ალექსითიმიის გადაზრდა ფსიქოსომატურ აშლილობებში.

ზოგადი მონაცემების მიხედვით ბათუმის №8 საჯარო სკოლის მე-11 კლასში 30 მოსწავლიდან ალექსითიმია დაუდასტურდა 20 მოსწავლეს, აქედან დაბალი ალექსითიმიურობა 12 ცდისპირს აღენიშნა, ხოლო მაღალი ალექსითიმიურობა კი 8-ს ანუ ეს შეადგენს 66,7 % ანუ უმრავლესობას. საყურადღებოა ის, რომ თუ დაბალი ალექსითიმიურობა დაახლოებით თანაბრად არის გავრცელებული მდედრობითი და მამრობითი სქესის წარმომადგენლებს შორის, მაღალი ალექსითიმიურობა უფრო

მეტად მდედრობითი სქესის წარმომადგენლებში მივიღეთ. (მდედრობითი 7, მამრობითი 1). ანუ როგორც ჩვენი მონაცემებიდან ჩანს ალექსითიმია სკოლის მოსწავლეების ყველა ჯგუფის დიდ ნაწილში დადასტურდა.

მთლიანად სკოლის მოსწავლეების მონაცემები ასახავს 91 ცდისპირის მაჩვენებელს. ამის მიხედვით ალექსითიმია უდასტურდება 45 მოსწავლეს, რაც 49,45% შეადგენს.

კვლევის შედეგად გაირკვა, რომ მთელი რიგი მონაცემების შესაბამისად “ტორონტოს ალექსითიმიური სკალის” მიხედვით გამოვლენილი ალექსითიმიის მქონეთ ახასიათებთ შემდეგი თვისებები:

ყველა კატეგორიის ცდისპირში დაშორებულობის გამოვლენის სიძლიერის ზრდა ინვეცს პარალელურად შეიშის ზრდასაც, რაც ალექსითიმიის შესწავლაში მანამდეც იყო დადასტურებული.

ცნობილია აგრეთვე, რომ ალექსითიმია პრობლემებს ქმნის აზროვნების პროცესშიც. ჩვენმა მონაცემებმა დაადასტურა, რომ ეს განსაკუთრებით შემოქმედებითი აზროვნების პროცესის შენელებას ეხება. როდესაც აზროვნების პროცესში იზრდება ე.წ. “მინის ტკეპნა” ანუ უნაყოფო მოსაზრებების შემთავაზება.

ცნობილია მცდელობა ალექსითიმიის სტრესთან დაკავშირებისა. ჩვენი მონაცემებით ძლიერი წუხილის მაჩვენებელი ყველა გამოკითხულთა ჯგუფში ავლენს ზრდის ტენდენციას, რაც უთუოდ სტრესის გამოვლინებასთან უნდა გავაიგივოთ.

ამავე დროს აშკარად მცირდება სიმშვიდის მაჩვენებლები, როგორც ჩანს, ალექსითიმიის მქონე ადამიანებს ახასიათებთ შინაგანი წუხილი.

მცირდება, აგრეთვე პიროვნული გახსნილობის მაჩვენებლები, რომლებიც არ არის მითითებული ჩვენთვის მისაწვდომ ლიტერატურაში და არ არის გამორიცხული, რომ ეს იმით უნდა იყოს გამოწვეული, რომ ჩაკეტილობა ანუ გულჩათხობილობა, რომელიც ჩვენი მონაცემებით იზრდება ალექსითიმიის დროს, ბლოკირებას უკეთებს ემოციების აღწერის შესაძლებლობას.

მნიშვნელოვანია ერთი ფაქტი, სომატურად ჯანმრთელ სკოლის მოსწავლეებში (Кон,1978:32-50; Кон,1989:33-46; Шеффер,2003:556-648) ალექსითიმის ზრდასთან ერთად მეტნილად იზრდება გაღიზიანებულობა, რაც შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ ეს ცდისპირები გამოხატავებ საკუთარი მდგომარეობით შეწუხებულობას და ამიტომ მათი გაღიზიანებულობის დონე იზრდება.

გამოყენებული ლიტერატურა:

ჩაგანავა გ. განცყობის ფსიქოლოგიის აქტუალური პრობლემები. „აჭარა“. ბათუმი. 2001. 224 გვ.

Аммон Г. Психодинамика Бессознательного в случае психосоматической болезни: Предварительные методологические соображения. Бессознательное. Мецниереба, Тбилиси, 1978. 256-267 с.

Березин Ф. Б. Некоторые механизмы интрапсихической адаптации и психосоматические отношения. Бессознательное. Мецниереба, Тбилиси, 1978. 281-291 с.

Карвасарский Б.Д. Клиническая психология. < Питер>. М., 2007.

Кон И. С. психология ранней юности. Просвещение. М, 1989. 255 с.

Шеффер Д. Дети и подростки. Психология развития, Питер. М., 2003. 973 с.

Berthoz S., hill E.I. Reliability of the Bermond – vorst Alexithymia Questionnaire. Data from adults with autism spectrum disorder, their relatives and normal controls. European Psychiatry, 2005,v. 20, p. 291-298.

De Gucht v. Heiser. W. Alexithymia and somatisation: Quantitative review of the literature. Journal of psychosomatic research, 2003, v. 54(5),p. 425-434.

Lumley M.A. Alexithymia, emotional disclosure, and health: A program of research. Journal of personality, 2004, v. 72(6)p. 1271-1300.

Natela Eminadze

The Alexithymi phenomenon research in different age group

Summary

The Experimental research of the phenomenon of Alexithymia has shown that in accordance with “Toronto Alexithymia Scala” amongst pupils the extension of Alexithymia achieves 50%. However amongst somatic sick persons this factor achieves 96%. The research of the Alexithymia phenomenon by means of “Questionnaire of asthenic sufferings” (G. CHAGANAVA) has shown that growing of the sufferings of remoteness causes growing of awe feeling, difficulties in mentation – an offer of the fruitless considerations, growing of carelessness – a difficulties in description and determination feeling and so long.

Натела Еминадзе

**Исследование Адекситимических феноменов в разных
взрастных группах**

Резюме

Экспериментальное исследование явлений алекситимии показало, что в соответствии с <Торонтской Алекситимической Шкалой> среди учащихся распространенность алекситимии достигает 50%. Однако среди соматических больных этот показатель достигает 96%. Исследование явлений алекситимии посредством <Вопросника астенических переживаний> (Г. Чаганава) показало, что рост переживания удаленности вызывает рост чувства страха, трудности в процессе мышления – предложение бесплодных соображений, рост невнимательности – трудности в описании и определении чувств и т. д.

საზოგადოებრასთან ურთიერთობები და მარკეტინგი

Public Relations and Marketing Связи с общественностью и маркетинг

გურანდა შამილიშვილი

პრეცენტ ფსიქოლოგიური არქეტიპის პროგნოზა

ცნობილი, რომ ყოველ ბრენდს გააჩნია საკუთარი ინდი-
ვიდუალურობა, ანუ რეპუტაციების, იმიჯების, ემოციონალური
და ინფორმაციული ფაქტორების კრებული. მსხვილი ბრენდების
შემქმნელები ინტუიციურად მივიღნენ იმ დასკვნამდე, რომ
ბრენდი წამოადგენს ფუნქციონალური დახასიათებებისა და ღი-
რებულების კრებულს, რომელიც გამოხატულია არქეტიპების
უნივერსალური სახეებით. არქეტიპი - ეს არის ფსიქოლოგიური
სტრუქტურა, რომელიც ჩადებულია ჩვენს ქვეცნობიერში და
განსაზღვრავს ყოველივეს, რაც ჩვენ ირგვლივაა. ამ თვალსაზ-
რისით, აუცილებელია ცოდნის გააზრება და მიზნობრივი აუდი-
ტორების ფსიქოლოგიური განსაკუთრებულებების კორექტული
გამოყენება, რომელიც მარკეტინგული პროგრამების შემუშა-
ვების დროს მის ერთერთ მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოად-
გენს. პრაქტიკაში გვიჩვენა, რომ მომხმარებლის სურვილების გა-
გება პრაქტიკულად შეუძლებელია, ტრადიციული მარკეტინგის
თვალსაზრისით შესაძლებელია მხოლოდ დაუკავშირებელი
მოთხოვნილებების გამოვლინება და მათი შემდგომი დაკმაყო-
ფილება. სირთულეს წარმოადგენს ის, რომ განებივრებულმა

მომხმარებელმა უბრალოდ არ იცის, რას ელის მას თანამედროვე სამყაროს მრავალფეროვანი საქონლის არჩევის პირობებში, არჩევისა და ყიდვის გადაწყვეტილების მიღება მეტნილად დამოკიდებულია მის ქვეცნობიერზე. მომხმარებლის მოტავაციასთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხის, მათი ფარული მოთხოვნილების გამოვლინების მიზნით მარკეტოლოგები ყურადღებას აქცევენ თანამედროვე მეცნიერულ ნამუშევრებს ფსიქოლოგის, ნეიროფიზიოლოგის, და ასევე მითოლოგისა და კულტუროლოგის სფეროში (Терентьев Н. Теория архетипов К.Г. Юнга и ее значение для понимания механизмов восприятия предметного мира, 2007).

ბრენდის ინდივიდუალური შესაბამისობა კონკრეტულ არქეტიპთან კომპანიის, პოლიტიკოსებისა და მსოფლიო დონის კულტურის მოღვაწეების ნარმატების საწინდარია. ამ თეორიის პრაქტიკული გამოყენება დაფუძნებულია იმაზე, რომ არქეტიპები უზრუნველყოფენ მომხმარებლის მოტივაციასა და მის უშუალო მოქმედებას შორის ყველა აუცილებელ რგოლს. პროდუქტის არქეტიპული ინდივიდუალურობა პირდაპირ მიმართულია ფსიქიკის სიღრმეში არსებული ხატების მიმართ, რომელიც იწვევს ადამიანში მისთვის ნაცნობისა და მნიშვნელოვანის შეგრძნებას. შვეიცარიელი ფსიქოლოგი და ფსიქიატრი კარლ გუსტავ იუნგი (26.07.1875 – 6.06. 1961) ითვლება არქეტიპების თეორიის ფუძემდებლად. იგი 1906 - 1913 წწ. მუშაობდა ზ. ფრონიდთან, შემდგომში ის განერიდა კლასიკურ ფსიქოანალიზს და შექმნა საკუთარი ანალიტიკური ფსიქოლოგიის მომართულება, რომელიც დაფუძნებული იყო მითოლოგიდან ანალოგიების გამოყენებაზე სიზმრების ანალიზების თანხლებით. მრავალწლიანი კლინიკური დაკვირვების შედეგად იუნგი მივიდა დასკვნამდე, რომ ადამიანის ფსიქიკაში არსებით როლს თამაშობს არა მხოლიდ ინდივიდუალური, არამედ კოლექტიური ქვეცნობიერი, რომლის შინაარსიც ნარმოდგენილია არქეტიპებში და გადმოეცემა შთამომავლობით ნინაპრებისაგან. საკუთარი პაციენტების სიზმრებისა და ფანტაზიების შესწავლის საფუძველზე, იუნგმა

აღმოაჩინა მათში იმგვარი სახეები და იდეები, რომლებიც ვერა-ნაირად უკავშირდებოდნენ ადამიანის გამოცდილებას ერთი სი-ცოცხლის ფარგლებში. ყველაზე საოცარი იყო ის, რომ ეს ქვეც-ნობიერის პლასტი დაკავშირებული იყო მითოლოგიურ და რე-ლიგიურ თემებთან, რომლებიც არსებოდნენ ერთმანეთისგან საკმაოდ დაშორებულ კულტურებში. ამგვარად არქეტიპები (ბერძნულიდან „არქე“ - „დასაწყისი“ და „ტიპოს“ – „სახება“) - ძლიერი ფსიქიკური პირველსახე, რომელიც დაფარულია ქვეც-ნობიერის სიღრმეში, თანდაყოლილი უნივერსალური იდეები, აღქმის, აზროვნებისა და განცდების პირველადი მოდელებია. ეს ერთგვარი პირველადი წარმოდგენაა სიცოცხლეზე და სამ-ყაროზე, რომელიც დამოკიდებული არ არის მიღებული ცოდ-ნის დონეზე. ის გადაეცემა თაობიდან თაობას და შეადგენს მსოფლმხედველობის სტრუქტურას. ცხოვრებისეული გამოცდი-ლება არ ცვლის მას, არამედ მხოლოდ აკსებს ახალი შინაარ-სით. თითქმის ერთობლიობაში გვხდება ერთი და იგივე სიმბო-ლობები, რომლებიც აღნიშნავენ სიცოცხლესა და სიკვდილს, მა-მაკაცისა და ქალის საწყისებს, ცასა და დედამინას, ნაღველსა და სიხარულს, ავადმყოფობასა და ჯანმრთელობას, ძალასა და სისუსტეს, წესრიგსა და ქაოსს. იუნგის თანახმად, არქეტიპები წარმოადგენენ ქვეცნობიერის სტრუქტურულად ფორმულირე-ბულ ელემენტებს. ამ ელემენტებიდან იზრდება არქეტიპური სახეები (ადამიანების, ცხოველების, ბუნებრივი ძალების, დემო-ნების), რომლებიც დომინირებენ როგორც ადამიანის აზროვნე-ბაში, ასევე კულტურაშიც. იუნგი არქეტიპს ადარებს მდინარის გამშრალ კალაპოტს, რომელიც განსაზღვრავს ფსიქიკური დი-ნების მიმართულებას, მაგრამ დინების ხასიათი დამოკიდებუ-ლია თვით დინებაზე. არქეტიპები თვითონ უგონონი არიან, მაგრამ შეუძლიათ აზროვნებაში წარმოდგენილნი იყვნენ არქე-ტიპების სახეების სახით. შემდგომში არქეტიპების თეორიამ მიიღო თავისი განვითარება მაიერს - ბრიგსის თეორიაში, კარ-სის, შვარცის, ბერნის, კემპინსკის, აუგუსტინავიჩიუტეს, მარკ &

პირსონისა და სხვა ნაშრომებში. დღეს იუნგის არქეტიპების თეორია აქტიურად გამოიყენება საერთაშორისო სარეკლამო და კვლევით სააგენტოების მოღვაწეობაში და წარმოადგენს წარმატებული ბრენდებისა და ეფექტური რეკლამის შესაქმნის ერთერთ მოქმედ ინსტრუმენტს. არქეტიპები უზრუნველყოფენ კლიენტის მოტივაციასა და საქონლის გაყიდვას შორის აუცილებელ რგოლებს. პროდუქტის (მომსახურების) არქიტიპური ინდივიდუალურობა პირდაპირ მიმართულია ფსიქიკის სიღრმეში აღბეჭდილი სახისაკენ, რომელიც აიძულებს გააღვიძოს ცნობიერების შეგრძება რაღაც ძალიან ნაცნობ და მნიშვნელოვანთან დაკავშირებით.

ნეიროფიზიოლოგის, ფიზიკური ქიმიისა და კიბერნეტიკის ბოლო კვლევების თანახმად - ადამიანის ფსიქიკა წარმოადგენს გარე და შინაგანი ინფორმაციის დამუშავების სისტემას. იუნგმა გამოყო ინფორმაციის აღქმის რამდენიმე სახეობა: ლოგიკური და მხატვრული (ემოციური), სენსორული (აქცენტი აღქმის ორგანოებზე) და ინტუიციური (აქცენტი წარმოსახვაზე). გარდა ამისა, მან შემოიღო ადამიანის ფსიქიკის ორი წესი: ექსტრავერსია (მოტივირებული ძალა, უპირველეს ყოვლისა ეკუთვნის ობიექტს, ყურადღება მეტნილად მიმართულია გარეთ, გარე სამყაროს ობიექტზე) და ინტრავერსია (ადამიანი, უპირველეს ყოვლისა, მოტივაციას იღებს შიგნიდან, ყურადღება უპირატესად მიმართულია შიგნით, სუბიექტზე). სხვა სიტყვებით, ფსიქიკა გვაჩვენებს, თუ როგორ ურთიერთვოქმოქმედებთ გარე სამყაროსთან და სად მივმართავთ ენერგიას.

ფიზიკაში არსებობს ცნება ”რეზონანსი” - რხევის ამპლიტუდის ძლიერი ზრდის მოვლენა (ელექტრონული, მექანიკური, ბგერითი და სხვა), რომელიც დამოკიდებულია გარე ფაქტორებზე და სისტემის საკუთარი რხევების სიხშირე ემთხვევა გარემოზე დამოკიდებულ რხევის სიხშირეს. ამდაგვარი ხდება ადამიანის აღქმაშიც, როდესაც მრავალფეროვანი ინფორმაციის

საერთო მასიდან ის გამოყოფს იმას, რაზეც ის არის შემართული, რომელიც მის

მიერ მოთხოვნადია. იუნგმა გვიჩვენა, რომ არქეტიპები წარმოადგენენ ადამიანის მოთხოვნილებების ანარეკლს კონკრეტულ ”ინფორმაციაში” (სიტყვის ფართო გაგებით), რაც საშუალებს იძლევა ავღნეროთ არქეტიპების საბაზისო კრებული, როგორც აღქმის სახეობების შესამება ფსიქოლოგიურ მხარესთან. ”სენსორიკა - ინტუიციისა” და ”ლოგიკა - ეთიკის” განზომილება წარმოქმნის მოთხოვნილებების მატრიცას, რომელიც კარგად ცნობილი მასლოუს მოთხოვნილებების პირამიდის იდენტურია. თავდაპირველად ხორციელდება მოქმედებები შედეგების მიღწევის (Power), შემდეგ - თვითიდენტიფიკაციის (Identity), სოციალიზაციის (Community) და განვითარების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით (Explorer). ბრენდები ხელს უწყობენ ამ მოთხოვნილებების რეალიზებას შესაბამის კომუნიკაციების ათვისების პირობებში. ისინი ადამიანს აძლევენ საშუალებას აკეთოს, იყოს, მიეკუთვნებოდეს, გახდეს უკეთესი. მოცემული მატრიცა არის DMB&B-ს მიერ გამომუშავებული Leadership Equity Models თეორიის საფუძველი (Архетип и символ, М., 1991).

ბრენდის ურთიერთობის სისტემა მომხმარებელთან, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ უშუალო სარეკლამო კომუნიკაციას, არამედ ხელს უწყობს ბრენდის ერთიანი სახის წარმოქმნას, რომელიც თავის მხრივ განსაზღვრავს მის მოქმედებას ბაზარზე და მის ატრიბუტებს:

დასახელება	სიმბ ოლო	ნიშნის გამოვლინების აღწერა	ანალოგები
ექსტავერსია	E	მიმართვა გარეთ, მეტი საუბარი, კონტაქტი	გამოსხივება იანი მზე
ინტროვერსია	I	მიმართვა შიგნით, მეტი მოსმენა, საკუთარ თავთან დარჩენა	შთანთქვა ინი მთვარე
ლოგიკა	T	ობიექტურობა, ანალიზი, ორიენტაცია ფაქტებზე, რაციონალუ- რობა	მარცხენა სფე- როს აზროვნე- ბა, კონკრეტულობა, აზროვნება
გრძნობები	F	სუბიექტურობა, ემოციები, გარშემომყო- ფებთან ურთიერთობის ორიენტაცია	მარჯვენა სფე- როს აზროვნე- ბა, მხარვრულობა, განცდები
ინტუიცია	N	ოცნებები, ფანტაზიები, რომანტი- კა, უმალლესი მოთხოვნი- ლება	ინტუიცია სიახლე ინფორმაცია
სენსორიკა	S	პრაქტიკულობა ძალა მატერიალური მოთხოვ- ნილებები	შეგრძნებები კონტროლი ობიექტი

ჩამოყალიბდა წარმოდგენა, რომ თანამედროვე სამყა-
როში მსოფლიო ბრენდებმა აიღეს საკუთარ თავზე წანილობ-
რივ რელიგიური ფუნქცია. ისინი წარმოადგენენ სილრმისეული
მოთხოვნილებების გამომხატველებს, რომლის ფუნქციებსაც ად-
რე ინანილებდნენ სხვადასხვა ღვთაებები. Disney-ის არქეტი-
პი გახდა ბავშვის სიმბოლო, Nike - გმირის განსახიერება, პორ-
ვარდი - ბრძენის სიმბოლო, ხოლო Levi's - თავისუფლების მაძი-
ებლის სახით. პოლიტიკოსები, მსახიობები, კომპანიების ლიდე-
რები, სახელმწიფო მოღვაწეები, რომლებმაც შეძლეს საზოგა-

დოების მიერ მოთხოვნადი არქეტიპის შესაბამისობის მიკვლევა გახდნენ თავისი დროის გმირები. პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ წარმატებული ბრენდები ტრანსლირებენ წამყვანი არქეტიპის ლირებულებებს და ავსებენ მათ. Coca – Cola (ყველაფერი იქნება Coca – Cola!) - ბავშვი + მშვენიერი პატარა, Pepsi (აიღე ცხოვრებისაგან ყველაფერი) - გმირი + მაძიებელი, Shweppes (გახალისებს განსაკუთრებით) - დამცველი + მმართველი.

არქეტიპის მოდელი	ბრენდის მოდელი	უნივერსალური მოთხოვნილება	მომხმარებელ- თან კავშირის ტიპი
ST	Power	კეთება	რომელი გადაწყვეტილებაა უკეთესი?
SF	Identity	ყოფნა	ვინ ვარ მე სინამდვილეში?
NF	Community	მიკუთვნილება	მე მინდა აღვიქვა საკუთარი თავი როგორც დიდის ნაილო!
NT	Explorer	განვითარება	მე შემიძლია მივაღწიო მეტს!

ნებისმიერი ადამიანისათვის დამახასიათებელია ყველა ეს მოთხოვნილება და ესე იგი საბაზო არქეტიპებიც, მაგრამ მათი პრიორიტეტები ინდივიდუალურია. საბაზისო არქეტიპების გამოვლინების გაფართოებული აღნერის მაგალითები ადამიანის ხასიათებში და ქცევებში ამგვარია: მმართველი - თუ ადამიანში აქტიურდება მმართველის არქეტიპი, ის დიდი სიამოვნებით იღებს საკუთარ თავზე ხელმძღვანელის როლს და ცდილობს მაქსიმალურად აკონტროლოს ირგვლივ ყველაფერი. მოღვაწეობის ორგანიზაციის საუკეთესო საშუალებებზე ფიქრი და სტრატეგიებისა და პროცედურების გამომუშავება ანიჭებს მას საკუთარი თავის ფლობისა და სამყაროზე ძალაუფლების შეგრძნებას, რომელსაც თავის მხრივ მოაქვს დიდი კმაყოფილების შეგრძნებას.

ადამიანები, ვისაც ძლიერ აქვს გამოხატული მმართველის არქეტიპი, ახასიათებთ იმიჯის, სტატუსისა და პრესტიჟის საკითხებზე ზრუნვა არა იმიტომ, რომ ზედაპირულობის მატარებელი არიან, არამედ მათ ესმით, თუ რაოდენ მნიშვნელოვანია ძალაუფლების გაძლიერებისათვის გარე სამყაროს ზემოქმედება. მართველის მამოძრავებელ ძალას თავისი საუკეთესო გამოვლინებით წარმოადგენს სურვილი დაეხმაროს სამყაროს, ხოლო უარეს შემთხვევაში ეს გამოვლენდება ავტორიტარიზმში და ტირანიაში; გმირი - მისთვის ბუნებრივ გარემოს წარმოადგენს ბრძოლის ველი, სპორტული შეჯიბრებები, ქუჩები, სამუშაო ადგილი ან სხვა ნებისმიერი, სადაც სირთულეები და გამოწვევები ითხოვენ მამაც და ენერგიულ მოქმედებებს. გმირს სურს სამყარო გახადოს უკეთესი. სულის სილრმეში მას ეშინია დამარცხების, ეშინია, რომ ვერ მიიყვანს საქმეს ბოლომდე და ვერ მიაღწევს გამარჯვებას. ეს არქეტიპი ხელს უწყობს ადამიანებში დისციპლინის, ყურადღების, გადაწყვეტილებებისა და მიზანმიმართულების გამომუშავებას.

გმირის სამოსი და გარემო პირობები ფუნქციონალურია და არა ძვირფასი. მისთვის არსებითად ზედმეტი კომფორტი წარმოადგენს საშიშროებას, რადგან მას შეუძლია ადამიანის ხასიათის შერბილება. როდესაც ადამიანში აქტიურდება გმირის არქეტიპი, მასში იღვიძებს ღირსებები და მზად არის მიიღოს გამოწვევა. გმირი იცავს მათ, ვისაც თვლის, რომ უდანაშაულოა, მგრძნობიარე და ვისაც არ შეუძლია დაეხმაროს საკუთარ თავს დამოუკიდებლად.

გმირის საუკეთესო გამოვლინებას წარმოადგენს დიადი საქმეები, ხოლო ცველაზე უარეს შემთხვევაში - იტანჯებიან ამპარტავნობით, სისასტიკით და არიან მტრის მუდმივ ძიებაში. ადამიანის ძირითადი მოთხოვნილებები აღნერილია საბაზისო არქეტიპების მეშვეობით, რომლებიც შეიცავენ მათი რეალიზაციის როგორც პოზიტიურ, ასევე ნეგატიურ შესაძლებლობებს.

მმართველი შეიძლება გადაიქცეს ტირანად, გმირი - სასტიკ კარიერისტად, დამცველი - კონსერვატორად, რომლისათვისაც ყოველივე ახალი უცხო და მიუღებელია და ა.შ. (Герой и бунтарь. Создание бренда с помощью архетипа / Марк М., Пирсон К. - СПб.:Питер, 2005) საბაზისო არქეტიპები შეიმჩნევა ადამიანის მთელ ისტორიულ - კულტურულ დანატოვარში - ზღაპრებში, თქმულებებში, რელიგიებში. მაგალითად, რომაულ და ბერძულ მითოლოგიაში არქეტიპები გამომჟღავნებულია ღვთაებრივ პერსონაჟებში: მმართველი - იუპიტერი, ზევსი; გმირი - მარსი, არესი; ბრძენი - მინერვა, ათენა; საყვარელი - ვენერა, აფროდიტე; დამცველი - ცერერა, დემეტრა. გასაოცარია ის ფაქტი, რომ მსგავსი სახეები არსებობს ყოველი დროისა და ხალხის კულტურაში. არქეტიპები, როგორც ქვეცნობიერის უნივერსალური ენა, საშუალებას იძლევა გავიაზროთ ბრენდების კონკურენციის ბუნება: Coca – cola -ას მომხმარებლებისათვეს ძირითად ღირებულებას წარმოადგენს დღესასწაულისა და თბილი ურთიერთობის შეგრძნება (დღესასწაულის არქეტიპი), ხოლო Persi ეყრდნობა გმირის არქეტიპს (აილე ცხოვრებისაგან ყველაფერი). ბრენდმეიკერებისათვის ასევე მნიშვნელოვანია იმის გათვალისწინებაც, რომ არქეტიპები შეხამებულნი არიან ერთ სახეში.

პირობებში, როდესაც საინფორმაციო დატვირთვა მოხსმარებელზე იზრდება გეომეტრიული პროგრესის სახით, უძველესი არქეტიპები ადამიანს საშუალებას აძლევენ მიიღონ სწორი გადაწყვეტილება და დააკმაყოფილონ საკუთარი მოთხოვნილებები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Терентьева Н. Теория архетипов К.Г. Юнга и ее значение для понимания механизмов восприятия предметного мира, 2007
2. Архетип и символ / Карл Г. Юнг - М.: Ренессанс, 1991
3. Герой и бунтарь. Создание бренда с помощью архетипа / Марк М., Пирсон К. -СПб.:Питер, 2005
4. Теория архетипов и практика брендинга / Иващенко А.<http://www.advertology.ru/article19720.html>
5. <http://mmr.ua/news/id/kak-postroit-uspeshnyj-brend-zachem-nuzhny-arhetipy-27564/>

Гуранда Шамилишвили

Психологическая проблема архетипа бренда

Резюме

Создатели крупных брендов интуитивно пришли к пониманию того, что бренд - это средоточие функциональных характеристик и ценностей, выраженных универсальными образами архетипов. С этой точки зрения, необходимо понимать, что знание и корректное использование психологических особенностей целевых аудиторий, является одним из основополагающих факторов при разработке маркетинговых программ. Соответствие индивидуальности бренда определенному архетипу признается ключевой составляющей успешности компаний, политиков и деятелей культуры мирового уровня. Архетип - это психологическая структура, которая заложена в нашем подсознании и определяет восприятие всего, что нас окружает. Согласно Юнгу, архетипы являются структурно-формирующими элементами бессознательного. Из этих элементов вырастают архетипические образы, которые доминируют и в мышлении людей, и в культуре. В условиях “рекламного шума”, когда

информационная нагрузка на потребителей растет в геометрической прогрессии, древние архетипы позволяют человеку принимать правильные решения и удовлетворять свои потребности.

Guranda Shamilishvili

Psychological Problem of a Brand Archetype

Summary

Founders of large brands intuitively came to understanding of that the brand is a center of functional characteristics and the values expressed in the universal images of archetypes. From this point of view, it is necessary to understand that the knowledge and correct use of psychological features of target audiences, is one of fundamental factors when developing marketing programs. Compliance of identity of a brand to a certain archetype admits to a key component of success of the companies, politicians and cultural figures of world level. The archetype is a psychological structure which is put in our subconsciousness and defines perception of everything that us surrounds. According to Jung, archetypes are structural being formed elements unconscious. **Archetypes** images which I dominate and in thinking of people, and in culture grow from these elements. In conditions of "advertising noise" when information load of consumers grows in a geometrical progression, ancient archetypes allow the person to make the correct decisions and to satisfy the requirements.

საზოგადოებასთან ურთიერთობის როლი ტურისტული კომპანიების მარკატინგულ სტრატეგიებში

თანამედროვე სამყაროში ტურიზმი მიღიონობით ადამიანის ცხოვრების სტილად იქცა. იზრდება მისი დადებითი გავლენა საერთაშორისო მასშტაბით პოლიტიკური, სოციალური და კულტურული კავშირების განვითარებაზე, პიროვნებათა შორის ურთიერთობებზე. ტურისტული ორგანიზაციები სულ უფრო მეტ ყურადღებას აქცევენ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს, როგორც გრძელვადიან, ნდობაზე დამყარებულ, ორმხრივად მომგებიანი ურთიერთობის საშუალებას ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის. ტურისტული ბიზნესის წარმატება დამოკიდებულია ეფექტურ კომუნიკაციაზე, რომელიც უზრუნველყოფს ტურისტოდენტის წინ წაწევას და კავშირს ტურისტული მომსახურების მნარმოებელსა (ტუროპერატორს) და მომხმარებელს (ტურისტს) შორის. თანამედროვე პირობებში წარმოუდგენელია ნებისმიერი დაწესებულების მუშაობა კარგად დარეგულირებული მარკეტინგული კომუნიკაციის გარეშე. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციის ეფექტური დაგეგმვის ტენდენცია – ე.ი. ერთობლივი რეკლამის, Public Relations, გაყიდვების სტიმულირება, პირდაპირი გაყიდვები, გაყიდვების აღგილებში ინფორმაციისა და კომუნიკაციის უზრუნველყოფა თანამედროვე მარკეტინგული კომპლექსის მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგენს. დღეს სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საზოგადოების ყველა ჯგუფის თანხლებით ხარისხისა და სტაბილურობის საფუძველზე ორგანიზებულ კომუნიკაციებს, პოზიტიური იმიჯის შექმნასა და საიმედო საქმიანი რეპუტაციის დამკვიდრებას. წინამდებარე წაშრომის მიზანია Public Relation –ის ადგილისა და როლის შესწავლა ტურიზმის სფეროს მარკეტინგული კომუნიკაციების საერთო სისტემაში. მეცნიერების აზ-

რით, „ფაბლიქ რილეიშენზე“ გააჩნია კვლევის საკუთარი საგანი — საზოგადოებრივი კავშირები, რომელებიც ყალიბდება ურთიერთმოქმედ სუბიექტებს შორის მმართველობითი მოღვაწეობის პროცესში, მას ასევე გააჩნია საკუთარი მეთოდოლოგიური საფუძველი, რომლებიც აისახება ურთიერთებების პრინციპებზე და მიზნების თეორიულ მტკიცებულებებზე, მათ ამოცანებსა და განხორციელების საშუალებებზე. პიარი ფლობს საკუთარ მეთოდებს, კვლევებსა და გეგმებს, საკუთარ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიებს და ბოლოს კავშირს საზოგადოებასთან. ის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა მეცნიერება, ოპერირებს საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი კატეგორიების სისტემით, ანუ მეტნაკლებად საერთო ცნებებით, რომელებიც ასახავენ ამა თუ იმ საზოგადოებრივი პროცესის ან მოვლენის არსს. პიარი მოიცავს საზოგადოებრივი ინსტიტუტების საკმაოდ ფართო სპექტრს, მაგალითად პროფკავშირებს, სამთავრობო სააგენტოებს, მოხალისეთა ასოციაციებს, ფონდებს, საავადმყოფოებს, სკოლებს, კოლეჯებს და რელიგიურ ორგანიზაციებს. დასახული მიზნების მიღწვისათვის ეს სუბიექტები იძულებული არიან განავითარონ ეფექტური დამოკიდებულებები საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებთან: მომსახურე პერსონალთან, მომხმარებლებთან, აქციონერებთან, სხვა სტრუქტურებთან და საკუთრივ საზოგადოებასთან. საგულისხმოა მეცნიერული მოსაზრებებიც საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროს ფუნქციების განსაზღვრისას. მეცნიერი ი. ალეშინა წიგნში „ფაბლიქ რილეიშენზი მენეჯერებისა და მარკეტოლოგებისათვის“ საზოგადოებასთან ურთიერთობას განიხილავს, როგორც მენეჯმენტის ერთერთ ფუნქციას, რომლის სტატუსიც ერთმნიშვნელოვანია ისეთი ფუნქციებისა, როგორიცაა ფინანსური მენეჯმენტი, ადამიანების რესურსების მენეჯმენტი (პერსონალი), საინფორმაციო სისტემების მენეჯმენტი, ოპერაციული მენეჯმენტი, მარკეტინგი და გვაძლევს შემდეგ განმარტებას: „საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს მენეჯმენტის დამოუკიდებელ ფუნქციას, რომელიც არეგულირებს ორგანიზაციასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყარებისა და მხარდაჭერის პროცესს“ А (Алешина И.В. Паблик рилейшнз днЯ менеджеров и маркетологов. М.: Гном-пресс, 2003).

მკვლევართა ნაწილი Public Relation განიხილავს, როგორც ორგანიზაციული მოღვაწეობის სახეს. მაგალითად, ბრიტანეთის საზოგადოებასთან ურთიერთობის ინსტიტუტის განმარტებით - „საზოგადოებასთან ურთიერთობა წარმოადგენს დაგეგმილ და განუწყვეტელ მოღვაწეობას, რომელიც მიმართულია დადებითი ურთიერთდამოკიდებულებისა და ურთიერთგაგების ჩამოყალიბებაზე, მხარდაჭერაზე ორგანიზაციებსა და იმ თანასაზოგადოებებს შორის, რომელიც უშუალოდ დაკავშირებული არიან ამ ორგანიზაციის მოღვაწეობასთან”. აქვე გვინდა ავლინიშნოთ, მსოფლიო სამეცნიერო პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული „ფაბლიქ რილეიშნზის” განმარტების სხვა მიდგომაც, რომლიც PR-ს განიხილავს, როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემის ინსტრუმენტს. ა.ა. რომანოვის დეფინიციით ”PR წარმოადგენს მარკეტინგული კომუნიკაციის განსაკუთრებულ ფუნქციას, რომელიც ხელს უწყობს მართვაზე ორიენტირებული ურთიერთდამოკიდებულების ჩამოყალიბებას სხვადასხვა კონტაქტურ აუდიტორიებთან” (А.А.Романов, А.В. Панько, Маркетинговые коммуникации, М., 2006). ამ მიდგომის თანახმად, PR წარმოადგენს ორგანიზაციის ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების განუყოფელ ელემენტს რეკლამასთან, პერსონალურ გაყიდვებთან და გაყიდვების სტიმულირებასთან ერთად. მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემა წარმოადგენს სხვადასხვა სახის მოღვაწეობის ერთობლიობას, მათ შორის მომხმარებლისათვის პროდუქტის ღირსებებზე ინფორმაციის გადაცემას და მათში პროდუქტის შეძენის სურვილის სტიმულის წარმოქმნას. საქონლის წინ წაწევა გულისხმობს კონტაქტის დამყარებას ცალკეულ პიროვნებებთან, ადამიანების ჯგუფებთან ან ორგანიზაციებთან პირდაპირი, ან ირჩიბი კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით ორგანიზაციის სასაქონლო პროდუქციის გაყიდვის უზრუნველყოფის მიზნით. მარკეტინგი ეს არის კონცეფციის გამომუშავების, ფასის წარმოქმნის, იდეების, საქონლისა და მომსახურების წინ წაწევის პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს გაცვლითი პროცესების დამაკმაყოფილებელ ურთიერთობებს. გაცვლის პროცესში, როგორც წესი, ჩართული

არიან მომხმარებლები, რომლებიც ახორციელებენ საკუთარი რესურსების (ფულის, დროისა და მოღვაწეობის) ურთიერთგაც-ვლას ფირმის პროდუქტზე, ან მომსახურეობაზე. მარკეტინგი უზრუნველყოფს გაცვლის პროცესს მომხმარებლის მოთხოვნი-ლებისა და სურვილების დეტალურად შესწავლის საფუძველ-ზე: ა) პროდუქტისა და მომსახურების გამომუშავება, რომელ-თაც ძალუდთ ამ მოთხოვნილებების დაკვადუფილება, ბ) კონ-კრეტული ფასის პროდუქტის შეთავაზება, რომელიც მისაღებია მომხმარებლისათვის; გ) კონკრეტული მომსახურების ადგილის, ან არხის შექმნა; დ) წინ წანევის პროგრამის დამუშავება, ან კო-მუნიკაციების უზრუნველყოფა გათვიცნობიერებისა და ინტე-რესის შექმნის მიზნით. 1960 წ. მაკარტიმ შემოგვთავაზა კლა-სიფიკაცია, რომელიც ცნობილია „4P“ - ის სახელწოდებით. ის აერთიანებს ოთხ ელემენტს: (product, place, price, promotion). რო-გორც შენიშნავს მკვლევარი ი. ალეშინა, PR ხდება „მარკეტინ-გული კომპლექსის რიგითი მეხუთე „p“ ელემენტი, „product“ (პროდუქტი), „price“ (ფასი), „promotion“ (წინ წანევა), „place“ (ადგილ) - თან ერთად (Алешина И.В. Паблик рилейшнз дnia менеджеров и маркетологов. М.: Гном-пресс, 2003). მარკეტინგულ კომპლექსში ხუთი ელემენტის გაერთიანება ნიშნავს, რომ ბა-ზარზე მომუშავე ორგანიზაციის ყველა გადაწყვეტილება უნდა მიიღობოდეს ამ ელემენტების კომპლექსური ურთიერთდამკი-დებულების გათვალისწინებით. კომპანიის წარმატებული მოღ-ვაწეობა ბაზარზე განისაზღვრება ხუთი ელემენტიდან თითეუ-ლის მკაფიო დამუშავებით მათი ურთიერთკავშირისა და ურთი-ერთდამკიდებულებიდან გამომდინარე. დღეს მსოფლიოს წამ-ყვან კომპანიებში მარკეტინგის აგების ძირითად საფუძველს წარმოადგენს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციე-ბი – ეს კი ნიშნავს კლიენტის სილრმისეულ გაგებას, მისი მოთ-ხოვნილებების გათვალისწინებას და მის წინაშე სოციალური პასუხისმგებლობის შეგრძნებას. PR –ის, რეკლამისა და დი-რექტ-მარკეტინგის მთავარ ამოცანას წარმოადგენს პოზიტიუ-რი ურთიერთობის ფორმირება, რომელიც ხელს უწყობს მოქმე-დებას. თუ აუდიტორია უმოქმედოა, მაშინ ითვლება, რომ საკო-მუნიკაციო პროგრამამ მიზანს ვერ მიაღწია. ორგანიზაცია ვერ


მიაღწევს შედეგს, თუ მას არ ექნება პოზიტიური ურთიერთობა მიზნობრივ აუდიტორიასთან. რაც უფრო კონკურენტუნარიანია ბაზარი, მით უფრო მეტ მნიშვნელობასიძენს ეს ურთიერთობა. ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები გულისხმობენ PR-ისა და რეკლამის ჩართვას მარკეტინგის მთელი პროცესის სტადიებზე – დაგეგმვიდან დაწყებული რეალიზაციით დამთავრებული. კომუნიკაციურმა გეგმამ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს რეკლამის, PR-ისა და მარკეტინგის პასუხისმგებლობის ზონები. ყოველ მიმართულებას გააჩნია საკუთარი ამოცანები: რეკლამა საშუალებას იძლევა გაავრცელოს კონტროლირებადი ინფორმაცია, მარკეტინგული ღონისძიებები ხელს უწყობენ გაყიდვებს, PR პროდუქტს და საერთოდ ორგანიზაციის დადებითი რეპუტაციის შექმნას. „ურთიერთქმედების მარკეტინგის“ თეორიის ფარგლებში მკვლევარი გ. ლ. ბაგიევი განსაზღვრავს PR-ის ძირითად მიზანს, როგორც „ურთიერთგა-გებისა და ბიზნეს სტრუქტურის შეთანხმების მიღწევას საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, საზოგადოებრივ აზრთან ამ სტრუქტურის მოღვაწეობის სფეროში“ (Г.Л. Багиев, В.Н. Тарасевич, Х. Аинн, Маркетинг, М., 2001). ამ დებულებიდან გამომდინარე, მკვლევარები გამოყოფენ რიგ ამოცანებს, რომლის გადაჭრაც შესაძლებელია პიარ-ტექნოლოგიების საშუალებით მარკეტინგული კომუნიკაციების ფარგლებში: ფირმისათვის დადებითი საზოგადოებრივი იმიჯის ფორმირება; რადიოსა და ტელევიზიაზე დაკვირვების გზით ფირმის ბეჭდვითი შეტყობინების ზეგავლენის შეფასება საზოგადოებრივ აზრზე; ხერხებისა და მეთოდების სისტემის დამუშავება, რომელიც მიმართული იქნება ურთიერთგაგების გაუმჯობესებაზე ფირმასა და მის მრავალრიცხოვან აუდიტორიას შორის; აკრძალვების იმ ზომათა რეალიზაცია, რომელიც მიმართულია იმ ბარიერების გადალახვისკენ, რომლებიც ხელს უშლის ფირმის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას და იმ ზედმეტ დაბრკოლებებს, რომლებიც წარმოიქმნებიან ფირმისა და მისი მიზნობრივი აუდიტორიის კომუნიკაციის პროცესში (მავნე, ცრუ ინფორმაციის გავრცელება და ა.შ.) შიდა კორპორატიული კულტურის ფორმირება, რომელიც დაეყრდნობა იმ ადამიანების შეხედულებებსა და ღი-

რებულებებს, რომელთანაც მუშაობს ორგანიზაცია; სიტუაციის მუდმივი კონტროლი, რომელიც ყალიბდება ფირმის მუშაობის პროცესში თანამშრომელთა შორის და შესაბამისი ზომების მიღება მის კონტროლთან და ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით; კონფლიქტურ და კრიზისულ სიტუაციაში რეაგირების სისტემის გამომუშავება; ნიუს-რელიზების ილუსტრაცია ბაზარზე ახალი პროდუქტებისა და და მომსახურების შესახებ; საინფორმაციო საშუალებების PR -ის სპეციალური აქციების, სავაჭრო ღონისძიებების, გამოფენებისა და ბაზრობების გაშუქება; კორპორატიული პროდუქტებისა და მომსახურების წინ წაწევის სტიმულირებასთან დაკავშირებული ფორმებისა და მეთოდების გამომუშავება; კომპანიის სპეციალისტების მომზადება საზოგადოების წინაშე გამოსვლისათვის. PR-ს როგორც ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციების მნიშვნელოვანი კომპონენტს, მიზნების სისტემისა და ამოცანების გარდა, გააჩნია ფუნქციების მკაფიოდ განსაზღვრული კომპლექსი. გ.ლ. ბაგიევი გამოყოფს PR-ის შემდეგ ძირითად ფუნქციებს მარკეტინგული კომუნიკაციების სისტემაში: ინფორმაციულის, საიმიჯოს, მმართველობითს, საკომუნიკაციოს, სიცოცხლისუნარიანობის შემნარჩუნებელს. 1. ინფორმაციული ფუნქცია დაკავშირებულია ფირმის შესახებ ინფორმაციის წარდგენაზე მიზნობრივი ჯგუფებისათვის, რათა იყოს სრული ინფორმაცია დაწესებულებისა და მისი მდგომარეობის შესახებ; 2. იმიჯის ფუნქცია ნიშნავს დაწესებულების არსებული და მუდმივად განახლებადი სახის ფორმირებას საზოგადოებრივ აზროვნებაში; 3. მმართველობითი ფუნქცია – ეს არის ფირმის პოზიციების რეგულირება ბაზარზე საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით; 4. კომუნიკაციური ფუნქცია პასუხისმგებელია დაწესებულების კონტაქტებისა და ურთიერთობოქმედების ფორმირებაზე საზოგადოებრივ და ტერიტორიულ წარმონაქმნებთან(გაერთიანებებთან, რელიგიურ და პარტიულ ორგანიაციებთან, მომხმარებლებთან, სხვა ქვეყნებთან); 5. სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება გვთავაზობს ღონისძიებების ჩატარებას კონკრეტული ფირმის მოღვაწეობის სარგებლობასთან და საზოგადოებისადმი ნდობის დასაბუთების აუცილებლობასთან დაკავშირებით. მკვლევარი ი.მ. სინიაევა მარკეტინგის სფეროში PR-ის განსა-

კუთრებულობის განხილვისას ზემოთაღნიშნულ ფუნქციებს ამატებს PR-ის შემდეგ ფუნქციებს: 6. ანალიტიკულ-პროგნოზულ ფუნქციას, რომელიც გულისხმობს ინფორმაციული პოლიტიკის გამომუშავებას, მის სტრატეგიასა და ტაქტიკას, დინამიკაში მოვლენების მოძრაობის დაფიქსირებას; 7. სოციალურ-ჰუმანისტური ფუნქცია მიმართულია ნდობის ატმოსფეროს შექმნაზე, შეთანხმებაზე, ურთიერთგაგებაზე, როგორც კომპანიის შიგნით, ასევე გარე პარტნიორებთან. ორმხრივი კომუნიკაციური პროცესის წარმართვისათვის და საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მოღვაწეობის პრინციპების გამომუშავებას. ღ-მენეჯერმა ზუსტად უნდა იცოდეს, თუ როგორ იმოქმედებს იმისთვის, რომ წარმატებით გადაჭრას დასახული ამოცანები (И.М.Синяева, В.М.Маслова, В.В. Синяев, Сфера PR в маркетинге, 2007).

ა.ვ. კოჩეტკოვას აზრით, საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები წარმოადგენენ ურთიერთმოქმედების აგების სტრატეგიულ ნორმებს კომუნიკაციური პროცესების რამდენიმე მონაცილეს „შორის“ (А.В. Кочеткова, В.Н.Филиппов, Я.Л.Скворцов, А.С. Тарасов, Теория и практика связей с общественностью, 2009) საზოგადოებასთან ურთიერთობის პრინციპები სამუელ ადამსის შეხედულებით პიარის საძირკველს განსაზღვრავს. მათ შორის ძირითადია შემდეგი: ნაციონალური და ემოციონალური სიმბოლიკის, ასევე ადვილად დასამახსოვრებელი სიმბოლოების გამოყენება; მოვლენების ინტეგრაციაში ოპონენტების წინსწრება და მოქმედების დროული ორგანიზაცია, რომელიც მოახდენს ემოციურ ზეგავლენას საზოგადოებაზე; მუდმივი და უწყვეტი ზემოქმედება საზოგადოებრივ აზრზე ნებისმიერი საკომუნიკაციო არხების საშუალებით. პიარის მექანიზმის გამოყენების ერთერთ ძირითად პრინციპს საპაზრო კავშირებისას წარმოადგენს ურთიერთმოვების უზრუნველყოფის პრინციპი ფირმისა და საზოგადოების კომერციული საქმიანობის პირობებში, რომელიც დაფუძნებულია იმ ადამიანების სამართლიანობასა და პატიოსნებაზე, რომლებიც აწარმოებენ კავშირების რეალიზაციას საზოგადოებრივ ინსტიტუტებთან. მიუხედავად ამისა, ამ პრინციპების ჩამონათვალი იქნება არასრული იმ პრინციპთა გარეშე, რომელიც გაგვიზიარა და თეორი-

ულად დაგვისაბუთა ინგლისელმა სოციოლოგმა სემ ბლეკმა. პიარი არის – ინფორმაციის ღიაობა. ეს ითვლება წამყვან პრინციპად, რომელიც უზრუნველყოფს ურთიერთობობიანი და გარანტიების მქონე დამოკიდებულებების ფორმირებას საზოგადოებაში; უზრუნველყოფს ინდივიდუალურობის მიმართ პატივისცემს, ის ორიენტირებულია ადამიანზე, მის შემოქმედებით შესაძლებლობებზე (С. Блек, Паблик рилейшнз, Что это такое? M., 1990).



ასევე აუცილებელია ალინიშნოს პიარის, როგორც მეცნიერული ინსტიტურტის მოღვაწეობის მთელი რიგი პრინციპები, რომელიც შემუშავებულია ამ დარგში მოღვაწე ამერიკელი მეცნიერების დ. ნიუსომის, ა. სკოტის, ჯ. თურქის მიერ: საინფორმაციოს საშუალებების გამოყენება შეტყობინების გადაცემის

არხების სტატუსის სახით სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისადმი; ორმხრივი კომუნიკაციის განხორციელება ფირმა-სა და მის მიზნობრივ საზოგადოებას შორის ურთიერთობაგების მიღწევის მიზნით;

თანამედროვე ტურიზმის სფეროში სულ უფრო მეტად ხდება ზემოთმოყვანილი პიარის თეორიული ასპექტების გამოყენება. მაგალითად, განვითარებული ტურიზმის ქვეყნებში ნაციონალური ადმინისტრაცია თავისთავზე იღებს ნაციონალური ტურ-პროდუქტის ნინ ნაწევას, ქვეყნის ისეთი იმიჯის შექმნას, რომელიც მომხიბვლები იქნებოდა ტურისტებისათვის, ამაში აქტიურ როლს თამაშობები ქვეყნაში მოქმედი პიარ-სტრუქტურები. ტურისტული ფირმები სთავაზობენ კონკრეტულ წინდადებებს -ტურების- სასტუმროების, გასართობი და საკვები სისტემის შეთავაზებას. ქვეყნის დადებითი სახის შექმნა და ნაციონალური ტურ-პროდუქტის შეთავაზება ინვესტულების შექმნას (შვეიცარიის კლუბი, უნგრეთის კლუბი და ა.შ) მსხვილ ტურისტულ ქალაქებში, რომლებიც ითვლებიან პოტენციურ ტურისტულ ქალაქებად. საჯარო ღონისძიებების, ორგანიზებული დღესასწაულების, ხელოვნების ფესტივალის, სხვადასხვა სახის შოუსა და კონცერტის ჩატარება დიდ გავლენას ახდენს ქვეყნის მიმზიდველი სახის შექმნაზე. ამის მაგალითია ქ. მოსკოვის 850 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიებები (1997წ.). მიმზიდველი იმიჯის შექმნისათვის ფართო შესაძლებლობას წარმოადგენს ტურისტული გამოფენები და ბაზრობები, აუცილებელია გვახსოვდეს, რომ მხოლოდ მარკეტინგული კომუნიკაციის ინტეგრაციას(კომპლექსურ გამოყენებას) ძალას ხელის შეწყობა ბიზნესში საუკეთესო შედეგების მიღწევას და წარმოადგენდეს კონკურენტულ პრძოლაში გადარჩენის გარანტიას. შეიძლება გამოვყოთ „საზოგადოებსთან ურთიერთობის“ რამდენიმე ძირითადი მიმართულება და ღონისძიებათა სისტემა, რომლის მეშვეობითაც მიიღწევა პიარ-კამპანიების მიზნები. ტურისტული კომპანიებისათვის მნიშვნელოვანია ღონისძიებები, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით როგორც ცალკეული ტურისტების, ასევე ქვეყნის დადებითი იმიჯის ფორმირებაში. ამის დასადასტურებლად შეიძლება მოვიყვანოთ საქართველოსა და მისი რეგიონების, კერძოდ, ბათუმის, სტაბილურობისა

და სიმშვიდის ვითარებაში მიმდინარე აღმშენებლობისა და განაშენიანების პროცესებზე თვალის დევნება მსოფლიოს წამყვანი ტელეარხის CNN –ის რეპორტაჟების საშუალებით. CNN – ის მიერ მომზადებული ფაბლისითი ჩვენი ქვეყნის, როგორც ტურისტული რეგიონის პოზიციური იმიჯის ფორმირებას უწყობდა ხელს.

მსოფლიოს მსხვილ ტურისტულ ქალაქებში კლუბების შექმნისა და მოძრაობის მიზანს წარმოადგენს ტუროპერატორების გაერთიანება, რომლებიც მუშაობენ ერთი მიმართულებით, რათა უფრო წარმატებით წანიონ ბაზარზე საკუთარი ტუროპროდუქტი. მსგავსი ალიანსების არსებობა მომგებიანია არა მარტო ტურისტული ფირმებისათვის, არამედ საბოლოო მომხმარებლისათვისაც, რადგანაც რეკლამისა და მარკეტინგისათვის განკუთვნილი ხარჯების შემცირება ტურის ლირებულების 5-10% -ით შემცირებას. ტუროპერატორები, რომლებიც წარმოადგენ ამათუმი კლუბს, აერთიანებენ საკუთარ ძალებს სარეკლამო კომპანიებში, ხშირად ორგანიზებას უკეთებენ ბილეთების, ვიზების, კომპლექსურ ბრონირებას, ტურისტულ გამოფენებში მონაწილეობას. მაგალითად, „უნგრეთის კლუბის“ ფირმის წევრებმა პირველებმა გამოუშვეს ქვეყნის ტურისტული პოტენციალის განმსაზღვრელი ერთობლივი კატალოგი. საგულისხმოა, „მალტის კლუბის“ წევრების მიერ განხორციელებული სარეკლამო კამპანიები გაზიერი „ექსტრა-მ“, ურნალში „ტურიზმი და დასვენება“, ასევე შექმნლი იქნა დისკონტური სისტემა რუსი ტურისტებისათვის. მუდმივი კლიენტები იღებენ დისკონტურ რუსებს, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია მომსახურების შეძენა 5%-იანი ფასდაკლებით. ტურისტული ფირმის სოლიდურობის იმიჯის შექმნაზე დიდ გავლენას ახდენენ ისეთი ელემენტები, როგორიცაა, კომპანიის კორპორატიული კულტურა (ბიზნესის მართვის სტილი) და კორპორატიული სული (კოლექტივის შიგნით არსებული ატ-მოსფერო). კორპორატიული კულტურა უნდა იქმნებოდეს ბიზნეს-გეგმის ფორმირების სტადიაზე და იყოს ცნობადი და ერთიანი ფირმის ყველა დანაყოფისათვის. მაგალითად, ტურისტულ სააგენტოში „Iro Travel“ გამომუშავებულია კონკრეტული წესები, რომლებიც უნდა დაიცვას ნებისმიერი დონის ყველა თა-

ნამშრომელმა. ეს წესები გადმოცემულია სპეციალურ სამახ-სოვრო ბარათზე, როლის სახელწოდებაცაა „კომპანიის პოლი-ტიკა და წესები”. მასში ასახულია მონაცემები “Iro Travel” –ის ისტორიისა და სტრუქტურის შესახებ, ჩამოყალიბებულია კორ-პორატიული ღირებულებები, ჩამოვლილია პერსონალის მი-მართ საერთო მოთხოვნილებათ სპექტრი.კომპანიას SODIS გა-აჩნია შიდა საბუთები, რომლებიც არეგულირებენ ოფისის გან-რიგს, ტელეფონით საუბრისა და კლიენტებთან ურთიერთობის წესებს. კორპორატიული კულტურა მოიცავს შემდეგ ელემენ-ტებს: ფირმის მისის შექმნასა და დამუშავებას; ეთიკურ კო-დექსა და კორპორატიულ მეთოდოლოგიას; კრედოსა და იდეა-ლებს; ფირმის პერსონალის სტილსა და გარეგნობას; სისტემურ დიზაინს. კორპორატიული სულის შექმნელი ძირითადი ლო-ნისძიებებიდან შეიძლება გამოიყოს ისეთები, რომელიცაა: ში-და ღონისძიებების ჩატარება, იუბილებისა და კალენდარული დღესაწაულების აღნიშვნა, დასვენების დღეების ერთად გატა-რება ბუნებაში, ფირმის შიგნით ყველა შესაძლებელი კონკურ-სების ჩატარება, ბანერის გამოშვება და ა.შ. ტურისტული ბიზ-ნესისათვის კორპორატიული კულტურის ისეთი ელემენტი, რო-ოგრიცა საფირმო სტილი, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ის განსხვავებულად წარმოაჩენს კომპანიას სხვა კომპანიებისა-გან, ხოლო მისი უქონლობა მკვეთრად ამცირებს წარმატების შანსს. იაპონელ კონსულტანტებს მოჰყავთ პარაქტიკული მე-თოდები საფირმო სტილის ფორმირებასთან დაკავშირებით : სა-კანცელარიის ნივთების დამზადება; ერთიანი საქმიანი სტილის გამომუშავება; სიმბოლიკის გამოყენება; პერსონალისათვის ფორმის შექმნა; საგამოფენო დარბაზების სპეციფიკური აღ-ჭურვილობა; ფირმის სიმბოლიკით დაჯილდოვების სისტემის პრაქტიკა; კომპანიის დროშისა და ემბლემის შექმნა; საპატიო სიგელებით დაჯილდოვება და სხვა. ტურის შექმნისას ფირმაში „სოლტურ-ესტე“ კორპორატიული კულტურის ამაღლების მიზ-ნით ტურისტებისათვის განკუთვნილია „საფირმო საქალალ-დე“, რომელშიც იდება ყველა აუცილებელი საბუთი. სპეცია-ლიზირებული გამოფენებისათვის ფირმა უშვებს სუვენირებს კომპანიის ლოგოტიპებით – მაისურებს, კალმებს, სანთებე-ლებს. ტურისტებს მაიორქში ჩუქნიან იაფფასიან საიუველირო

ნაკეთობებს – მძივებს, გუსაბნევებს, რომელიც მოთავსებულია ფირმის ლოგოტიპის გამოსახულების მქონე პატარა კოლოფებში. რუსული ტურიზმის პრაქტიკაში გამოიყენება ისეთი ხერხები, რომელიცაა ტვირთისათვის განკუთვნილი სპეციალური სანიშნები და ფირმის ლოგოტიპიანი პასპორტისათვის განკუთვნილი ტყავის გადასაკრავი, ხოლო VIP კლიენტებისათვის – ტყავის საქალალდე. კომპანია „ზევს-ტრეველი“ კვიპროსში ჩასულ ტურისტებს ხვდება ყვავილებითა და პატარა კონიაკის ბოთლებით, რომლებიც ფირმის ლოგოტიპის გამოსახულებიან სუვენირების ტომარაშია მოთავსებული. ტურისტული კომპანიის „სოლტურ-ესტეს“ თანამშრომლებს აცვიათ სპეციალური სამუშაო ფორმა, რომელშიც შეხამებულიანითელი, თეთრი და ლურჯი ფერები. ამგვარი კოსტიუმებით შემოსილნი არიან სააგენტოს თანამშრომლებიც, რომლებიც ხვდებიან და აცილებენ ტურისტებს აეროპორტში, რეგისტრაციაზე. გამოფენებსა და პრეზენტაციებში მომუშავე პერსონალიც იგივე ფორმას ატარებს.

ამგვარად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის კონცეფცია მარკეტინგული კომუნიკაციის სისტემაში უნდა აგებული იყოს სხვისი აზრის, განწყობის, უპირატესობის, ინტერესებისა და მიზნობრივი აუდიტორიის ქვევის მიმართ ნდობის, ყურადღების, ურთიერთდამოკიდებულებისა და პატივისცემის საფუძველზე. წარმატებული მოლვანეობის განვითარების თვალსაზრისით დაცული უნდა იყოს ყველა ზემოთაღნიშნული პრინციპი. ტურისტული ბიზნესის განვითარება, მარკეტინგის თეორიისა და პრაქტიკის სრულყოფილება განუყრელად არის დაკავშირებული პიარის კონცეფციათან და მის პრინციპებთან, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურველ გარემო პირობებს საქმიანი აქტიურობების ფორმირებისათვის, რომლის გარეშეც ტურისტული კომპანიის მიზნები და ამოცანები შეიძლება მიულწევლი აღმოჩნდეს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დეფლორი დენისი, მასობრივი კომუნიკაციის გააზრებისათვის, საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, თბ. 2009
2. Алешина И.В. Паблик рилейшнз дня менеджеров и маркетологов. М.: Гном-пресс, 2003
3. Романов А.А., Панько А.В. Маркетинговые коммуникации. М.: Эксмо, 2006
4. Багиев Г.Л., Тарасевич В.Н., Анн Х. Маркетинг. М.: - Экономика, 2001
5. Синяева И.М., Маслова В.М., Синяев В.В. Сфера PR в маркетинге: учеб. пособие для студентов вузов. -- М.: ЮНИТИ-ДАНА, 2007
6. Кочеткова, А.В., Филиппов В.Н., Скворцов Я.Л., Тарасов А.С. Теория и практика связей с общественностью. СПб.: Питер, 2009
7. Блек С. Паблик рилейшнз. Что это такое? М.: Новости, 1990
8. Королько В. Основы паблик рилейшнз. М.,Рефл-бук;К.:Ваклер,2000
9. www.cnn.com/WORLD/

Guranda shamilishvili

The role of public relations in the marketing Strategy of tourism

Summary

Success of tourism industry, like any other business largely depends on the effectiveness of communications, that ensure the promotion of tourism products and the relationship between the provider of tourist services (tour operator) and the customers (tourists). In the current conditions it is impossible to provide work of any company without a well-established network of marketing communications. Tendency to better planning of integrated marketing communications, i.e. planning of shared

use of advertising, Public Relations, sales promotion, direct sale, and communications at points of sale and event marketing in conjunction with the other elements of the complex marketing is one of the important marketing features of recent years. Tourism is becoming a way of life of millions of people on our planet. Recently, in the tourism organizations more attention is paid to public relations as a way of building long-term, trusting and mutually beneficial relationships between an organization and its public. Public events, organized holidays, arts festivals, variety shows and concerts also has a great influence on the creation of an attractive image of the country. The most important for the tourism industry are the activities associated with the formation of a positive image as separate firms, and the country as a whole.

Гуранда Шамилишвили

**Роль связи с общественностью в маркетинговых
стратегии туристических компаний**

Резюме

Успех туристического бизнеса, как у любого другого бизнеса во многом зависит от эффективности коммуникаций, которые обеспечивают продвижение турпродукта и связь между производителем туристических услуг (туроператором) и потребителем (туристом). В современных условиях невозможно представить работу любого предприятия без хорошо налаженной сети маркетинговых коммуникаций. Тенденция к эффективному планированию интегрированных маркетинговых коммуникаций, т.е. планирование совместного использования рекламы, Public Relations, стимулирования сбыта, прямой продажи, коммуникаций в местах продажи и событийного маркетинга во взаимосвязи с другими элементами комплекса маркетинга является одной из наиболее значительных

маркетинговых особенностей последних лет. Туризм становится стилем жизни миллионов людей на нашей планете. В последнее время в туристических организациях все большее внимание уделяется связям с общественностью как способу налаживания долгосрочных, доверительных и обоюдно выгодных отношений между организацией и ее общественностью. Проведение публичных мероприятий, организованных праздников, фестивалей искусств, различных шоу и концертов также оказывает большое влияние на создание привлекательного образа страны. Наиболее значимыми для туристской индустрии являются мероприятия, связанные с формированием положительного имиджа как отдельной турфирмы, так и страны в целом.

პიზნესის ადმინისტრირება

Business Administration

Бизнес Администрирование

ია მესხიძე

პიზნესის ღირებულებაზე მოქმედი ზოგიერთი ფაქტორი

ბიზნესის ღირებულების შეფასება მიზანმიმართული პროცესია, რომლის ამოცანაა ობიექტის ფასის ფულად ფორმაში გამოხატვა იმ პოტენციური და რეალური შემოსავლების ჩათვლით, რომლებიც დროის მოცულების მომენტისთვის აქვს საწარმოს.

ბიზნესის ღირებულების შეფასებას ბაზრის სუბიექტებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს:

— მყიდველებისა და გამყიდველებისათვის — რეალური (მისაღები) ფასის დასადგენად.

— კრედიტორებისათვის — კრედიტის გაცემის თაობაზე სწორი გადაწყვეტილების მისაღებად.

— სადაზღვევო კომპანიებისათვის — მოსალოდნელი ზარალის შეფასებისათვის.

— საგადასახადო ორგანოებისათვის — უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ გარიგებასთან სწორი საგადასახადო განაკვეთების განსაზღვრისათვის.

— სახელმწიფო სტრუქტურისათვის მმართველობითი და მარეგულირებელი გადაწყვეტილებების მიღებისათვის და ა.შ.

საწარმოს ღირებულება არ არის მხოლოდ საწარმოს შექმნაზე ან შეძენაზე განეული ხარჯების ოდენობა. ის მოიცავს საბაზრო ფაქტორების ურთიერთქმედების ხარჯებსაც: დროისა და რისკის,

კონკურენტუნარიანობის, შეფასებელი ობიექტის უნიკალურობის და ა.შ.

საწარმოს ღირებულების შეფასების შედეგად ადგენენ საწარმოს გასაყიდ, რეალურ ფასს, რომელიც გამოხატავს საწარმოს, როგორც საქონლის ხასიათს, კერძოდ, სარგებლიანობას დაინტერესებული პირისათვის და სარგებლიანობის თანმხლებ ხარჯებს.

აუდიტის ორგანიზაციისა და მიდგომების შერჩევისათვის აუცილებელია შემუშავდეს გეგმა, რომლებიც განსაზღვრავენ სხვადასხვა კრიტერიუმების გამოყენების შესაძლებლობებს, დადგენის წესსა და მასშტაბებს. კერძოდ: შესასრულებელი სამუშაოს მასშტაბი, აუდიტორული მიდგომები, განსაკუთრებული ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ბიზნესის ღირებულებაზე, ამოცანის ამოხსნის მოთხოვნები ბიზნესის შეფასებისას, ფინანსური ანგარიშების გამოყენება, ბიზნესის შეფასების განსაკუთრებული შემთხვევები.

ბიზნესის შეფასება ხორციელდება საბაზრო ღირებულების საფუძველზე, ხოლო იმ შემთხვევაში თუ გამოყენებულია შეფასების სხვა საფუძველი, მაშინ უნდა აიხსნას ამგვარი ღირებულების გამოყენების მიზეზები.

აუდიტორმა და მომხმარებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ბიზნესის, როგორც სამეურნეო სუბიექტის ღირებულების განსხვავებას. კერძოდ, სამეურნეო სუბიექტის საკუთრებაში არსებული აქტივებისა და კაპიტალისა და მესაკუთრეთა წილის წილი.

ბიზნესის შეფასებისას რეალური შედეგის მისაღებად აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე გამოიყენება შესაბამისი მიდგომები.

ქონებრივი მიდგომის არსი მდგომარეობს ვალდებულებების წმინდა ჯამის გამოქვითვით აქტივებიდან წმინდა ღირებულების მისაღებად. საკუთრებითი მიდგომის რეალიზაციისას საბალანსო ანგარიში, შედგენილი პირველადი დანახარჯების ბაზაზე, იცვლება საბალანსო ანგარიშით, სადაც ყველა აქტივია, (მატერიალური და არამატერიალური) და ვალდებულება წარმოდგენილია მიმდინარე საბაზრო ღირებულებით. ქონებრივი მიდგომა არ უნდა იყოს გამოყენებული შეფასების მხოლოდ ერთადერთი მეთოდი.

თუ აუდიტი ტარდება საწარმოს ლიკვიდაციიდან გამომდინარე, მაშინ სავალდებულოა აქტივები შეფასდეს საბაზრო ღირე-

ბულებით და ამ ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს ლიკვიდაცი-ასთან დაკავშირებული ხარჯები.

უფრო მეტად გავრცელებული მეთოდი შემოსავლითი მიდ-გომის ფარგლებში არის შემოსავლების კაპიტალიზაცია და ფულა-დი ნაკადის ან დივიდენდების დისკონტირება. მოცემულ შემთხვე-ვაში მიღებული ღირებულება მოიცავს მიწას, შენობას, მანქანა-დანადგარებს, გუდვილსა და სხვა არამატერიალურ აქტივებს.

შემოსავლების კაპიტალიზაცია წინასწარ ითვალისწინებს ბიზნესის ღირებულების დადგენას, ასევე წილს ბიზნესის საკუთ-რებაში ან ფასიან ქაღალდებში.

ფულადი ნაკადების ან დივიდენდების დისკონტირება ად-გენს ბიზნესის ღირებულებას და წილს ბიზნესის საკუთრებაში ან ფასიან ქაღალდებში. სადისკონტო განაკვეთი უნდა შეესაბამებო-დეს მიღებულ ფულად ნაკადს.

კაპიტალიზაციის განაკვეთი და სადისკონტო განაკვეთი გა-ნისაზღვრება ბაზრის მონაცემებით და ვლინდება როგორც ფასის მულტიპლიკატორი ან როგორც საპროცენტო განაკვეთი (რომე-ლიც განისაზღვრება ალტერნატიული ინვესტიციების მონაცემებით). მოსალოდნელი შემოსავალი ან მოგება გამოისახება ღირებუ-ლებით ფორმაში, რომელიც ითვალისწინებს მოსალოდნელ ზრდას, მოგების მიღების დროს რისკს და ვალუტის კურსს და გამოანგა-რიშებული უნდა იქნას კაპიტალის სტრუქტურის და ბიზნესის სა-ანგარიშო პერიოდის მდგომარეობის გათვალისწინებით, ბიზნესის განვითარების პერსპექტივით, ასევე საერთო ეკონომიკური ფაქ-ტორებით.

შედარებითი მიღვომისას ხდება ბიზნესის შედარება ანა-ლოგიურ ბიზნესთან მისი

საკუთრების წილით ბიზნესში ან ფასიან ქაღალდებში, რო-მელიც გაყიდული იქნა ლია ბაზარზე. არსებობს სამი ზოგადად მი-ღებული მონაცემების წყარო, რომელიც გამოიყენება შედარებითი მიღვომისას, ეს არის ლია საფონდო ბაზრები, სადაც ხდება საკუთ-რების წილის გაყიდვა ანალოგიურ ბიზნესზე; ბაზარი, სადაც ხდე-ბა მთლიანად ბიზნესის გაყიდვა და იდება მომავალი გარიგებები ბიზნესის დასაკუთრებასთან დაკავშირებით.

შედარებითი გაყიდვების მეთოდი უფრო შრომატევადია. ის მოიცავს მსგავსი კომპანიების აქციების საკონტროლო პაკეტის სა-

ბაზრო ლირებულების ანალიზს. საბაზრო ლირებულების შეფასება ამ მეთოდით შედგება რამოდენიმე ეტაპისაგან:

1. მსგავსი საწარმოების ბოლო გაყიდვების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

2. საწარმოს გაყიდვების ფასების კორექტირება, მათ შორის განსხვავებების გათვალისწინება.

3. შესაფასებელი საწარმოს საბაზრო ლირებულების განსაზღვრა მსგავსი კომპანიის კორექტირებული ლირებულების საფუძველზე.

აღნიშნულ მოდელში განიხილავენ კომპანიებს, რომლებიც უნდა ეკუთვნოდნენ იმ დარგებს, რომელსაც ეკუთვნის შესაფასებელი საწარმო, მსგავსი სიდიდითა და საკუთრების ფორმით.

ბიზნესის შეფასების ძირითადი მეთოდების შედარებითი უპირატესობები და ნაკლოვანებები წარმოდგენილია ცხრილებში-1;2.

ბიზნესის ლირებულებაზე მოქმედი ფაქტორები ზეგავლენის ხარისხის მიხედვით შეიძლება დაიყოს განსაკუთრებულ და მნიშვნელოვან ფაქტორებად. ესენია:

- უფლებები, პრივილეგიები ან პირობები, დაკავშირებული საკუთრების წილთან, ხოლო ამ უკანასკნელის ფლობა გამოხატულია კორპორაციული ფორმით, პარტნიორობით ან ინდივიდუალური წარმოებით.

- საქართველოს კანონმდებლობაში საკუთრებითი უფლებები განიმარტება იურიდიული დოკუმენტებით. ასეთი დოკუმენტები შეიძლება მოიცავდნენ წილის გადაცემის შეზღუდვებს.

შემოსავლიანი მიღებულების ფირმის საპაზრო ლირებულების შეფასებისას

მეთოდის და- სახელება	პირობები, რომლის დრო- საც რეკომენდირებულია გამოყენება	შესაფასებელი ლირებულების სახე	ლირსება თუ უპირატესობა?
2.1. ა. წმინდა შემოსავლის კაპიტალი- ზაფირის მე- თოდი. 2.1.ბ. კაპიტა- ლიზაციის მულტიპლი- კატური მე- თოდი	შემოსავალი მიღება თა- ნამდებარებული შემოსავლია- ნი ფირმებისათვის და იმ პირობისას, რომ მულტიპ- ლიკატორის მნიშვნელო- ბა განსაზღვრულია გაყ- იდვების ობიექტების შე- დარების რეპრეზანტიუ- ლი შერჩევით	საპაზრო ლირე- ბულება; სიან- ვესტიციონ ლი- რებულება; სა- გადასახადო, სადაზღვეო, საგირავრო ლრ- ებულება.	ითვალისწინებს მომავალ შემ- ოსავალს; ანგარიშმნორების სიმარტივე; სანარმოს ლირე- ბულების განსაზღვრული კაპიტა- ლიზაციის განაკვეთის ცვლი- ლებასთან დამოკიდებული- ბით.
2.2. დივი- დენდის კა- პიტაზაცი- ის მეთოდი	კომპანიის აქციების კო- ტირება ხდება ბაზარზე; დახურული კომპანიების- ათვის გამოიყენება ლია ანალიგი-კომპანიის მო- ნაცემები	საპაზრო ლირე- ბულება და მი- სი მოდიფიკა- ცია	ითვალისწინებს მომავალ შემ- ოსავალს; სანარმოს შეფასე- ბისთვის მოსახურებელი, და- ვიდენდების შესახებ ფინანს- ური ანგარიშების გამოქვეყნე- ბა
2.3. მოჭარ- ბებული შე- მოსავლის კაპიტალი- ზაფირის მე- თოდი	ფირმებისათვის არაბატე- რიალური აქტივებით; არსებობს ვარაუდი არა- მდგრადი შემოსავლებისა მომავალში; სანარმო უმე- ტესი წილით დამოკიდებ- ულია ერთადერთ კონ- ტრაქტზე	საპაზრო ლირე- ბულება; ლირე- ბულება და გვ- ვრისათვის.	გამოსახავს მომავალს შემო- სავალს შეფასებული ლირებუ- ლებით; იძლევა არაბატერი- ალური აქტივების განსაზ- ღვრის შესაძლებლობას; შეიძ- ლება გამოყენებული იქნას არამდგრადი შემოსავლისას მომავალში.
2.4. ფულადი ნაკადის დასკონტი- რების მეთო- დი	ნებისმიერი ფირმებისათ- ვის	საპაზრო ლირე- ბულება და მი- სი მოდიფიკაცი- ია (კერძოდ, სა- ინვესტიციო ლირებულება)	შესაძლებლობას იძლევა უფ- რო რეალურად შეფასებეს სან- არმოს მომავალი პოტენცია- ლი, უნივერსალური მეთოდის; განიხილავს კონკრეტულ პე- რიოდს და შემოსავლის ცვლი- ლების დინამიკას; განიხილ- ავს მესაკუთრისა და კრედიტ- ორის ინტერესებს; შესაძლე- ბლობას იძლევა განხორცი- ელდეს სანარმოს რეკონსტრ- უქციის გარიანტული ანგა- რიშება.

ცხრილი #2

შედარებითი გაყიდვების მიღღომა საწარმოს საპაზრო ლირებულების შეფასებისას

მეთოდის და- სახელება	პირობები, რო- მის დროსაც რეკომენდირე- ბულია გამოყ- ენდება	შესაფა- სები ღი- რებულე- ბის სახე	ლირსება თუ უპირა- ტესობა?	აკლვანება	სფე- როები
3.1 „ოქროს კვეთის წესი (დარგობრი- ვი კოეფიცი- ენტების მე- თოდი)	არსებობს დარ- გების მიხედ- ვით საჭირო მონაცემები; რეკომენდირე- ბულია დამხმა- რე მეთოდის სახით	საბაზრო ლირებუ- ლება	იძლევა რეალურ სა- ბაზრიდან მიღებული ანალიზიური ფირმების ინფორმაციიდან გამომდინარე; შესა- ძლებლობას იძლევა პრევენცულად მომ- ზადებს მეთოდის რე- ალიზაციის შესახებ ინფორმაციული ბა- ზა; მათემატიკური სტატისტიკისა და კო- მპიუტერული მოდე- ლირების აპარატის მ- ოზიდვის შესაძლებ- ლობა	იძლევა ცრუ შ- ედებს კომპანი- ის განსტრუ- ლა სტრატეგიი- სას.	ყიდვა- გაყიდ- ვა
3.2 გაყიდვე- ბის შედარე- ბის მეთოდი	არსებობს ინ- ფორმაცია და- რგის მიხედვით; აუცილებე- ლია რეპრეზენ- ტაციული ამო- რჩევა გაყიდუ- ლი ანალოგიუ- რი სანარმოე- ბიდან	საბაზრო ლირებუ- ლება	იხ. მეთოდი 3.1.	ძალიან შრომა- თვადას; შეუძ- ლებელია გამო- ყენება, თუ არ არის ცნობილი ინფორმაცია ანალოგიური მის ყიდვა-გა- ყიდვის ხელ- შეკრულებების შესახებ ან არ არის განვითა- რებული საწა- რმოს ყიდვა-გა- ყიდვის ბაზირი	ყიდვა- გაყიდ- ვა
3.3. მულტი- პლიკატორ- ბის მეთოდი	სხვა მეთოდებ- ით მიღებული შედეგების გა- დასრულებისათ- ვის	საბაზრო ლირებუ- ლება	კარგი შედეგი მსხვი- ლი აქციონერული სა- ზოგადოების შეფასე- ბისას	სადაც მომენ- ტიშედეგების უტყუარობა დაწყებული კომპანიების შეზარებისთვის	ყიდვა- გაყიდ- ვა

- რადგან ლირებულება განისაზღვრება წარსული საკუთრებიდან მოგების მიღების შესაძლებლობებით, ისტორია წარმოადგინება.

გენს ფასეულობას, რადგან მან შეიძლება მოგვცეს ორიენტირი ბიზნესის მომავლის შესახებ.

- ეკონომიკური პერსპექტივები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინოს განსახილველ ბიზნესზე, მათ შორის პოლიტიკური პერსპექტივები და სახელმწიფო პოლიტიკა.

- კონკრეტული დარგების მდგომარეობა და პერსპექტივები, რომლებმაც შეიძლება ზეგავლენა მოახდინონ ბიზნესზე. აღნიშნული ბიზნესის აქტივები, ვალდებულებები, საკუთარი კაპიტალი და ფინანსური მდგომარეობა.

- მოგებისა და დივიდენდების არსებობა //არარსებობა.
- არამატერიალური აქტივების არსებობა //არარსებობა.

- წარსული წილები განსახილველი წილებით ბიზნესში, რომლებიც წარმოადგენენ შეფასების საგანს.

- ღიად გაყიდვადი აქტივებისა და პარტნიორების წილის საბაზრო ფასი ან ფასი, მიღებული წილით ბიზნესში.

- ბიზნესში წილის შეფარდებითი ზომა, რომლებიც განკუთვნილია შეფასებისთვის.

- სხვა საბაზრო მონაცემები, როგორც შემოსავლის განაკვეთი ინვესტიციების ალტერნატიული ვარიანტების მიხედვით, უპირატესობა კონტროლიდან ან ზარალი არასაკმარისი ლიკვიდურობის გამო და სხვა.

- ყველა სხვა ინფორმაცია, რომელსაც კავშირი აქვს ბიზნესის შეფასებასთან.

ბიზნესის შეფასება, მიუხედავად შეფასების მიზნებისა, ეყრდნობა რიგ ცვლილებებს. მათი აუცილებლობა შეიძლება იყოს განსხვავებული კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, მაგრამ ბევრ შემთხვევაში ლირებულების დასკვნაზე გავლენას ახდენს ისეთი შიდა ცვლილებები, როგორიცაა:

ა) შესაფასებელი წილის სიდიდე (მაჟორიტარული ან მინორიტარული).

ბ) ხმის მიცემის უფლება;

გ) კომპანიის ლიკვიდურობა.

დ) საკუთრების უფლების შემზღვდავი მდგომარეობა;

ე) სპეციალური პრივილეგიები;

ვ) შესაფასებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობა და
სხვა.

უნდა გავითვალისწინოთ, რომ ყველა ცალკეული აქციონერული პაკეტის ღირებულების ჯამი შეიძლება განსხვავდებოდეს მთლიანად საწარმოს ღირებულებისგან. ხშირ შემთხვევაში ცალკეული პაკეტების ღირებულების ჯამი ნაკლებია მთლიანად პიზნესის ღირებულებაზე, თუ ის შეძენილი იქნებოდა ერთი მყიდველის მიერ. კომპანიას, როგორც ერთიანად შესაფასებელს, გააჩინია სხვა ღირებულება, რადგან უკანასკნელი დაკავშირებულია სხვა უფლებებთან და ინტერესებთან, ვიდრე მთლიანად ინტერესების ჯამი, აღებული მინორიტულ საფუძველზე.

შიდა ცვლილებას წარმოადგენს შესაფასებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობა. ეს უფრო მნიშვნელოვანი ხარისხიანი მაჩვენებელია საწარმოს (ბიზნესის) მდგომარეობისა, რადგან ნათელია, რომ ზარალიან პიზნესს, მყოფს გაკოტრების პირას, არ შეიძლება ჰქონდეს გადახდისუნარი და მომგებიანი პიზნესის მსგავსი ღირებულება.

ფინანსური აღრიცხვის მდგომარეობის მიზნებისათვის საწარმოს შეფასების განხორციელებისას გამოიყენება ისეთი რაოდენობრივი მაჩვენებელი, როგორიცაა საბრუნავი კაპიტალის ზედმეტობა (დეფიციტი). ის იანგარიშება საჭირო საბრუნავი კაპიტალისა და არსებული საბრუნავი საშუალებების შეპირისპირების მეთოდით.

თუ საწარმოს ფინანსური მდგომარეობის განხორციელებული ანალიზი გამოავლენს საბრუნავი კაპიტალის ზედმეტობის არსებობას, მაშინ სავალდებულოა იგი საწარმოს ფასს დაგამატოთ, რადგან ის სიდიდე გამოხატავს არსებულ არამოთხოვნად მაღალ-ლიკვიდურ აქტივებს.

საბრუნავი კაპიტალის დეფიციტის გამოვლენისას, საჭიროა მისი გამოქვითვა საწარმოს მიღებული ფასიდან, რადგან ამ სიდიდეს წარმოადგენს თავის მხრივ ფულადი საშუალებები, რომლებიც უნდა დააბანდოს მფლობელმა (ინვესტორმა) საწარმოში მომავალში მისი შეუფერხებელი ფუნქციონირებისათვის.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან ცვლილებას, რომელიც გავლენას ახდენს პიზნესის ღირებულებაზე, წარმოადგენს კონტროლის დონე. კონტროლის ღირებულება დამოკიდებულია შესაძლებლობაზე

განხორციელდეს ნებისმიერი უფლება ან უფლებების მთელი რიგი, დაკავშირებული საწარმოს კონტროლთან. კონტროლის ზეგავლენის შეფასებისას უნდა განისაზღვროს სხვადასხვა ელემენტების არსებობა ან არარსებობა კონკრეტულ სიტუაციაში და ყურადღება მიექცეს თითოეული ელემენტის ზეგავლენას კონტროლის ღირებულებაზე.

პრაქტიკაში არსებობს ბიზნესის საკონტროლო პაკეტის ღირებულების განსაზღვრის სამი მიდგომა:

1. მთლიანად საწარმოს პროპორციული ნაწილის ღირებულებას გამოკლებული შესაბამისი ფასდაკლებები;
2. სხვა არასაკონტროლო პაკეტების გაყიდვის პირდაპირი შედარება;

3. მიდგომა „ქვემოდან ზევით“. დაწყებული ნულოვანი ნიშნით თანდათან ჯამდება არასაკონტროლო პაკეტის ყველა არსებული ელემენტი.

ლიკვიდურობა ამაღლებს ბიზნესის ღირებულებას და პირიქით ლიკვიდურობის არარსებობა ამცირებს მის ღირებულებას. სხვა სიტყვებით, ბაზარი იხდის პრემიას ლიკვიდურობისთვის და ამცირებს ფასს მისი არარსებობის შემთხვევაში.

ვინაიდან დახურული კომპანიების პაკეტები არ მიმოიქცევა ღია კომპანიების მაღალ ლიკვიდურ ბაზარზე, ამიტომ წილი დახურულ კომპანიებში ღირს ნაკლები, ვიდრე ღია კომპანიების ანალოგიური მოცულობის პაკეტი. სხვადასხვა პაკეტის ლიკვიდურობაზე მოქმედებს მრავალი ფაქტორი. მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს ასევე წილის სიდიდეს. რიგ შემთხვევებში უფრო მარტივია გაიყიდოს მცირე წილი, სხვა შემთხვევებში - პირიქით. დროის განმავლობაში ლიკვიდურობის ფაქტორის მნიშვნელობა ბიზნესის შეფასებაში იძენს უფრო დიდ აღიარებას. მრავალი რეკომენდაცია და ფაქტი ადასტურებს, რომ უსარგებლობა გაყიდვებთან ამცირებს აქციის (წილის) ღირებულებას დახურულ კომპანიებში ღია კომპანიებთან შედარებით 35 – 50%-ით.

„შეფასების მეთოდების გონივრული განხილვა შეუძლებელია რომელიმე ზოგადად შიღებულ განსაზღვრებასთან მიბმის გარეშე“.

დავუშვათ, რომ შეფასების გამომზვევი მიზეზი ჩვენთვის ცნობილია და დგება საკითხი ღირებულების საწყისი სახის არჩევი-

სა. რომ გავარკვიოთ ეს პროცედურა გავიხსენოთ, რომ ბაზარი იხდის მხოლოდ იმ აქტივებში, რომლებსაც მისთვის მოაქვთ შემოსავალი. ბიზნესის ღირებულების ადეკვატური სტანდარტის არჩევისათვის ძირითადი ნიშანი არის შემოსავლის ფორმირების წყარო. გამოიყოფა შემოსავლების ფორმირების ორი წყარო:

1. სანარმოს საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი.
2. სანარმოს აქტივების გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი.

აქედან გამომდინარე, გამოიყოფა ღირებულების ორი სახე:

- მოქმედი სანარმოს ღირებულება – ეს ღირებულება, რომელიც გამოხატავს შემოსავლის პირველ წყაროს, ვარაუდობს, რომ სანარმო აგრძელებს მოქმედებას და მოაქვს მოგება.

- სანარმოს ღირებულება აქტივების მიხედვით - ეს ღირებულება, რომელიც გამოხატავს შემოსავლის მეორე წყაროს, ვარაუდობს, რომ სანარმო იქნება ლიკვიდირებული, ე.ი. სანარმო ფასდება ელემენტების მიხედვით.

ქვემოთ მოცემულია შემოსავლების ფორმირების წყაროების გამომხატველი უფრო ხშირად გამოყენებადი ღირებულების სახეები (სტანდარტები)

პრაქტიკაში არც ერთი ჩამოთვლილი მეთოდი და მიდგომა არ არის ურთიერთ გამომრიცხავი, არამედ ავსებს ერთმანეთს. რა თქმა უნდა, უცნაური იქნებოდა ყველა შესაძლო მეთოდის გამოყენება ერთი ობიექტის შეფასებისთვის. ჩვეულებრივ ბიზნესის შეფასებისას შეფასების მიზნიდან გამომდინარე, საწყისი ღირებულებისა, დადგენილი პირობების, თვით ობიექტის მდგომარეობით და ეკონომიკური გარემოს მდგომარეობისას გამოიყენებენ ორისამი მეთოდის ნაერთს, უფრო შესაბამისს მოცემული სიტუაციისას.

ცხრილი #3

მოქმედი საწარმო	ელემენტების მიხედვით შეფასება
<p>დასაბუთებული საპაზრო ღირებულება. ღირებულების აღნიშნული სახე გამო- ხატავს ორივე მიდგომას და შეესპამება ორივე მიდგომიდან მიღებულილორე- ბულების ბაქსიმუმს</p>	
<p>საინვესტიციო ღირებულება. ეს არის საწარმოს დასაბუთებული ღირებულე- ბა კონკრეტული ან სავარაუდო მფლო- ბელისათვის. ითვალისწინებს მოგებას ზრდას ნოუ ჰაუს გამოყენებიდან, რე- ორგანიზაციის გეგმას და სხვა. სავა- რაუდო მფლობელს.</p>	<p>სალიკვიდაციო ღირებულება. ეს არის საწარმოს აქტივების გაყიდვის დასა- ბუთებული ღირებულება ვალდებუ- ლებებისა და შესყიდვების ხარჯების საერთო ჯამის გამოკლებით.</p>

ბიზნესის შეფასების განხორციელებისათვის საჭირო მეთო-
დების შერჩევის პროცესში აუცილებელია უპირატესობებისა და
ნაკლოვანებების წარმოდგენა, რომელიც გააჩნია თითოეულ მიდ-
გომასა და მეთოდს.

საჭირო მეთოდების საბოლოო შერჩევა ხორციელდება ჯან-
სალი გონებით. მაგალითად, თუ შეფასების მიზანია - სალიკვიდა-
ციონ ღირებულების განსაზღვრა, მაშინ შემოსავლიანი მეთოდისა
და ანალოგი კომპანიების მეთოდების გამოყენებას არ აქვს აზრი.

მიუხედავად იმისა, გამოითვალეს თუ არა ბიზნესის ღირებუ-
ლება იმ მეთოდებით, რომლებიც დაფუძნებულია მომავალ პროგ-
ნოზებზე, ის ეყრდნობა რიგ ცვლილებებს. მათი მნიშვნელობა შე-
იძლება იყოს განსხვავებული კონკრეტული სიტუაციიდან გამომ-
დინარე, მაგრამ ღირებულების საბოლოო შედეგზე

		შიდგომა		
		საბაზრო	შემოსავლიანი	აქტივების დაგროვება
უპირატესობა	1	სრულიად საბაზრო მეთოდი	1 ერთადერთი მეთოდი, რომელიც ითვალისწინებს მომავალ მოლოდინებს	1 ეფუძნება რეალურად არსებულ აქტივებს
	2	გამოხატავს შესყიდვის არსებულ რეალურ პრაქტიკას	2 ითვალისწინებს საბაზრო ასპექტს (საბაზრო დისკონტს)	2 განსაკუთრებით გამოსაღევა ზოგიერთი სახის კომპანიების მიზანი
	3		3 ითვალისწინებს ეკონომიკურ მოძველებას	
ნაკლოვანებანი	1	დაფუძნებულია ნარსულზე, არ არსებობს მომავალი მოლოდინის გათვალისწინება	1 შრომატევადი პროგნოზი	1 ხშირად არ ითვალისწინებს (HMA) და გორებულებას
	2	საჭიროა მთელი რიგი შესანორებები	2 ნანილობრივ ატარებს ალბათობის მახასიათებელს	2 სტატიკური, არ ითვალისწინებს მომავალ მოლოდინს
	3	რთულად მისაწვდომი მონაცემები		3 არ განიხილავს მოგების დონეს

გავლენას ახდენს ისეთი შიდა ცვლილებები, რომლებიც მოითხოვენ კორექტირებას, როგორიცაა:

- ბიზნესის შესაფასებელი წილის სიდიდე (საკონტროლო ან მონიტორული).

- ხმის მიცემის უფლების არსებობა.
- ბიზნესის ან მისი წილის ლიკვიდურობა.
- საკუთრების უფლებების შემზღვუდელი მდგომარეობა.
- შესაფასებელი ობიექტის ფინანსური მდგომარეობა და სხვა.

კორექტირების უმეტესობა ხორციელდება საექსპერტო მე-
თოდების საფუძველზე. განსაკუთრებული ადგილი შეფასების
ობიექტებს შორის უჭირავს ბიზნესს (საწარმო, ორგანიზაცია, კომ-
პანია). ბიზნესის შეფასებისას ობიექტად გამოდის საქმიანობა მი-
მართული მოგების მიღებისაკენ, რომელიც ხორციელდება საწარ-
მოს საკუთრებითი კომპლექსის ფუნქციონირების საფუძველზე.

საწარმო, ორგანიზაცია წარმოადგენს სამოქალაქო უფლე-
ბების ობიექტს, ერთვება სამეურნეო ბრუნვაში, მონაწილეობს სა-
მეურნეო ოპერაციებში. შედეგად ჩნდება მისი ღირებულების შე-
ფასების მოთხოვნა.

საწარმოს ქონებრივ კომპლექსში შედის ყველა სახის ქონე-
ბა, მისი მიზნების რეალიზაციისათვის განკუთვნილი, სამეურნეო
საქმიანობის განხორციელებისათვის, მოგების მიღებისათვის. მათ
შორის უძრავი ქონება (მინის ნაკვეთები, შენობები, ხელსაწყოები),
მანქანები, დანადგარები, სატრანსპორტო საშუალებები, ინვენტა-
რი, პროდუქცია, ასევე ფასინი ქაღალდები, არამატერიალური აქ-
ტივები და ინტელექტუალური საკუთრების ობიექტები, მათ შორის
საფირმო სახელწოდება, პატენტები, ლიცენზიები, ნოუ-ჰიუ, სა-
ვაჭრო ნიშნები.

ამიტომ ბიზნესის შეფასებისას შემფასებელი აფასებს
მთლიანად საწარმოს, განსაზღვრავს როგორც მის საკუთარ კაპი-
ტალს, ასევე ქონებრივი კომპლექსის ცალკეულ ნაწილებსაც (აქ-
ტივებს და ვალდებულებებს).

საწარმოს, როგორც შეფასების ობიექტს, უნდა ჰქონდეს
მკაფრად განსაზღვრული საზღვრები, შესაფასებელი ბიზნესი მოი-
ცავს სხვადასხვა შემადგენერაციების საწილებს. საწარმოს სტრუქტურაში
შეიძლება შედიოდეს ნაკვეთები, მომსახურე მეურნეობები, სპეცი-
ალური ქვეგანაყოფები, კომუნიკაციის საშუალებები, რომლებიც
შეიძლება განთავსებული იყოს სხვადასხვა ადგილას და სხვადას-
ხვა რეგიონშიც კი.

საწარმოს არსებობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ორგა-
ნიზაციულ-სამართლებრივ ფორმას. შეფასების ობიექტი შეიძლე-
ბა იყოს ჰილდინგი, გაერთიანებები, საფინანსო ჯგუფები. ამ შემ-
თხვევაში ერთი ბიზნესის ჩარჩოში ერთიანდება რამდენიმე შვილო-
ბილი კომპანია, განყოფილება და ფილიალი.

სწორი შეფასებისთვის სავალდებულოა გავაკონტროლოთ ფულადი ნაკადების ფორმირების პროცესი და მათი მოძრაობის მიმართულება, ასევე თითოეული ქვედანაყოფის როლი და უფლება.

ასევე საჭიროა გაირკვეს, შედის თუ არა სოციალურ-კულტურული სფეროები შეფასების ობიექტში, არსებობს თუ არა საერთო საზოგადოებრივი მნიშვნელობის ობიექტები.

ბიზნესის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ საწარმო გარდა იურიდიული პირისა, წარმოადგენს სამეურნეო სუბიექტსაც, ამიტომ მისი ღირებულება უნდა ითვალისწინებდეს განსაზღვრულ იურიდიულ ჩესებსაც.

ეს არის ბიზნესის, როგორც შეფასების ობიექტის, ერთ-ერთ ძირითადი თავისებურება. სხვა განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ ბიზნესის შეფასებისას შემფასებელმა უნდა განსაზღვროს როგორც ქონებრივი კომპლექსის ღირებულება, ასევე შემოსავლის მიღების პროცესის ეფექტურობა და ღირებულების ზრდის შესაძლებლობა შესაფასებელი ბიზნესის ჩარჩოებში.

Ia Meskhidze

Some factors affecting business costs

Resume

The article analyses the basics for business evaluation, the essence of a business cost and factors affecting it. According to the level of effect special and important factors have been separated.

While defining costs a concrete method of evaluation is used that mostly coincides with the goals of evaluation, natural conditions and tasks.

It is defined that the cost received after evaluation undergoes different corrections considering different factors and without this it is impossible to define the target level of the cost.

Ия Месхидзе

Некоторые факторы, влияющие на стоимость бизнеса

Резюме

В статье «Некоторые факторы, влияющие на стоимость бизнеса» рассмотрены основа оценки бизнеса, сущность стоимости бизнеса и действующие на стоимость факторы. По влиянию на стоимость выделяют особенные и важные факторы.

При определении стоимости использованы те конкретные методы оценки, которые больше всего соответствуют целям и условиям среды.

Установлено, что полученная по итогам оценки стоимость, испытывает корректирование, учитывая различные факторы. Без этого невозможно определение объема целевой стоимости.

ჟურნალისტიკა

Journalism

Журналистика

ნესტან მამუჭაძე

რეგიონალური მედია

ცენტრალური გაზეთებისა და ტელევიზიებისაგან განსხვავებით, რეგიონალურ პრესასა და ტელევიზიას აწყობილი მარკეტინგისა და რეკლამის პირობებშიც კი არ შეუძლია მხოლოდ გაყიდვის იმედად იყოს და მეტნილად, დონორთა მხარდაჭერა დამოკიდებული. ბეჭდური მედიის მომხმარებელთა მცირე რაოდენობა რეგიონალურ გაზეთებს შესაძლებლობას არ აძლევს შემოსული თანხები საკუთარი ინსტიტუციური განვითარებისათვის გამოიყენოს. რამდენადაც დონორთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა დახმარების მასშტაბი რეგიონალური მედიისათვის შედარებით შემცირდა, ეს მიმართულება იმ თავისუფალ ნიშად იკვეთება, სადაც „მედიის მხარდაჭერის პროგრამამ“ მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს.

რეგიონალური მედიის უმნიშვნელოვანესი პრობლემაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება და პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება; მედიის, როგორც ბიზნესის ახლებური მიდგომის წახალისება; დისტრიბუციის ინოვაციური გეგმების, ორიგინალური სარეკლამო კამპანიების, გაყიდვების გაუმჯობესების სტრატეგიის მხარდაჭერა; რეგიონალური მედიის ტრენინგი მენეჯმენტსა და მარკეტინგში, ინდივიდუალური კონსულტაციები მოწვეული და ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით; რეგიონალური მედიის ქსელური განვითარების

წახალისება სხვა დონორებთან თანამშრომლობით; პროფესიული გაერთიანებების მხარადაჭერა რესურსების განაწილების, ინფორმაციის გაცვლისა და ერთობლივი პროექტების განხორციელების მიზნით.

მედიის განვითარების ზოგად სირთულეებზე ნათლად მეტყველებს ხარისხიანი მედია-პროდუქტების იშვიათობაც. საზოგადოება მოითხოვს მაღალპროფესიულ სატელევიზიო თუ რადიო დებატებს, თოქ-შოუებს, ჟურნალისტური გამოძიების მასალებს. ცოტაა მაღალხარისხიანი ანალიტიკური ჟურნალისტიკის მაგალითებიც.

პრობლემა: „ჟურნალისტური გამოძიებების, თოქ-შოუების, დოკუმენტური, ანალიტიკური თუ სადისკუსიო პროგრამებისა და სხვა მედია-პროდუქციის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა;

საგამოძიებო და ანალიტიკური ჟურნალისტიკის პოპულარიზაცია რეგიონალური მედიის მეშვეობით და ინტერნეტ-გავრცელების გზით. საგამოძიებო ჟურნალისტიკის ხვედრითი წლის გაზრდა არა მხოლოდ ტელესივრცეში, არამედ ბეჭდურ მედიაშიც;

პირდაპირი თოქ-შოუებისა და დებატების, ადგილობრივ თემებზე ორიენტირებული პროგრამების მხარდაჭერა დამოუკიდებელ ტელე და რადიოარხებზე როგორც თბილისში, ისე რეგიონებში;

თემატური ტრენინგი ჟურნალისტებისთვის ბიზნესის, საერთაშორისო ურთიერთობების თუ სხვა სფეროების გაშუქების კუთხით;

აკადემიურ წრეებთან მედიის თანამშრომლობის გააქტიურება. ჟურნალისტიკის სტუდენტებისა და პროფესიონალი ჟურნალისტების ერთობლივი ტრენინგი. აკადემიური დაწესებულებების პროფესიული რესურსის ჩართვა და სხვადასხვა სახის საკონსულტაციო თუ სასწავლო აქტივობებში მედიისათვის“ “(2008 წლის კრიზისი საქართველოში წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივები 2008:56).

...და მაინც, რა არის თანამედროვე რეგიონალური მედიის აქტუალური პრობლემატიკა?

უურნალისტი ია ანთაძე 2009 წლის დასაწყისში რეგიონალური მედიის პრობლემატიკას ასე აყალიბებდა (www.tavisufleba.org.ge. 18. 01. 2009): „2009 წლის დასაწყისი რთული აღმოჩნდა რეგიონალური გაზეთებისათვის. ფინანსური კრიზისიდან გამომდინარე, რამდენიმე გაზეთი ამ წელს ჯერ კიდევ არ გამოსულა და ისინიც, რომლებიც გამოდიან, სამკვდრო-სასიცოცხლო საფრთხის პირისპირ დგანან. ჯერჯერობით არ გამოდის და ფინანსურ კრიზისთან ბრძოლის სტრატეგიას ამუშავებს რამდენიმე წამყვანი მედიასაშუალება: გაზეთი „ბათუმელები“, ქუთაისური „ახალი გაზეთი“, „ახალციხის ორენოვანი ქართულ-სომხური გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, ფოთის „რეზიუმე“, გორის „ქართლის ხმა“. მიმდინარე მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ რამდენადაც მაღალია რეგიონალური პრესის პროფესიული ხარისხი, თითქმის იმდენადვე დაბალია მისი მდგრადობის ხარისხი.

და მაინც, რეგიონალური მედია დღევანდელ მდგომარეობაში იძლევა საშუალებას, ვიცოდეთ რა ხდება საქართველოში. ყველაზე ხმაურიანი ამბავი გურჯაანში მოხდა: პოლიციის უფროსი სოსო მარტაშვილი ორი დღის განმავლობაში – სავარაუდოდ, ნასმარ მდგომარეობაში, უურნალისტებს უშვერი სიტყვებით ლანძღავდა და ნარკოტიკების ჩადებით ემუქრებოდა. ეს ფაქტი გააშუქეს გურჯაანის ტელეკომპანიამ, რადიო „ჰერეთმა“ და კახეთის საინფორმაციო ცენტრმა. გავრცელდა აუდიოჩანაწერი, სადაც მატაშვილი პირდაპირი ტექსტით აგინებს უურნალისტებს. ჩვენი კოლეგების საჯარო კომენტარების თანახმად, მრავალწლიანი საქმიანობის მანძილზე, მსგავსი შეურაცხყოფა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას მათთვის არავის მიუყენებია. ამ ფაქტის გახმაურების შემდეგ, კახეთის გუბერნატორის მოადგილემ, გიორგი სიბაშვილმა, რადიო „ჰერეთს“ განუცხადა: „ეს ამბავი მედიის საშუალებით გავიგე. თუ ფაქტი მართალია, ვწუხვარ, მაგრამ ზოგადად, საკითხი გადასამოწმებელია“. ვიდრე გადამოწმება ჭიანურდება, კახეთში მომუშავე უურნალისტები ამბობენ, რომ მათ პოლიციისა და კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლები უთვალთვალებენ და რომ მათზე ტერორი გრძელდება. გურჯა-

ანის პოლიციის უფროსი კი პოსტს დღემდე ინარჩუნებს.

ამასობაში, მედია იტყვობინება, რომ გურჯაანის საკრებულოში ერთი ახალი ფრაქცია შეიქმნა, ქობულეთის საკრებულოში კი – ორი. სავარაუდოდ, ახალ ფრაქციებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქის საკრებულოებში ნინო ბურჯაანაძის მომხრეები ქმნიან, რომლებიც მშართველი პარტიის რიგებს ტოვებენ.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი და გაზეთი „ჩემი ხარგაული“ იუწყებიან, რომ 2009 წლიდან ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების ხელფასები იზრდება. ამ ცვლილებების საფუძვლად, საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 30 დეკემბრის ბრძანება დევს. დოკუმენტის მიხედვით, საკრებულოს თავმჯდომარის ყოველთვიური ხელფასის ზედა ზღვარი 2360 ლარი იქნება, უმცროსი საჯარო თანამდებობის პირების ხელფასის ქვედა ზღვარი კი – 400 ლარს მიაღწევს. შესაბამისად, ხარაგაულის 2009 წლის ბიუჯეტში სახელმწიფო მომსახურების ხარჯი მთლიანი ბიუჯეტის 43%-ია და ყველა ცალკე აღებულ ხარჯს რამდენჯერმე აღემატება.

ხელისუფლების ყოფილ წევრს, საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს ეხება ფოთის გაზეთის „თავისუფალი სიტყვის“, სარედაქციო სტატია. დავით შურლაია ორ თვეზე მეტია, დაკავებულია ნარკოტიკების შენახვა-მოხმარებისა და თანამდებობის ბოროტად გამოყენების ბრალდებით. მეორე ბრალდება მისი მკურნალობისთვის გადარიცხულ 907 ლარს უკავშირდება ბიუჯეტის იმ მუხლიდან, რომელიც სოციალურად დაუცველი ადამიანებისთვის იყო განკუთვნილი. სტატიის ავტორის აზრით, ამ თანხის გაცემის გამო, შესაძლოა პრობლემა ფოთის მერსაც შეექმნას და შურლაიამ მასთან დაპირისპირებული ვანო საღინაძეც თან შეიყოლოს საპყორდილები.

მიმოხილვის ბოლოს, ისევ ვუბრუნდებით იმ ფაქტს, რომ ხუთი რეგიონალური გაზეთის გამოცემა ერთდროულად შეჩერდა. იქნება, ამ გაზეთის პრობლემებით, რადიო „თავისუფლების“ გარდა, სხვა მედიასაშუალებებიც დაინტერესდნენ“.

გადავამოწმეთ და დავრწმუნდით, რომ ზემოთხსენებული პერიოდული გამოცემები გამოსვლას დღესაც განაგრძობენ,

მაგრამ უამრავი პრობლემა რომ კვლავაც მოუგვარებელი რჩება, ესეც ცხადი გახდა. რეგიონალურ არხთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ პროფესიონალურ კადრთა სიმწირესთან ერთად, მათი უმნიშვნელოვანესი პრობლემა მატერიალურ-ტექნიკური ბაზაა. მათივე ხელმძღვანელობის თქმით (ისევ მათივე თხოვნიდან გამომდინარე, სახელისა და გვარის დასახელებისაგან თავს შევიკავებთ, რადგან კვლავაც დაპირებულ დონორებს ელოდებიან), ჟურნალისტის მიერ მომზადებულ რეპორტაჟს ხარისხს ხშირ შემთხვევაში, სწორედაც, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმართავობა უკარგავს. საუბრობენ იმაზეც, რომ იქედან გამომდინარე, რომ ესა თუ ის რეგიონი პატარაა, უჭირთ სხვადასხვა პროფესიული სტანდარტის დაცვაც (არ ვეხებით ერთ კონკრეტულ რეგიონს).

დაგვერნმუნებით, ამგვარ ვითარებაში მუშაობა რთულია, მაგრამ თუკი ქართულ მედიას ჯერ კიდევ შერჩენია ძალა რომ აღმავლობის გზით იაროს, თუკი დემოკრატიზმის ბერკეტები ჩვენში მყარადაა, ასეთ შემთხვევაში, აღნიშნულ პრობლემასაც ეშველება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 2008 წლის კრიზისი საქართველოში წინაპირობა, რეალობა, პერსპექტივები, 2008 წ. დამოუკიდებელ ექსპერტთა კლუბი 2009 წ.
2. მედიის თვითრეგულირების ქრესტომათია, 2004 წ. შემდგენელი რედაქტორი თამარ კინწურაშვილი, გამომცემლობა თავისუფლების ინსტიტუტი
3. www.tavisufleba.Org.ge
4. www.media.ge
5. www.presa.ge
6. www.diaspora.ge

Nestan Mamuchadze

Regional media

Summary

Few consumers of printed media does not allow to use the regional newspapers moneys income for their own institutional development. On the overall the difficulties of the development of media clearly indicates uncommon low level quality of media-product. Commercial media-organizations are often dependent on donor support. Therefore, the quality of the media-product is often mediated by the lack of the necessary technical base.

Нестан Мамучадзе

Региональная медиа

Резюме

Малое число потребителей печатной медиа не позволяет региональным газетам использовать поступившиеся денежные средства для собственного институционального развития. Об общих трудностях развития медиа ясно указывает редкость качественного медиа - продукта. Комерческие медиа - средства часто зависят от поддержки доноров. Поэтому качество медиа - продукта часто опосредовано отсутствием необходимой технической базы.

**შრომების კრებული
Сборник трудов
PROCEEDINGS**

სოციალურ მეცნიერებათა საკითხები

**Вопросы социальных наук
Problems of Social Sciences**

IV

რედაქტორი:

ირაკლი მანველიძე

**გამომცემობის რედაქტორი:
იზა ხარებავა**

ტირაჟი 200



გამომცემლობა „უნივერსალი“

თბილისი, 0179, ი. ჭავჭავაძის გამზ. 1, ტე: 2 22 36 09, 5(99) 17 22 30
E-mail: universal@internet.ge